F1181/12329
ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის პალიტრა

ყოველკვირეული ბაზმული

№18 (583) ◆ 1 – 7 მაისი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„არ ვიცი, ვის სურს თავდაცვის მინისტრის დისკრედიტაცია“

⇲ გვ.7

ალან ეწუნვარ ოერუაშვილს გაში... საკაშვილს რუსეთში ბალდ დინეზე მოსალაპარაკებლად რომ გავეშა ოერუაშვილი, გავიგებდი. ეს იმენობდა დემონსტრირება – პრეზიდენტი ყველაზე სანდო კაცს მოსკოვში აგზავნის პოლიტიკური პრობლემის გადასაწყვეტლად... ...საქართველოს ხელისუფლებამ თავდაც არ იცის, რა თანმიმს ეწნეკი, ეს კი ალბეზე სახიფათო სიტუაციას ქმნის.

„ჩემი იმდენად ეშინიათ, რომ ტელეეთერში დიალოგზე არ მოდიან“

ექსკლუზივი

„ოპოზიციაში“ ფინანსური პოლიცია შევიდა

სკანდალური ტერმინალის ახალი საიდუმლო... ⇲ გვ.3

„ბაღრიმ თავის ⇲ გვ.13 პრეულ-დარეულ ბიზნესს მიხედოს“

„ერთი ლეპუტატი აცდენს, მეორე კი მის მაგივრად აჭერს ღილაკს თითის, ეს უმნიშვნელოა“

ამ კოდექსთ ფეხბმბე ქლის უფლებები ირღვევა, მაგრამ მას მსარს მანც ვუჭერ...

⇲ გვ.5

„კომუნალური „სინათლის“ ბრალდება

არალეგიკური განუკითხაობის ლეგიკური შედეგი

„დაჭმევინეს მეგობლებს ერთმანეთი“

„ორივე მხარის გაუქულვართებული იდეოლოგია ვათ ქცევას განსაზღვრავს“

„Ласковый теленок у двух маток сосет“

მატვეი განაპოლსკი

...ერთ ხელს რუსეთში, ბევლი გასაგენია... ეს კი თავის მხრივ ხელისუფლების „აკეტილობის“ იმ დონეს უკავშირდება, რომელიც პუტინს ყველაზელი ვერტიკალის ჩამოყალიბების პროცესში დაუკავდა... ...საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების რუსეთისათვის დიდი ბრძოლველა აქვს, ამტომ უფეხერეს საყოველელის მკაცრ პოზიციას... ⇲ გვ.6

„ეიკვირს, რაზომ არ აწყობენ დემონსტრაციებს ქართველები?!“

სერგეი მარგოვი

„არა მგონია, ნაგოს ჯარისკაცებმა საქართველოს ინტერესებისათვის აფსაზეთში იბრძოლონ“

„ზურაბ ნერეთელს პრაფერი ემუქრება“

„რუსეთი ისევე მოექცევა საქართველოს, როგორც აშშ – კუბას“ ⇲ გვ.6,7

„ჟუტინი ყოფილი მეზვერავია და გადაწყვეტილებას ისე ეიილებს, წინასწარ ვერაფერს გავიგებთ“

„ეიფასიანი სიკვდილი...“

„ენერგეტიკ“ სტაბილური მოხმარება თითქმის ალარ ეჭვეფსარება მკურნალობას, რადგან მისი მოხმარეველი მხოლოდ 3-5 წელიწადს თუ ცოცხლობს... ⇲ გვ.14

„ვინმეთანეის საფრთხე რეალურია!...“

„არაჩვეულებრივი გაკოფენა“

⇲ გვ.30

ალანა გაგლოევა: დამნაშავე არ ვარ!

„ამ ასაკის მეგობრები არ მყავს, მთ უშეტეს, მთთან ერთად ბარში არ დავდივარ. ეს, ალბათ, მორიგი შავი პიარია.“ ⇲ გვ.15

DURALEX SEDUTEX
ულტრაფაქტორული ჭიქები
ასასამაგრილო ჭიქებიდან
19-22
გვერდი

ეკონომიკა ⇲ გვ.27

საწვავთან ერთად ელექტროენერგია და გაზიც ძვირდება

ფასები თითქმის ყველა პროდუქციაზე მოიმატებს

წმინდა გიორგის მაღლი გფარავდეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეკლამო აქცია ბრიუსელში

ბრიუსელში გამართულ ორდღიან საერთაშორისო ფორუმს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლით ქართული ღვინის სარეკლამო აქციის სახე მიეცა. ფორუმის დასკვნით სხდომაზე, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა გამოსვლა ქართული ღვინის საკითხით დაიწყო და ასევე შეეხო ქვეყნის ენერგეტიკის და ეკონომიკის პრობლემებს. გავრცელებული ინფორმაციით, სხდომის დასასრულს ჩამოატარეს ქართული ღვინო, რომელიც ყველა მონაწილემ დააჭაშნიკა, თუმცა, არაფერია ცნობილი მათი ემოციის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინთან ერთად ღიად გააკრიტიკა კრემლის პოლიტიკა ქართული ღვინის, მინერალური წყლების, ხილისა და ბოსტნეულის მიმართ.

„დემოკრატიულ ფრონტს" დიპლომატების იმედი აქვს

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ დიპლომატების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ, საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი დამყარდება.

„დემოკრატიული ფრონტი" მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კონდოლიზა რაისის მოადგილის მიერ საქართველოში გაკეთებული განცხადების გამო. ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელმა ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების საფრთხის შესახებ გარკვევით მიანიშნა.

კობა დავითაშვილის განცხადებით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს აცნობეს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ბოიკოტს გეგმავს, რადგან საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს მოლაპარაკებას ოპოზიციასთან. ამასთან, კატეგორიულად ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსისა და მერებისა და გამგებლების არჩევითობის საკითხის გადახედვას. როგორც ირკვევა, საპარლამენტო ფრაქციას იმედი აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლით აიძულებენ ოპოზიციის მემორანდუმში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესრულებას.

საქართველოსგან დასაცავად რუსეთს მძიმე სამხედრო ბაზები არ სჭირდება

რუსეთის ვიცე-პრემიერის, თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსეთი საქართველოსთან საზღვარზე ორი სამხედრო ბაზის მშენებლობას შეუდგა და საქართველოდან ბაზების გაყვანას საკუთარ ტერიტორიაზე კომპლექტბრიგადების შექმნის სინქრონულად განახორციელებს.

ივანოვის თქმით, რუსეთს საქართველოსთან საზღვრის დასაცავად მძიმე ბაზები არ სჭირდება. ამიტომ საქართველოსთან საზღვრისპირა რაიონებში ორი თანამედროვე მსუბუქი სამთო ბრიგადა იქმნება *(ვრცლად იხ. გვ.8)*.

ჰიპერმარკეტი „გუდვილი" იოლად გაქურდეს

ჰიპერმარკეტ „გუდვილიდან" ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა 235 ათასი ლარი მოიპარეს.

ჰიპერმარკეტის მენეჯერის, ირინა ქოსაშვილის განცხადებით, „გუდვილიდან" თანხა TBC ბანკში ირიცხება, თუმცა შაბათკვირას ბანკის ოფისები დაკეტილია, ამიტომ ფული ჰიპერმარკეტში ინახებოდა. მენეჯერის ინფორმაციით, როგორც ჩანს, ბოროტმოქმედებისთვის ეს ცნობილი იყო. ქოსაშვილის თქმით, ორი წელია, რაც „გუდვილი" მუშაობს, მაგრამ ამგვარი რამ პირველად მოხდა. სავარაუდოდ, ქურდობაში მონაწილეობდა რამდენიმე კაცი, რადგან გადაჭრილია სათვალთვალო კამერების ელექტროსადენები, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა უსაფრთხოების სისტემა. „გუდვილი" 24 აპრილს, გამთენიისას გაიქურდა, მაშინ, როდესაც ღამით დაცვა არ უნდა ტოვებდეს პერიმეტრს, ხოლო ვიდეოკამერები მთელი ღამის განმავლობაში აფიქსირებდნენ ჰიპერმარკეტში სიტუაციას.

„მერკურის" ფრთები ვერ გაშალა

წარუმატებლად დამთავრდა ქუთაისში ს/ს „ქუთაისის საავიაციო ქარხანაში" აწყობილი ოთხადგილიანი თვითმფრინავის „მერკურის" გასაყიდად გამართული აუქციონი — ქართული საფრენი აპარატი არ გაიყიდა. აუქციონზე არც ერთი განაცხადი არ შესულა. ოთხადგილიანი საექსპერიმენტო თვითმფრინავის ფასი 140 ათასი დოლარია. იმის გამო, რომ „მერკური 2"-ის გაყიდვა არ მოხერხდა, ქარხნის ხელმძღვანელობა მას პირდაპირი წესით გაყიდის. ქარხნის დირექტორის, ირაკლი კოხრეიძის განცხადებით, ქუთაისური თვითმფრინავის შეძენის მსურველი ერთ-ერთი მოსკოვური ფირმაა, რომელიც თვითმფრინავში 150 ათას დოლარს გადაიხდის. ქუთაისის საავიაციო ქარხანაში „მერკური" 5 წლის წინ ააწყვეს, მისი ფასი 350 ათასი დოლარია, მაგრამ რადგან თვითმფრინავს ფრენის სერტიფიკატი არ აქვს, თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდება.

ახალ ტაძარს პატრიარქმა აკურთხა

საქართველოს ეკლესიებს 25 აპრილს კიდევ ერთი მიემატა — საპატრიარქოს ეზოში ხარების სახელობის ახალაშენებული ტაძარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა.

ახალი ტაძრის მშენებლობა გასული წლის მეორე ნახევარში დაიწყო. მის ასაშენებლად თანხები საპატრიარქომ გაიღო. ხარების ტაძარი საპატრიარქოს კარის ეკლესია იქნება.

პარლამენტის შენობას „წყალი აქვს შემდგარი"



როგორც ჩანს, ზაფხულში არა მარტო სკოლებს გაარემონტებენ, საქართველოს პარლამენტის შენობის კაპიტალური რემონტი და გასამაგრებელი სამუშაოებიც დაიწყება.

ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის თქმით, პარლამენტის შენობა კატასტროფულ მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ შენობის საძირკველს ჩიტაძის ქუჩის მხრიდან წყალი აქვს შეყენებული, ნაგებობას საფრთხე ემუქრება. ვიცე-სპიკერის განცხადებით, მდგომარეობა იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე პარლამენტის ხელმძღვანელობა შესაბამისი კვლევების დაწყებამდე ვარაუდობდა.

მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით, მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, თუ ჩიტაძის ქუჩაზე წყლის კოლექტორი არ დამონტაჟდა, ეს კი თბილისის მერიამ უნდა უზრუნველყოს. კოლექტორის მშენებლობას საქართველოს პარლამენტის ეზოს რეკონსტრუქციაც მოჰყვება.

მაჭავარიანის თქმით, „ლაპარაკია პარლამენტის შენობის გადარჩენა-არგადარჩენაზე. დღეს პარლამენტის შენობა იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც რუსთაველის თეატრი იყო რეკონსტრუქციამდე".

მიხეილ მაჭავარიანი ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს, რა თანხა დასჭირდება პარლამენტის შენობის სრულ რეაბილიტაციას.

ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჩიხში შესვლას

ფრაქცია „მრეწველების" ლიდერის ზურაბ ტყემალაძის აზრით, სანქტ-პეტერბურგში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისადმი დუმის დეპუტატების აგრესიული განწყობა მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა, „როდესაც ტრიბუნაზე ქალბატონი დგას და ობსტრუქციას უწყობ, ზრდილობასთან მაინცდამაინც კარგად ვერ უნდა გქონდეს საქმე", — განაცხადა ტყემალაძემ. მისი თქმით, სანქტ-პეტერბურგში მომხდარი ინციდენტი არ იძლევა დასკვნის საბაბს, რომ მომხდარი მთლიანად ჩიხში შეიყვანს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს.

„თუ ვინმეს ცუდად აქვს ზრდილობასთან საქმე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ამით არ უნდა ამოიწურებოდეს", — აღნიშნა ტყემალაძემ.

მარკირების სითხე უვარგისი ყოფილა?

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს კომისია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა მარკირების პროცედურის გაუქმებას გეგმავს. როგორც მან განაცხადა, მარკირების პროცედურასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაა, ხოლო ცესკოს საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება ევალება.

ბოლო არჩევნების დროს გამოყენებული სპეციალური სითხით მარკირების ჩატარება კი უსაფუძვლო ხარჯია, რადგან მისი მოშორება თურმე ადვილად შეიძლება უიაფესი სპეციალური ქიმიური სითხით, რომელიც ნებისმიერ აფთიაქში იყიდება.

გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, თუ მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მარკირება ჩატარდება, ისეთი სითხე უნდა მოიძებნოს, რომლის მოშორებასაც, ერთი დღის განმავლობაში მაინც ვერ შევძლებთ.

15 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა

30 აპრილს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 15 წელი შეუსრულდა. ეს დღე განსაკუთრებულად აღინიშნა ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ სენაკში ახლახან გახსნილ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შექმნილ ბაზაზე. საზეიმო ცერემონიაში ქვეყნის თავდაცვის უწყებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კოპრუსი, ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ატაშეები და ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. ქართული ჯარის დღესასწაული, რომლის მთავარი წარმოდგენა აღლუმი იყო, სუხიშვილების ეროვნული ბალეტის კონცერტით დასრულდა.

03 პარალიზებული იყო



29 აპრილს გვიან ღამით გაითიშა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოპერატიული სატელეფონო ნომერი 03. შესაბამისად, რამდენიმე საათის განმავლობაში პარალიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამის მიზეზი გახდა სატელეფონო სადგურში მომხდარი ტექნიკური დაზიანება. მდგომარეობა მხოლოდ მას შემდეგ დარეგულირდა, როდესაც სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა ტელევიზიების დახმარებით ამცნო მოსახლეობას სატელეფონო ნომრები, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო ეხმო მშველელისთვის.

ვის ვისი მართებს, მართლაც გასარკვევია

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, სოხუმი თბილისისგან ომის შედეგად და ომის შემდგომ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. შამბას განმარტებით, თურმე ზარალს თვითმარქვია პრეზიდენტ ბაღაფშის დავალებით აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო დაითვლის, რის შემდეგაც აფხაზური მხარე საქართველოსგან ზარალის ანაზღაურებას ყველა დონეზე მოითხოვს.

„ვის ვისი მართებს, მართლაც გასარკვევია", — აცხადებს შამბა, რომლის წინასწარი გათვლებით, თურმე ქართული მხარისგან აფხაზეთისთვის მიყენებული ზარალი 1994 წლის მონაცემებით 13 მილიარდ დოლარს შეადგენს(?!).

დღეისთვის თანხა შესაძლოა გაცილებით მეტი აღმოჩნდეს, ვინაიდან „აფხაზი ეკონომისტები იმის დათვლასაც გეგმავენ, რა ზარალი მიაყენა აფხაზეთის ეკონომიკას საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა და საკომუნიკაციო ბლოკადამ", — ურცხვად აცხადებს შამბა.

აფხაზებმა კიდევ ერთი ქართველი ემსხვერპლა

სოხუმის ციხეში გარდაიცვალა 35 წლის გურამ ცაგურია. გალელი ქართველების ვარაუდით, აფხაზების ტყვის სიკვდილი გალის პოლიციის უფროსს ოთარ ტურამბას უკავშირდება. გარდაცვლილი ერთი თვის წინ მოხვდა სოხუმის ციხეში იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით. ცაგურიას ოჯახის წევრები მაშინვე აცხადებდნენ, რომ დატყვევებულს იარაღი ჩაუდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ცაგურიასთან გარდაცვალებამდე დასაკითხად ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ტურამბა შევიდა. რამდენიმე საათის შემდეგ ტყვე საკანში ჩამოხრჩობილი იპოვეს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აფხაზების ტყვემ გაეროს წარმომადგენლებს უთხრა, რომ ოთარ ტურამბა მას გათავისუფლების სანაცვლოდ 15.000 დოლარს სთხოვდა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ტურამბას დასჯას ითხოვენ.

ტარიელ ონიანი უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე

საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი შავ სამყაროში ყველაზე ცნობილმა ავტორიტეტმა, ე.წ. კანონიერმა ქურდმა ტარიელ ონიანმა განაცხადა. ამის შესახებ „ლამურობის" მოსურნე ქართველმა რუსეთის შესაბამის უწყებას მიმართა და საბუთებიც წარადგინა რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად.

ჯერჯერობით უცნობია ონიანის გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი, საქართველოში კი ვარაუდობენ, რომ კანონიერი ქურდი ამ გადაწყვეტილებამდე „შავ სამყაროსთან" საქართველოს ხელისუფლების შეურიგებელმა ბრძოლამ მიიყვანა. თუ ასეა, მაშინ არ არის გამორიცხული, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებმა კიდევ ბევრმა კანონიერმა ქურდმა განაცხადოს. ეს კი უცხოეთში ახალი, კრიმინალური ემიგრაციის გაჩენის საფუძველი გახდება. რა მოხდება, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. საქართველოს ხელისუფლება თავის მხრივ მზად არის დაუფიქრებლად თქვას უარი ონიანზე და მის კოლეგებზე. საინტერესოა, სხვა სამშობლოს მძებნელთა რიგებს კიდევ ვინ შეემატება.

ჯენიფერ ლოპესი ქართულ ღვინოს ვეღარ დააჭაშნიკებს?!

ამერიკული შოუბიზნესის ვარსკვლავის ჯენიფერ ლოპესის თბილისში შესაძლო ჩამოსვლასთან დაკავშირებით ხმები ლეიბორისტებმა გაავრცელეს. როგორც ირკვევა, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე მართლაც იგეგმებოდა ჯეი ლოუს თბილისში ჩამოყვანა. თუმცა, ამ იდეის ინიციატორები იყვნენ არა ქართული საპროდიუსერო კომპანიები, არამედ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძე. მისი იდეის მიხედვით, ჯენიფერი ქართველ მაყურებელს ცოცხლად უმღერებდა, მერე ყველას თვალწინ ქართულ ღვინოს დააჭაშნიკებდა და რუსების ჯინაზე რეკლამასაც გაუკეთებდა.

ამ ამბის შესახებ გავრცელებული ჭორები საზოგადოებას დაუჯერებლად სწორედ იმიტომ მიაჩნდა, რომ ვერ წარმოედგინათ, თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამაზე უკეთესი გამოსავლის მოძებნა ვერავინ შეძლო. ჯეი ლოუს საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში 500.000 ამერიკულ დოლარს ჩაუჯიბავდნენ, რომელიც სავარაუდოდ, ქართველი მეღვინეების ჯიბიდან გავიდოდა. კონტრაქტი არ შედგა. გიორგი არველაძემ და მისმა მხარდამჭერებმა ჯენიფერის მასპინძლობაზე უარი თვითონვე განაცხადეს. რადგანაც საკონცერტო სცენის, კულისების და ამერიკელი ლამაზმანის სხვა „ვარსკვლავური პრეტენზიების" დასაკმაყოფილებლად კიდევ ერთი 500.000-ის მოძიება სჭირდებოდათ.

პარლამენტარი დავით კირკიტაძე მხარდაჭერას უცხადებს თანაგუნდელს და აცხადებს, რომ მათი ძალისხმევით ქართულ ღვინოს რეკლამას არა მარტო ჯენიფერ ლოპესი, მსოფლიოში ცნობილი სხვა ადამიანებიც გაუკეთებენ.

ტერაქტებს პარტიზანული ომები შეცვლის

უცხოეთი

მსოფლიოს პირველი ტერორისტის ბინ ლადენის მარჯვენა ხელი აბუ მუსა ალ ზარქავი ერაყში ამერიკელებთან ბრძოლის ტაქტიკას ცვლის. ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ერაყში ამიერიდან ტერაქტები შეწყდება და პარტიზანული ომები დაიწყება, რისთვისაც ზარქავი საკუთარ ერაყულ არმიას ქმნის. ტერორისტის „პროფესიული" გარდასახვა თურმე იმან განაპირობა, რომ ზარქავს დაქირავებული უცხოელი ტერორისტების მოძიება გაუჭირდა. როგორც ჩანს, კამიკაძეები „გადაშენების" პირას მივიდნენ, აცხადებენ ამერიკელი ექსპერტები.

ევროპელები ალმაცერად გვიყურებენ და გვეუბნებიან, გამოცდა უნდა „ჩააბაროთო“

ბურჯანაძის რუსეთში ჩასვლა ვაჟკაცური საქციელი იყო



რუსეთი გვეუბნება, – ნატოში თუ შეხვალთ, ავტომატურად ჩემი მტერი ხდებითო...

პოლიტიკოსთა შეფასებებში ხშირად გაისმის: — რუსეთი და საქართველო დაახლოებით ცივი ომის მდგომარეობაში არიანო. დიახ, ეს არის ცივი ომი, ოღონდ მაღალი ტემპერატურისა და ცხარე შეფასებების თანხლებით. რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პოლიტიკურმა ტემპერატურამ განსაკუთრებით გასულ კვირას აიწია, როდესაც დუმის ასი წლის იუბილეზე პარლამენტის თავმჯდომარემ ცუდი პარტნიორობის გამო გააკრიტიკა, შემდეგ კი მათ მიერვე დაწუნებული „ქართული ღვინით დალოცა“. როგორც ჩანს, რუსული პოლიტელიტის ზრდილობა და ტაქტი ფეხების ბაკუნსა და მუშტების ბრახუნს ვერ გასცდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სათქმელი ითქვა.

საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, ქართული ღვინის სარეკლამო აგენტის ფუნქციას წარმატებით ითავსებს. მაშინ, როდესაც ნინო ბურჯანაძე რუსებს ქართული ღვინით ადღეგრძელებდა, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ქართული ღვინით უკრაინის ბაზარზე ლამობდა გაჭრას, ამ დროს უმოქმედოდ არც საქართველოს პრეზიდენტი იყო. სააკაშვილმა მოახერხა, რომ ბრიუსელის საერთაშორისო ფორუმზე, სადაც ტრანსატლანტიკური საკითხები განიხილებოდა, ქართული ღვინის რეკლამა გაეწია და მეტიც — გავლენიანი სენატორი ჯონ მაკკეინიც ჩაება ჩვენს სასარგებლო პიარაქციაში. ქართული ღვინის ქებასთან ერთად მაკკეინმა ისიც თქვა — რუსეთის ძალადობა საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ უნდა დასრულდესო... ასე რომ, საქართველოს ხელისუფლების ბრძოლა ქართული ღვინის დასაცავად ფართო ფრონტით გაიშალა.

გასულ კვირას გაეროს უშიშროების საბჭოც შეშფოთდა, ირანის ბირთვული პროგრამა მსოფლიოში მშვიდობას საფრთხეს უქმნისო და სანქციებითაც დაიმუქრა. აღნიშნულს ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადი ნეჯადის განცხადება მოჰყვა, — მათ, ვისაც სურთ ირანელებს ხელი შეუშალონ თავიანთი უფლებების განხორციელებაში, უნდა იცოდნენ, მიგვიფურთხებია ასეთი რეზოლუციებისთვისო.

გასული კვირის მთავარ თემებზე შეფასებების გაკეთება საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის ხელმძღვანელს **ალექსანდრე რონდელს** ვთხოვეთ, რომელთან საუბარიც ირანის წინააღმდეგ მოსალოდნელი სანქციებით დავიწყეთ:

— სანქციები არის სხვადასხვა ტიპის: პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური. ჩემი აზრით, ირანის წინააღმდეგ ამჯერად უფრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სანქციებს გამოიყენებენ. ქვეყნები, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით, რომ ბირთვული იარაღი არ უნდა გავრცელდეს, ეკონომიკურ სანქციებს დააწესებენ ირანის წინააღმდეგ. მაგრამ ერთიანობა ამ საკითხზეც არ არსებობს, რადგან ყველა ქვეყანას განსაკუთრებული ინტერესი აქვს ირანის მიმართ. ზოგი მისგან ნავთობს ყიდულობს, ზოგი ყიდვას აპირებს, ზოგსაც სტრატეგიული ინტერესები აქვს. აშშ ფაქტობრივად თამადობს ირანის წინააღმდეგ სანქციებს — ყველაზე მეტად ის არის დაინტერესებული. ამ თემით ასევე დაინტერესებული მხარეა ისრაელი, რომელიც ფიქრობს, თუკი ირანს ბირთვული იარაღი ექნება, საფრთხე მემუქრებაო. ირანი აცხადებს, არ მინდა ატომური იარაღის შექმნაო, რასაც მსოფლიო ეჭვის თვალით უყურებს, დაზვერვის სამსახურებსაც აქვთ ინფორმაცია. სპეციალისტების აზრით, ისპაჰანში, ნათანზსა და არაქში არსებულ ბირთვულ ცენტრებში ურანს ამდიდრებენ ბირთვული იარაღის წარმოებისათვის. ისეთ აქტიურ ქვეყანას, როგორიც ირანია, ამბიცია აქვს, რომ ბირთვული იარაღი ჰქონდეს, თუმც ამას უარყოფს.

ზოგი ფიქრობს, რომ მესამე მსოფლიო ომი სწორედ ბირთვული იარაღის შიშით არ დაიწყო. 1945 წლის შემდეგ არავის გამოუყენებია ბირთვული იარაღი! იგი უფრო პოლიტიკურ იარაღად, ასე ვთქვათ, დაშინების საშუალებად იქცა. ამიტომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას მიაჩნია, ბირთვულ კლუბში თუ შევალ, დაცული ვიქნებიო. ატომური იარაღი პირველი დარტყმის იარაღია, თუ ვინმემ დაგასწრო, რაღა დარჩება შენგან...

ირანი მნიშვნელოვანია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით. ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში ნავთობისა და გაზის რესურსებით. შესაბამისად, პოლიტიკურ რეალობასაც კარგად იყენებს — ომის დაწყება აშშ-ისაგან, რომელიც ერაყში იბრძვის და უამრავი სხვა პრობლემა აქვს მსოფლიოში, სათუოა.

ჩვენთან ზოგიერთი პოლიტიკოსი და ანალიტიკოსი ბევრს გაჰყვირის, ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, საქართველოს საფრთხე ელისო, მაგრამ საკითხი ასე არც დგას. საეჭვოა, სამხედრო ძალის გამოყენება ირანის წინააღმდეგ, მაგრამ რომც გამოიყენონ, ჩვენი ტერიტორიები არაფერში დასჭირდებათ. სათანადო ძალები ერაყსა და ავღანეთშიც აქვს აშშ-ს. გარდა ამისა, აშშ საფრთხეს არ შეუქმნის სუსტ ქვეყნებს, რომელთანაც პირდაპირი სამხედრო კავშირი არა აქვს.

— გასულ კვირას 7 წელი შესრულდა საქართველოს ევროპულ ოჯახში „დაბრუნებიდან“. რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე?

— ჩვენ ევროპელობას სურვილით გამოვხატავთ, საქმით კი ნაკლებად. ეს იმიტომ, რომ ევროპიზაციას თაობები სჭირდება. ინგლისში მე-12 საუკუნეში შეიქმნა მეფისგან დამოუკიდებელი სასამართლო. ეს დამოუკიდებელი სასამართლო გახლავთ არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ ევროპისა და დასავლეთის პოლიტიკური კულტურის, მართვის საძირკველი. თუ ევროპელობა ამაშია — აქამდე ბევრი გვაკლია. სანამ არ არსებობს კანონის უზენაესობა, სანამ არ არსებობს მართლაც დამოუკიდებელი სასამართლო, არც ბიზნესი განვითარდება და არც რომელიმე დარგი. ასეთ ვითარებაში არ უნდა გვიკვირდეს, რომ ევროპელები ცოტა არ იყოს ალმაცერად გვიყურებენ და გვეუბნებიან, გამოცდა უნდა „ჩააბაროთო“. ჩვენ გვინდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება, ეს არის ჩვენი სტრატეგიული მიზანი. გვესმის, რომ ამისთვის მზად არ ვართ, მაგრამ ვცდილობთ... ხელისუფლების საქმიანობა აქეთკენ კი არის მიმართული, მაგრამ მიმაჩნია, რომ იგი მეტადაც უნდა აქტიურობდეს ამ მხრივ. ჩვენ ევროპულ ოჯახში გვინდა ყოფნა, მაგრამ შვილად ან გერად მაინც რომ აგვიყვანონ, სათანადოდ უნდა მოვიქცეთ და იმ კრიტერიუმებს ვპასუხობდეთ, რაც ევროატლანტიკური ოჯახის წევრისთვის აუცილებელია. სწორედ ამით არის გამოწვეული ჩვენი სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად გავიაროთ აქტიური დიალოგი ნატოსთან, შემდეგ კი MAP-ი. საამისოდ განსაზღვრული ვალდებულებების აღება მოგვიწევს. კერძოდ, რომ განმტკიცდება დემოკრატიული და სახელმწიფო ინსტიტუტები, რომ კანონის უზენაესობის მხრივ წინ წავალთ. საქართველოს ნატოს წევრობის კანდიდატობა ჩვენს პარტნიორებსაც პასუხისმგებლობას აკისრებს — თუ მიგვიღეს, უნდა მოგვიარონ კიდეც. არის სხვა ხელის შემშლელი გარემოებებიც — არ უნდათ ჩვენ გამო სერიოზული მოთამაშის, რუსეთის გაღიზიანება. მით უმეტეს, რომ რუსეთი საკუთარი არხებით ცდილობს შეაჩეროს საქართველოს ნატოში ინტეგრაცია. რეგიონში ჩვენი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დიდია — ბოთლის ყელივით ვართ, ამიტომ რუსეთისთვის ჩვენი „განატოება“ მიუღებელია. ამის გამო იყენებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და შეიძლება ითქვას, ძალოვან მეთოდებსაც. ამ მიზანს ემსახურება კონფლიქტების მოუგვარებლობაც. საქართველოს ორი გზა აქვს: პირველია — ევროატლანტიკურ სივრცეში შესვლა, მეორე — რუსეთის ორბიტაზე დაბრუნება. ჩვენ რუსეთს ვეუბნებით, ხელს ნუ შეგვიშლით ჩვენი ისტორიული არჩევანი შევასრულოთ და ერთმანეთთანაც კარგად და მეზობლურად ვიყოთო. რუსეთი კი გვეუბნება — ნატოში თუ შეხვალთ, ავტომატურად ჩემი მტერი ხდებითო. რუსეთის ახლანდელი ხელმძღვანელობისთვის ნატო მაინც მეტოქეა. საქართველოს დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებია რუსეთის სახელისუფლებო ელიტა.

ჩვენთვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ საამისოდ ჯერ დემოკრატიული ქვეყანა უნდა გავხდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ვერ შედგება როგორც სახელმწიფო. იმიტომ, რომ ვერ მოხდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესთა დაბალანსება (ჩვენ ხომ მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ქვეყანა ვართ!). სხვათა შორის, ამგვარ დაბალანსებას ძალით და ნებით იმპერიებიც ახერხებენ, ოღონდ დროებით! მაგრამ გვინდა იმპერია ვიყოთ? რუსეთი რომ დემოკრატიული ქვეყანა იყოს, ახლოსაა და არსად შესვლას არ მოვინდომებდით. სხვათა შორის, რუსეთი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტიასაც არ გვაძლევს. მხოლოდ გვპირდება — ხელს შევუწყობ ამ პრობლემის მოგვარებას, ბაზრები გექნებათ და ენერგომატარებლებიც ცოტა ხნით იაფი იქნებაო. მაგრამ თუ ნამდვილი დამოუკიდებლობა გვინდა, დამოუკიდებლად ცხოვრებას უნდა მივეჩვიოთ. მეზობლებისგან სუბსიდირებულ ენერგიაზე თუ ავაგეთ ეკონომიკა, როგორც კი ტარიფს მოგვიმატებს, მაშინვე დავინგრევით.

ვამბობთ, ევროპელები ვართო, მაგრამ ევროპელობაა სიბინძურე ჩვენი შენობების სადარბაზოებთან, სიბინძურე ურთიერთობებში და უზნეო საზოგადოება? ნდობა არ არსებობს საზოგადოებაში. თანამედროვე ცხოვრება ზნეობრიობაზე უნდა იყოს აგებული. ხომ არ შეიძლება ნებისმიერი ბიზნესის უკან ვილაც ძალოვანი იდგეს. ხშირად ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას და სარკეში საკუთარი სახის დანახვა გვიჭირს. ჩვენ, ჩვენ რას ვაკეთებთ?! სახელმწიფოდ რომ ჩამოყალიბდე, მაღალი კულტურა უნდა გქონდეს, რაც მხოლოდ ცეკვასა და სიმღერაში არ გამოიხატება. კულტურა კანონის უზენაესობაა და უნარი, მართო საკუთარი თავი. შეხედეთ, ყველაზე დიდ წარმატებებს ინგლისურენოვანმა ქვეყნებმა მიაღწიეს, ანუ მათ, რომელთაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჰქონდათ დამოუკიდებელი სასამართლო.

თავისთავად არაფერი მოდის. ყველა ერს პატივს სცემენ მისი ვაჟკაცურობის მიხედვით. ფინეთი, 4-მილიონიანი ქვეყანა აგრესორ რუსეთს წინ დაუდგა, დაკარგა ტერიტორიის 10%, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და დარჩა დამოუკიდებელი(!). თეირანის კონფერენციაზე, როდესაც ითქვა, ფინეთს რა ვუყოთო, სტალინმა განაცხადა — ფინელებმა თავიანთი ვაჟკაცობით დამოუკიდებლობა დაიმსახურესო და 10 წუთის განმავლობაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამიტომ ყველა უნდა დაფიქრდეს, ჩემს ქვეყანას რით დავეხმაროო.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა დუმის ასი წლის იუბილეზე დიდი განსჯის საგანი გახდა რუსეთშიც და საქართველოშიც. ისიც კი ითქვა, ნინო ბურჯანაძეს არ უნდა მიელო რუსების მიპატიჟება და ამ უხერხულობასაც აიცილებდაო...

— სანქტ-პეტერბურგში ჩასვლა აუცილებელი იყო. ასეთი ტრიბუნა უთუოდ უნდა გამოიყენოს პატარა ქვეყანამ. რა და რა ფორმით თქვა ბურჯანაძემ, ეს მისი გადასაწყვეტი იყო — ატმოსფერომ როგორც უკარნახა, ისე მოიქცა. მაგრამ იმ დარბაზში მხოლოდ დუმის დეპუტატები ხომ არ ისხდნენ. პატარა ქვეყანას ზოგჯერ თავისი სატკივარის თქმის საშუალება არა აქვს ხოლმე — ეს შემთხვევა სწორედ ამგვარი საშუალება იყო. ქალბატონმა ნინომ საკმაოდ დელიკატურად გამოხატა საქართველოს უკმაყოფილება და ძლიერი ქვეყანა დაადანაშაულა — სუსტ და პატარა მეზობელს ანგარიშს არ უწევო. ერთ მაგალითს გავიხსენებ. გასული საუკუნის 30-იან წლებში იტალია თავს დაესხა აბისინიას. მაშინ აბისინიის ახალგაზრდა იმპერატორი ერთა ლიგის ტრიბუნაზე გამოვიდა და თქვა — პატარა ქვეყანას თავს დაესხა კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური ქვეყანაო. მან ამ მგზნებარე სიტყვით დაიცვა თავისი ქვეყანა და მთელ მსოფლიოს გააგებინა მისი გასაჭირი. ასე რომ, ბურჯანაძის რუსეთში ჩასვლა ვაჟკაცური საქციელი იყო. მე უფრო ის არ მომწონს, სახელმწიფოთა შორის შეურაცხმყოფელი განცხადებები რომ კეთდება.

— სხვათა შორის, ამ მხრივ ზოგჯერ პრეზიდენტ სააკაშვილსაც აკრიტიკებენ.

— ჩვენი პრეზიდენტი ემოციური კაცია და ვფიქრობ, ეს კარგიცაა. ზოგჯერ პრეზიდენტი თავისი ქვეყნის დამცირებაზე მწვავედ რეაგირებს და მწარედაც ამბობს ხოლმე რაღაცას, რასაც მტერი იყენებს, მაგრამ რომ არ თქვას, ცუდს აღარ გაგვიკეთებენ? რუსებს ვეუბნებით, თქვენთან ერთ ოჯახში ყოფნა კარგის მომტანი არ არის. ვიმეზობლოთ, მაგრამ სხვასთან მეგობრობაც გვინდა-თქო. ამაზე რუსეთი გვპასუხობს, ან ჩემთან იყავი და ჩემს ლოგინში იგორავე, თუ არადა, ჩემი მტერი ხარო. არა მგონია, რომ ვინმეს უნდა შეშურდეს საქართველოს ხელისუფლებისა, რომელიც ასეთი რთული თამაშის მონაწილეა. ზოგიერთს ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ მანქანებით სიარული და დროსტარება ჰგონია, ასე არ არის. ხელისუფალს ურთულესი გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობა უწევს დიდი ნერვებისა და ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის ფასადაც. ჩვენ ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ, სხვა არჩევანს ეროვნული პერსპექტივა არა აქვს.

— მთავრობისა და ჟურნალისტების დიალოგის ახალი ფორმა რამდენად მოგეწონათ?

— როდესაც რაღაცას აკეთებ, სჯობს გააგებინო იმ ხალხს, ვისთვისაც ირჯები და ისინი ამ საქმიანობის მონაწილეები გახადო. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ იგრძნო, რომ ხალხთან კონტაქტი დაკარგა და ეს იყო საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარების მცდელობა. თუმც დასახვეწი არის ამ შეხვედრის ფორმა. ამდენი მინისტრი ერთად ძალზე ბევრია. ეს ისევაა, სუფრაზე ძალიან ბევრი ტკბილეული რომ მოგიტანონ (ხომ ხედავთ, მაინც ტკბილები მგონია ისინი) და არ იცი, რომელი შეჭამო. სჯობს 3-4 მინისტრით შემოიფარგლონ. სხვათა შორის, ასეთი დიალოგისას გამოჩნდება, ვინ ვინ არის, ვის რა განათლება და „ბაგაჟი“ აქვს, ასევე გამოჩნდება ჟურნალისტების აზროვნების უნარიც. ერთია სენსაციებზე გამოკიდება და მეორეა, მართლაც ქვეყნის ალმშენებლობაზე სწორი კითხვების დასმა და დიალოგის სწორად წარმართვა.

— ბოლოს მინდა გკითხოთ, რამდენად ნორმალურია, რომ მშენებლობის გზაზე მყოფ ქვეყანაში არის პარლამენტი, სადაც ოპოზიცია სხდომათა დარბაზში არ შედის?

— ბოიკოტი არ არის პროტესტის კარგი ფორმა, მაგრამ გაცილებით ცუდია ის, რომ ჩვენთან პოლიტიკოსები ერთმანეთს ვერ იტანენ. მთავარია, პოლიტიკური პროცესი შედეგიანი იყოს და ვინ რას იტყვის, ან ვინ როგორ ილანძღება, ნაკლებად მაღელვებს. ტელეკომპანიებში გლადიატორებივით რომ დააყენებენ პოლიტიკოსებს და ერთმანეთს ალანძღვინებენ — ამით გაკეთდება საქმე? დუელამდე ხომ არ უნდა მივიდეთ. ეს არის ტელევიზიის როლი, ეს არის სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გზა? ვფიქრობ, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა მოძებნონ მოდუს ვივენდი. ხელისუფლების ბრალია, საქმე ბოიკოტამდე რომ მივიდა, მაგრამ ოპოზიციაშიც არიან ისეთები, მხოლოდ ხელისუფლებაში მისვლა რომ ელანდებათ. ვიცი, რომ ამ ხელისუფლებას ყველაფრის გამოსასწორებლად 100 წელიც არ ეყოფა, მაგრამ იბრალებს გამოვასწორებო და ეს არის ცუდი. ჩვენ წინაშე ისეთი პრობლემებია, კიდევ რამდენიმე ხელისუფლება რომ ვერ მოერევა, მაგრამ სიძულვილი არც ოპოზიციას ამშვენებს და არც ხელისუფლებას. ორივე მხარეს იმდენი უნდა შეეძლოს, რომ არ ათქმევინონ ხალხს, უზრდელები არიანო, მეტი ტაქტი მართებთო.

ჩვენი, საზოგადოების ამოცანა კი ის გახლავთ, ხელისუფლების ქმედებები სწორად წარვმართოთ და ჩვენი კონტროლიდან გასვლის საშუალება არ მივცეთ.

იზო რიკაძე

ექსკლუზივი

„ოპიზაში“ ფინანსური პოლიცია შევიდა?!

სკანდალური ტერმინალის ახალი საიდუმლო...

ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ტერმინალების თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. საბაჟო დეპარტამენტმა ლიცენზიის პირობების დაუკმაყოფილებლობის მოტივით, ორ საბაჟო ტერმინალს „ლილო-1“-სა და „მესხეთს“ ლიცენზია გაუუქმა. „ლილო-1“-სა და „მესხეთში“ აღმოჩენილი დარღვევები სამთავრობო პრესკონფერენციების თემადაც იქცა. სამაგიეროდ, ტერმინალ „ოპიზაში“ ფინანსური პოლიციის შესვლას ყველა ინსტანციაში საგულდაგულოდ მალავენ! არაოფიციალური ინფორმაციით, ტერმინალ „ოპიზაში“ რამდენიმე დღის წინ ფინანსური პოლიცია შევიდა და საწყობებიც დალუქა. იმპორტიორთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ტერმინალ „ოპიზაში“ ასიათასობით ლარის ღირებულების „ლევი“ საქონელი აღმოაჩინეს. ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, დიდი პრობლემები აქვს „ოპიზის“ დირექტორს სერგო ჯავახაძეს. როგორც ჩვენმა წყარომ გაგვიმხილა, ჯავახაძე ბოლო დროს ტერმინალში საერთოდ აღარ გამოჩენილა, იმასაც ამბობენ, რომ მასზე სისხლის სამართლის საქმეც აღძრულა... რა მოხდა სინამდვილეში, რა დარღვევათა გამო შევიდა პრივილეგირებულ ტერმინალში ფინანსური პოლიცია, მკაცრად გასაიდუმლოებულია. „კვირის პალიტრამ“ იმპორტიორთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფინანსურ პოლიციაში გადაამოწმა. ფინანსური პოლიციის პრესსამსახურში განგვიმარტეს, რომ „ოპიზასთან“ დაკავშირებით არავითარ ინფორმაციას არ ფლობენ და იქ არც ფინანსური პოლიცია შესულა. სამაგიეროდ, ტერმინალ „ოპიზის“ დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს ჩვენთან საუბარში არ უარუყვიათ, რომ იქ ფინანსური პოლიცია მართლაც იყო. „ოპიზაში“ მისულებმა დაცვის თანამშრომლებს თავი იმპორტიორებად გავაცანით, — ტვირთის ტერმინალში შემოტანა გვინდა, მაგრამ პრობლემები გქონიათ, განბაჟება გვეჩქარება და თუ ასეა, ტვირთს სხვა ტერმინალში წავიღებთ-მეთქი. დაცვის სამსახურში კი გვიპასუხეს, პრობლემები მოგვარებულია, ფინანსური პოლიცია „ოპიზიდან“ უკვე გავიდაო(!).

ამბობენ, რაც უფრო ხმაურიანია სკანდალი, მასზე მით უფრო ხმადაბლა ლაპარაკობენო. „ოპიზაში“ ფინანსური პოლიციის შესვლის თაობაზე კულუარებშიც ჩურჩულებენ, თუმცა კონკრეტულად რა დარღვევებისათვის ამოწმებენ ტერმინალს, დაზუსტებული არ არის.

გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი: „ოპიზაში“ რომ რაღაც ხდება, ეს მეც შევიტყვე. ფინანსური პოლიციაც რომ იყო შესული, ესეც ვიცი, მაგრამ სრულ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ვფლობ. ის, რომ „ოპიზაში“ მომხდარ ამბებს საგულდაგულოდ მალავენ, გასაკვირი სულაც არ არის. „ოპიზა“ „სამაგალითო“ ტერმინალია და როგორ შეიძლება იქ რაიმე მაქინაციასა და დარღვევას ჰქონდეს ადგილი. ისიც გავიგე, რომ „ოპიზაში“ გირაოს ფულს აგროვებენ სერგო ჯავახაძის გამოსახსნელად. მეტი ინფორმაცია ამ ეტაპზე არ მაქვს“.

მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება „ოპიზაში“ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით შეუძლებელია, ცხადია, ფინანსურმა პოლიციამ „სამაგალითო“ ტერმინალსაც შეუტია. საკვირველი „ოპიზაში“ ფინანსური პოლიციის შესვლა და საწყობების დალუქვა სულაც არ გახლავთ, საინტერესო ის არის, რატომ ასაიდუმლოებენ სკანდალურად ცნობილი ტერმინალის დალუქვის ფაქტს.

ხათუნა პაიჭაძე


ფოტო უკომენტაროდ...

„სოთბიზე გაბაშვილის გამოჩენა დიდ აღიარებაზე მეტყველებს“

ჩვენი კულტურისთვის ძალზე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ მსოფლიოში დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ფერწერის მიმართ. ცოტა ხნის წინ კიევში ფიროსმანის გამოფენა მოეწყო (ახლაც მიმდინარეობს) და როგორც მითხრეს, დამთვალიერებელთა ნაკადი არ წყდება. ზოგი ვერც ახერხებს გამოფენაზე მოხვედრას და თბილისში უკავშირდება მუზეუმის თანამშრომლებს, — დაგვეხმარეთ, დარეკეთ კიევში, რომ გამოფენაზე შესვლა მოვახერხოთო...

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი: ცნობილი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის „სამარყანდის ბაზარი“ სოთბის აუქციონზე გამოჩნდა.

ხელოვნების ისტორიის მუზეუმის დირექტორი ***გიორგი მარსაგიშვილი***.

— მე-19 საუკუნის ბოლო წლებში გიგო გაბაშვილი პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა. ამ პერიოდში კავკასიასა და შუა აზიაში მოგზაურობდა ხელოვნების ქომაგი და მეცენატი, ჩიკაგოელი ჩარლზ კრენი. მან თბილისში გიგო გაბაშვილისგან 12 ნამუშევარი შეიძინა, ძირითადად, კავკასიელთა პორტრეტები. ასევე დაუკვეთა კავკასიური და შუააზიური თემატიკა. 1894 წელს ჩარლზ კრენის დაფინანსებით გიგო გაბაშვილი გაემგზავრა შუა აზიაში, სადაც შესრულებული ჩანახატების მიხედვით შემდგომ დიდი ტილოები შექმნა. მათ შორის იყო „სამარყანდის ბაზარი“. ამავე წელს გაიგზავნა მისი 28 ნამუშევარი ჩიკაგოში ჩარლზ კრენთან. ასე მოხვდა გიგო გაბაშვილის 40 ტილო ჩიკაგოში. გასული წლის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაგვიკავშირდა ქალბატონი ჰელენა ჰარბროკი, რომელიც დაინტერესებული იყო გიგო გაბაშვილის შემოქმედებით, განსაკუთრებით ამერიკაში მოხვედრილი ნამუშევრების ისტორიით... ორი მათგანის ირგვლივ კი ყველაფერს დაწვრილებით კითხულობდა. ესენია: „სამარყანდის ბაზარი“ და „დივან-ბეგის აუზი ბუხარაში“. ჩვენს მუზეუმში ინახება ოთხი „სამარყანდის ბაზარი“. ყველა სხვადასხვა რაკურსითაა შესრულებული. 1920 წელს გიგო გაბაშვილმა ამერიკაში გაგზავნილი ამ სურათის საავტორო ასლიც შეასრულა. განსხვავება, რა თქმა უნდა არის, იდენტური ვერც იქნებოდა... ეს ტილო მუზეუმის ექსპოზიციაშია გამოტანილი. როგორც ცნობილი გახდა, სოთბის აუქციონზე გატანილი „სამარყანდის ბაზარი“ 1.136.000 ამერიკულ დოლარად გაიყიდა. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალ აუქციონზე აუცილებლად გამოჩნდება „დივან-ბეგის აუზი ბუხარაში“.

— ეს ფასი მოულოდნელი ხომ არ იყო თქვენთვის?

— არა, რატომ... ფასის განსაზღვრა აუქციონზე ხდება. სასიამოვნოა, რომ ქართველი მხატვრის ნამუშევარი ამ ფასად გაიყიდა. ჩვენთვის სამწუხაროდ ცნობილი არ არის არც ერთი სხვა ქართველი მხატვარი, რომლის ნამუშევარიც ასეთ ცნობილ აუქციონზე გამოეტანათ. გიგო გაბაშვილი პროფესიონალი იყო. პეტერბურგში მიილო განათლება, შემდეგ მიუნხენში გააგრძელა სწავლა. შეგახსენებთ მის წერილს, მიუნხენიდან რომ მისწერა მეგობარ მხატვარს: „მე მიმიღეს, უმაღლესი ხარისხის ჯგუფში ჩამრიცხეს. ჩემს ნახატებს დიდი ინტერესით ეცნობიან. ეტყობა, მათ ქართული სული აინტერესებთ“.

— დღევანდელი მსოფლიოსთვის რამდენად საინტერესოა მსგავსი ნამუშევრები?

— XIX საუკუნის რეალისტური ნამუშევრები და XX საუკუნის სოცრეალიზმი ძალიან აინტერესებთ მსოფლიოში (ეს მათ, ვინც კაპიტალის დაგროვებას ფიქრობს). დროთა განმავლობაში იშვიათი გახდება ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ამიტომ ამ ნამუშევრებზე მოთხოვნა გაიზრდება. სასიამოვნოა, რომ მსოფლიოში ყურადღება იზრდება ქართული მხატვრობის მიმართ. სოთბის აუქციონზე შემთხვევითი ნამუშევრები არ ხვდება. გიგო გაბაშვილის ტილოს გამოჩენა ასეთ პრესტიჟულ აუქციონზე დიდ აღიარებაზე მეტყველებს.

„დივან-ბეგის აუზი ბუხარაში“

ლელა ჯიყაშვილი

ჩვენ გვწერენ

საიდან ამდენი უკულტურო და არაპატრიოტი...

პატივცემულო ჟურნალისტებო, შარშან ზაფხულს ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჰოლანდიიდან ჩამოყვანილ ახალ ავტობუსში რომ ჩავჯექი. სუფთა, ფართო, ახალი და იაფი („მარშრუტკასთან“ შედარებით)... არ ვიცოდი, ვისთვის გამეზიარებინა აღფრთოვანება, 4-5 მგზავრი ვიჯექით სულ. მივედი მძღოლთან და მას გადავუხადე მადლობა(?), გაუხარდა და მითხრა: — ნახეთ, ეს გაკრიალებული ავტობუსი 6-7 თვეში რას დაემსგავსებაო.

...მართლაც, სულ ახლახან ავედი ჩემს მოწონებულ უცხოურ ავტობუსში (რომელიც თურმე სულ არ ყოფილა ახალი) და დავჯექი უკანა სკამზე. გადაჭედილი იყო ხალხით. დავათვალიერე სალონი და გული მომიკვდა. იქაურობა დაჯღაბნილი, დანით თუ სამართებლით დასერილი იყო. მომაგონდა იმ მძღოლის ნათქვამი. შევწუხდი, საიდან ამდენი უკულტურო და არაპატრიოტი ახალგაზრდა! არაფერი ენაღვლებათ და არაფერზე შესტკივათ გული. უკანა სკამის საზურგეზე ერთი წარწერაც ამოვიკითხე: „855.12-13-87 — გიორგი. დამირეკეთ“. ალბათ სკოლაში, ოჯახში უნდა ასწავლონ — თუ შენი ქვეყნის, ქალაქის, სასწავლებლის ქონებას არ მოუვლი, ნუ გააფუჭებ მაინც... ან რას ჰგავს შენობების კედლები! სულ მოხატულია და დაჯღაბნილი სახელებით და უწმაწური სიტყვებით. აბა, გაბედე და მიეცი ვინმეს შენიშვნა.

მთელი ქალაქი (2-3 ცენტრალური ქუჩის გარდა) სიბინძურეშია, ნეტავი რისთვის გვახდევინებენ დასუფთავების გადასახადს. ერთი რამაც არის აღსანიშნავი: ამ გალატაკებულ ქვეყანაში ძალიან მომრავლდა ძაღლები, როგორც პატრონიანი, ისე უპატრონო. ამიტომ ქუჩაში გავლისას ფხიზლად უნდა იყო, რომ ფეხი არაფერში ჩაკრა.

გარდა ამისა, ქუჩაში ისე დადის ხალხი, არც შუქნიშნებს უყურებს და არც მიწისქვეშა გადასასვლელს იყენებს. მძღოლებია ცოდო, ფეხით მოსიარულეს რომ დაეჯახოს, რაც გინდა მართალი იყოს, პასუხს მაინც ის აგებს.

პალიტრელებო, იქნებ ერთად ვუშველოთ ყოველივე ამას, ერთად მოვიფიქროთ გამოსავალი. ვიცი, გყავთ უამრავი მკითხველი, რომელიც გიჯერებთ...

ხომ შეიძლება საზღვარგარეთიდან გადმოვიღოთ ყველაფერი კარგი და არა უაზრო, არატრადიციული სიმახინჯეები...

მკითხველი თუ გამოეხმაურება ამ წერილს, კარგი იქნება.

P.S. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. „კვირის პალიტრას“ ვაგროვებ და სოფელში რომ მივდივარ, თან მიმაქვს. იქ ბევრი მკითხველი ელოდება თქვენს გაზეთს.

ლ. ცინცაძე

სად გაქრა ქართული მულტფილმი?

არ ჩამოვთვლი, რამდენად კარგია „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის მიერ გამოცემული ყველა გაზეთი, ჟურნალი, წიგნი; ვიტყვი, რომ დღევანდელობის არც ერთი სფერო და მტკივნეული საკითხი არ გრჩებათ ყურადღების გარეშე.

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ერთმა უცნაურმა გარემოებამ, რომელიც ამ ბოლო დროს შეინიშნება ქართულ ტელეარხებზე — ტელეეკრანებიდან გაქრა ქართული მულტიპლიკაციური ფილმები.

მერწმუნეთ, მე არა ვარ წინააღმდეგი არაქართული მულტფილმებისა. კი, ბატონო! აჩვენონ „ადამიანი-ობობა“ და სხვა ამდაგვარი, მაგრამ რა დააშავა ქართულმა მულტიპლიკაციამ, რომელზეც ჩვენ გავიზარდეთ, საშუალო ასაკის საქართველოს მოქალაქეები.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებსა თუ ქართულ ხალხურ ზღაპრებზე გადაღებული მულტფილმები არაფრით ჩამოუვარდება საზღვარგარეთულს. აღარაფერს ვამბობ ზნეობასა და მორალზე.

ჩემი თხოვნაა, თქვენს გაზეთში ამ საკითხებზეც გაამახვილოთ ყურადღება, ერთ ნომერში კი არა, რამდენიმეში... იქამდე, სანამ საზოგადოებრივ არხზე მაინც არ განახლდება ქართული მულტფილმების ჩვენება.

შემეძლო ეს წერილი საზოგადოებრივი არხისთვის გამეგზავნა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობის იმედი არ მაქვს. ვამჯობინე, ისევ თქვენთვის გამენდო გულის ტკივილი. დიდი მადლობა, რომ ეს წერილი წაიკითხეთ და დრო დამითმეთ.

პატივისცემით,

ირაკლი მღვდლიაშვილი

ინჟინერი, 52 წლის, თბილისი

გამოვიდა მაისის ნომერი



თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

მალე! ახალი გაზეთი პარასკეობით

კვირის პალიტრა
ყველა სიახლე
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის პარასკეობით.

კვირის პალიტრისგან

„კომუნალური სინათლის" ტრაგედია

არალოგიკური განუკითხაობის ლოგიკური შედეგი

„დააჭმევინეს მეზობლებს ერთმანეთი"



თერჯოლის რაიონის სოფელ ქვემო სიმონეთში მომხდარმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. 65 წლის ჯემალ ჩაფიძემ მეზობელი, 23 წლის მიხეილ სალაძე მოკლა. მოგვიანებით კი სოფელმა ჩაფიძეების სახლ-კარი გადაწვა(!).

წინასწარი ინფორმაციით, მიხეილ სალაძის მამამ ჩაფიძეს ელექტროსადენი ჩაუჭრა, რადგან ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში არ იხდიდა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს, უბანი კი კომუნალური მრიცხველით სარგებლობდა და ჩაფიძის დავალიანების გამო სადისტრიბუციო კომპანია მოსახლეობას მანამდე არ აძლევდა ელექტროენერგიას, ვიდრე ჩაფიძის გადასახადს მეზობლები არ დაფარავდნენ(?!). ამან მეზობლებს შორის სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 65 წლის კაცმა 23 წლის ახალგაზრდა სასიკვდილოდ გაიმეტა. შემთხვევის ადგილზე მისულ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს საშინელი სურათი დახვდათ — მოკლული ახალგაზრდა და გაცოფებული ჩაფიძე ავტომატით ხელში... პოლიციელები იძულებულები გახდნენ, ჩაფიძე მოეკლათ (პოლიციის ინფორმაციით, მკვლელი უმისამართოდ ისროდა). სამწუხაროდ, საქართველოში ბანალურ საყოფაცხოვრებო დავას ორი კაცის სიცოცხლე უკვე ემსხვერპლა. თუ სახელმწიფო ამ საკითხისადმი ძველებურად გულგრილობას გამოიჩენს, შესაძლოა, თერჯოლის მსგავსი ტრაგედია ხვალ ნებისმიერ ჩვენგანს დაატყდეს თავს, რადგან არავინ იცის, ამ ისედაც გაჭირვებულ ყოფაში ვის როდის უმტყუნებს ნერვები. საბედნიეროდ, ამ საფრთხისგან დედაქალაქის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად დაცულია, მაგრამ ქვეყანა დედაქალაქით ხომ არ სრულდება. თბილისს გარეთ, დანარჩენ საქართველოში შუქის ყოფნა-არყოფნის საკითხი მეზობლების კეთილსინდისიერებაზე ან სულაც მატერიალურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ზემოთქმულში მართალია, ლოგიკის ნატამალიც არ არის, მაგრამ სად ქართული რეალობა და სად — ლოგიკა! ამ, მართლაცდა სავსებით ალოგიკური პრობლემის გადაჭრას მოსახლეობა კარგა ხანია ცდილობს — ხან სასამართლოში ჩივის, ხან ქუჩებს კეტავს, მაგრამ ამაოდ. გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას საკუთარი „რკინისებური ლოგიკა" გააჩნია — თუ მომხმარებელს შუქი უნდა, მეზობლებთან ურთიერთობა თავად უნდა მოაგვაროს და საერთო მრიცხველზე დაფიქსირებული თანხა გადაიხადოს, კომპანიას ამ ეტაპზე სხვა საშუალება არ აქვსო...

კანონით, თუ აბონენტს გამართული მრიცხველი უდგას, სადისტრიბუციო კომპანიას უფლება არ აქვს, აბონენტს კომუნალური მრიცხველის მაჩვენებლის მიხედვით აიძულოს გადახდა. თუმცა კანონი მხოლოდ ფარატინა ფურცელია და არავითარი კავშირი არ აქვს რეალობასთან. რამდენიმე წლის წინ, როცა ახალციხის მოსახლეობამ კომუნალური მრიცხველის „სიკეთე" იწვნია, სასამართლოში იჩივლა. დამკვიდრებული წესი არც სასამართლომ მიიჩნია მართებულად და კომპანიამ პროცესი წააგო... სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსახლეობას თანხა ინდივიდუალური მრიცხველის მაჩვენებლის მიხედვით უნდა გადაეხადა, მაგრამ მრიცხველების გამართულობის შემოწმება ისევ სადისტრიბუციო კომპანიას დაევალა. ამ უკანასკნელმა „შეასრულა" სასამართლოს გადაწყვეტილება — ყველა მომჩივანი ახალციხელის მრიცხველი დეფექტიანი და გაუმართავი აღმოჩნდა(!). მოსახლეობამ სასამართლოს გზით რომ ვერაფერს მიაღწია, უშუქობითა და მეზობლებთან შეხლა-შემოხლით შეწუხებული ქუჩაში გამოვიდა და გზაც გადაკეტა, მაგრამ პრობლემის მოსაგვარებელი ყველა ცდა და ხერხი ამაო აღმოჩნდა.

მართალია, ენერგოკომპანიამ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე მოსახლეობა აიძულა, კომუნალურ სისტემაზე გადასულიყო, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და თავისი საქმის გაკეთებაც რატომღაც მას გადააბარა. დამკვიდრებული პრაქტიკისამებრ, ენერგოკომპანიის ესა თუ ის წარმომადგენელი უბნის ერთ-ერთ მოსახლეს ავალებს, თვალყური ადევნოს ელექტროენერგიის ხარჯვას. „რჩეულს" ურჩი გადამხდელი მეზობლებისთვის სადენის ჩაჭრის უფლებაც აქვს. ენერგოკომპანიის ამ არაოფიციალურ თანამშრომლებს გაჭირვებულ მეზობლებთან ხშირად უხდებათ ჩხუბი და აყალმაყალი.

მამუკა კიკალიშვილი (საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის რეგიონული დირექტორი):

— ეს წესი ჩვენმა უკულმართმა და გაჭირვებულმა ცხოვრებამ შემოგვალებინა. ყველამ იცის, რა დღეშია ენერგოსექტორი. კომუნალური მრიცხველი სწორედ ერთობლიობის პრინციპს ითვალისწინებს. ასე რომ, ვიდრე ერთ აბონენტსაც კი დავალიანება ექნება, ელექტროენერგიას ვერ მივაწოდებთ.

— **ვისაც გადახდილი აქვს, რა დააშავა?**

— დააშავა თუ არა, ვიმეორებ, ვიდრე გადასახადს არ გადაიხდიან, ელექტროენერგიას არ ჩავურთავთ. გამოსავალი ერთია, მეზობელი უნდა დაეხმაროს მეზობელს!

— **ეს გადამხდელის უფლებებს აშკარად არღვევს...**

— არანაირი უფლებები არ ირღვევა. კომუნალური პრინციპი სწორედ ეს არის, მოსახლეობაც გათვითცნობიერებულია ამაში.

— **თუ გაქვთ ხელშეკრულებები მოსახლეობასთან გაფორმებული?**

— ზოგიერთთან სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს, ზოგიერთთან წერილობითი. თუ ვინმეს არ მოსწონს ეს სისტემა, ინდივიდუალური მრიცხველი დაიდგას.

— **ამაზე უარს არავინ ამბობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ საამისო ხარჯი თავად უნდა გასწიონ.**

— დიახ, თუ ვინმეს ინდივიდუალური მრიცხველი უნდა, გადაიხდის კიდეც. სახელმწიფომ ამ ეტაპზე გამრიცხველიანებისთვის 20 მლნ დოლარი გამოყო, მაგრამ ეს თანხა მხოლოდ 110 ათას აბონენტზეა გათვალისწინებული, საქართველოში კი 660 ათასი აბონენტია. ამიტომ გადაწყდა მხოლოდ მჭიდროდ დასახლებული რაიონული ცენტრების დაფინანსება.

ენერგოსისტემა გალატაკებულია. თუ მეზობელი ან პირთა ჯგუფი სისტემატურად არ იხდის დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს, გადამხდელებმა კომპანიას მიმართონ და ურჩ გადამხდელებს სადენს ჩავუჭრით. თუ თვითნებურად ჩართავენ, ამაზე ჩვენ აღარ ვაგებთ პასუხს, რადგან ყველგან დარაჯს ვერ დავაყენებთ. ასეთ შემთხვევაში, დახარჯული ელექტროენერგიის საფასური ისევ მეზობლებმა უნდა გადაინაწილონ.

— **თუკი ინდივიდუალური მრიცხველი წესრიგშია, რა საჭიროა მოსახლეობის კომუნალურ სისტემაში იძულებით ჩართვა?**

— ბევრმა მოაწესრიგა მრიცხველი, მაგრამ ე. წ. „მოწესრიგებული" მრიცხველები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. მთელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა საჭირო. ინდივიდუალური მრიცხველის დაყენება 200 დოლარამდე ჯდება. ჩვენ ახალი არაფერი გამოგვიგონია. ეს სისტემა აპრობირებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. სხვაგვარად მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება შეუძლებელია. მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც პრეტენზიები აქვს, მშვენივრად ფლობს გადასახადებისგან თავის არიდების ხერხებს. როცა ოჯახებში ტექნიკური საშუალებებისა და სიმძლავრის მიხედვით გვინდოდა თანხის დარიცხვა, ყველამ გადამალა ელექტროღუმელები. რა უნდა ვქნათ?..

თერჯოლაში მომხდარ ტრაგედიაზე ენერგოკომპანიაში საუბარი არ ისურვეს. მათი განმარტებით, კონკრეტული კრიმინალური ფაქტის განზოგადებაზე ლაპარაკი არ იქნებოდა გამართლებული.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი **დავით მიქაუტაძე**: — ქაოსი გარდაუვალია და იძულებული გავხდებით, გავაუქმოთ კომუნალური მრიცხველების სისტემა. საშინელება ტრიალებს ამა თუ იმ რაიონში, დაჭამა ხალხმა ერთმანეთი, მეზობლები ერთმანეთს დაერივნენ. ეს იმან გამოიწვია, რომ სადისტრიბუციო კომპანია არ ასრულებს სემეკ-ის დადგენილებას და მოსახლეობას დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ინდივიდუალურად კი არა, თანაბრად უნაწილებს. წესით, კომუნალური მრიცხველის შემთხვევაშიც კი ყველამ დახარჯული ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადოს. თუ მრიცხველზე დანაკარგი გამოჩნდება, ის უნდა გაინაწილოს უბანმა და ისიც თანაბრად კი არა, დახარჯული ელექტროენერგიის პროპორციულად. ეს წესი რატომღაც დაივიწყა ენერგოკომპანიამ. ენერგოკომპანიისთვის ცნობილი იყო, რომ ჯემალ ჩაფიძე წლების განმავლობაში არ იხდიდა გადასახადს, რატომ არ ჩაუჭრეს აბონენტს სადენი?

— **ენერგოკომპანიის წარმომადგენლები ამ უკანონო პროცედურას ხშირად მოსახლეებს აკისრებენ...**

— არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მეზობელს დაავალო მეზობლისთვის დენის ჩაჭრა. ენერგოკომპანია საქმეს იიოლებს, თავის საკეთებელს სხვას აკისრებს. ენერგოკომპანიისთვის ჯარიმების დაკისრების მოთხოვნითა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის გამო რამდენჯერმე მივმართე სემეკ-ს, ჩავატარეთ სხდომები, მაგრამ ამ საკითხების მოგვარება არც ისე იოლი აღმოჩნდა. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის თვითნებობას საზღვარი არ აქვს. ხშირად ყურსაც არ უგდებს ჩვენს შენიშვნებსა და მოთხოვნებს.

თუ ინდივიდუალური მრიცხველი გამართულია, ენერგოკომპანიას უფლება არ აქვს, აბონენტი საერთო მრიცხველზე მიაერთოს, მაგრამ...

P. S. სამწუხაროდ, ენერგომომარაგების სფეროში ისევ ქაოსია. რაიონებში არც დაპირებული 24-საათიანი ელექტრომომარაგებით იწუხებს ვინმე თავს — ზოგჯერ კვირების განმავლობაში არ ინთება ილიჩის ნათურა. ერთი სიტყვით, არც მიტინგი გვშველის და არც სასამართლო, — აცხადებენ მომხმარებლები. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ სექტორს პატრონი და გამკითხავი არავინ ჰყავს. რამდენიმე დღის წინ თერჯოლაში მომხდარი უბედურებაც სწორედ ამ განუკითხაობის ლოგიკური შედეგია.

ხათუნა პაიჭაძე

განგსტერული გარჩევები თბილისში



„ბავშვსაც მიუშვირა ავტომატი, მაგრამ მოვასწარი და გადავეფარე"

სისხლიანი გარჩევები თბილისის უბნებში წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დროდადრო დედაქალაქში ავტომატის ჯერის ხმა მაინც გაისმის ხოლმე. აღდგომის დღესასწაულზე ზურაბ ჟვანიას სახელობის მოედანზე (ყოფილი გაგარინის მოედანი. — ავტ.) ნამდვილი განგსტერული სროლა გაიმართა. დაიღუპა ერთი და მძიმედ დაიჭრა ორი კაცი. როგორც თვითმხილველები ამბობენ, შეიძლებოდა მსხვერპლი გაცილებით მეტი ყოფილიყო. საპატრულო პოლიციამ შემთხვევის ადგილზევე შეძლო თავდამსხმელების დაკავება. ისინი დეიდაშვილები — 23 წლის ვლადიმერ იასალაშვილი და 25 წლის ოთარ ნიაზაშვილი აღმოჩნდნენ. მათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისა და კიდევ ორი კაცის მკვლელობის მცდელობისთვის ორი თვით წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. სასამართლოზე გაირკვა, რომ თავდასხმა ბიზნესინტერესებს უკავშირდება.

თავდასხმისას მოკლული 37 წლის ბესო ბოლოთაშვილი წლების განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა, სადაც ბოლოთაშვილმა და მკვლელობაში ეჭვმიტანილების ბიძამ, უშანგი ქობულოვმა საერთო საქმე წამოიწყეს. როგორც ჩანს, ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და მოგებულ თანხასაც თანაბრად იყოფდნენ. თუმცა მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა.

ეჭვმიტანილების ადვოკატის, ვახტანგ თალაკვაძის თქმით, უშანგი ქობულოვი მოსკოვში გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. ამის შემდეგ ბესო ბოლოთაშვილი გარდაცვლილის ოჯახს უმნიშვნელო თანხებს უგზავნიდა. როცა ქობულოვის მეუღლემ ბოლოთაშვილს დოკუმენტები მოსთხოვა, რათა მეწილეობის საკითხი გაერკვია, ბოლოთაშვილი დაემუქრა, თუ არ გაჩერდები, ფულს აღარ მოგცემო. ამის შემდეგ საქმეში იასალაშვილი და ნიაზაშვილი ჩაერივნენ და ბოლოთაშვილს იმ წილის მიხედვით მოსთხოვეს თანხის გადახდა, რომელიც უშანგი ქობულოვს ეკუთვნოდა. ბოლოთაშვილი დეიდაშვილებს დაჰპირდა, მალე თბილისში ჩამოვალ და იქ გავარკვიოთ ყველაფერიო. ადვოკატის თქმით, ბოლოთაშვილი თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ ამის შესახებ მათ არ შეატყობინა. იასალაშვილმა და ნიაზაშვილმა მისი ჩამოსვლის ამბავი მაინც შეიტყვეს. როგორც ვახტანგ თალაკვაძე ამბობს, ახალგაზრდებს ბოლოთაშვილის მოკვლა არ უნდოდათ, უბრალოდ, მისი შეშინება სურდათ. დაურეკეს და შეხვედრა სთხოვეს. ამის შემდეგ დაემუქრნენ, როგორც ბიძაჩვენი გაასაღეს, შენც ისე მოგიღებთ ბოლოსო. იმ დღეს ბოლოთაშვილი დედის საფლავზე მიდიოდა. მისი მანქანა დაძრულიც არ იყო, როცა ავტომატითა და მაკაროვის სისტემის პისტოლეტით შეიარაღებული იასალაშვილი და ნიაზაშვილი წინ გადაუდგნენ და მანქანაში მსხდომნი ძირს გადმოსხეს. სასამართლოზე ეჭვმიტანილებმა განაცხადეს, რომ მათ სროლა არც ჰქონდათ

— ამხანაგო პოლკოვნიკო, არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ეს შეძახილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენგან დაბრუნებული ის მელოტი კაცი თავის კუპეში შევიდა, მისი ცოლის ხმა შემომესმა, შენ მკვლელზე უარესი ხარო! მერე კაცმაც შეუღრინა და მას შემდეგ ჩხუბობენ.

ახალგაზრდა ლეიტენანტი აშკარად კმაყოფილი ჩანდა თავისი „აღმოჩენით".

— ისევ გამცილებელს დამიძახეთ.

— ეგენი, ამხანაგო უფროსო, მას შემდეგ ჩხუბობენ, რაც კაცმა თავის კუპეში ბადრის, ესე იგი გარდაცვლილის სანთებელა იპოვა.

— ვერაფერი გავიგე. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით.

— აკი გითხარით, ყველანი კარტს თამაშობდნენ-მეთქი ბადრის კუპეში. არა, ყველანი კი არა, ნაწილი თამაშობდა, ზოგიც ისე უცქერდა, მათ შორის მეც. გადმოსაშლელ მაგიდაზე ძალიან ლამაზი, სპილოს ძვლით დაფარული სანთებელა იდო, რომელსაც ადგილ-ადგილ საოცრად ლამაზი ვერცხლის ორნამენტები დაჰყვებოდა. ოდესღაც იუველირის შეგირდი ვიყავი და ასეთ რამეებში ვერკვევი. თამაშის დროს ბადრი, მაშასადამე, გარდაცვლილი, ერთ მომენტში გარეთ გავიდა. მოგვიანებით კი თავის კუპეში დაბრუნებულმა მელოტმა, ანუ ვახტანგმა, მაგიდაზე ეს სანთებელა აღმოაჩინა და მას შემდეგაა, რომ ცოლს ეჩხუბება — ის კაცი შენთან შემოიპარა და ამ სანთებელას ხათრით დაწებდიო.

— მერედა, სად არის ახლა ის სანთებელა?

— არავინ იცის. დაიკარგა, მერე ეს ამბავი მოხდა და სანთებელაც ყველას გადაავიწყდა... ვახტანგის გამოკლებით. ამის გამო ის ბადრის მოკვლითაც ემუქრებოდა, მაგრამ არა მგონია, ამდენის თავი ჰქონდეს. ისე, მიცვალებულზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ ცუდი კაცი იყო ეს ბადრი, უფროსო.

— მაინც?

— ჯერ თენგიზს აურია — შენ მანდარინის სპეკულანტი ხარო, შემდეგ იმას მიადგა, რა ჰქვია?.. ზაურს და სულ თაღლითი და გამომძალველი უძახა. არადა კაცს თამაშის დროს რაღაც შეეშალა და თვითონვე აღიარა. ასე რომ, სულ შარზე იყო უბედური და მგონი, ღმერთმა დასაჯა, საწოლიდან რომ გადმოაგდო.

„გადმოაგდო თუ გადმოაგდეს, — ფიქრობდა ოთარი, — ორივე შემთხვევაში კაცს, რომელსაც სასიკვდილო ჭრილობა აქვს მიყენებული, იმის თავი არ ექნებოდა, თავის ნივთებში რომ ექექა სისხლიანი ხელებით. არა, ჩემო ძმაო, ეს მკვლელობაა და მკვლელიც აქ არის, აი, ამ ექვსი მგზავრიდან ერთ-ერთი, მაგრამ გავარკვევთ კი, რომელია, ვიდრე მატარებელი თბილისში ჩავა? არადა მერე ეს ხალხი დაიქსაქსება და მათ ნაცვლად ხელში შემრჩება მისამართები, ტელეფონის ნომრები და ბუნდოვანი, არაფრის მომცემი ახსნა-განმარტებები. არა, ეს დილამდე უნდა გაირკვეს. ხვალ მარინას დაცვა აქვს და შვილის ახლოს უნდა ვიყო".

— მაშ, თქვენ გარდაცვლილთან ერთად მგზავრობდით და გვამიც

მკვლელი აზარტულ შვიდეულში

პირველმა აღმოაჩინეთ?

ოთარი თვალის დაუხამხამებლად უცქერდა თამაზს.

— ასე გამოდის.

— გამოდის თუ ასეა? მითხარით, რა მოხდა კუპეში?

— მეძინა და ერთბაშად უცნაურმა ხმაურმა გამომაღვიძა. თვალი გავახილე, წამოვდექი, მაგრამ ბნელოდა და ვერაფერი გავარჩიე. თუმცა, როცა კუპეს კარი გაიღო და ვახტანგი შემოვიდა, დავინახე, რომ ჩემი თანამგზავრი იატაკზე ეგდო და სისხლში ცურავდა.

— მკვდარი იყო?

— კი, მკვდარი იყო. პულსიც გავუსინჯეთ და დავრწმუნდით.

— მანამდე, ვიდრე დაიძინებდით, რას აკეთებდით?

— არაფერს. კარტი ვითამაშეთ სხვებთან ერთად. იქ თენგიზს შეურაცხყოფა მიაყენა ბადრიმ, სპეკულანტი ხარო. თენგიზმაც, ხომ არ დავარტყამ, შემომაკვდებაო და ადრე დაგვტოვა, რესტორანში წავიდა სავახშმოდ. მეც დამპატიჟა, მაგრამ პარტია მინდოდა დამემთავრებინა და უარი ვუთხარი. მოგვიანებით კი მე, ვახტანგი და აი, ის, სულ მავიწყდება, გენო, წავედით, მაგრამ ვახტანგი მალე დაგვითვრა, სულ იგინებოდა, ბადრი უნდა მოვკლაო და გენოს გადავაბარე. მე რომ გაგეცლებით, იქნებ აღარ დალიოს და ეგ ეჭვიანობაც გადაავიწყდეს-მეთქი. ათის ნახევარი თუ იქნებოდა, რომ დავწექი და უმალვე ჩამეძინა. არც გამიგია, როდის დაწვა დასაძინებლად ბადრი.

— ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ, რომ მგზავრმა ლოგინი ქვედა საწოლზე გაშალა, დასაძინებლად ზედაზე აძვრა?

— ჰო, მაგრამ ბადრი იქიდან ჩამოვარდა, სხვანაირად ამხელა ჭრილობას ვერ მიიღებდა. ხომ ნახეთ, თავი სულ გადახსნილი აქვს.

— კარგი, შესაძლოა ისევ დამჭირდეთ, ვაგონიდან ნუ გახვალთ. თქვენ კი, ამხანაგო ლეიტენანტო, ძალიან გთხოვთ, აი, იმას მანდარინს... თენგიზს დაუძახოთ.

კუპეში მხარბეჭიანმა ვაჟკაცმა შეაბიჯა.

— ამბობენ, რომ თქვენ ბადრისთან უსიამოვნება მოგსვლიათ?

— მართალია, სპეკულანტი მიწოდა... მე სპეკულანტი კი არა, მშრომელი კაცი ვარ. აი, ჩემი ხელები, მე თვითონ ვუვლი, ვბარავ და ვწამლავ მანდარინის ბაღს, თვითონვე ვკრეფ და ვყიდი.

— გასაგებია, თქვენ ამის გამო ადრე მიატოვეთ კარტის თამაში. მას შემდეგ ბადრი აღარ გინახავთ?

— როგორ არა, რესტორნიდან დაბრუნებული შევედი მასთან. თქვენ არ შეხვიდოდით? ცოტა ხმამაღლა გამომივიდა, მაგრამ კარგად შევჯორე და ბოდიშიც მოვახდევინე.

— სულ ეგ იყო?

— აბა, მეტი რა უნდა ყოფილიყო, ხომ არ დავარტყამდი?

— კარგი, თქვენს კუპეში დამელოდეთ.

— ახლა კი, ამხანაგო ლეიტენანტო, ეგებ აი მეორე კუპედან ბატონ ზაურს უხმოთ, — ამბობს ოთარი და თავს მაღლა სწევს, რადგან კუპეში გამხდარი და კარგად ჩაცმული ბრტყელსახიანი მამაკაცი შემოდის.

— აგერ გახლავართ, ბატონო, ზაური, ჩემი გვარი კვეკვესკირია და მზად ვარ, ყველა თქვენს კითხვას ვუპასუხო.

— გმადლობთ... მაინტერესებს, რა ვითარებაში და რატომ მოგივიდათ უთანხმოება თქვენ და აწ გარდაცვლილს?

— ერთ მომენტში კარტი ამერია. ამის გამო მოვიბოდიშე კიდეც, მაგრამ არაფერმა გაჭრა, გინდა თუ არა, მამაძაღლი ხარო. რა მექნა, დუელში ხომ არ გამოვიწვევდი? ავდექი და წამოვედი. ნებას მომცემთ, გავაბოლო?

ოთარის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია, როგორ ამოიღო ზაურმა ჯიბიდან სპილოს ძვლით ინკრუსტირებული პორტსიგარი, რომელსაც ზემოდან ვერცხლის ორნამენტი ამკობდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ტელეფონოგრამაც მივიღეთ, — ლეიტენანტმა ქაღალდი გაუწოდა ოთარს.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

ჟურნალ „გზაში"!

მონანიება

— ...რატომ იკვნეტთ ფრჩხილებს? თქვენი პროფესიის კაცს დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნები არ უნდა ჰქონდეს, საშიშია, — დაცინვით შენიშნა გამომძიებელმა.

— თქვენ ჩემს ფრჩხილებთან არაფერი გესაქმებათ.

— პირიქით, ძალზე გვაინტერესებს. დაკვნეტილი ფრჩხილები, თქვენდა საუბედუროდ, ჭაღარა წვერი და ჩაბალახი როდია, რომ თქვენი სურვილით გაიკეთოთ და მოიშოროთ...

— რის წვერი, რა ჩაბალახი?! — განცვიფრდა ჩარგიევი.

— კმარა, მათე, — დინჯად თქვა მინდელმა, — თქვენი მასკარადი დამთავრდა...

— იცნობთ თქვენს პირდაპირ მჯდომ მოქალაქეს?

ხოტოველმა დაფეთებული მზერა მშვიდად მჯდომ ჩარგიევს მიაპყრო:

— პირველად ვხედავ.

— ეს სუბიექტი სტყუის! — იყვირა ჩარგიევმა. — წყეულო ვაჭრუკანავ! რატომ მალავ? ორი კოსტიუმი და ერთი პალტო არ მოგყიდე? — შეუტია თვალების ბრიალით.

— მართალია, უფროსო, მომყიდა, — უმალ დაუდასტურა ხოტოველმა...

მკვლელი აზარტულ შვიდეულში

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

„გარდაცვლილის ჩემოდნის დათვალიერების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მას ორმაგი ფსკერი ჰქონია, რომელშიც გადამალული იყო ორმოცდარვაათას ოთხას ოცი მანეთი. ფულის შეფუთვა და თანხა ზუსტად ემთხვევა იმ მონაცემებს, რომელიც სოჭის მილიციამ მოგვაწოდა. ფული გატაცებულია ბანკის საინკასაციო მანქანაზე თავდასხმის შემდეგ, რის შედეგადაც ინკასატორი მოკლეს და მძიმედ დაჭრეს მანქანის მძღოლი. თეთრეულზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები გარდაცვლილის სისხლის იდენტურია“.

„აჰა, უკვე მკვლელობის მოტივიც ნათელია, მკვლელს ამ ნაყაჩაღარი ფულის დაუფლება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მან ჯერ არ იცის, რომ ის ფული კუპეში აღარ არის... ერთი წუთით. დიახ, მან არ იცის, რომ ფული იმ ჩემოდანში იყო, რომელიც გაჩხრიკა და თუ ასეა, კვლავაც შეეცდება მის მოძებნას... ისევ აქ, ამ კუპეში“, — გაიფიქრა ოთარმა და ისე, რომ გარეგნულად არაფერი შეუმჩნევია, ლეიტენანტს გადაულაპარაკა:

— ყველაფერი გასაგებია. ახლა ამ ბატონთან საუბარს მოვრჩები, შემდეგ კიდევ ერთიორი შეკითხვა სხვასთანაც მექნება და დავიძინოთ, თორემ ძალიან გადავიღალე.

— ძალიან გთხოვთ, ამ საქმესთან ნუ დამაკავშირებთ. მე არაფერ შუაში ვარ. ადრე დავწექი და დავიძინე, მეტი არაფერი ვიცი.

„ვინლა დაგვრჩა, ერთადერთი კაცი, გენო და მერე ალბათ შედეგებსაც შევაჯამებთ“, — გაიფიქრა ოთარმა და საათს დახედა. სამი საათი და ოცდახუთი წუთი იყო, თბილისამდე მთელი ექვსი საათი რჩებოდა.

— აბა, რას გაიხსენებთ მატარებელში ამოსვლიდან მანამდე, ვიდრე ეს ტრაგედია მოხდებოდა, ბატონო გენო? — ჰკითხა დავითმა ახალშემოსულ კაცს.

— ბოდიშს ვიხდი. მეძინა და ეს წუთია, გამაღვიძეს.

— მაინტერესებს, რას აკეთებდით ათიდან თერთმეტ საათამდე?

— რესტორანში ვიყავი ვახტანგსა და თამაზთან ერთად. თამაზმა ადრე დაგვტოვა. მე და ვახტანგი კი რესტორნის დაკეტვამდე, ზუსტად თერთმეტამდე შევრჩით, შემდეგ დავბრუნდით. ვახტანგმა თავის კუპეში ცოლი ვერ ნახა და მერვეში შეიხედა. იქ კი რაც ნახა, თქვენც იცით... მიცვალებული.

ვაგონში უეცრად ქალის ისეთი გამყინავი კივილი გაისმა, რომ მრავლისმნახველ ოთარსაც მუხლები აუკანკალდა, მაგრამ თავს მოერია, ერთბაშად წამოიმართა და მეშვიდე კუპესკენ გაქანდა. ღია კარში გაშლილი ხელებით ვახტანგი იდგა:

— კაცი მოვკალი! — აღმოხდა მას. მის ფეხებთან კი თავქვედამხობილი ზაური ეგდო, რომელსაც მარჯვენა ხელში მაგრად ჩაებღუჯა სანთებელა, აქამდე რომ ყველას დაკარგული ეგონა. ოთარმა სანთებელა სხვების შეუმჩნევლად აართვა, მერე ძირს დაგდებული გულაღმა გადმოაბრუნა. თვალებში ჩახედა და მშვიდად წარმოთქვა:

— არა, არ მოკვდება. ნუ შეშინდები, — იმავე წამს ლეიტენანტს გადახედა, — წამოაყენეთ და მომგვარეთ.

ზაური მალე მოეგო გონს.

— ვიცი, თქვენ ახლა გეზიზღებით, ქურდი გგონივართ და მამაძაღლი, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. ვაღიარებ, რომ რაღაცები დავმალე, ეს ჩემი სუსტი ნებისყოფის ბრალია. აბა დააკვირდით, აი, ჩემი პორტსიგარი. ახლა ის სანთებელა ნახეთ, ისეთი მსგავსებაა, კაცი იფიქრებს, ერთი და იმავე ოსტატის ნამუშევარიაო. მე ასეთი ნივთების კოლექციას ვაგროვებ. საღამოს, როცა სხვები კარტის თამაშს მორჩნენ, ტუალეტში გავედი. ვხედავ, მერვე კუპედან თამაზმა ვახტანგის ახალგაზრდა ცოლი გამოიყვანა და მესამე კუპეში ჩაიკეტნენ. ვერ მოვითმინე და მერვეში შევიხედე. მაინტერესებდა, ქალის ქმარი იქ იყო თუ არა. კუპე ცარიელი იყო, მაგიდაზე კი ჩემი საოცნებო სანთებელა იდო. თავი ვერ შევიკავე და ავიღე. ახლა კი მივხვდი, რომ აგერ-აგერ ჩხრეკა დაიწყება და ვიფიქრე, ვიდრე მონახავენ ამ დაწყევლილ სანთებელას, უკან დავაბრუნებ-მეთქი. ცოლ-ქმრის კუპეს კარი შეღებული იყო. ვახტანგი ხვრინავდა, მეგონა, ცოლსაც ეძინა. ფრთხილად შევიპარე, მაგრამ ვიდრე სანთებელას თავის ადგილზე დავდებდი, ქალმა ისე იკივლა, რომ გავქვავდი. ქმარმა კი ისე მაგრად მთხლიშა სახეში, გონი დავკარგე. ღირსიც ვიყავი.

— გამოდის, ქმარს ეჭვის საბაბი მართლაც ჰქონია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სულ სხვაზე ეჭვიანობდა.

— თამაზს დავუძახოთ? — იკითხა ლეიტენანტმა და ოთარმა თავი დაუქნია.

— გაირკვა, რომ რაღაცას გვიმალავთ, ყმაწვილო, — პირდაპირ აჯახა კუპეში შემოსულ თამაზს ოთარმა.

— ბოდიშს ვიხდი. ქალის ღირსებას ვუფრთხილდებოდი, თორემ... ცოლ-ქმარი სოჭში გავიცანი. ქალმა მაგრძნობინა, რომ ქმართან უთანხმოება ჰქონდა. მერე, როცა პაემანზე მოვიდა, პირდაპირ მითხრა, ახალგაზრდა პარტნიორს ვეძებო. ასე დაიწყო.

წუხელ მატარებელში კარტის თამაშის დროს კუპედან მოსაწევად გამოვედი და თან მასპინძლის სანთებელა გავიყოლე. სიგარეტს მოვუკიდე და რაკი ვიცოდი, ქალი მარტო იყო, მასთან შევიარე. რაღაც ეშმაკად სანთებელა იქვე, მაგიდაზე დამრჩენია. ეს რომ ქმარმა ნახა, სულ გადაირია. ეს სანთებელა ბადრისაა, მაშასადამე, კუპედან რომ გამოვიდა, შენ გესიყვარულებოდა და გინდა თუ არა, უნდა მოვკლაო. თუმცა არავის მომკვლელი არ იყო. რესტორანში წავიყვანე, დავათვრე და გენოს ვთხოვე, რაც შეიძლება დააყოვნე, ვიდრე ბადრიც დაიძინებს, იქნებ დაწყნარდეს-მეთქი. მე კი ქალთან დავბრუნდი და...

როგორ არ აინტერესებდა ოთარს ეს სასიყვარულო ისტორიები, მით უმეტეს ახლა, როცა აშკარა განზრახ მკვლელობასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ იძულებული იყო, ესმინა. იქნებ რაიმე სამხილისთვისაც გამოეკრა ხელი. თუმცა ამაოდ...

თამაზი დაითხოვა, ლეიტენანტს დაუძახა და სთხოვა, მეცხრე კუპე უხმაუროდ გაალე, შიგ გამცილებელი და ზაური შეიყვანე და მეც მალე მოვალო.

ცოტა ხნის შემდეგ კორიდორში გამოვიდა, ფეხაკრეფით შეიპარა მეცხრე კუპეში, იქ მყოფებს ხელით ანიშნა, ხმა არ ამოიღოთო, მერვე კუპესგან გამყოფ ტიხარს აეკრა და სმენად იქცა. საათზე მეტხანს იდგა ასე. დაიღალა, კუპეში მასთან ერთად მყოფნიც ებრალებოდა. გაიფიქრა, მე რომ მკვლელის ადგილზე ვიყო, რას გავაკეთებდიო და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ღამით გარისკვა არ ივარგებდა. აქ შესაძლოა, შეემჩნიათ. სამაგიეროდ, ხვალ, თბილისში, როცა მატარებლის მთელ შემადგენლობას საღამომდე სადღაც ჩიხში უკრავენ თავს, მოძებნიდა... თუმცა, მოიცათ, ეს რაღაა... კედლის იქითა მხარეს საბარგულში ვიღაცის ხელი დაცოცავს. აგერ საბარგული დაიხურა და ახლა მეორეს აღებს, კი მაგრამ, ასე უხმაუროდ როგორ შეძვრა კუპეში, უჩინმაჩინია თუ...

ოთარი წამოდგა. იარაღი იშიშვლა, დანარჩენებს ხელით აჩვენა, მომყევითო, გამცილებელს კი მიანიშნა, კუპე შენი გასაღებით გააღეო და კარი შექანდა თუ რა, იყვირა:

— ხელები მაღლა და არც იფიქრო წინააღმდეგობის გაწევა, თორემ აქვე აგხდი თავის ქალას!

სიბნელეში ვიღაც ზურგით იდგა. არც შერხეულა. სხვა გასაქცევი არსად ჰქონდა ამ კუპეს. მერე იარაღი დააგდო, ხელები ასწია და შემობრუნდა. ამასობაში ლეიტენანტმა შუქიც აანთო და ოთარის წინ ცივ ოფლში გაწურული გენო გამოჩნდა.

— ე.ი. ფული არ გაგიყო, არა? — მშვიდად ჰკითხა ოთარმა.

— ათესვას აპირებდა, მაგრამ აქ, მატარებელში გამოვიჭირე.

— კარტის თამაშიც იმიტომ მოიგონა, თენგიზსა და ზაურსაც იმის გამო აუხირდა, რომ შენთან მარტო დარჩენა არ უნდოდა. ყურადღება სხვა რამეზე გადაეჰქონდა ხომ?

— აგრე იყო...

— მაშასადამე, მთვრალი ვახტანგი მარტო დატოვე რესტორანში. შენ აქ, კუპეში დაბრუნდი და მძინარე ბადრის პისტოლეტის კონდახი ჩაარტყი საფეთქელში... ფული ჩემოდნის ორმაგ ფსკერზე იდო და ახლა ექსპერტებთან ინახება. შენ კი ორი კაცის მკვლელობისათვის მოგიწევს პასუხის გება. თუმცა ჯერ არ ვიცი, სოჭში გაგასამართლებენ თუ ჩვენთან, საქართველოში.

P. S. მეორე დღეს, როცა მარინამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, ვიღაცამ ხუმრობით ჰკითხა ოთარს:

— ქალიშვილი რომ იურიდიული მეცნიერების მწვერვალებს იპყრობს, მამა რატომღა არ იცავს დისერტაციას?

— მე წუხელაც დავიცავი ერთი სადოქტორო, მაგრამ ამისთვის ჩვენთან მხოლოდ მადლობებს იძლევიან, — ხუმრობას ხუმრობითვე უპასუხა ოთარმა.

ვაჟა გავაშელი

PSP ჯგუფისა და საქართველოს წამყვანი კარდიოლოგების ერთობლივი საქველმოქმედო პროექტი

29 და 30 აპრილს ფარმაცევტულმა კომპანიამ PSP ჯგუფმა საქართველოს წამყვან კარდიოლოგებთან ერთობლივი საქველმოქმედო პროექტის პირველი ეტაპი განახორციელა.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს საშუალება ჰქონდა თბილისის წამყვან კლინიკებში მიეღო გამოცდილი კარდიოლოგების უფასო კონსულტაცია და შესაბამისი მედიკამენტები.

გამოკვლევებს ხელმძღვანელობდნენ თბილისის წამყვანი კარდიოლოგიური კლინიკები და გამოცდილი კარდიოლოგები:

- **აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტი:** პროფესორი ბეჟან წინამძღვრიშვილი, პროფესორი ზურაბ ფაღავა, პროფესორი პავლე მაჭავარიანი, პროფესორი გულიკო ტაბიძე, მედ. მეც. კანდიდატი დოდო კაჭახიძე, მედ. მეც. კანდიდატი გულიკო აბულაძე, მედ. მეც. დოქტორი მანანა ჯანიაშვილი, ამირან ფარულავა.
- **გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი:** აკადემიკოსი გულიკო ჩაფიძე, პროფესორი სოსო კაპანაძე, მედ. მეც. კანდიდატი ნონა დოლიძე, ნანა გოთონელია, დოდო ნაფეტვარიძე, მანანა ჯაფარიძე, მედიკო ჩიკვაიძე, ლუიზა ტატიშვილი, გერა ლომთათიძე, ლია რიგვავა, ცაცა ჩალიგავა.
- **კარდიოლოგიური კლინიკა „გული“:** მედ. მეც. კანდიდატი ანზორ მელია, ზურა კლიმიაშვილი, ხათუნა ჯალაბაძე, გიორგი ბრეგაძე, ხათუნა ქვილორია, ირაკლი დავითაშვილი, მედ. მეც. კანდიდატი მამუკა ქობალავა, ირინა ლეჟავა, მედ. მეც. კანდიდატი ნინო სალიბეგაშვილი, ანზორ გალდავა, თეა ფარულავა, რუსუდან ჯანდაგაშვილი, თეა თოდუა, ინგა კანკავა, ნინო გიორგაძე.
- **„კარდიოექსპრესი“:** თამაზ ორაგველიძე, პაატა ქავთარია, ეკა რუხაძე, შალვა მექვაბიშვილი, თამუნა ქიშმარია, მალხაზ გაბისონია.
- **გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა:** გიგი ხაბეიშვილი, მედ. მეც. დოქტორი თამაზ შაბურიშვილი, მედ. მეც. კანდიდატი დარეჯან შელია.
- **კლინიკა „ბრანდი“:** აკადემიკოსი მერაბ ბოხუა, ტარიელ მაზმიშვილი, მედ. მეც. კანდიდატი თამაზ გრიგოლაშვილი, ქეთი გვაძაბია.
- **მუნიციპალური კარდიოლოგია:** პროფესორი ირაკლი მეგრელაძე, დოცენტი შურა ავალიანი, დოცენტი მანანა გორგოშიძე, სერგო ორჯონიკიძე, რეზო ლორთქიფანიძე, ია ცინცაძე, დარეჯან ხუხია, თამილა ღლონტი.
- **„ანგიოკარდი“:** პროფესორი მერაბ მამაცაშვილი, მედ. მეც. კანდიდატი შალვა რცხილაძე, ირმა მდივანი, ლალი გუჯეჯიანი, ირმა ბახლიშვილი, მარიკა კუთხაშვილი.
- **დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი:** მედ. მეც. კანდიდატი თამარ კიკალიშვილი, მედ. მეც. კანდიდატი მარინა აგლაძე, ქეთინო ლეკიშვილი, ლელა ძნელაძე.

პროექტი პირველ ეტაპზე განხორციელდა თბილისში. თუმცა ეტაპობრივად გავრცელდება საქართველოს რაიონულ ცენტრებშიც. სადაც კარდიოლოგები თავად ჩავლენ რაიონის მოსახლეობასთან. გაუწევენ მათ უფასო კარდიოლოგიურ კონსულტაციებს და გადასცემენ საჭირო მედიკამენტებს.

25 აპრილს „პე-ეს-პე-ს“ ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე კარდიოლოგებმა გამოთქვეს სურვილი. რომ მზად არიან „პე-ეს-პე-ს“ მხარდაჭერით მუდმივად მიიღონ მონაწილეობა ასეთ საქველმოქმედო აქციებში და მომავალშიც გაუწიონ დახმარება საქართველოს მოსახლეობას.

ვ ა კ ა ნ ს ი ა

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ელექტროუსაფრთხოების სისტემის ოპერატორის თანამდებობის დასაკავებლად. ელექტროუსაფრთხოების სისტემის ოპერატორი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

ელექტროუსაფრთხოების სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის/სამხრეთ-კავკასიური გაზსადენისა და მათთან დაკავშირებული ობიექტების სხვადასხვა ელექტრო უსაფრთხოების სისტემების მონიტორინგზე, მონაცემთა დამუშავებასა და შედეგების ანგარიშის წარმოდგენაზე. კანდიდატი კარგად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას, ჰქონდეს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები და შეეძლოს გუნდში მუშაობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კანდიდატის სურვილს იმუშაოს ცვლაში (დღე/ღამე) და დაიცვას სრული კონფიდენციალურობა შესასრულებელ სამუშაოსა და მის შედეგებთან დაკავშირებით.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ელექტროუსაფრთხოების სისტემის ოპერატორის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- სხვადასხვა საშუალებებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის/სამხრეთ-კავკასიური გაზსადენისა და მათთან დაკავშირებული ობიექტების სისტემის მონაცემთა მონიტორინგი, რათა მოხდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირება;
- ელექტრო სისტემებზე გამოსახული ნებისმიერი განგაშის ინდიკატორის დროული ინტერპრეტაცია და სტრატეგიული მილსადენის დაცვის მთავარი სამმართველოს (SPPD) ოფიცრისათვის, ობიექტის ზედამხედველისა და, საჭიროების შემთხვევაში, BP საქართველოს უსაფრთხოების თანამშრომელთათვის მიწოდება;
- საგანგებო სიტუაციებში შესაბამისი რეაგირება;
- ელექტროსისტემების სწორი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ელექტროუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ობიექტზე ექსპლუატაციის მენეჯმენტთან და პერსონალთან თანამშრომლობა;
- ელექტროუსაფრთხოების სისტემის განგაშის აღრიცხვისა და არქივის სისტემის კოორდინაცია;
- ოპერატორის დონეზე ელექტროუსაფრთხოების სისტემების ტექმომსახურების უზრუნველყოფა;

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა:

- ჰქონდეს გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში;
- ჰქონდეს ქართული (მშობლიური ენა), ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა;
- ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების სისტემების საბაზისო ცოდნა;
- ჰქონდეს MS Windows-ში და შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის კარგი ცოდნა: MS Word, Excel, PowerPoint;
- ჰქონდეს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **პარასკევი, 2006 წლის 5 მაისი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია“

BP Georgia

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

უფესვო კაცი არც თავისთვის ვარგა და არც იმ ქვეყნისთვის, რომელსაც შეეკედლება

თბილისის ქუჩებში თვრები მოსმენილით და მერე ეს ყველაფერი გესიზმრება

სტუმრად საქართველოში

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესების შემდეგ თურქეთში ქართული ასოციაციების საიტებზე ლაზების საინტერესო წერილები გამოჩნდა. შორს მყოფი ლაზი ძმები გვაიმედებენ, თანაგვიგრძნობენ ჩრდილოელი მეზობლის წყალობით შექმნილი პრობლემების გამო და რუსეთის საყურადღებოდაც აკეთებენ მინიშნებებს. „არავინ იფიქროს, რომ ქართველები მარტონი არიან. კმარა, რაც აქამდე აწვნია საქართველოს რუსეთმა. თუ ვინმე შეეცდება ჩვენი ძმების დაჩაგვრას, ამით მოთმინების ფიალას აგვივსებს და ყველაფერს გავაკეთებთ საქართველოს დასაცავად", — აცხადებენ ლაზები. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ხეირიანად არც კი იცნობს საქართველოს, მეტიც, უძველესი ლაზური კულტურისა და ისტორიის შესახებაც კი ცოტა რამ თუ გაუგიათ (ლაზების ერთმა ნაწილმა მშობლიური ენაც კი არ იცის), ეს ვერ აკნინებს მათში ვერც ეროვნული ფესვების სიყვარულსა და ვერც ინტერესს საქართველოსადმი. ჩვენგან მცირედი ყურადღებაც კი სიხარულით ავსებთ და ამბობენ, რომ ორივე მხარის მონდომების შედეგად „ქართული და ლაზური კულტურის დამაკავშირებელი ოდესღაც უზარმაზარი ჯაჭვი ერთ დღესაც გაცრეცილი ძაფი აღარ იქნება და პირვანდელ ძალას დაიბრუნებს".

საქართველოში არსებული კოლხური კულტურის ცენტრის დახმარებით ლაზებმა საქართველოში მოგზაურობას მოუხშირეს. ერთ ლაზს შემდეგ ჩამოსვლაზე სულ მცირე ორი თანამოძმე მაინც მოჰყავს იმის განსაცდელად, რაც თვითონ იგრძნო.

დოღან აბაშიში, შაფდარ დიქმენი, ენგინ თექინი ახლახან სტუმრობდნენ თბილისს. დოღანმა უკვე აღარ იცის, მერამდენედ ეწვია, როგორც თვითონ ამბობს, მუზების დედაქალაქს. ის ხელოვანია, სცენარისტი და რეჟისორი, ცნობილი ლაზური ხალხური სიმღერის „ჭუტა ჭანის" („პატარა ჭანის") თანამედროვე ვარიანტის ავტორი. შაფდარი და ენგინი იურისტები არიან. ისინი პირველად ესტუმრნენ საქართველოს. გადაურევია დოღანს — ისეთი ლამაზია თბილისი, ისეთი თბილი ხალხი ცხოვრობს იქ, სულ სიმღერა და ადამიანებისთვის სიყვარულის განაწილება გინდებაო.

„თურმე არ გვატყუებდა დოღანი. სამწუხაროდ, მე, ლაზმა, არც ლაზური ვიცი და არც ქართული, მაგრამ მგონია, რომ სიტყვები, რომელიც ქართველებისგან მესმის, ძალიან ნაცნობია ჩემთვის. ქართული მუსიკა ბრწყინვალეა, მაგრამ უფრო ბრწყინვალეა, როდესაც ქართველები მღერიან ლაზურად. ვიყიდე უამრავი მუსიკალური დისკი, სხვადასხვა სუვენირი და წიგნებიც საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე. საღამოს, როდესაც ჩემს შენაძენს დავხედე, მივხვდი, რომ თურქეთში დაბრუნების შემდეგ ბევრი საქმე გამიჩნდება — ინტერნეტში ბევრი მასალა მექნება შესატანი. ჩემი ქვეყანა თურქეთი და ჩემი მხარე ლაზეთიც სხვანაირად, თბილად დავინახე საქართველოდან. უფრო მეტად გამიჩნდა სამშობლოს მოფერების სურვილი. თბილისის ქუჩებში თვრები მოსმენილით და მერე ეს ყველაფერი გესიზმრება. იქნებ ამიტომ მოუწევს დოღანს გული სულ თბილისისკენ. გაგონილი მქონდა, რომ საქართველომ მრავალ განსაცდელს გაუძლო. ალბათ, იმიტომ, რომ პატივისცემისა და თავმდაბლობის საოცარი უნარი გაქვთ. რაც უნდა სასტიკი იყოს მტერი, შეუძლებელია ამ საოცარი ნიჭით არ აღფრთოვანდეს და თქვენი გავლენის ქვეშ არ მოექცეს. იქნებ ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ამ ღირსებებს დღეს სათანადოდ ვერ იყენებთ პოლიტიკაში. ერს, რომელსაც ამხელა სიყვარული შეუძლია, დიპლომატობა არ უნდა უჭირდეს. ყველაზე მეტად ერთმანეთთან გავიწყდებათ დიპლომატია. ისე, უბრალოდ, ამას „ძმა ძმისთვისა" ჰქვია. ეს სადაც იკარგება, იქ საქმე ცუდად მიდის", — გვეუბნება ენგინ თექინი, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე წარმატებული ადვოკატი თურქეთში. აღფრთოვანებულია, რომ ერთფეროვანი ყოველდღიურობიდან უცნაურ საქართველოში მოხვდა, სადაც არც დროის ფასი იციან და არც საქმეზე თავგადაკლულებს ჰგვანან, მაგრამ ისე იხარჯებიან ლხინში, რომ მათთან მსგავსების სურვილიც კი გიჩნდება.

შაფდარ დიქმენი წუხს, რომ ლაზური ენა არ იცის: „ნათქვამია, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. მე კი ვამბობ, ათასი ენა რომ იცოდე და მშობლიური არ გესმოდეს, არავინ ხარ. ჩვენ იმ ქართველებს ვგავართ, რომელთა წინაპრებმა დიდი ხნის წინ დატოვეს საქართველო და ამერიკასა და ევროპაში გადასახლდნენ. ახლა ემიგრანტების ბევრმა შთამომავალმა ჩვენსავით არ იცის ქართული ენა. მოუსვენარი ყოფა ცივი, პრაქტიკული აზროვნებისკენ გიბიძგებს, ყველა შენი არჩევანი განპირობებულია გადარჩენის ინსტინქტით და არა სულიერი და ეროვნული პრინციპებით. ეს ცუდია, დრო ვერ უნდა მოგერიოს, მაგრამ ეს ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შენი ხალხის გარემოცვაში ცხოვრობ. ლაზური ენა რომ არ ვიცი, ჩემი ბრალი არ არის. ისეთ მხარეში ვცხოვრობთ, სადაც დიდი ხანია, არავინ ლაპარაკობს ლაზურად. აქ ყველაფერი ლაზური მიძინებულ ნაკვერჩხალს ჰგავს, რომელსაც სულის შებერვა უნდა და გაღვივდება. ფესვებს გაცოცხლება სჭირდება. უფესვო კაცი არც თავისთვის ვარგა და არც იმ ქვეყნისთვის, რომელსაც შეეკედლება".

დოღანი „ჭუტა ჭანის" ღიღინებს. თბილი, ტკბილი ხმა მოგუდულად ამოდის ყელიდან, მერე ჩვენ შორის იფანტება, იღვრება და ცრემლები ჩამოგვდის ლაწვებზე. სიმღერა უძველესია, როგორც თავად ლაზები. მასში დედა პატარა ჭანს მამაზე უმღერის, რომელიც ანაკლიაში წასულა სამუშაოდ.

— ბებიისგან მახსოვს „ჭუტა ჭანი", — ამბობს დოღანი, რომელიც პენსიაზე გასვლის შემდეგ ლაზურ ფოლკლორს აგროვებს, — ის არა მარტო ლაზებისა და ქართველების, არამედ მსოფლიო კულტურის საუნჯეა, რადგან ჩვენი ფოლკლორიც ისეთივე ძველი და დაღვინებულია, როგორიც ბებერი ლაზის სისხლი, — დოღანის ეს სიტყვები სევდას მგვრის. ეღიმება და დასძენს, რომ საქართველო ლაზებისა და თურქეთში მცხოვრები ქართველების მუდმივი საფიქრალია, — ზოგს ესმის ქართული, ზოგმა კი ენა არ იცის, მაგრამ მაინც უყურებს ქართულ ტელეარხებს. როდესაც რაღაც გიჭირთ, ამას ეკრანზე სახეების გამომეტყველებითა და ინტუიციით ვხვდებით და გული გვეჭმუხნება. გამუდმებით ვაკვირდებით საქართველოს. გაფაციცებული ყურადღების ორმაგი მიზეზი გვაქვს. პირველი ის, რომ დიდი ისტორიული წარსული გვაერთიანებს და ამასთან, ჩვენს სამშობლოს, თურქეთს, საქართველოს სახით მნიშვნელოვანი და კეთილგანწყობილი მოკავშირე და მეზობელი ჰყავს რეგიონში. შეცდომები აღარ უნდა დაუშვათ, თორემ ეს თურქეთსაც შეუშლის ხელს ევროპის დიდ სახლში შესვლაში.

საუბარში შაფდარი ერთვება: „არ მოგვწონს, რომ ხელაღებით თქვით უარი სოციალიზმის ყველა მონაპოვარზე. თქვენთან უფასო განათლება და უფასო მკურნალობა იყო. განათლებული მასა სიმდიდრეა ქვეყნისთვის. მიმაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატიული გზით უნდა განვითარდნენ ერები. ფული უნდა მოიგო, ბიზნესი აწარმოო, მაგრამ ადამიანობა და კაცობა არ უნდა დაგავიწყდეს. გახსოვდეს, გაჭირვებული კაცი. გახსოვდეს, რომ საზოგადოების განვითარების გარეშე არარაობა ხარ, რომ ფული არ არის ამ ქვეყანაზე ღირსების მთავარი საზომი და შეიძლება მასზე დახარბებული ერთ დღეს საკუთარი სიძუნწის ტყვეობაში მოკვდე. ამბობენ, ქართველები მოწყალების უნარით გამოირჩეოდნენ ყოველთვისო. ეს უნარი არ დაკარგოთ".

ეკა ლომიძე

რას გვეტყვი, მამაო?

— ჯვარცმასთან ხშირად არის გამოსახული ადამიანის თავის ქალა, ის სიკვდილს განასახიერებს?

— ეს თავის ქალა „ადამის თავია", რომელიც მიანიშნებს ღვთის მიერ კაცობრიობის გამოხსნას. ადამიანმა შესცოდა და ადამიანსავე უნდა გამოეხსნა. თავის ქალის გამოსახულება გადაჯვარედინებულ ძვლებთან ერთად გამოისახება ჯვარცმის ქვემოთ, რადგან, გადმოცემით, ადამი გოლგოთაზე დაიკრძალა, იქ, სადაც ჯვარზე მაცხოვარმა კაცობრიობა გამოიხსნა.

— რას ნიშნავს არტოსი, რომელიც აღდგომის შემდეგ შაბათს ურიგდება მრევლს?

— არტოსი (ბერძნული — „პური") დიდი სეფისკვერია ჯვრის ან ქრისტეს აღდგომის გამოსახულებით. აღდგომის პირველ დღეს, ლიტურგიაზე, ამბიონის ლოცვის შემდეგ, არტოსი განსაკუთრებული ლოცვითა და ნაკურთხი წყლის პკურებით იკურთხება და კანკელის მაცხოვრის ხატის წინ, პატარა მაგიდაზე დაიდება, ხოლო ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს ლოცვის დროს განიტეხება და მორწმუნეებს ურიგდება (ლოცვის სიტყვები მიგვანიშნებს არტოსის შემწეობაზე სნეულთათვის). როგორც დიდი სიწმინდე, არტოსი ჩვეულებრივ საზრდელის მიღებამდე მიიღება.

— მამაო, გვაინტერესებს, რა შედის ვერცხლისმოყვარეობის ცოდვაში?

— ვერცხლისმოყვარეობა ეს არის სიყვარული ფულისა, საერთოდ ქონებისა, სურვილი გამდიდრებისა. ფიქრი სიმდიდრის მოხვეჭის საშუალებებზე. სიძუნწე, ანგარებისმოყვარეობა, ავადმყოფური სიყვარული წარმავალი საგნებისა, რომელიც სულს თავისუფლებას ართმევს, გატაცება ამაო საზრუნავით, ტრფიალი საჩუქრებისა, მექრთამეობა, გულქვაობა ყოველი გაჭირვებულისადმი და ა.შ.

— გთხოვთ განგვიმარტოთ თვითმკვლელობის ცოდვის არსი...

— თვითმკვლელობის ცოდვა უმძიმესი ცოდვაა, რომელიც შემოქმედის წინააღმდეგ ქმნილების, ანუ ადამიანის ამბოხებას ნიშნავს და სრული ურწმუნოების, სიამაყისა და ღმერთის ყოვლადსახიერი ნებისადმი დაუმორჩილებლობის გამოხატულებას წარმოადგენს. ამ ცოდვის სიმძიმიდან გამომდინარე, თვითმკვლელნი მოკლებულნი არიან ეკლესიის მიერ წესის აგებას, ეკლესია ასეთ ადამიანებს არ მოიხსენიებს წირვა-ლოცვებში. არ ლოცულობს, ისევე როგორც მოუნათლავებსა და ღვთისმგმობელებზე.

— როგორ უნდა გვესმოდეს მადლის მოქმედება, შეიძლება თუ არა მადლის შეწყვეტა?

— მადლი ეს არის — ძალა ღვთისა. მართლმადიდებლური სწავლებით, ადამიანს დამოუკიდებლად თავისი თავის ცხონება არ შეუძლია. მას მხოლოდ სულიწმიდის მადლი განწმენდს, ცოდვათაგან ათავისუფლებს და სათნოებათა აღსასრულებლად ძალას ანიჭებს — მისი სულიერი ღვაწლის შესაბამისად.

— რამდენ ხანს იწოდება მიცვალებული ახალშესვენებულად?

— ახალშესვენებული — ასე იწოდება მიცვალებული გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში.

— გთხოვთ განგვიმარტოთ, რა დანიშნულება აქვს სამეუფო კარს და შეუძლია თუ არა ჩვეულებრივ მორწმუნეს ამ კარით შესვლა?

— სამეუფო ანუ აღსავლის კარი კანკელის შუაშია და საკურთხეველში შესასვლელს წარმოადგენს. ასე იმიტომ ეწოდება, რომ ლიტურგიაზე წმინდა ძღვენი ზიარების დროს ამ კარიდან გამოაქვთ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მორწმუნეებთან თავად უფალი, მეუფე დიდებისა, გამოდის. ღმრთისმსახურებისას გახსნილი სამეუფო კარი სიმბოლურად ზეციური სასუფევლის გაღებას ნიშნავს. ამ კარით შესვლა და გამოსვლა მხოლოდ ღვთისმსახურებს შეუძლიათ.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

არ გამოგრჩეთ სააღდგომო ნომერი!



ჟურნალში მადლმოსილი ცეცხლით თავმომწყვარი სანთელია იერუსალიმიდან

ცხელი ნომრები 42-43-40; 33-26-73 სახლში მიტანით

წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში" წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომლებსაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.



336 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

„ბადრიმ თავის არეულ-დარეულ ბიზნესს მიხედოს“

„ერთი დეპუტატი აცდენს, მეორე კი მის მაგივრად აჭერს ღილაკს თითს — ეს უზნეობაა“

პარლამენტის სხდომათა დარბაზში სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციის გარეშე დისკომფორტს სულ არ გრძნობს. როგორც ჩანს, გაჭიანურებული სრული იდილია (თითქმის თვეა, ოპოზიციის გარეშე არიან) მათაც მოსწყინდათ და ერთმანეთს შრომის კოდექსზე გვარიანად ეკამათნენ. ხუმრობენ კიდეც, თუ ოპოზიციამ არ გადაიფიქრა ბოიკოტი, შესაძლოა, სხდომათა დარბაზში ჩამნაცვლებლებიც გამოუჩნდნენო. ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების შესახებ ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარეს, **ბესო ჯუღელს** ვესაუბრეთ:

— ბატონო ბესო, დუმის იუბილეზე ბურჯანაძის გამოსვლისას რუსებს ისეთი რეაქცია ჰქონდათ, ბევრმა თქვა — შეცდა, სანქტ-პეტერბურგში რომ ჩავიდაო.

— როდესაც პარლამენტში ქალბატონმა ელენე თევდორაძემ ნინო ბურჯანაძის მისამართით განაცხადა, „ბრავო, ნინო! ბრავო, ქალი“, მეც შევუერთდი. პარლამენტის თავმჯდომარე ღირსეულად მოიქცა და რუსებს ქართული სახელმწიფოს ჭეშმარიტი სახე აჩვენა. ნინო ბურჯანაძეს უფრო მძაფრი განცხადებები უნდა გაეკეთებინა და ტრიბუნაც დემონსტრაციულად დაეტოვებინა. ველურს წესიერად არ უნდა ელაპარაკო. სიგარეტის გამყიდველმა სლისკამ უნდა გვასწავლოს ჭკუა მე და ჩემს უფროსს (ნინო ბურჯანაძე ახლა ხომ ჩემი უფროსია)?!

კარგი მწერლობითა და კულტურით განთქმული ქვეყანა, ველურივით მოიქცა. ცხადია, რუსული ბაზრის დაკარგვა არ არის კარგი მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ამ ბაზრისთვის იბრძვის, მაგრამ ველურებთან ურთიერთობა არასასიამოვნოა.

— ვიცი, რომ თქვენს შვილს აქვს ბიზნესი, რუსეთშიც ხომ არ გააქვს პროდუქცია (ჰიგიენური პაკეტები)?

— გააქვს, მაგრამ ცხოვრებაში მორალური სიამოვნება უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე მატერიალური მოგება. ტრაგედია არ არის, თუ რუსეთში ექსპორტი შეუმცირდება, სხვა ქვეყანაში გაიტანს.

რუსებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგონ, რომ ჩვენ ჩამოყალიბებული, ცივილიზებული სახელმწიფო გვაქვს. ზოგიერთმა ხელისუფლებას დააბრალა, მისი პოლიტიკის წყალობით შეგვექმნა ამდენი პრობლემა რუსეთთანო. ხელისუფლება ხალხის არჩეულია და მან სწორედ მისი მოთხოვნა გაითვალისწინა. ისტორიას ჩაბარდა დრო, როდესაც რუსეთთან ქინძითა და „პეტრუშკით“ მყარდებოდა ურთიერთობა, ახლა აბსოლუტურად სხვა დროა...

— ოქრუაშვილმა ცოტა ხომ არ გადაამლაშა თავისი განცხადებებით?

— ოქრუაშვილისნაირი ნეტავ ბევრი გვყავდეს. ის პირდაპირი, თამამი, ვაჟკაცი, განათლებული კაცია. თავისი სახელი დაარქვა ყველაფერს. მისი საქციელი რომ არ მომწონებოდა, ვიტყოდი, მაგრამ მომეწონა და რა ვქნა?!

რუსებთან არაფერი შეგვშლია. თურმე რუსეთის მოსახლეობის 47% მხარს უჭერს ქართული ღვინის აკრძალვას რუსეთის ბაზარზე. არ სიამოვნებთ ქართული ღვინო? არც უნდა შევიტანოთ.

— მეღვინეებმა ხელისუფლება გააკრიტიკეს, მისი მძაფრი განცხადებების გამო დავკარგეთ რუსეთის ბაზარიო.

— მეღვინეებმა ქართული ღვინის ხარისხს მიხედონ და პოლიტიკოსების ქმედებებს ნუ აფასებენ. საქართველოში სულ 600 ათასი ბოთლი „ხვანჭკარის“ ჩამოსხმა შეგვეძლო და 60 მილიონი ისხმება — ეს ხომ ფალსიფიცირების მაღალ დონეზე მეტყველებს? ბიზნესში მარტო ფულის კეთება არ არის მთავარი, პატიოსნებაც მნიშვნელოვანია, ხარისხიანი პროდუქციაც უნდა აწარმოონ, თორემ საქართველოშიც დაკარგავენ ბაზარს. გამოთქმული პრეტენზიებიდან ყველაზე სწორი ის არის, რომ ხელისუფლებამ ხალხი ვერ დაასაქმა. ეტყობა, იმის გამო, რომ სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტები სწორად არ არის განსაზღვრული.

— ახლახან შრომის კოდექსზე იყო მწვავე დებატები. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ კანონით დამსაქმებლის ინტერესები გაითვალისწინეს, დასაქმებული კი დაიჩაგრა.

— ჩვენი სახელმწიფო მემარჯვენე ორიენტაციისაა და ამიტომ უპირველეს ყოვლისა, დამსაქმებლის ინტერესები უნდა იყოს დაცული. გეთანხმებით, ამ კანონში დამსაქმებლის ინტერესები მეტად არის დაცული და ასეც უნდა იყოს. ამბობდნენ, ფეხმძიმეებისა და საერთოდ, ქალების ინტერესები ილახებაო. როდესაც საწარმოს ხელმძღვანელად ვმუშაობდი, იყო შემთხვევები, როდესაც მუცელახვეული ქალი მოდიოდა სამუშაოდ. მივიღებდი, ის კი ორ თვეში დეკრეტულ შვებულებაში გადიოდა. ზნეობრივია ასეთი საქციელი? ხომ სჯობია, არ მომატყუოს?

— საქმე ის არის, რომ ფეხმძიმე ქალს არ მიიღებენ სამსახურში.

— მე, დამსაქმებელი, კერძო მეწარმე, საკუთარი ჯიბიდან ვიხდი ფულს, რატომ უნდა მომატყუოს თანამშრომელმა? იქნებ არ მაძლევს ხელს, ერთი წელი შემწეობა ვაძლიო თანამშრომელს?

— არც ის არის ზნეობრივი, რომ შვილის გაჩენის გამო სამსახური დაკარგოს ქალმა.

— როგორც ქართველმა კაცმა, შეიძლება ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ვიფიქრო და თვალი დავხუჭო — ფეხმძიმე ქალიც ავიყვანო სამსახურში, მაგრამ ტყუილს ვერ ვაპატიებ თანამშრომელს. გეთანხმებით, ამ კოდექსით ფეხმძიმე ქალის უფლებები ირღვევა, მაგრამ მას მხარს მაინც ვუჭერ...

— ოპოზიცია რომ სხდომათა დარბაზში არ შემოდის?

— ძალიან კარგსაც შვრება. მშვენივრად ვმუშაობთ, მწვავედ ვკამათობთ და შრომის კოდექსზე ლამის ერთმანეთიც დავხოცეთ.

— როცა პარლამენტში ოპოზიცია არ არის, ხომ შეიძლება საქართველო, ქა „დემოკრატიის ოაზისი“ უდაბნოდ იქცეს?

— მე ხომ არ გამიგდია ისინი? თავად გამოაცხადეს — არ შემოვალთო და წავიდნენ. როდესაც კაცი ასე ფიქრობს, მის აზროვნებაში როგორ ჩავერიო? არ სიამოვნებს ჩემთან კონტაქტი და ხომ არ მივეძალები? თავდაპირველად ვუთხარი, სწორად არ იქცევით-მეთქი. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ეგენი კი გაიქცნენ.

— იქნებ ხელისუფლებაც არ უნდა გაჯიუტდეს და გაითვალისწინოს ოპოზიციის ზოგიერთი მოთხოვნა?

— არ ვიზიარებ ოპოზიციის აზრს, რომ ვანო მერაბიშვილი უნდა გადადგეს. კაცმა ქართული პოლიცია ფეხზე დააყენა და იმაზე მეუბნებიან, წავიდესო, როგორ დავუჭირო ამას მხარი?!

გირგვლიანის მკვლელობაც გაიხსნება და დამნაშავე დაისჯება. ოპოზიციას ყველაფერი ერთ დღეში უნდა — ასე არ კეთდება საქმე. თანამშრომელთა საქციელის გამო უფროსი უნდა დაისაჯოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასამართლო განაჩენს გამოიტანს.

— ბოლო დროს პოლიტიკაში მისვლის სურვილი ბადრი პატარკაციშვილმა გამოხატა.

— არ ვურჩევდი ამ ნაბიჯის გადადგმას. ბადრიმ თავის არეულ-დარეულ ბიზნესს მიხედოს, რა უნდა პოლიტიკაში? ეგ კაცი პოლიტიკოსი არ არის, სერიოზულ შეცდომებს უშვებს. მეგობრულად ვურჩიე, გამწვავებული პოლიტიკური ვითარების დროს, ასეთი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა-მეთქი. პოლიტიკოსს ინტუიცია უნდა ჰქონდეს. მნიშვნელობა მარტო იმას კი არ აქვს, რა თქვი, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანია, როგორ თქვი და რა დროს. არ ვამბობ, ბადრიმ სიმართლე არ თქვა-მეთქი, მაგრამ არადროულად თქვა. თუ რომელიმე ოპოზიციური ძალა მოსწონს, ღმერთმა შეარგოს.

— სხვისი პულტებით სარგებლობის გამო დეპუტატების დაჯარიმების ფაქტს როგორ შეხვდით?

— სწორი გადაწყვეტილება იყო. ეს ფული (5 დეპუტატი თითო თვის ხელფასით დააჯარიმეს, დაახლოებით 10. 000 ლარი. — ავტ.) პარლამენტის ფონდში წავა. საშინელი მდგომარეობაა პარლამენტში, მთელი შენობა წყალში დგას და იმათი ფულით სანიაღვრე სისტემას შეაკეთებენ. დეპუტატს ხალხი ირჩევს, ის იმ ხალხის უფროსი კი არა, მოსამსახურეა. ამიტომ კეთილი ინებოს და პარლამენტში იაროს. უფრო უნდა გაამკაცრონ მოთხოვნა. მეტად უნდა დაისაჯონ ის პარლამენტარები, რომლებიც შრომის კანონს არღვევენ.

— დეპუტატები გაცდენების კი არა, იმის გამო დაისაჯნენ, სხვის მაგივრად რომ მისცეს ხმა.

— ეს უარესი არ არის? ერთი დეპუტატი აცდენს, მეორე კი მის მაგივრად აჭერს ღილაკს თითს. ესეც უზნეობაა. როგორ შეიძლება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი ასე ურცხვად იტყუებოდეს? ჩვენ არავისზე უკეთესები არ ვართ და ისევე უნდა ვემორჩილებოდეთ კანონს, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

ბოლოს კი გეტყვით, მთავარია, ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ — როდესაც გასაკრიტიკებელი ვიქნები, გამაკრიტიკეთ, ოღონდ ტყუილად ნუ იტყვით ჩემზე ცუდს, ძალიან გთხოვთ. როდესაც კრიტიკა სამართლიანი იქნება, მივიღებ და ბოდიშსაც მოგიხდით.

იზო რუკაძე

გაცნობებთ, რომ

"აგრიტექნიქს ჯგუფმა" განახლა "სადიას" პროდუქციისა და ბანანის დისტრიბუცია - გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქონლის შეძენის პირობებსა და ადგილმდებარეობაზე ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ცხელი ხაზის შემდეგ ნომერზე: 8 77 99 11 09

აგრიტექნიქს ჯგუფი agritechnics GROUP

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.

კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ტელ: 25-37-39, 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

პსპ ჯგუფი ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისაკენ

(საქველმოქმედო პროექტის I ეტაპი შედგა)

მთელ მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამო უამრავი ადამიანი ინვალიდდება

და ბევრისთვის, იმის გამო, რომ ძალიან გვიან მიმართავს ექიმს, სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი ხდება. საქართველოში მძიმე სოციალურმა ფონმა განაპირობა, რომ ექიმს უმრავლეს შემთხვევაში უკიდურესად დამძიმებული მდგომარეობით მიმართავენ პაციენტები. ამას ემატება ისიც, რომ ასაკობრივი გულ-სისხლძარღვთა დაავადებები „გაახალგაზრდავდნენ“ და ახლა საზოგადოების იმ ნაწილსაც ემუქრება საფრთხე, ვის მხრებზეც ერის გენოფონდი დგას. ამგვარად პრობლემა გლობალურია ჩვენი ქვეყნისთვის.

ფარმაცევტულ კომპანია „პე-ეს-პე“-ს კვლავაც გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების პრობლემები და საქართველოს წამყვან კარდიოლოგებთან ერთად იწყებს ერთობლივი საქველმოქმედო პროექტის განხორციელებას, რომლის პირველი ეტაპი გაიმართა თბილისში, 29-30 აპრილს. თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მოსახლეობას მოემსახურა თბილისის წამყვანი კლინიკები: 1. კარდიოლოგიური კლინიკა „გული“; 2. კარდიოლოგიის ინსტიტუტი; 3. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი; 4. გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა; 5. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი; 6. „კარდიოექსპრესი“; 7. კლინიკა „გრანდი“; 8. მუნიციპალური კარდიოლოგია; 9. „ანგიოკარდი“.

რუსთავისა და მცხეთის მოსახლეობას უფასოდ მოემსახურა „პე-ეს-პე“-ს მიერ დაქირავებული ტრანსპორტი.

პროექტი მოიცავს მთელ საქართველოს ეტაპობრივად. მსგავსი ღონისძიებები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონულ ცენტრებშიც ჩატარდება მომავალში.

ცნობილ კარდიოლოგებთან კონსულტაციისა და საჭირო ანალიზების აღების შემდეგ პაციენტებს უფასოდ დაურიგდათ აუცილებელი მედიკამენტები როგორც ევროპული ქარხნების: „ეგისი“ (უნგრეთი), „შვარც-ფარმა“ (გერმანია), „კრკა“ (სლოვენია), ასევე ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“-სგან.

როგორც ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე“-ს დირექტორმა **გოჩა გოგილაშვილმა** გვითხრა: „ამ კეთილშობილურ წამოწყებას თანხობრივად რამდენიც დასჭირდება, იმდენი სახსრები მოხმარდება. თანხა წინასწარ განსაზღვრული არ არის, რადგან არ ვიცით, რამდენი პაციენტი მოვა და რამდენი წამალი დასჭირდებათ... საერთოდ „პე-ეს-პე“-ს საქველმოქმედო საქმიანობის არეალი ძალიან დიდია. 2005 წელს მილიონი ლარი შეადგინა საქველმოქმედო საქმიანობაზე დახარჯულმა თანხამ. დმანისის რაიონზე „პე-ეს-პე“-მ პატრონაჟი იკისრა. 2005 წელს ამ რაიონში გაკეთდა 200-ზე მეტი ოპერაცია. კომპანიას იმედი აქვს, რომ ეს პროექტიც, რომლის განხორციელებაც 29 აპრილს დაიწყო, წარმატებული იქნება და საქართველოს მოსახლეობას დიდ დახმარებას გაუწევს“.

გულიკო ჩაფიძე, გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი: „ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. კარდიოლოგები სიამოვნებით მოვემსახურებით ყველას, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება. ბევრი ვერ ახერხებს ექიმთან მისვლას თავისი სიდუხჭირის გამო, ბევრი ფიზიკურადაც დაუძლურებულია. ჩვენ თანახმა ვართ, რაიონებშიც კი ვიაროთ და ოჯახებშიც მოვინახულოთ ავადმყოფები. მთავარია, „პე-ეს-პე“ დაგვეხმაროს და ამის საშუალება მოგვცეს. აუცილებლად გაკეთდება ელექტროკარდიოგრაფიული, ექოსკოპიური გამოკვლევები. ძალიან კარგი იქნება მოსახლეობის დროული დიაგნოსტიკა. ამით მათ დავიცავთ უმძიმესი შედეგებისგან“.

ბეჟან წინამძღვრიშვილი, კარდიოლოგიის ინსტიტუტი: „ეს გულ-სისხლძარღვთა ძირითად დაავადებათა გამოვლენა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია. მკურნალობასთან ერთად პაციენტს აუცილებლად ვაუწყებთ დამატებითი რისკ-ფაქტორების შესახებ. ასეთი აქციების ორგანიზება, როგორიც „პე-ეს-პე“-ს არაჩვეულებრივი წამოწყებაა, აუცილებელია ჩვენი საზოგადოების ჯანმრთელობისთვის“.

თამაზ ორაგველიძე, „კარდიოექსპრესი“: „დროული აღმოჩენა კარდიოლოგიური დაავადებისა ძალიან ბევრს ნიშნავს. დაგვიანებით მოსული პაციენტი სავალალო მდგომარეობაში იგდებს თავს. კორონარული დაავადებები (ინფარქტი, გულის უკმარისობა), რომლებიც მოხუცებულთა დაავადებებად ითვლებოდა, ახლა ახალგაზრდებშიც ხშირია. შესაძლებელია ამ მძიმე დაავადებათა წინასწარი განსაზღვრა. პროფილაქტიკური მკურნალობა გაცილებით იოლია და კარგ შედეგს იძლევა. „პე-ეს-პე“-ს პროექტი ბევრს აძლევს შანსს, რომ თუკი მიზეზთა გამო აქამდე ვერ მიდიოდა ექიმთან, ახლა მივიდეს, მიიღოს კონსულტაცია და დაიცვას თავი დაავადების გართულებისგან“.

„პსპ ჯგუფის“ პროექტი გულისხმობს ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლას მწვერვალისაკენ — კეთილდღეობისაკენ, მთელ საქართველოსთან ერთად.

R

„იაფფასიანი სიკვდილი...“



„ვინტომანიის საფრთხე რეალურია!..“

რუსეთში „ვინტის“ მოხმარება თვეში 15-20.000 რუბლი ჯდება (საქართველოში ერთი დოზის ფასი 10-დან 25 ლარამდეა). 3-4 თვის შემდეგ მომხმარებლები ავადდებიან ფსიქიკური აშლილობებით, რაც ამ ნარკოტიკისთვის არის დამახასიათებელი. ჩვენში „ვინტის“ მოხმარების ზრდას უპირველესად, მისი ხელმისაწვდომობა და სიიაფე იწვევს. ზოგიერთ ადგილას „ვინტის“ შოვნა 10 ლარადაც შეიძლება. გარდა ამისა, გაიზარდა „ვინტის“ დამამზადებელთა რიცხვი. თუ ორიოდე წლის წინ მისი მომზადება თბილისში 3-4 კაცს შეეძლო, დღეს მათი რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა...

კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ჩვენში გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევს დაიწყო, თუმცა დიდი მასშტაბებით არ გამოირჩეოდა. ნარკობაზარზე „ბუპრენორფინის“ („სუბუტექსის“) გამოჩენამ ხელი შეუწყო სახლის პირობებში დამზადებული ნარკოტიკების მოხმარების შეჩერებას, მაგრამ ბოლო დროს სპეციალისტების აღშფოთებასა და ერთგვარ გაკვირვებას იწვევს ის, რომ იმატა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ვინტის“ მომხმარებელთა რიცხვმა (ზოგიერთი მონაცემით, ქალაქში „ვინტის“ ბუმია). „ვინტი“ არასოდეს სარგებლობდა პოპულარობით ნარკოტიკების მომხმარებლებში. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ყველა მათგანს გასინჯული ჰქონდა, მეორედ მისი გაკეთების სურვილი აქამდე არავის გასჩენია.

ვიდრე ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, საინტერესოა, როგორ მოვიდა „ვინტი“ ჩვენამდე.

საუკუნეების განმავლობაში ჩინეთში მცენარე ეფედრას ფოთლებისგან სამედიცინო ჩაის ამზადებდნენ. მისი ერთ-ერთი აქტიური ინგრედიენტის, ეფედრინის წყალობით ნაყენი ბრონქიალური ასთმის სამკურნალო ეფექტიან საშუალებად ითვლებოდა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ეფედრინის წარმოება დაიწყო. საბჭოეთს ჩინეთი მშრალ ეფედრინს აწვდიდა, რაც შემდგომში ხველის საწინააღმდეგო და ბრონქიალური სპაზმების მოსახსნელ პრეპარატებში გამოიყენებოდა. დღესაც, მას ბევრი ამ დანიშნულების პრეპარატი შეიცავს.

ეფედრინი მოქმედების მიხედვით ნაკლებნარკოტიკულია, მისგან გამოყოფილ ეფედრონს კი მკაფიოდ გამოხატული ნარკოტიკული ზემოქმედება აქვს და სტიმულატორთა რიცხვს განეკუთვნება. სწორედ მისგან შექმნეს მოყვარულმა ქიმიკოსებმა „ვინტი“.

ეფედრინის დამუშავება კუსტარულ პირობებში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სოხუმში დაიწყო. — ეფედრონის მისაღებად კალიუმპერმანგანატი გამოიყენეს. პოპულარობა „ვინტმა“ თავიდან რუსეთის სასჯელაღსრულების ადგილებში მოიპოვა (ნარკოტიკის სახელი „ვინტიც“ რუსული წარმოშობისაა. მომხმარებლები მის მოქმედებას ჩახრახვნის პროცესს ადარებენ). სწორედ იქიდან გავრცელდა რუსეთსა და უკრაინაში. საქართველოში წლების განმავლობაში „ვინტს“ ნარკოტიკად არ ცნობდნენ, ისევე როგორც ყაყაჩოს თესლს.

სპეციალისტების თქმით, „ვინტი“ იაფფასიანი ნედლეულისგან მზადდება, თუმცა ტექნოლოგია ძალზე რთულია და დიდ გამოცდილებას საჭიროებს. თვითონ ეფედრონი სახიფათო ნარკოტიკია. იგი ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე მოქმედებით გამოირჩევა (რაც ყველა სტიმულატორისთვისაა დამახასიათებელი), რაც ხელს უწყობს ორგანიზმის ტოლერანტობის (მიჩვევას) სწრაფ ზრდას — მომხმარებელი იძულებული ხდება, დღეში 7 ან 8 ინიექცია გაიკეთოს(!). გარდა ეფედრინისა, „ვინტში“ სხვა ნივთიერებებიც შედის. მაგალითად, მძიმე მეტალები, რომლებიც ორგანიზმში ილექება და დროთა განმავლობაში მომაკვდინებელი ხდება. გარდა ამისა, პირდაპირ მოქმედებს თავის ტვინზე, აზიანებს მას და პარკინსონს იწვევს. „ვინტის“ სტაბილური მოხმარება თითქმის აღარ ექვემდებარება მკუნალობას, რადგან მისი მომხმარებელი მხოლოდ 3-5 წელიწადს თუ ცოცხლობს.

„ვინტი“ ქუჩის ნარკომანიისთვის დამახასიათებელი შტრიხია და იგი განსაკუთრებით იმ ქვეყნებშია გავრცელებული, სადაც ქუჩის ნარკომანია არნახულ მასშტაბებს აღწევს, მაგალითად, უკრაინაში. კიევში „ვინტს“ მოიხმარს ნარკოტიკების მომხმარებელთა 15%. „ვინტის“ გასაღების დიდ ბაზარს წარმოადგენს ოდესა და მისი მიმდებარე რაიონები. ოდესის „პალერმოში“ — ბოშათა დასახლებაში, მომხმარებელს მარიხუანისა და ექსტრაციული ოპიუმის გარდა, პერვიტინს, ანუ „ვინტსაც“ სთავაზობენ. სწორედ ოდესიდან მოხვდა ჩვენში „ვინტის“ დამზადების ინსტრუქცია. თუმცა მანამდე ჩვენს მომხმარებელზე მოსკოველი სტუმრები ზრუნავდნენ, რომლებსაც წყნეთში ჰქონდათ ბინა ნაქირავები და თვეების განმავლობაში „ვინტის“ დამზადებასა და რეალიზაციას ეწეოდნენ. ბიზნესი იმდენად სარფიანი იყო, რომ მოსკოველებს აზრადაც არ მოსდიოდათ, „ვინტის“ დამზადების ტექნოლოგია ქართველებისთვისაც გაენდოთ.

რუსეთში „ვინტის“ მოხმარება თვეში 15-20.000 რუბლი ჯდება (საქართველოში ერთი დოზის ფასი 10-დან 25 ლარამდეა). 3-4 თვის შემდეგ მომხმარებლები ავადდებიან ფსიქიკური აშლილობებით, რაც ამ ნარკოტიკისთვის არის დამახასიათებელი.

რა იწვევს „ჩვენში „ვინტის“ მოხმარების ზრდას? უპირველესად, მისი ხელმისაწვდომობა, ის იაფი ღირს. ზოგიერთ ადგილას „ვინტის“ შოვნა 10 ლარადაც შეიძლება. გარდა ამისა, გაიზარდა „ვინტის“ დამამზადებელთა რიცხვი. თუ ორიოდე წლის წინ მისი მომზადება თბილისში 3-4 კაცს შეეძლო, დღეს მათი რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა... „ვინტის“ მომზადება რთული ტექნოლოგიური პროცესია. იგი დაახლოებით 4 საათს გრძელდება. მომზადების პროცესში უმნიშვნელო გადაცდომამ, თუნდაც ინგრედიენტების დოზებში, შეიძლება სასიკვდილო შედეგამდე მიგვიყვანოს. რადგან ვინტის მომხმარებლებს ჯგუფურობა ახასიათებთ (ისინი თავმოყრილნი არიან ერთი რომელიმე დამამზადებლის გარშემო), არასწორად დამზადებული ნარკოტიკი ადვილი შესაძლებელია, ერთდროულად რამდენიმე ათეული კაცის სიკვდილის მიზეზი შეიქნეს.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია „ვინტის“ პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. როგორც ფიქრობენ, „ვინტი“ მომავალში შესაძლოა ჩაენაცვლოს „ექსტაზს“ და ღამის კლუბებისა თუ დისკოთეკების ერთ-ერთი „ატრიბუტი“ გახდეს. რაც ახალგაზრდა თაობის აბსოლუტურ დეგრადირებას გამოიწვევს (ფსიქიკური აშლილობა, იმპოტენცია, ნევროზი და ა.შ.).

ასევე დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ეფედრინის შემცველ სამედიცინო პრეპარატთა საკითხი. ცნობილია, რომ ეფედრინს შეიცავს (მართალია, უმნიშვნელო რაოდენობით) თითქმის ყველა ხველის საწინააღმდეგო საშუალება. ეფედრინის საჭირო ოდენობის მოსაპოვებლად კი ამ პრეპარატების დიდი რაოდენობაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ეფედრინის შემცველი პრეპარატების აფთიაქებიდან დიდი რაოდენობით გაცემა შეიძლება შეიზღუდოს კიდეც.

ასე რომ, ვითარება დამაფიქრებელია, მაგრამ არა საგანგაშო. თუმცა, ჯერჯერობით.

ნინო ბურჭულაძე

„ტიბეტური“ აფერა?!

„თვითონ ჩალიჩობდნენ ერთად, იგებდნენ და ფულს იყოფდნენ“

მალე საზოგადოება შესაძლოა საინტერესო სასამართლო პროცესის მოწმე გახდეს. სართიჭალელი ***ნივტალი მუსაიევი*** *აცხადებს, რომ ტოტალიზატორში 53 ათასი დოლარი მოიგო, თუმცა თანხის გაცემას ტოტალიზატორის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს.*

ორი თვის წინ 18 წლის მუსაიევმა ვაგზლის მოედანზე მდებარე ტოტალიზატორ „ტიბეტში“ ფსონში 4 ათასი ლარი ჩადო და მოიგო.

— ამ ოთხი ათასი ლარით, — ამბობს ნივტალი მუსაიევი, — ცხრა ათასი ლარი მოვიგე. თანხის ნაწილი გამოვიტანე, ნაწილი კი ახალ თამაშზე დავდე და შვიდი ათასი ლარი მოვიგე. მოგებული ქვითრით რომ მივედი ტოტალიზატორში, მითხრეს, დღეს ფული არ გვაქვს, ხვალ მოდითო. ეს არ იყო პრობლემა, მაგრამ იმ დღეს კიდევ იყო თამაშები, მე ფსონის ჩადება მინდოდა, ფული კი არ მქონდა. ამიტომ ვიკითხე: ეს ქვითარი თქვენთან რომ დავტოვო, საღამოს დაგირეკოთ და ისე ჩავიდე ფსონს, თუ შეიძლება-მეთქი? მიპასუხეს, შეიძლებაო. მეც მოგებული ქვითარი დავტოვე.

— **ვის დაუტოვეთ?**

— ტოტალიზატორის თანამშრომელი იყო, ვახო ერქვა, გვარი არ მახსოვს, მაგრამ პასუხისმგებელი პირია. კომპიუტერთან იჯდა და ფსონებს იღებდა. ის 7-ათასიანი მოგების ქვითარი რომ დავუტოვე, იმავე საღამოს დავურეკე და ვუთხარი, რა თამაშებზე უნდა დაედო მთლიანად თანხა. ამჯერადაც გამიმართლა და 15 ათასი ლარი მოვიგე. სხვათა შორის, ფსონი რომ დავდე, მოწმეებიც მყავს და ტელეფონზე საუბრის ჩანაწერებიც მაქვს. როცა ამ თანხის გამოტანაც გაჭირდა, გადავწყვიტე, ახალ თამაშზე მაინც დამედო. მოგების დამადასტურებელი ქვითარი ისევ ვახოს დავუტოვე და ვუთხარი, რომ ფსონს გაუტანელი თანხით სხვა თამაშებზე ვდებდი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დიდი თანხა მოვიგე. მოგებული დოლარებში რომ გადავიყვანე, 53.712 დოლარი გამოვიდა. ჩემი მეგობარი, ვისთან ერთადაც ვთამაშობდი, ფულის ასაღებად წავიდა. ვახოს უთქვამს: ამხელა თანხა არ გვაქვს. ნახევარს მოგცემთ, ოღონდ 2 ათასი ლარი უნდა მაჩუქოთო(?!). მეორე დილით ვახოს დავურეკე და ვკითხე, ფულის ნასაღებად როდის მივსულიყავი. გვიპასუხა, მოდით, ფული მზად არისო. მივედით ტოტალიზატორში და... ვახო არ დაგვხვდა. რომ ვეძებეთ და ვერსად მივაკვლიეთ, დირექციას მოვთხოვეთ მოგებული თანხა. მათ კი გვითხრეს, ყველა საბუთი ვახოს აქვს. ნახეთ, მოიყვანეთ და მერე მოგცემთ ფულსო. სად უნდა გვენახა ვახო? რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ რომ მივაკითხეთ ტოტალიზატორ „ტიბეტს“, გვითხრეს: ვახომ განცხადება დაწერა გათავისუფლების თაობაზე და სამსახურიდან წავიდაო(?!). ბევრი ვიძახე, ხომ იცოდით, რომ ფული მქონდა მოგებული, რატომ გაუშვით-მეთქი, მაგრამ ვინ მოგვისმინა?! დაგვამშვიდეს, არ დაგეკარგებათ ფული, მიიღებთო, მაგრამ როგორც თქვენ არ აგილიათ ის თანხა, ისე არ გვინახავს ჩვენც. ალბათ, ფიქრობენ ჩემზე, სართიჭალიდან ჩამოთრეული აზერბაიჯანელი ბიჭია და მაინც ვერაფერს დაგვაკლებსო.

— **ახლა რას აპირებთ?**

— რამდენიმე დღის წინ მამაჩემთან ერთად ფინანსურ პოლიციაში მივედი. გულდასმით მოგვისმინეს და გვირჩიეს, ოფიციალური განცხადებით მიგვემართა. ახლა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში შევიტანეთ განცხადებას. ამის შემდეგ გაირკვევა, ფინანსური პოლიცია ჩაერთვება ამ საქმეში თუ სასამართლოში მოგვიწევს სარჩელის შეტანა...

როგორც მუსაიევის ნაცნობები ამბობენ, ის ტოტალიზატორების ხშირი სტუმარია და ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ერთიმეორის მიყოლებით დიდი თანხა მოიგო. მუსაიევის წარმატებებს მისი ახლობლები მისტიკურ ახსნასაც კი უძებნიან: მამამისი აშმედ მუსაიევი კი ამაში მისტიკურს ვერაფერს ხედავს: — ბევრ გუნდზე არ უყვარს ფსონის დადება, ორ-სამ გუნდზე თამაშობს ხოლმე. რაც მახსოვს, მხოლოდ ერთხელ(!) გააკეთა არასწორი ფსონი. ისე, ერთხელ სიზმარში ნახა, რომელ გუნდზე უნდა ჩამოსულიყო და მართლაც გაუმართლა. ეტყობა, ამიტომ დაასკვნეს, წინაპრები ეხმარებიანო. უბრალოდ, ბევრს ფიქრობს და აანალიზებს. თუმცა ფაქტია, რომ იღბალიც არ ღალატობს.

ერთი სიტყვით, ანალიზის უნარით თუ ბედის წყალობით იგებს კაცი, მაგრამ ფაქტია, რომ მოგებულის აღებაში ფორტუნა აღარ არის მის მხარეზე.

ტოტალიზატორ „ტიბეტის“ დირექტორი **თამაზ კიბუა** მას აქეთ სდებს ბრალს: — თვითონ ჩალიჩობდნენ თურმე ერთად (სტილი დაცულია. — დ.დ.). რომ იგებდნენ, ფულს იყოფდნენ, ამიტომაც გავაგდეთ ეგ ვახო, ის ბუკმეკერი იყო ჩვენთან, ხელფასზე მუშაობდა. თუ პრეტენზიები ჰქონდათ, თავიდანვე ჩვენთან მოსულიყვნენ.



— **ფსონის დასადებად ტოტალიზატორის დირექტორთან ხომ არ მოვიდოდნენ?**

— საერთოდ არ გაცემულა ამხელა მოგებიანი ბილეთები. იმ დღეებში 7 ათასი მოიგო ვიღაცამ და ეს იყო და ეს.

— **ვახო რატომ გაათავისუფლეთ სამსახურიდან, როცა მასთან სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ?**

— დედა ჰყავდა ავად და ამიტომ წავიდა...

— **აბა, გავაგდეთო, წეღან რომ თქვით?**

— რომ დაგვირეკა, მერე გავაგდეთ. აქაც გაირკვა რაღაცები, პატარა ფულის დანაკლისი აღმოვაჩინეთ — 900 ლარი დაგვაკლდა. გვითხრა, მოვიტანო, მაგრამ არ გამოჩენილა. სად არის, არ ვიცით.

— **ვახო ხომ ოფიციალური პირი იყო, თუ რამე დააშავა, დაწესებულებამ პასუხი არ უნდა აგოს?**

— გააჩნია, რა დააშავა. ჯერ ერთი, ის არის გასარკვევი, ვინ რა დაარღვია. არც ოფიციალური პირი იყო, ხელფასზე იჯდა(?!).

საინტერესოა არაოფიციალური პირები ხელფასზე როგორ სხედან?! ასეა თუ ისე, ტოტალიზატორ „ტიბეტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყველაფერს კატეგორიულად უარყოფს. ამ ამბისთვის შუქის მოფენა ისევ ვახო შელიას შეუძლია, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცის. ტოტალიზატორში აცხადებენ, რომ მისი მისამართი არ აქვთ(!). არადა მსგავს სამუშაოებზე, როცა მოსამსახურეებს დიდ თანხებთან უწევთ ურთიერთობა, მათ ჯერ კარგად გაიცნობენ, შეისწავლიან და რა თქმა უნდა, მის მისამართსაც აფიქსირებენ. შემთხვევითი პირი ტოტალიზატორში მუშაობას ვერ დაიწყებს. როგორც ფინანსურ პოლიციაში გვითხრეს, ამ გარემოებით უთუოდ დაინტერესდებიან...

დავით [illegible]

ალანა გაგლოევა: დანაშავე არ ვარ!

ალანა გაგლოევა



ასე გამოიყურება „ალფა-რომეო" 19 დეკემბრის ტრაგედიის შემდეგ, რომლის დროსაც ორი ადამიანი დაიღუპა

ნათია დიდებაშვილი

შარშან, 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე რუსთაველის პრეზიდენტზე უნიფორმილ „ბილილისს" მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოავარია მოხდა. „ეროვნული ფასი" „ალფა-რომეოს" შეეჯახა. ავარიის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ორივე მძღოლ დაშავდა. ბრალად გამოქვეყნებული ინფორმაციით, „მერსედესის" პრეზიდენტის პრესსპეციალის მოგზაურ ალანა გაგლოევა შერთვოდა 27 წლის ლევან ფარაზიშვილის და ქალბატონი ბელა ძმის დიდებაში ბრალს სწორედ ალანა გაგლოევას სდებს. ჩვენთან საუბარში იგი იგებიანს: „ამ ხელისუფლებამ პირობებში დაინტერესებული ორ, ეს ბიჭები არ გაიხსნება და ალანას არავინ დასჯის, მაგრამ ის კი ვსცადე, რომ მის კისერზეა 19 წლის ალანა ფეიერისა და ჩემი ძმის სიკვდილი".

საქმის უკეთ გაგნობისთვის ავტოავარიის შედეგად დაზარალებულ ნათია დიდებაშვილს, მის დედას, ქალბატონ ინგა დიდებაშვილს და ლაშა ბუთურიშვილს ესესაუბრეთ. ინტერვიუზე უარი არც „პრაილდუღუ" ალანა გაგლოევას უთქვამს.

ნათია დიდებაშვილი, დაზარალებული: — ჩემი მეგობარი ალონა თვალური, რომელიც ავარიის შედეგად დაიღუპა, ჩემთან სტუმრად იყო. სალაშის შინ ეაცილებედი და ქუჩის ასაკვეთი შეგზეთდ ლევანი, მანქანით იყო, ჩვენივე შენოსელი და ჩვენიანი ლაშა ბუთურიშვილი ახლდა. ლევანი ჩემთან ახლოს ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, ვმეგობრობდით. მითხრა, რომ მანქანით ნაგვიყვანდა. ჩვენც დავთანხმდით, ალონა სოლოლაკში ცხოვრობდა... რუსთაველიდან ჩავედიოდით. უნიეკრმაღს ოდნავ გიგდეთ ზეკვ, მახსოვს, ალონას ეკლასარეკიოდი, რომ უცდე ლევანის ყვირილი შემოესმა, — რას შვრება ეს ფეხეფრაზტო? და... გავითიშე.

ერთი თვის შემდეგ დამირეკეს ანრიეფრა და შეხვედ მოამბეს, რაც მოხდა... საავადმყოფოში შეეფრეკეთ, რომ სასნრაფო 40 წუთის დაგვიანებით მოვიდა, თორემ შეიძლებოდა ლევანი და ალონა გადარჩენილიყვნენ. ისიც მითხრეს, რომ ავარიის ადგილზე ესეეეენაზი მიესალ. რამდენი ავარია მოამდგარ და „ასეეენაზ" არასოდეს გამიგია ნეილ... ამე თვითთავად ეკმიდი ეჯერ, რომ ისეთი მანქანა დადგებოდა, რომელსაც ხელისუფლების ნარმომადგენელი ან თანამდებობის პირი მართავდა და მისი „ეროტეეეა" უნდოდათ.

ᲘᲜᲘᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნათიის დედა:

— ეჭვი არ მეგარება, რომ ლევან შერაზადიშვილი, რომელიც მანქანას მართავდა, დამნაშავე არ იყო! რაც შეეეება საქმეს, ეკეე ოთხი თვეა მიმდინარეობს პროცესი, თუმცა ჯერ მთავარ დამნაშავეს — ქეთევან ხავთასს არ შეეხებიდნენო. ეროთადერი, რაც ვიცოდ, ისის ის, რომ ეს ქალბატონი 55-60 წლისაა და ტურისტული საგენტო აქვს.

— **გარდაცვლილი ლევან შერაზადიშვილის და, ქალბატონი ბელა, ძმის დიდებაში პრეზიდენტის პრესსპეციალის მოგზაურობას ადგილზე ადასტურებს, ეს ფირნადი ადამიანი** — ალანა გაგლოევა **ფეხეფრაზტ მანქანასაო.**

— მთა, ალასი, აქეთ ფაქტები ან ჰაკეთ თვითმხილველები, რომლებმაც ნახეს ალანა გაგლოევა. ჩვენ სავმე ქეთევან ხავთასზე ალეძარით — მანქანა მის სახელზეა გაფორმებული, მეც ეს ქალბატონი ვნახე „ეაგრენის" ვიდეოფირზე.

ჩემი შვილი სამი თვე საავადმყოფოში იწვა და დღემდე მკურნალობს, მაგრამ თანადგომა არავის გამოუხატავს. ნათიას ქუდი აბა ჰქონდა მოგტეხილი, სამშენლოსო დაზიანებული, მენჯნიკა და ნვიეის ძვალები — გადადგმული და უმძიმესი ტკენის მერეცეკ ? ალეს სავადმყოფოში იწვა. პრეზიდენტი ხომ ამბობს, სასნრაფო დამხმარეთით მიყვანილი პაციენტის მკურნალობა უფასოაო... ერთი ბიჭი არ მოგვეცეს უფასოდ. მთავრობა უბრალოდ, ვალდებულია დაზარალებულ მხარეს გვერდით დაუდგეს, რა მნიეძელია აქვს დამნაშავე ალანა გაგლოევას, ქეთევან ხავთასი თუ ვინმე სხვა?!

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲗᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, დაზარალებული:

— არაფერი მახსოვს... საავადმყოფოში მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ — ალანა დაგეკვალთ, გაგლეკვაო.

ოეკეილი ჩქონდა ეგბეიქით და მენჯის ძვალები დაზიანებული, ამიტომ დიდხანს მოგინია საავადმყოფოში ყოფნამ, მახსოვს, ფედან ნახა ქეთევან ხავთასი — რეანიმაციაში ინეა.

თუნდ ალანა იყოს და თუნდაც ქეთევან ხავთასი, ისინი ამბობენ, თითქოს მათ ჩვენ დადგეკეთ, მაგრამ ნახეთ მანქანა (გვერდიდან აქვს დარტყმა), მიხვდებით, რომ ისინი არიან დამნაშავეებიმ! მახსოვს, მანქანა ჩვენს მხარეს შემოვარდა, ლევანმა „რეზუხად" ალელ მარცხნივ და გავითიშე...

ᲐᲚᲐᲜᲐ ᲒᲐᲒᲚᲝᲔᲕᲐ, შერაზადიშვილისა და დიდებაშვილის ადვოკატი:

— ახლა მიმდინარეობს ადგილმდებარეობა, ტრანსოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზა, რომელთა პასუხების გაცემა გაგვიკვეცეს საქმის ვითარებაში. ენახე ვიდეოფირი, რომელზეც დადექმირებელია ავარია. ეს არასრული ვერსია. ამ ფირზე მაჩვენეს ქალბატონი და მითხრეს ქეთევან ხავთასიაო, თუმცა დანამდვილით არ ვიცი, ის არის თუ არა. ჯერჯერობით, ეს ქალბატონი თვალით არ მინახავს. რაც შეეხება გაგლოევას, ის ამ ფირზე არ ჩანს, ჯერ არც თვითმხილველები დაუკითხავთ, მაგრამ ამედი ჩანაგს, გამოძიების პროცესში ყველაფერი გაირკვევა და ქალბატონ ქეთევან ხავთასის ჩვენება ბევრ რამეს მოაკლეს ნათელს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲒᲚᲝᲔᲕᲐ პრეზიდენტის პრესსპეციალის მოგზაურე:

— 19 დეკემბერი, ორშაბათი — ამ დღეს მე ყოველთვის მიდგიოვარ ტელევიზიაში, რადგან სამშაბათისთვის გადადეკმა ვიმზადებ ოსტრ ენაზე ეს გადადეკმა პირდაპირი არ არის და, რადგან ორშაბათს სამინტაფო მთელი დღე დაგაკავებუნეა, ჩანერა მიხდება ბაბის 12-დან 1-მდე. ამიტომ მოსაზრება, თოქოს მე „ეგეთ ბარში" ვიყავე და ოეიდან ნასვამი მოვგიოოდი, აბსურდია. შეგიძლიათ ტელევიზიის



ასე გამოიყურება „ალფა-რომეო" 19 დეკემბრის ტრაგედიის შემდეგ, რომლის დროსაც ორი ადამიანი დაიღუპა

ᲐᲚᲐᲜᲐ ᲒᲐᲒᲚᲝᲔᲕᲐ:

— ეს ქალბატონი ჩემთვის საერთოდ უცნობია. როგორც გიკვიდ, 55 წლის არია, მე კი ამ ასაკის მეგობრები არ მყავს, მით უმეტეს, მათთან ერთად ბარში არ დავდივარ. თანაც, ისიც ოიქვა, ქეთევან ხავთასი არ იყო ჩემთვეკის ადგილზე და ისარილეს. ჩემთვის ამსოლუტურად გუიგებია, უდანაშაულო ადამიანმა თავი რატომ უნდა დაიდანაშაულოს?

— კი მაგრამ, თუ ასეა, ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით რატომ გამხსენებ ოეეეეეს სახელი და გვარი?

— ეს, ალანა, მორიგი შავი პიარია. თავს არ ვიმარილეკ, რადგან დანაშაული არ ჩამეფეენია, ისე კი, მინდა თანაკეეგრძნო და სამხმიარი ეუთხრა გარდაცვლილია ოეკანეს და დაზარალეკეულს გამოეხმაურეოდეკ ეკეურეკი. კიდეკ ერთხეკ გავიმეორებ ის სალაშოს მე ოე არ ვყოფილეკარ და დანაშაეე არ ვარ!

ქეთი კოეზიაშეილი

ჩემოდანი-ვაგზალი-თბილისი?

РОСБАЛТ

მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობა დღითიდღე უარესდება. პოლიტიკოსთა ყოველი ნაბიჯი და სიტყვა უფრო და უფრო ამძაფრებს სიტუაციას. ამჯერად ორი ქვეყნის სიტყვიერი შეხლა-შემოხლის მიზეზი საქართველოს პარლამენტის სპიკერის, ნინო ბურჯანაძის მიერ პეტერბურგში, გოსდუმის 100 წლისთავზე წარმოთქმული სიტყვა შეიქნა.

ბურჯანაძემ „რუსული პოლიტიკის ორმაგ სტანდარტებზე" ილაპარაკა და სინანულით აღნიშნა, რუსეთის ემბარგო რომ არა, კარგი ქართული ღვინით მოგილოცავდით ამ ზეიმსო. ამაზე ზოგიერთმა პარლამენტარმა მაგიდაზე მუშტების ბრახუნითა და ფეხების ბაკუნით — არ გვინდა, არ გვინდაო (ქართულ ღვინოს გულისხმობდნენ) უპასუხა. ბურჯანაძემ თქვა: — მართალია, ნაწილი დეპუტატებისა აგრესიულად შეხვდა ჩემს გამოსვლას, მაგრამ სხვებმა ბოდიში მოიხადეს კოლეგების უტაქტობის გამო. ბევრმა ისიც მითხრა, — მკაცრი გამონათქვამების მიუხედავად, თქვენი გამოსვლა სამართლიანი იყოო.

ნინო ბურჯანაძის მოხსენებაზე რუსი კოლეგების რეაქციით აღშფოთებული ქართველი დეპუტატები აცხადებდნენ, გოსდუმისგან სხვას არაფერს ველოდითო. ერთმა დეპუტატმა ისიც კი თქვა, ნამდვილად არ ღირდა სპიკერის პეტერბურგში გამგზავრებაო. ოპოზიციური „კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა: „ეს ლოგიკური იყო. როცა ერთი მინისტრი რუსებს ფეკალურ სითხეს უგზავნის, რასაკვირველია, რეაქცია ისეთი იქნებოდა, როგორიც გახლდათ". ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ კი აღნიშნა, რომ დეპუტატების ამგვარმა საქციელმა რუსეთი შეარცხვინა.

გოსდუმის ვიცე-სპიკერი ლიუბოვ სლისკა ბურჯანაძეს რუსეთის ვიზის შეწყვეტით დაემუქრა: — თებერვალში, ქართველი პოლიტიკოსების მკვახე განცხადებების შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია პრემიერ-მინისტრის აქ ჩამოსვლა, ამიერიდან ალბათ, არც ბურჯანაძე იქნება სასურველი სტუმარი. ამ ქალბატონს არ შეუძლია, რომ კაცს ზეიმი არ ჩაამწაროსო. ნინო ბურჯანაძეს კი მისი მუქარისა არ ეშინია: „მსგავსი განცხადებები სერიოზული პოლიტიკოსებისგან არ მსმენია და, იმედია, ვერც მოვისმენ. ასეთ საკითხებს (რფ-ში შემოსვლის აკრძალვა) სლისკა და მისი ტიპის პოლიტიკოსები არ წყვეტენ. მომცემენ თუ არ მომცემენ რუსეთის ვიზას, სულერთია, მე ყველგან დავიცავ ჩემი ქვეყნის ინტერესებს და ვიტყვი იმას, რაც სწორად მიმაჩია. ჩვენ დიალოგის გაგრძელების სურვილი გამოვთქვით. ეს რუსეთსაც სურს. ნორმალურ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა გვინდა, მაგრამ იმისათვის, რომ რუსეთი ნორმალური, დემოკრატიული და განვითარებული ქვეყანა გახდეს, მარტო ჩვენი სურვილი არ კმარა". ჯერ კიდევ ბურჯანაძის გამოსვლამდე ვლადიმირ ჟირინოვსკიმ ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა: „საქართველოს სირცხვილნამუსი არ გააჩნია. უტიფრად გაიძახით, დამონებული ვყავდით რუსეთსო, იმის მაგივრად, მადლობა გვითხრათ, რომ ორასი წელია გაჭმევთ და გასმევთ. თქვენი თავდაცვის მინისტრი ციხეში უნდა იჯდეს იმ განცხადებისთვის — რუსეთისთვის ყველანაირი ფეკალიის მიყიდვა შეიძლებაო! თქვენი ფეკალიები თავადვე სვით და ჭამეთ. უვარგისი ღვინო რომ გაქვთ, ეს მთელ მსოფლიოს თქვენვე ამცნეთ. თქვენს მინისტრს წამოსცდა, იმიტომ, რომ მთლად ნორმალური არ არის. თუ ღვინოს ფეკალიებისგან აკეთებთ, ესე იგი, საწამლავი ყოფილა. ვინ არის დამნაშავე? თქვენ თვითონ!"

რუსეთის კომუნისტთა ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა ურჩია საქართველოს: „თუ ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა გინდათ, პატივისცემით მოეპყარით ჩვენს ისტორიას, ჩვენს ქვეყანას, კულტურას. თუ ნავთობი და გაზი მისაღებ ფასად გსურთ, თავის გამოდებას მოეშვით და ნაკლებად დაუჯერეთ ამერიკელებს. მაშინ ყველაფერი მოგვარდება, ღვინის საკითხიც, ბორჯომისაც და ყოველგვარი ურთიერთობისაც".



ამასობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელსაც საზღვარგარეთ ქართული ღვინის რეკლამირება დაავალეს, გადაწყვიტა, განემარტა, თუ რა იგულისხმა თავის განცხადებაში — რუსეთში ფეკალური მასების გაყიდვაც შეიძლებაო. „ფეკალურ მასებში მე ქართული ღვინო კი არ ვიგულისხმე, რომელიც საკმარისად კარგია და კარგად იყიდება, არამედ რუსეთის მდარეხარისხიანი სამომხმარებლო ბაზარი. ეს რომ ასეა და იქ ყველაფერი იყიდება, მთელმა მსოფლიომ იცის", — დააზუსტა მან. ოქრუაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა რუსეთს ქართულ ღვინოზე ემბარგოს დაწესების გამო — ახლა ეს ღვინო ევროპისა და აშშ-ის ბაზრებზე გავაო. „ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ ღვინის ხარისხს და ბევრ ფულსაც ვიშოვით. თუ რუსებს ჩემი ნათქვამი გააბრაზებთ და ქართული ღვინის დალევა არ უნდათ, ონკანის ცივი წყალი დალიონ. სხვათა შორის, ჩვენი წყლისგან განსხვავებით, მოსკოვში ის საკმაოდ უხარისხოა", — დასძინა ქართველმა პოლიტიკოსმა.

რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ურთიერთობის შემხედვარეს მხოლოდ ერთი კითხვა ებადება — აბა, ჰე, კიდევ ვინ რას იტყვის!

„აფხაზეთს გოჯი მიწაც არ დააკლდება!"

Коммерсант

წრთვნებს ბაღაფშიც ესწრებოდა

აფხაზეთში ადგილობრივი შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩატარდა. ამ წელიწადს სოხუმი უკვე მესამედ აჩვენებს ქვეყნიერებას — თუ მტერი დამესხა, თავის დაცვა შემიძლიაო. თბილისში კი ფიქრობენ, რომ აუღიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ამგვარი თავგამოდება, საკურორტო სეზონის დაწყების წინ, აფხაზეთისთვისვე იქნება საზიანო — პოტენციურ დამსვენებელს დააფრთხობს. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, წვრთნები მიმდინარეობს ოჩამჩირის, გულრიფშის და სოხუმის რაიონებში, შორს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან, სადაც რუსეთის სამშვიდობო ძალები დგას. სწავლების შესახებ გააფრთხილეს როგორც სამშვიდობო ძალების მეთაურები, ასევე გაეროს სამხედრო დამკვირვებლები.

აფხაზეთის გენერალური შტაბის მეთაურის პოლკოვნიკ ანატოლი ზაიცევის თქმით, სწავლებაში 2000 ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობს. წვრთნებში ჩართულია მოტომსროლელთა და ჯავშანსატრანსპორტო ქვედანაყოფები, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-სანაოსნო ფლოტი, „გრადის" და „ურაგანის" სისტემის საარტილერიო დანადგარები...

აუღიარებელი რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა სულთან სოსლანიევმა განაცხადა, — სანამ თბილისი არ შეწყვეტს საბრძოლო რიტორიკას, აფხაზეთი იძულებულია, სისტემატურად დახვეწოს თავისი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობაო. რამდენიმე კვირის წინ აფხაზეთის მთავრობის საგანგებო სხდომაზე განიხილეს საკურორტო სეზონისთვის მზადების საკითხი. ტურიზმი აუღიარებელი რესპუბლიკის ბიუჯეტის ძირითადი წყაროა. წელს იქ რუსეთიდან და შორეული საზღვარგარეთიდან ნახევარ მილიონ ტურისტს ელიან. ბაღაფშმა ძალოვან სტრუქტურებს ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება დაავალა.

გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბს.

— მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: ჩვენი მატარებელი სოხუმისკენ მიდისო. სინამდვილეში საით მიდის?

— აფხაზეთის კურსი უცვლელია. ჩვენ კეთილი ურთიერთობის, მშვიდობის და მოლაპარაკებების მომხრე ვართ, მაგრამ ძალით ვერავინ ვერსად შეგვიყვანს. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენს დამოუკიდებლობას დავიცავთ. სხვათა შორის, საქართველოდან საომარმა რიტორიკამ იკლო. ჩვენ რკინიგზის საკითხებს ვაგვარებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაც აქ მატარებლით ჩამოვა იმ იმედით, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი გახდება.

— რით აიხსნება საქართველოს მხრიდან საომარი რიტორიკის შემცირება?

— შესაძლოა, დასავლელმა პარტნიორებმა ურჩიეს, — ასე პრობლემები ვერ გადაწყდებაო.

— თბილისს იმედი აქვს, ჯერ გალის რაიონში შევა საერთაშორისო პოლიცია, მერე მთელ სამურზაყანოს დაიბრუნებს.

— ჩვენ ერთ გოჯსაც ვერავინ ვერაფერს ჩამოგვაჭრის. გალის რაიონში უკეთესი ვითარება იქნებოდა, საქართველოდან შემოსული ჯგუფები რომ არ დათარეშობდნენ. თუ მდგომარეობას გაამწვავებენ, ჩვენც შესაფერისად ვუპასუხებთ. რუსი სამშვიდობოები ამ ზონაში მშვიდობას ღირსეულად იცავენ. მათ მაგიერ არანაირ შერეულ ძალებს აფხაზეთში არ შემოვუშვებთ.

— ახლა აფხაზეთში საცხოვრებელი ფონდის ნაციონალიზაციის საკითხი იხილება. საქართველოში კი დევნილებს სერტიფიკატებს ურიგებენ, რითაც დასტურდება მათი უფლებები აფხაზეთში დაკარგულ საცხოვრებელზე. რა აზრისაა ამაზე აფხაზეთის მთავრობა?

— გასცენ სერტიფიკატები, რა... ჩვენ მზად ვართ, საერთაშორისო შესაძლო ვალდებულებების შესაბამისად ვიმოქმედოთ. მე საქართველოს უფლებებს კომენტარს არ გავუკეთებ, მაგრამ ჩვენც ვითხოვთ მისგან ომის დროს მოყენებული ზარალის ანაზღაურებას. ეს დიდი თანხაა. კი, ბატონო, ჩვენ მზად ვართ კომპენსირებისთვის, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს დანაკარგსაც აგვინაზღაურებს. ქონება ყველა აქაურმა ოჯახმა დაკარგა — აფხაზმაც, რუსმაც, სომეხმაც. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ ზარალი 13 მლრდ დოლარად არის შეფასებული. თბილისს დაუჟინია, — 250 ათასი ლტოლვილი არისო. მაგრამ გალის რაიონში ხომ 50 ათასი ადამიანი დაბრუნდა!

— საქართველო დევნილების დაბრუნებას აფხაზეთის ყველა რაიონში ითხოვს.

— ჩვენი პოზიცია მტკიცეა. ჩვენ გალის რაიონზე ნაკისრ ვალდებულებას ვასრულებთ. სხვა რაიონებზე ვალდებულებები არ არსებობს და არც იქნება. ჩვენ აქედან არავინ გაგვირეკავს და არც არავის დავსხმივართ თავს. არის ხალხი, ვინც ამაზე პასუხი უნდა აგოს და იმათ მიაკითხონ...

რუსული მრისხანების მტევნები

FINANCIAL TIMES

რუსეთში ქართული ღვინის გაყიდვის აკრძალვამ ძალიან აზარალა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო. კახეთი, სადაც მევენახეობას უხსოვარი დროიდან მისდევენ, ბოლო დროის საქართველოს ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მამოძრავებელი რეგიონია. სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ამბობს, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკურია: — რუსეთის აზრით, საქართველო დამნაშავეა ყველაფერში: ნატოში შესვლა უნდა. არ უნდა, რომ მის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზები იყოს განლაგებული, ამიტომ ავუკრძალეთ ღვინის შემოტანაო.

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი გენადი ონიშჩენკო აცხადებს, მხოლოდ ერთი უწყინარი მოთხოვნა გვაქვს — ყველა შემოტანილი პროდუქტი ხარისხიანი უნდა იყოს. მათი ექსპორტი მხოლოდ იმიტომ შევაჩერეთ, რომ გავერკვეთ, რა ხდებაო. სწორედ ამის გასარკვევად მოსკოვში ჩასულ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს, მიხეილ სვიმონიშვილს, ყველა ოფიციალური პირის კაბინეტის კარი დაკეტილი დახვდა...

სკეპტიკურმა რუსმა მომხმარებელმა ყურად არ იღო ონიშჩენკოს გაფრთხილება. „ბორჯომის" ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე ამბობს, პოპულარული მინერალური წყლის შესაძლო აკრძალვამ უფრო გაზარდა მასზე მოთხოვნილება. რუსეთის მოქალაქეები გამალებით იძენენ ამ შუშხუნა, მომლაშო მინერალურ წყალსო... მაგრამ ღვინის აკრძალვით ყველაზე რესპექტაბელური მწარმოებლებიც კი ზარალდებიან. „ფალსიფიკაცია მსოფლიო პრობლემაა, მაგრამ ამის გამო მთელი ქვეყნის დასჯა არ შეიძლება", — აცხადებს კომპანია „თელავის ღვინის მარნების" ერთ-ერთი თანამფლობელი კახა ზუკაკიშვილი. ამ კომპანიას არაერთი საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის რუსეთშიც. ამას წინათ დაიწყო ახალი საამქროს მშენებლობა, რომელიც უახლესი იტალიური ტექნიკით იქნება აღჭურვილი და 1,2 მლნ დოლარი დაჯდება. თუ რუსეთი ემბარგოს არ გააუქმებს, მშენებლობა გაიყინება.

„ეს ყველასთვის დიდი დარტყმაა", — უკმაყოფილოა ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელიანი ველის" მეთაური არჩილ გეგენავა. რუსეთში ექსპორტის იმედით შევიძინეთ აპარატურა, ბოთლები, მინა. ახლა იმ კონტრაქტების გაუქმებას ვცდილობთ, რომლის გაუქმებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. სვიმონიშვილის ცნობით, საქართველო წელიწადში 50 მლნ ბოთლ ღვინოს გზავნის რუსეთში, მაგრამ, სამწუხაროდ, თავად რუსეთშივე უამრავი ფალსიფიცირებული ღვინო კეთდება, რომელსაც ქართულ ეტიკეტს აკრავენ. კონტრეფექტიან პროდუქციასთან ბრძოლის მოტივით მთავრობამ შარშან ის ლაბორატორიები დახურა, რომლებიც ყალბ სერტიფიკატებს იძლეოდნენ. ამან კი რამდენიმე კომპანია აიძულა, გაენადგურებინა თავისი პროდუქცია.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი მეღვინეები ფარ-ხმალს არ ყრიან. ამ კრიზისიდან შეიძლება სარგებელიც ვნახოთ — გაქრებიან სუსტი კომპანიები და უსინდისო მწარმოებლები. მტკივნეული პროცესი გველის, მაგრამ ჩვენ უფრო გავძლიერდებითო, — იმედოვნებს უმსხვილესი ღვინის ქარხნის „თბილღვინოს" დირექტორი ზურაბ მარგველაშვილი.

ბენდუქიძის აზრით, ღვინის ემბარგო ეკონომიკაზე მინიმალურად იმოქმედებს, მაგრამ კომპანიებს კი მძლავრ იმპულსს მისცემს ახალი ბაზრების მოსაძიებლად.

„იმედის" მესამედს ამერიკული მედიაკორპორაცია ყიდულობს

NEWSru.com

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ქართულმა ბაზარმა მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი მედიაკორპორაციის ყურადღება მიიპყრო. ჰოლდინგ „იმედის" მეპატრონემ, ბადრი პატარკაციშვილმა და NEWS CORP-ის მეთაურმა, რუპერტ მერდოკმა, ამერიკელებისთვის ქართული კომპანიის აქციების ნაწილის მიყიდვის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. როგორც ახალი მეპატრონე აცხადებს, ტელეარხის ჟურნალისტებზე ზეწოლა არ მოხდება: „საქართველოს ტელემაყურებელს ვპირდებით, რომ ჩვენი ტელესადგურები სრულიად დამოუკიდებელ ახალ ამბებს და ობიექტურ საინფორმაციო პროგრამებს აჩვენებენ. ჩვენს აზრს თავს არავის ვახვევთ.".

წინასწარ მიღწეული მოლაპარაკების მიხედვით, NEWS CORP-ი „იმედის" მედიააქტივების 30%-ს იყიდის, რომელშიც შედის ამავე სახელწოდების ტელეარხი და რადიოსადგურები. ბადრი პატარკაციშვილის აზრით, ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა არა მარტო მთელი კოლექტივისთვის, რომელმაც თავისი პროფესიონალიზმით ისეთი ინვესტორის ყურადღება მიიქცია, როგორც მერდოკია, არამედ სრულიად საქართველოსთვის. გარდა ამისა, ქართული კომპანიებიც გაიზიარებენ იმ კეთილდღეობას, რასაც NEWS CORP-მა მიაღწია.



რუპერტ მერდოკი

რუპერტ მერდოკის მედიაიმპერია: კეიტ რუპერტ მერდოკი დაიბადა 1931 წელს, მელბურნში. დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი ჰუმანიტარული მეცნიერების მაგისტრის ხარისხით. 1954 წელს მამისეული კონცერნის გაფართოება ავტორიტეტულ გაზეთ ADELAIDA NEWS-ის შეძენით დაიწყო და მას შემდეგ უმთავრესად აგრესიული საბაზრო ექსპანსიის საშუალებით სისტემატურად ამსხვილებს თავის ბიზნესს. 1965 წელს მერდოკის კომპანია ევროპულ ბაზარზე გავიდა, მერე კი ამერიკულზე. 1979 წელს სამხრეთ ავსტრალიაში შექმნა კორპორაცია NEWS CORPORATION LTD-ი, რომელიც მალე მასობრივი ინფორმაციის ტრანსნაციონალურ და კონტინენტთაშორისო იმპერიად იქცა.

მერდოკი აკონტროლებს ბრიტანეთის ბევრ ნამყვე გაზეთს (TIMES, TODAY, NEWS OF WORLD, SUN), ამერიკულ (NEW YORK POST, NEW YORK MAGAZINE, BOSTON HERALD, STAR, SAN ANTONIO EXSPRESS), პოპულარულ გაზეთებს და ჟურნალებს, ყიდულობს გამომცემლობა HARPER & ROW BOOK PUBLISHERS-ს, აპირებს REUTERS LIMITED-ის და REUTERS HOLDINGS-ის დირექტორთა საბჭოში შესვლას. 1985 წელს მერდოკი აშშ-ის მოქალაქე გახდა და [illegible] ერთ-ერთი უდიდესი კინოსტუდია — XX-th CENTURY FOX-სთან ერთად, ფირმა METROMEDIA-ს 5 ტელესადგურიც შეიძინა და ამის საფუძველზე FOX TV-ის მძლავრი ქსელი შექმნა. [illegible] თანამედროვე მედიაიმპერიაში შედის კინონაწარმოების, ქსელურ-კაბელური და თანამგზავრული ტელემაუწყებლობის ათეულობით კომპანია.

NEWS CORPORATION-ი გამოსცემს გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს. მისი ინტერესები ტურიზმისა და დასვენების, სპორტის და გართობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებაზეც ვრცელდება. კორპორაციას მაღალგანვითარებული და მაღალტექნოლოგიური წარმოების, მარკეტინგის და სადისტრიბუციო ინფრასტრუქტურა გააჩნია, რომელიც „ვერტიკალური ინტეგრაციის" პრინციპით ხვეწს ბიზნესმშენებლობას.

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

პატარები გვიამბობენ

***

4 წლის **გვანცა** და 2 წლის **გიორგი ბარამიძეებს** ბაბუა საგმირო ამბებს უყვება. ლაპარაკში გიორგი სააკაძე ახსენა...

— სააკაძე კი არა სააკაშვილი, ბაბუ, — შეუსწორა გვანცამ.

— ქო, — დაემოწმა დას პატარა ძამიკოც.

***

3 წლის **თიკო ძორძაძე** მონათლული არ არის. ერთხელაც ბებოს გულზე ჩამოკიდებული ჯვარი შენიშნა და გაოცებულმა ჰკითხა:

— ბებო, შენ განათლებული ხარ?

II ანა, გამოიცანი

1. ამ ხმებიდან, რომელია ქალის სასიმღერო ხმა?

ა) ტენორი; ბ) ბანი; გ) სოპრანო; დ) ბარიტონი.

2. რომელ ქვას მოიპოვებენ ზღვაში?

ა) ალმასს; ბ) მარგალიტს; გ) ფირუზს; დ) საფირონს.

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მწერი ცოცხლობს ყველაზე მცირე ხანს?

ა) ჭიამაია; ბ) კოღო; გ) ფუტკარი; დ) პეპელა.

4. რამდენი კაცი დააპურა იესო ქრისტემ ხუთი პურით?

ა) 5000; ბ) 6000; გ) 8000; დ) 500.

5. ვინ დაამარცხა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე?

ა) თურქ-სელჩუკები; ბ) ბიზანტიელები; გ) არაბები; დ) სპარსელები.

საკმარისია თუ არა დეტალები პეპლის ასაწყობად, თუ ზედმეტიც დაგრჩება?

III



I შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი სტროფიდან გამოტოვებულ სიტყვას: **„ --- დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა“.**



რომელი სამოსი არ გამოუყენებია დათუნიას ფეხის გადაცმის დროს?

IV



იგავ-არაკები

თაგვი ბეღელქვეშ

ბეღელქვეშ ერთი თაგვი ცხოვრობდა. იატაკში ჭუჭრუტანა იყო და პური ცვიოდა. თაგვი არხეინად ცხოვრობდა, მაგრამ გადიდგულდა. უფრო დიდი ჭუჭრუტანა გამოღრღნა და სხვა თაგვები დაპატიჟა:

— მესტუმრეთ, ვიქეიფოთ, საზრდო თავსაყრელი მაქვსო. როცა თაგვები ესტუმრნენ, ჭუჭრუტანა აღარ იყო. გლეხს შეენიშნა და ამოექოლა.

მემკვიდრეობის გაყოფა

ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. შვილებს უთხრა: როცა მოვკვდები, ყველაფერი შუაზე გაიყავითო. მამა მოკვდა, შვილებს გაყოფაზე ჩხუბი მოუვიდათ. რჩევისათვის მეზობელს მიმართეს. მეზობელმა იკითხა: მამამ რა დაგიბარათო? მათ უპასუხეს: ასე გვიბრძანა, ყველაფერი შუაზე გაიყავითო. მეზობელმა უთხრა: მაშ შუა-შუაზე დაფხრიწეთ ყველა ტანისამოსი, დატეხეთ ყველა ჭურჭელი და გაჭერით ყველა საქონელი. ძმებიც ასე მოიქცნენ, და აღარაფერი შერჩათ.

იპოვე 10 განსხვავება



მხიარული „ატრაქციონი“ თქვენი პატარებისთვის



ყველაზე საბავშვო ჟურნალი

საიდან მოდის...

ანდაზა: ქურდს ქუდი ეწვისო.

ერთ გლეხს ფული მოჰპარეს. ბევრი ეძებეს ქურდი, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. შეიკრიბნენ გლეხები. ერთ-ერთმა უეცრად დაიძახა: დახეთ, ქურდს ქუდი ეწვისო. ერთმა გლეხმა უცბად ქუდზე ხელი იტაცა. მაშინ ყველა მიხვდა, რომ ის იყო ქურდი.

ამის შემდეგ ამბობენ: ქურდს ქუდი ეწვისო.

გამოიწერეთ სხლი წიგნები 42-43-40; 33-26-73

წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.

წიგნი საუკეთესო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...

124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ.

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაკა ხუციშვილმა

სამწუხაროდ, „სარდაფის“ დატოვება მომიწევს

მსახიობი მოხელე არ არის, გაუშვა და სხვაგან დაიწყოს მუშაობა...

ახალი კაბა, ახალი ფეხსაცმელი, საგანგებო ვარცხნილობა — ასე ემზადებოდნენ თეატრში ნასასვლელად ჩვენი ბებიები, რაც, ეპოქასთან ერთად, ისტორიას ჩაბარდა. თანდათან თვალი მიეჩვია, რომ თეატრში მაყურებელს შეიძლება ჯინსები და ბოტასები ეცვას. ეს, ალბათ, არ არის დიდი უბედურება... მთავარია, არსებობდეს მაღალ კულტურასთან ზიარების სულიერი მოთხოვნილება. მაგრამ სავალალო ის არის, რომ დღეს თეატრებში ნახევრად ცარიელი, ან თითქმის ცარიელია დარბაზი.

„ნათქვამია, თევზი თავიდამ აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით... ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ ძგება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა (თეატრი) სწორედ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისათვის“, — წერდა ილია („შინაური მიმოხილვა“, 1879 წელი, თებერვალი).

დღეს საზოგადოება აღარ მიილტვის თეატრისკენ. იქნებ თვით სცენამ დაკარგა „ცის ნამის“ ფუნქცია, იქნებ „კარგ მთქმელს კარგი გამგონე“ აღარ ჰყავს. არადა, დოტაციაშემცირებული თეატრების ბედი ბეწვზე კიდია. ღმერთმა ავ სიზმარშიც ნუ გვაჩვენოს თბილისი მარჯანიშვილისა თუ რუსთაველის, ოპერისა და ბალეტის თეატრების გარეშე.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. მოლოდინი მოლოდინად რჩება — თეატრში სეზონი ვერ იხსნება. ვესაუბრებით თეატრის მთავარ რეჟისორს **ლევან წულაძეს**.

— **რას ფიქრობთ მარჯანიშვილის თეატრის მომავალზე. თეატრალური სარდაფისაგან განსხვავებით, მართვის თვალსაზრისით აქ დიდი პრობლემები გექნებათ...**

— თუ ვინმე ფიქრობს, რომ თეატრალური სარდაფი, რაკი პატარაა, ხარჯი არა აქვს და ფული „თავს გადაგვდის“, ასე არ არის. თეატრი უმთავრესად ენთუზიაზმით არსებობს. მარჯანიშვილის თეატრში ამგვარი რამ არც მოხდება და არც უნდა მოხდეს. მარჯანიშვილის თეატრი აკადემიური თეატრია, ვინც იქ იმუშავებს, ამით ოჯახის რჩენა უნდა შეძლოს. იყო დრო, როცა 30 ლარი ჰქონდათ ხელფასი. ახლაც არ არის ძალიან დიდი (მსახიობებს 300-დან 800 ლარამდე აქვთ. არის დახმარებაც — საქველმოქმედო ფონდ „ქართუდან“), ყველაფერს ვილონებთ, რომ ეს თანხა არ შემცირდეს, ხოლო დაბალანაზღაურებად ტექნიკურ პერსონალს ხელფასი მოემატოს.

— **თქვენ სად უფრო მეტი გაქვთ ხელფასი, თეატრალურ სარდაფში თუ მარჯანიშვილის თეატრში?**

— სარდაფში ხელფასი აღარ მაქვს, მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრში ვილებ.

— **ბრძანეთ, აკადემიური თეატრი სხვა თეატრებისაგან განსხვავდება და მიდგომაც სხვაგვარი სჭირდებაო. არსებობს მოსაზრება, რომ კამერულ თეატრში ნამუშევარს გაუჭირდება აკადემიური თეატრის სცენაზე „ფრთების გაშლა“. მართალია, თქვენ სწორედ მარჯანიშვილის თეატრში გაქვთ დადგმული „ყვარყვარე“, მაგრამ...**

— ეს აზრი იქნება მანამ, ვიდრე არ დავდგამ სპექტაკლს. ცოტა დავაგვიანე ეს პროცესი. ათ დღეში მაინც დავიწყებ რეპეტიციებს. რა გამოვა, ვნახავთ.

— **რომელ სპექტაკლზე იწყებთ მუშაობას?**

— ძალიან ბევრი ვიფიქრე, ათი ვარიანტი მაინც გამოვცვალე. ბევრ თეატრში ვიყავი, რაც არ მივლია ათი წლის განმავლობაში, ახლა ავანაზღაურე. მინდოდა გამეგო, ზოგადად რა სიტუაციაა, ვყოფილიყავი მაყურებელი... უნდა შემემოწმებინა ჩემი თავი, რა უფრო მაინტერესებდა. ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, თითქოს აქამდე არაფერი არც ყოფილა. ასეთი შთაბეჭდილება მაყურებელმა შემიქმნა. თითქოს გაქრა ქართული თეატრის უზარმაზარი კულტურა. თეატრმა ხელახლა უნდა დაამყაროს კავშირი მაყურებელთან. სამწუხაროდ, მაყურებლის დონე ძალიან დადაბლებულია, შესაბამისად, მოთხოვნაც დაბალი აქვთ...

მარჯანიშვილის თეატრს ყოველთვის ჰყავდა თავისი მაყურებელი. ის არ უნდა დაიკარგოს. თეატრმა ან ამაყად უნდა გააგრძელოს არჩეული გზა, ან რაღაც კომპრომისზე წავიდეს. მიჭირს თქმა, მაგრამ მე მომიხდება ამის გაკეთება. თუმცა კომპრომისს ამ შემთხვევაში ვუწოდებ დათმობას, რაც პირველ ხანებში მაყურებელთან ურთიერთობის „ასაწყობად“ დამჭირდება. ამიტომაც რეპერტუარი ოდნავ შეიცვალა, ვიდრე თავიდან მქონდა ჩაფიქრებული.

— **იქნება თუ არა სხვაობა იმ სპექტაკლებს შორის, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრსა და სხვა თეატრში დადგამთ?**

— ბუნებრივია ის, რაც თეატრალურ სარდაფში დაიდგმება, მარჯანიშვილის თეატრს არ მოერგება. მარტო სცენის სიდიდეს არ ვგულისხმობ. მინდოდა დოსტოევსკი დამედგა. ვერსიფიკაცია თითქმის მზად მქონდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს სპექტაკლი შეიძლება განწირული ყოფილიყო. ახლა სამი პიესა დამრჩა — შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ძველი ქართული ვოდევილებიდან შექმნილი პიესა და იონესკოს „ქაჩალი მომღერალი ქალი“. გარდა ამისა, გვინდა სოფიკო ჭიაურელმა აღადგინოს „ურიელ აკოსტა“ და სექტემბერში ამით გაიხსნას სეზონი...

— **ხომ არ აპირებთ თეატრის შენობაში რაიმეს გახსნას, რაც დამატებით შემოსავალს მოგიტანდათ?**

— ვფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს...

— **რესტორანს ალბათ არ გახსნით...**

— რატომაც არ გავხსნით... მთელ მსოფლიოში ასეა. ეს არ კეთდება მარტო მოგებისთვის, არამედ ხალხის მოსაზიდად... გეთანხმებით, ცუდია, როცა თეატრში მაღაზიაა... მისაღებია, როცა იქ იყიდება ლიტერატურა ხელოვნებაზე, სუვენირები, ძველი კოსტიუმები, მაგრამ ეს წელში ვერ გამართავს თეატრს, ეს უფრო თანამედროვე რეკლამის ნაწილია.

— **თქვენ თეატრში გექნებათ თანამედროვე დრამატურგიის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად ლაშა ბულაძე მიიწვიეთ. ეს საყვედურის კიდევ ერთი საბაბი გახდა, რადგან თამარ მეფის შესახებ ნოველის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი ალმაცერად უყურებს მას. არც ლაშას „პრეზიდენტი, დაცვის ბიჭი, ჯარისკაცი... და სიყვარული“ მიიღო საზოგადოებამ...**

— ლაშა ბულაძეზე უკეთ, მგონი, არავინ იცის, სად რა იქმნება დრამატურგიაში. ყველაფერზე შეიძლება იკამათო, მაგრამ რაც იცის, ვერ წაართმევ... ლაშამ არა მარტო თვითონ უნდა დაწეროს პიესა (უკვე მუშაობს), სხვებიც უნდა შემოიკრიბოს. უნდა დააახლოოს თეატრი დრამატურგთან, უნდა გაჩნდეს ნდობის ფაქტორი.

— **მაგრამ ეს ყველაფერი რისკთან არის დაკავშირებული...**

— ამწუთას ასეა. საერთოდ კი სახელმწიფო თეატრი რისკზე არ უნდა მიდიოდეს. სარდაფისნაირ თეატრში მაყურებელი თუ არ მოვიდა, განწირული ხარ. მარჯანიშვილის თეატრის მსგავს თეატრს სახელმწიფო ისე უნდა აფინანსებდეს, რომ არა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქროს, არამედ კულტურის განვითარებაზე.

— **თეატრში ურთიერთობების მოგვარება საკმაოდ რთულია. ვიცი, ტექნიკური პერსონალის ნაწილი დაითხოვეს. მსახიობებსაც ხომ არ ემუქრებათ გათავისუფლება?**

— არა. ვთქვი კიდეც, რომ ამას არ გავაკეთებ. ტექნიკურ პერსონალზე ძალიან მწყდება გული... მორალური უფლება არ მაქვს, გავუშვა ადამიანი, ვისთანაც არ მიმუშავია, არ ვიცნობ. მახსოვს, კომუნისტების დროსაც სულ იყო ლაპარაკი თეატრში შემცირებებზე, იყო შიში. ამას არანაირი სიკეთე არ მოჰქონდა... მსახიობი მოხელე არ არის, გაუშვა და სხვაგან დაიწყოს მუშაობა... მსახიობობა ადამიანის ბედია.

— **პირველი უარყოფითი გამწყობა მაშინ გამოიწვიეთ, როცა განაცხადეთ, სარდაფის თეატრს არ დავტოვებ, პარალელურად მარჯანიშვილშიც ვიქნებიო... ორ თეატრში მუშაობის პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ თქვენ აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი ხართ და სხვა თეატრის ხელმძღვანელობა ვფიქრობ ხელს შეგიშლით.**

— სამწუხაროდ, თეატრალური სარდაფის დატოვება მომიწევს ერთი წლით, შეიძლება მეტითაც, მიჭირს ამისი თქმა, მაგრამ სხვანაირად არაფერი გამოვა.

— **დაბოლოს, ხომ არ იქცა თეატრალური ხელოვნება „მიმავალ“ ხელოვნებად?**

— ამას ვერ ვიტყვი. ევროპასა და რუსეთშიც უამრავი თეატრია, პერიფერიებშიც კი, უამრავი ახალი მსახიობი გამოჩნდა, მაყურებელიც ჰყავთ. მათ გადალახეს ეს სირთულე, ძალიან საინტერესო შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს. ალბათ, ჩვენთანაც ასე იქნება...

ლელა ჯღიაშვილი

ქრისტალი
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

სესხები 10,000 ლარამდე სწრაფი და გამარტივებული წესით, 1,5%-დან

შესაძლოა როგორც ბიზნეს-სესხების გაცემა, ასევე საოქრო ნივთების შეძენა განვადებით

დაგვიკავშირდით:

ქუთაისი. თამარ მეფის # 72 ტელ: (8231) 4 16 52
ფოთი. აღმაშენებლის # 14 / 7 ტელ: (8293) 7 01 53
ზუგდიდი. რუსთაველის # 85 ტელ: (8215) 5 00 21

WWW.CRYSTAL.GE

15 საუკეთესო ქართული მოთხრობა 2005

ახალი წიგნი

ავტორები:

ნიკუშა ანთაძე
პაატა ბერიკაშვილი
თეონა დოლენჯაშვილი
ანა კორძაია-სამადაშვილი
ირმა მალაციძე
აკა მორჩილაძე
მარიანა ნანობაშვილი
ზაალ სამადაშვილი
ირმა ტაველიძე
დავით ქართველიშვილი
ეკა ღაღანიძე
ნუგზარ შატაიძე
გელა ჩქვანავა
ბესო ხვედელიძე
კოტე ჯანდიერი

ფასი
7.00 ლარი
252 გვერდი, რბილი ყდა

ლიტერატურული პრემია „წლის საუკეთესო მოთხრობა“

კრებულში შესულია 2005 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან შერჩეული 15 საუკეთესო მოთხრობა. თითოეული მათგანი ამავე დროს არის ნომინანტი პრემიისა „წლის საუკეთესო მოთხრობა“, რომელსაც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ წელს უკვე მეორედ გადასცემს სამი საუკეთესო მოთხრობის ავტორს.

პრემიების გადაცემა შედგება 1 მაისს, 6 საათზე საჯარო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში.

სასამართლო ქრონიკა

DURA LEX SED LEX

ყოველთვიური ჩანართი

N58 1.05.2006

საქართველოში სასამართლო სისტემის ახლებურ რეფორმირებაზე აქტიურად საუბრობს საზოგადოება, საუბრობს ქვეყნის პრეზიდენტი. ამ რეფორმის ცენტრალური ვექტორი, ექსპერტთა შეფასებით, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ამოქმედებაზე გაიოვლის. ეს ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციით არის აღიარებული და მისი ამოქმედება უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, ფართო საზოგადოებრივი განხილვის დაწყება და ამ ინსტიტუტის ყველა ასპექტის გააზრება, რადგან მისი ამოქმედება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების აქტიურობასა და სამართლებრივ ცნობიერებასთან. გთავაზობთ ჯეფერი ბპრაბსონის ნარკვევს აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრების ისტორიასა და ფილოსოფიაზე.

ნაფიც მსაჯულთა ქიურის ისტორია

როგორ გახდა ნაფიც მსაჯულთა სისტემა ამერიკული დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი? ამერიკის ნაფიც მსაჯულთა სისტემა ინგლისური კანონმდებლობის მემკვიდრეობას წარმოადგენს. ის დოკუმენტებუნია მოოლოდ არაპროფესიონალებით, რომლებიც გადაწყვეტილებებს მოსამართლესთან ერთად

ტაციის გარეშე იღებენ. ამ ტიპის სისტემას არსად შეეხვედრივართ დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატებისა და ისეთი ქვეყნების გარდა, როგორიც არის მაგალითად კანადა, რომლის საკანონმდებლო სისტემაც ინგლისურიდან იღებს სათავეს.

ნაფიც მსაჯულთა სისტემა ინგლისში შეა საუკუნეებში ნარმოიშვა და არსებული ორდალის სისტემით ჩაანაცვლა.

ორდალი სხვადასხვა მექანიზმს ითვალისწინებდა: მაგალითად, ცივი წყლის ორდალისას, ბრალდებულს უდანაშაულოდ ცნობდნენ, თუ წყალში მოთავსებისასაც, ის ჩაიძირებოდა. არსებობდა სხვა სახის ორდალიც, მაგალითად, ბრალდებულს მცირე ხნით გავარვარებული რკინა უნდა დაეკავებინა. მოგონიანებით მას ხელს შეუხვევდნენ და თუ ამის შედეგად იარა მოუშუშდებოდა, ამას აღიქვამდენენ, როგორც უდანაშაულობის ნიშანს.

1215 ნელს პაპმა ინოკენტი III-მ სასუფიერო პირებს ასეთი ტიპის გასამართლებაში მონაწილეობის მიღება აუკრძალა. ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ორდალის სასამართლოში მონაწილეობდა, როგორც სადამსჯელო კომიტეტი, თანდათანობით გარდაიქმნა მძიმე დანაშაულში ბრალდებულთა ტრიბუნალად. მე-14 საუკუნისთვის უკვე ჩვეულებად იქცა კრიმინალურ საქმეებზე 12 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობა და მათი გადაწყვეტილების ანონიმურობა. XVII ს-ისათვის ნაფიც მსარებული მნიშვნელობა შეიძინა. კოლონისტები ყველაზე მეტად უჩიოდნენ იმას, რომ მათ ინგლისის პარლამენტში თავიანთი არჩეული წარმომადგენლები არ ჰყავდათ. თუმცა, კოლონისტებს შეეძლოთ ემსახურათ როგორც ნაფიც მსაჯულებს, რაც მათ აძლევდა საშუალებას, ხმა მიეცათ იმისათვის, თუ როგორ უნდა მოიხდარიყო ამერიკაში ინგლისური კანონების განხორციელება.

1735 წელს ბალეფულმა კოლონისტებმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს, როდესაც გაამართლეს ნიუ-იორკელი გამომცემელი ჯონ პეტერ ზენგერი, რომელმაც სამეფო მმართველის წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამონათქვამები გამოაქვეყნა. იმ დროისათვის, ინგლისის კანონის თანახმად, ზენგერის საქციელი – სამეფო ხელისუფლების ნარმომადგენლის კრიტიკა – დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ კოლონისტთა ნაფიცმა მსაჯულებმა პრესის თავისუფლების დაცვის მიზნით უგულებელყვეს ინგლისური კანონი. 1760 წელს, ამერიკის რევოლუციის მოახლოებისას, მასაჩუსეტსის ნაფიცი მსაჯულები გაცილებით მძლავრ პოლიტიკურ იარაღად იქცნენ. ისინი ფაქტობრივად უარს აცხადებდნენ საძულველი საგადასახადო კანონების გატარებაზე. მსაჯულებმა გაამართლეს ვაჭარი და რევოლუციონერი იგიტატორი ჯონ პანკოკი, რომელსაც საქონლის კონტრაბანდაში ედებოდა ბრალი.

რევოლუციის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სისტემა საკონსტიტუციო რანგში ავიდა. კონსტიტუციის მეექვსე შესწორება ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტიას აძლევს. მეშვიდე შესწორება კი იმავე უფლებას ანიჭებს პირს სამოქალაქო საქმეებში. აღნიშნული მეტყველებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც კონსტიტუციის ავტორებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიანიჭეს და ხანგრძლივი ვადით უზრუნველყეს მისი სამპატიო ადგილი ამერიკულ პოლიტიკურ წარმოსახვებში.

ნაფიცი მართლმსაჯულება

ნაფიც მსაჯულთა სისტემის ფილოსოფია

ბევრი ამერიკელი ნაფიც მსაჯულთა სისტემას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღირებულებების კონკრეტულ გამოხატულებას, მათ შორის პრინციპებს, რომ ყველა მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს ასაკისა და განათლების მხრივ, თანაბრად კომპეტენტურია, იმსახუროს ნაფიც მსაჯულად. მსაჯულების შერჩევა საზოგადოების ფართო ფენიდან, შემთხვევითობის პრინციპით და ჯგუფიდან შერჩევის ნესით უნდა მოხდეს. არც ერთ მოქალაქეს არ უნდა ეთქვას უარი ნაფიც მსაჯულთა სამსახურზე რასობრივი, რელიგიური, სექსუალური თუ ეროვნული წარმომავლობის გამო. ვერდიქტი უნდა გამოხატავდეს საზოგადოების განნყობას და არ წარმოადგენდეს მხოლოდ კანონის რაღაც ფრაგმენტს. ნაფიც მსაჯულთა სისტემა არის უფრო პირდაპირი, ვიდრე წარმომადგენლობითი დემოკრატიის საუკეთესო მაგალითი. პირდაპირ დემოკრატიაში მოქალაქეები თავის თავს თვითონ მართავენ, როცა არჩევითი დემოკრატიის დროს არჩეული პირები მათ საცდელად მართავენ.

თუმცა, 1968 ნლამდე მსაჯულთა შერჩევის პროცედურა კონფლიქტში იყო დემოკრატიულ იდეალებთან. ზოგიერთ შტატში ნაფიც მსაჯულად ყოფნის უფლება მხოლოდ მაღალი ინტელექტის, განათლებისა და ზნეობის ადამიანებს ჰქონდათ. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ 1880 ნელს საქმეში *სტრაუდერი დასავლეთ ვირჯინიის წინააღმდეგ* აკრძალა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია და თავად შერჩევის პროცესისადმი ელიტარული მიდგომა.

XX საუკუნის შუა პერიოდამდე ქალები მოკლებული იყვნენ უფლებას, ემსახურათ ნაფიც მსაჯულებად. მოუხდათად იმისა, რომ პირველი ქალი ნაფიც მსაჯულად 1898 ნელს იუტას შტატში მოგვევლინა, 1940 ნლამდე უმეტეს შტატებში ქალთა მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შეუძლებელი იყო.

დასასრული 21-ე გვერდზე

ბავშვის თვალით დანახული საზოგადოება

ბასულ კვირას, ელნინ ახალელდიანის სახელობის ბავშვთა ნახატების საბამოფშენო დარბაზმა მნახველებს ორიგინალური გამოფენა ფესთივალზა. ფონდმა ALPE-მ, ევროპის კაპშირის ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზებული კონკურსის შედეგები შეაჯამა და საზოგადოებას ნარუდგინა.

ფონდი ALPE არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2001 ნლიდან საზოგადოებრივი კომუნიკაციის სფეროში საქმიანობს და პროექტებს მოქალაქეთა სამართლებრივი განათლების სფეროში ახორციელებს.

ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფი – ბავშვები და მოზარდები არიან. სწორედ მათთვის, უკვე მეხუთე ნელინადია ფონდი სპეციალურ კონკურსებს აწყობს.

დღემდე ჩატარებული ყველა კონკურსის საერთო სახელწოდებაა „ბავშვის თვალით დანახული საზოგადოება“.

გასულ ნლებში, ALPE-მ მოაწყო არაერთი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონის საშუალო სკოლების ხუთი ათასზე მეტმა მოსწავლემ. გამარჯვეებული ნაშრომები და ესსეები ფონდის მიერ საგანგებოდ მომზადებულ კალენდრებში აისახა და ტიპოგრაფიულად დაბეჭდილ პლაკატებად გავრცელდა.

ამჯერად ნარმოდგენილი ნაშრომების სახელწოდება „ბავშვის თვალით დანახული პოლიციაა“ იყო.

გამოფენა ევროკავშირის პროექტის „პოლიციის რეფორმის სამოქალაქო მხარდაჭერის“ ფორმატში მოეწყო.

კონკურსში მონაწილეობა 2000-ზე მეტმა ბავშმამ და მოზარდმა მიიღო. საუკეთესო ნაშრომების ავტორებს სამახსოვრო სერტიფიკატები საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებმა, საქართველოს სახალხო დამცველმა, სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გადასცეს.

მაისის პოლომდე, ექსპოზიცია გორის, ბორჯომის, ახალციხისა და ფოთის საგამოფენო დარბაზებშიც გამოიფინება.

კვლევა განსჯისათვის

შემსრულებელი ორგანიზაცია: ბიზნესკონსალტინგის ჯგუფი, 2006 წლის მარტი

გამოკითხული ქალაქები	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი საერთო რაოდენობაში
თბილისი	320	32,0
ბათუმი	130	13,0
ახალქალაქი	100	10,0
მარნეული	100	10,0
გორი	80	8,0
ქუთაისი	160	16,0
ზუგდიდი	110	11,0
სულ	**1000**	**100,0**

კვლევის მონაცემებით გამოიყო:

- აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ქალაქებისათვის – თბილისის და გორისათვის ერთად;
- დასავლეთ საქართველოს ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ქალაქებისათვის – ბათუმის, ზუგდიდის და ქუთაისისათვის ერთად;
- არაქართველებით კომპაქტურად დასახლებული ქალაქებისათვის – ახალქალაქის და მარნეულისათვის ცალ-ცალკე.

თქვენი აზრით, ზოგადად, რამდენად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას პატრულის თანამშრომლების მიმართ?

2006 წლის კვლევის მონაცემები



2005 წლის კვლევის მონაცემები



რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურებს?



როგორ ფიქრობთ, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტების (ე.წ. კანონიერი ქურდების) გავლენა...



რამ გამოიწვია თქვენ მიერ დასახელებულ სტრუქტურაში კორუფციის შემცირება?



ნაფიცი მართლაჯულება

ნაფიც მსაჯულთა სისტემის ძლიერი მხარეები

მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემას ბევრი აარატკეცებს, ემპირიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ნაფიც მსაჯულებს შესწევთ უნარი, სათანადოდ აღიქვან საქმეში არსებული მტკიცებულებები, მიაკვლნენ მოსამართლის მიერ გაწეულ ინსტრუქციებს კანონთა შესახებ და გამოიტანონ არა ემოციებზე, არამედ ფაქტებსა და კანონზე დაფუძნებული ვერდიქტი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ 1966 წელს გამოქვეყნებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პროცესის მოსამართლე ყოველი ოთხი ვერდიქტიდან ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილ სამზე მეტ გადაწყვეტილებას ეთანხმებოდა. სამწუხაროდ, ბოლო ნლებში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა და ამდენად, არავის შეუძლია, დანამდვილებით თქვას, გაიზარდა თუ იკლო მოსამართლეთა ნდობამ ნაფიც მსაჯულთა მიმართ. უახლესი გამოკვლევების მიხედვით, ნაფიცი მსაჯულების უმრავლესობაა პოზიტიურად აფასებს სასამართლოში თავიანთ საქმიანობას. მათ სჯერათ, რომ ჟიურაში მყოფი მათი კოლეგებიც მართებულად მოქმედებენენ, იმისდა მიუხედავად, ეთანხმებიდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს.

მოსამართლის მიერ ჩატარებულ პროცესთან შედარებით ნაფიც მსაჯულთა სისტემას სამი განსაკუთრებული უპირატესობა აქვს. **პირველი,** სისხლის სამართლის ჟიური გამოდის ტირანიისა და ჩაგვრის ნინააღმდეგ, რადგან სახელმწიფოს არა აქვს ბრალდებულის დაპატიმრების უფლება, ეიდრე ჩვეულებრივი ადამიანებისაგან დაკომპლექტებული ნაფიცი მსაჯულთა ჟიურო არ დარნმუნდება, რომ ეს ბრალდებული ნამდვილად დანაშაგეა. **მეორეც,** ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა პროცესში ლეგიტიმურობას სძენს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რადგანაც ფართო საზოგადოება ხედავს, რომ ვერდიქტი მათ მსგავს ადამიანებს გამოაკეთა. სამართალწარმოებაში ფართო საზოგადოების ჩართულობა სასამართლო გადაწყვეტილებებს ყველასათვის მისაღებს ხდის.

მესამე უპირატესობა, რომელიც ბევრ-ერთმა კრიტიკოსმა შეიძლება სისუსტედ მიიჩნიოს, არის ის, რომ ნაფიც მსაჯულებმა შეიძლება უგულებელყოს კანონი იმისათვის, რომ გამოიტანონ მათი მრწამსის შესაბამესი ვერდიქტი. ოფიციალურად, მერილენდისა და ინდიანის შტატის ჯარდა, ნაფიც მსაჯულებს მთელ ამერიკაში ავრთხილებენ, რომ მათ უნდა იხელმძღვანელონ კანონით, მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა ამა თუ იმ კანონს. ორსაბამს ფაქტები, როცა ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ფაქტობრივი დამნაშავეები და ამით გამოხატეს თავიანთი პროტესტი არასამართლიანი კანონის, ასევე კანონის არასამართლიანი აღსრულების ნინააღმდეგ. ასეთ პრაქტიკას ანულირებას უნოდებენ.

როდესაც ნაფიცი მსაჯულები დამნაშავის გამართლების მიზნით, კანონის ანულირებას ახდენენ, ზემდგომ ინსტანციებში ფიურის გადაწყვეტილება გადასინჯვა შეუძლებელი ხდება. ამის მიზეზი კონსტიტუციის მეხუთე შესწორებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც კრძალავს მთავრობის მიერ ერთხელ გამართლებული პირის იმავე ბრალდებით ხელახლა გასამართლებას.

ისტორიაში ცნობილია არაერთი მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესი, რომელზეც ანულირება გამოიყენეს. 1670 წელს, ლონდონში ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ რამდენიმე დღე გაძლო წყლისა და საკვების გარეშე და არ ცნო დამნაშავეად კაკაური ეილიამ პენი, რომელმაც კვაკერული რელიგიის ქადაგებით დარღვია ინგლისის კანონმდებლობა. შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომამდე წრფელოვთ შტატების ნაფიცი მსაჯულები ხშირად უფლებებულოდ ნაფიც მსაჯულებს ანულირებენ. ამ ფენომენი ეწოდა ფაქტობრივ ანულირებას. ასეთ პრაქტიკას ანულირებას უნოდებენ.



ნაფიც მსაჯულთა ანულირების ეფექტი

ანულირების ნათელი მაგალითია დეტროიტში, მიჩიგანში ჩატარებული პროცესი, რომდესაც ჟიურიმ უარი თქვა, შეეფარდებინა ვეთანაზოის შესახებ მიჩიგანის კანონი ექიმ ჯექ კევორკიანისთვის.

ნაფიც მსაჯულთა სისტემის ალტერნატივები

შეერთებულ შტატებში სამმაგი იშვიათია პროცესები, რომლებიც ნაფიცი მსაჯულებმა მონანილეობით იმართება. გამოთვლილია, რომ 5%-ზე ნაკლები სისხლის სამართლის საქმეებია გადაჭრილი ნაფიცი მსაჯულების მონან�ეობით. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულთა 90 პროცენტი აღიარებს თავის დანაშაულს და უარს ამბობს საქმის სასამართლო წარმოებაზე. ზოგიერთი კი არ იყენებს თავის უფლებას, წარდგეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე და უპირატესობას ანიჭებს მოსამართლის გამოტანილ ვერდიქტს.

ნაფიც მსაჯულთა ჟიური მხოლოდ 1-2 პროცენტით გამოიყენება სამოქალაქო საქმეებში. საქმეთა უმეტესობა მორიგებით სრულდება. მაგალითად, შეერთებულ შტატებში შრომით და კომერციულ კონტრაქტების უმეტესობა შეიცავს ნორმასა, რომელიც მხარეებს ავალდებულებს, კონტრაქტის საფუძველზე წარმოშობილი დავები არბიტრაჟზე გადაწყვიტონ.

დასაფიქრებელ დემოკრატიების უმეტესობა, მათ:შორის საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები და შვეიდიი ამერიკელი ყაიდის ჟიურის ალტერნატივებს მიმართავს. ამ ქვეყნებში პროცესები ტარდება პროფესიონალი მოსამართლეების ან მოსამართლე-ნების შესახებ, ამართლებდნენ გაქცეულ მონებს, რითაც ეხმარებოდნენ მათ.

ცხადია, შესაძლებელია ანულირების გამოყენება, როგორც კეთილშობილური, ასევე არაკეთილშობილური მიზნით. მაგალითად, 1954 წელს თეთრკანიანებით დაკომპლექტებულმა მოსისიპის ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ არ გაითვალისწინა იმ მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც აშკარად ცხადყოფდნენ ბრალდებულების დანაშაულს. მმართ გამართული ორი თეთრკანიანი მამაკაცი, რომელთაც 14 წლის ემეტ ტილის მკვლელობაში ედებოდათ ბრალი.

ბოლოდროინდელმა პროცესებმა ნარმოშვა ეჭვი, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური ანულირებას კვლავ პროტესტის გამოხატვის მიზნით იყენებს. სიმფონის საქმის მსჯელობისას გაირკვა, რომ ამ საქმის გამომბეჭალი, ლოს-ანჯელესის პოლიციის დეტექტივი მარკ ფურმანი ცნობილი იყო თავისი რასისტული გამონათქვამებით. საბოლოო სიტყვაში დაცვის ადვოკატმა ჯონი კოოქმა სთხოვა ჟიურის გაემართლებინათ სიმფონი და ამით გამოეხატათ პროტესტი რასიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სიმფონი უდანაშაულოდ ცნეს, ცალკეულმა მსაჯულმა განაცხადეს, რომ ეს ვერდიქტი ანულირებას არ წარმოადგენდა.

ანულირების ნათელი მაგალითია დეტროიტში, მიჩიგანში ჩატარებული პროცესი, რომდესაც ჟიურიმ უარი თქვა, შეეფარდებინა ვეთანაზოის შესახებ მიჩიგანის კანონი ექიმ ჯექ კევორკიანისთვის.

ნაფიც მსაჯულთა სისტემის ალტერნატივები

შეერთებულ შტატებში სამმაგი იშვიათია პროცესები, რომლებიც ნაფიცი მსაჯულებმა მონანილეობით იმართება. გამოთვლილია, რომ 90 პროცენტი ნაფიცი მსაჯულების მონანილეობით. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულთა 90 პროცენტი აღიარებს თავის დანაშაულს და უარს ამბობს საქმის სასამართლო წარმოებაზე. ზოგიერთი კი არ იყენებს თავის უფლებას, წარდგეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე და უპირატესობას ანიჭებს მოსამართლის გამოტანილ ვერდიქტს.

ნაფიც მსაჯულთა ჟიური მხოლოდ 1-2 პროცენტით გამოიყენება სამოქალაქო საქმეებში. საქმეთა უმეტესობა მორიგებით სრულდება. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ხშირად ან კომერციულ კონტრაქტებში უმეტესობა შეიცავს ნორმასა, რომელიც მხარეებს ავალდებულებს, კონტრაქტის საფუძველზე წარმოშობილი დავები არბიტრაჟზე გადაწყვიტონ.

დასაფიქრებელ დემოკრატიების უმეტესობა, მათ:შორის საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები და შვეიდიი ამერიკელი ყაიდის ჟიურის ალტერნატივებს მიმართავს. ამ ქვეყნებში პროცესები ტარდება პროფესიონალი მოსამართლეების ან მოსამართლე-

ბავშვის თვალით დანახული პოლიცია

რუსუდან ინასარიძე,
ახალციხის რაიონის სოფ. ანდრიაწმინდის საშუალო სკოლა, IV კლასი

მარიამ პოშნახოვი,
ბორჯომის რაიონის ლიკანის საბაზო სკოლა, VI კლასი

კახა აბულაძე,
ხულოს რაიონის ალ. ქონიაძის
საშუალო სკოლა, $XI^{ა}$ კლასი



ლუკა ძოიავა,
ფოთის N3 საშუალო სკოლა, III^{2} კლასი

მარო გინოვიანი, რუსთავის N41 ბაგა-ბაღი, 4 წლის

ხატია სამსონაშვილი, ბორჯომის N1 საშუალო სკოლა, V კლასი

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ფონდი ALPE
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔᲡ...

გერმანელმა სათამაშოების მწარმოებლებმა დიდი ბრიტანეთის დედოფალს 80 წლის იუბილე ხავერდის „სამეფო“ დათუნიებით მიულოცეს. კოლექციაში 38 სმ სიმაღლის დათუნია-დედოფალი, ძვირფასი ხავერდის ტანსაცმლითა და სამეფო რეგალიებითაა შემკული. აქვე ნახავთ ლონდონის ტაუერის ლაიბ-გვარდიელის ფორმაში გამოწყობილ დათუჩასაც.

სადედოფლო საჩუქარი მოთავსებულია ხავერდის ყუთში. სათამაშოების ფასი 300 დოლარია.

„სამეფო“ სათამაშოების ნიმუშად გამოყენებულია დედოფალ ვიქტორიას დროინდელი ხავერდის დათუნიები. მწარმოებლებს ამით სურდათ, ელისაბედ II-ისთვის ბავშვობა გაეხსენებინათ.

იტოგი

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ

79 წლის ავსტრალიელმა მოხუცმა ქალმა ლატარიის ბილეთი იყიდა. ციფრების აღნიშვნისას მოხუცმა ორ რიგში ერთი და იგივე კომბინაცია გაიმეორა. სწორედ „მცდარმა“ კომბინაციამ მოიგო გაორმაგებული მთავარი პრიზი — 2,3 მლნ ავსტრალიური დოლარი. გამარჯვებული დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში უზენაესის ძალა ურევია. ქალს გადაწყვეტილი აქვს, მოგებული თანხით ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ იმოგზაუროს. თანხის მოგებამდე კი ოცნებაც არ შეეძლო ასეთ სიამოვნებაზე.

ოჯი

ᲛᲝᲮᲢᲣᲜᲐᲕᲔ ᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘ

ავსტრალიელმა პალეონტოლოგებმა ერთ-ერთ ქვის სამტეხლოში აღმოაჩინეს უძველესი, დღემდე უცნობი ცხოველის ძვლები. მისი შესწავლისა და რეკონსტრუქციის შემდეგ დაადგინეს, რომ ეს იყო გიგანტური კენგურუ, რომელიც დაახლოებით ორ ტონას იწონიდა, ის ალბათ, სწრაფად დახტოდა და დინოზავრებსაც კი შიშის ზარს სცემდა. კენგურუს ყბების აგებულებით მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ეს მოხტუნავე მონსტრი თანამოძმეებსაც მშვენივრად „აკანატუნებდა“.

ოკნა

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲜᲔᲠᲒᲔᲡ

84 წლის რობერტ ოლტმანს 37 ფილმი აქვს გადაღებული. ყველა მათგანს მშვენივრად იცნობენ კინომოყვარულები. ცოტა ხნის წინ რეჟისორი დააჯილდოეს ორდენით „პატიოსნებისა და ღირსებისთვის“. მადლობის სათქმელად სცენაზე გამოსულმა ოლტმანმა გულახდილად აღიარა:
— დადგა დრო, სიმართლე მოგახსენოთ. 11 წლის წინ 30 წლის ქალის გული გადამინერგეს. ამგვარად, წინ სულ ცოტა, 40 წლის სიცოცხლე მაქვს. ამ ამბავს აქამდე იმიტომ ვმალავდი, რომ კინობიზნესში ადგილი არ დამეკარგა. რობერტ ოლტმანი მართლაც ყოჩაღად არის. ყოველ წელიწადს თითო ფილმს იღებს. ამ ზაფხულს კი ლონდონის სამეფო თეატრში სპექტაკლის დადგმას აპირებს. ეს იქნება მისი დებიუტი სცენაზე.

თაიმი

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲔᲑᲘ

რამდენიმე ხნის წინ, აშშ-ში შეადგინეს მსოფლიო ისტორიაში ცნობილი ყველაზე საზრიანი თაღლითების რეიტინგი. აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით მარჯვენი ყოფილან არა რეციდივისტები და კრიმინალური ელემენტები, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები.

საპატიო პირველი ადგილი დაიკავა *ვიქტორ ლუსტიგმა* (1890-1947), ადამიანმა, რომელმაც მოახერხა გაეყიდა... ეიფელის კოშკი. მან გაზეთებიდან შეიტყო, რომ განზრახული იყო კოშკის შეკეთება. სასწრაფოდ დაამზადა ყალბი საბუთი — მინდობილობა საფრანგეთის მთავრობის სახელით, რომელიც მას „ავალებდა“ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. ამ საბუთით ხელში ლუსტიგი რამდენიმე ბიზნესმენს მიადგა და განუცხადა, — მთავრობამ გადაწყვიტა კოშკის დემონტაჟი და აუქციონზე გაყიდვა, ოღონდ ეს ამბავი არ გაახმაუროთ, რათა საზოგადოება არ აღშფოთდესო... ასე გაყიდა ეიფელის კოშკი და მიღებული დიდი თანხაც მშვიდად ჩაიჯიბა.

ფრენკ აზეგნელი (1946-2000). სხვათა შორის, ამ თაღლითზე გადაიღეს ფილმი, „დამიჭირე, თუკი შეძლებ“, სადაც მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო თამაშობს. ამ მარჯვე თაღლითმა ყალბი ჩეკებით ბანკებიდან გამოტანილი ფულით 5 მილიონი დოლარი დააგროვა. ბევრისთვის ფრენკი სანიმუშო მოქალაქე იყო — საკუთარი ხელით დამზადებული ჰარვარდის უნივერსიტეტის ყალბი დიპლომით კარგა ხანს მუშაობდა ლუიზიანის შტატის გენერალური პროკურორის ოფისში.

დევიდ ჰემპტონი (1964-2000), აფროამერიკული წარმოშობის თაღლითი თავს ცნობილი ჰოლივუდელი შავკანიანი მსახიობისა და რეჟისორის, სიდნეი პუატიეს შვილად ასაღებდა. იგი ყველას დევიდ პუატიედ ეცნობოდა, რათა რესტორნებში უფასოდ ესადილა. როცა მიხვდა, მისი სჯეროდათ და თამამად შეეძლო ადამიანების გაცურება, უკვე იმაზე დაიწყო ლაპარაკი, როგორ უჭირდა ცხოვრება. ამ სიცრუით პუატიემ ბევრ ცნობილ ადამიანს დასცინცლა ფული, მათ შორის მელანი გრიფიტსა და კელვენ კლაინსაც.

დენგი

ᲙᲝᲤᲘ ᲐᲜᲐᲜᲘ — ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘ



მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთმა გავლენიანმა პიროვნებამ კოფი ანანმა კარგად იცის, რა გზას დაადგება პენსიაზე გასვლის შემდეგ. მას გაეროს მდივნად ყოფნის ვადა 2006 წლის 31 დეკემბერს ეწურება. აპირებს, სამუდამოდ ჩამოშორდეს პოლიტიკას და მშობლიურ განაში დასახლდეს. შორსმჭვრეტელმა ანანმა ქვეყნის სამხრეთში უკვე შეიძინა მოზრდილი ფერმა — იგი დარწმუნებულია, რომ შეძლებს დაეხმაროს თავისი ქვეყნის სოფლის მეურნეობას, ხოლო მისი მეუღლე „შავი კონტინენტის“ ქალების უფლებების დასაცავად და სწავლის პირობების გასაუმჯობესებლად იბრძოლებს.

კოფი ანანის ამ გადაწყვეტილებას სკეპტიკურად უყურებენ. „იგი ყოველთვის გამოუსწორებელი რომანტიკოსი იყო, არა მგონია, სერიოზულად დაინტერესდეს მიწათმოქმედებით, — ამბობს ანანის ერთ-ერთი თანამოაზრე, — კეთილი პენსიონერ-პლანტატორის როლი მას ნამდვილად არ შეეფერება“. გაეროში კი ხმა დაირხა, რომ მათი შეფი ძალიან მალე განის პრეზიდენტი გახდება.

მონდი

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲥᲣᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘᲗ

ჰოლანდიაში, ამსტერდამის ცენტრში, იმ ქუჩაზე, სადაც ფეშენებელური მაღაზიებია ჩარიგებული, უჩვეულო შეჯიბრება გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ქალები... მხოლოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით — ქუსლის სიმაღლე 10 სმ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ასობით მოქალაქე შეიყარა სანახაობით თავის შესაქცევად. მორბენალი ქალები ცდილობდნენ წონასწორობის შენარჩუნებას. გამარჯვებულებმა პრიზები — 10-10 ათასი ევრო მიიღეს.

ჯენტი

„ᲨᲝᲠᲡ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ...“



ჰოლივუდის სექსსიმბოლოს ჯორჯ კლუნის 6 მაისს 45 წელი უსრულდება, მაგრამ ისევ ბერბიჭა გახლავთ. ამის მიზეზი ნაძლევი ყოფილა. 1992 წელს ჯორჯმა 10.000 დოლარზე სანაძლეო დადო ნიკოლ კიდმანთან და მიშელ პფაიფერთან, რომ 40 წლამდე არც ცოლს შეირთავდა და არც შვილს გააჩენდა. 2001 წლის 6 მაისს ჯორჯმა გაორმაგებული ფსონი შესთავაზა წაგებულებს — 50 წლამდე დავრჩები ბერბიჭადო. ქალები დათანხმდნენ. ამბობენ, მარტო ნაძლევის ბრალი არ არის კლუნის მარტოხელობა, ახალგაზრდობაში ცოლყოფილმა ტალია ბალზამოტიმ, ქალის სახსენებელი შეაჯავრა და ხელმეორედ დაქორწინების სურვილი დაუკარგაო.

მირორი

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ

არგენტინელ ისაბელ არტორიუსს განზრახული აქვს, ესპანეთის ტახტის მემკვიდრეს ოჯახი დაუნგრიოს. პრინც ფელიპეს ყოფილმა საყვარელმა, 40 წლის პატივმოყვარე ქალმა განაცხადა, რომ პრინცმა ლეტისია ორტისი ცოლად მეფე-დედოფლის დაჟინებული თხოვნით შეირთო და არა სიყვარულით. სინამდვილეში მისი გული დღემდე მე მეკუთვნისო. არავინ იცის, ამით რისი მიღწევა სურს მარკიზ დე მარინოს ასულს. 24 წლის ისაბელმა და 21 წლის ფელიპემ ერთმანეთი 1989 წელს მადრიდში გაიცნეს. ლამაზმა ქალიშვილმა მაშინვე მიიქცია მშვენიერი პრინცის ყურადღება, არც პაპარაცების ობიექტივს მორიდებიან. რომანი 3 წელს გაგრძელდა. ისაბელი მოუთმენლად ელოდა პრინცისგან ხელის თხოვნას, მაგრამ თავქარიანი ფელიპე სულაც არ აპირებდა ერთი ქალის ერთგულებას. ზედიზედ იცვლიდა პრინცესებს, მოდელებს, მსახიობებს, მაგრამ მშობლებისთვის არც ერთი არ გაუცნია. 2004 წელს კი ცოლად შეირთო ჟურნალისტი ლეტისია ორტისი. ისაბელი ამან ძალზე აღაშფოთა და მზაკვრული გეგმა დაისახა — დაუნგრიოს ფელიპეს ოჯახი.

ნიუს რუ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲘᲠᲛᲝ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გია თორთლაძის სიტყვებს ამოიკითხავთ.

ბ ა ე რ თ ე დ ა დ ა ი ს ვ ე ნ ე ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ

ე ლ ი უ დ ქ ნ ჯ უ ნ ს ი ი ი ა ო ა ა დ ი ი ი თ ო ნ

ბ. თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი; **ა.** ყველაზე გრძელი ჩანჩქერი მსოფლიოში; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **თ.** აკაკი წერეთლის ტიტული; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **დ.** ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; **ა.** ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული; **ა.** ცელქი, მოუსვენარი; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ვ.** ბანქოს თამაშის დროს მთელი ბანკის მოთხოვნა; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ნ.** წიწვოვანი ხე; **ე.** სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ჩ.** ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი მუსლიმანურ ქვეყნებში, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ნ.** სხვადასხვა საქონლის დაწესებული ფასები. ტარიფი; **ე.** განსწავლული ადამიანი; **რ.** კამეჩის ან ხარის ტყავისგან დამზადებული დიდი ტიკი; **თ.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ა.** ვაზის მოკლედ აჭრილი ნყვილმტევნიანი რქა; **დ.** სამეცნიერო ხარისხი.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

კ. კაბარე; **ვ.** ვრუბელი; **ი.** იუნგა; **რ.** რეესტრი; **ი.** იუბილე; **ს.** სკალპი; **პ.** პუშკინი; **ა.** აკიმი; **ლ.** ლიახვი; **ი.** იორდანე; **ტ.** ტრასა; **რ.** რური; **ა.** აქსიომა; **პ.** პლეადა; **რ.** რებეკა; **ე.** ეზოპე; **ს.** სიბილა; **ი.** იქსი; **ს.** საუნა; **ლ.** ლაშა; **ი.** იანძი; **დ.** დიონისე; **ე.** ესქილე; **რ.** რეალი; **ი.** იალბუზი; **ა.** ალიონი.

ᲒᲐᲛᲣᲥᲔᲑᲣᲚ ᲣᲯᲠᲔᲑᲨᲘ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲣᲨᲜᲝ ᲥᲐᲚᲘ.

თქვენთვის, ბატონებო!

დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს

ბატონმა ოთარმა ის გაუნელებელი სადარდელი გამიმხილა, უბედურებამ რომ დაუტოვა და ერთიანად შეცვალა მისი ცხოვრება:

— ეს ამბავი 1985 წელს მოხდა, სანზონაში. მაშინ გიო 21 წლის იყო... თუმცა, ყველაფერს თავიდან გიამბობთ, — მე და ჩემს ცოლს 6 წელი შვილი არ გვყავდა. ლიანას უკვე იმედი ჰქონდა გადაწურული. თავს იდანაშაულებდა, — მე ვარ უშვილო, ამიტომ სხვასთან შექმენი ოჯახიო. ისე მიყვარდა, მის გარეშე ერთი დღეც ვერ ვიცოცხლებდი. ერთ დღეს, ცოლი გახარებული დამიხვდა — ექიმმა მითხრა, ორსულად ხარო. ისეთი ბედნიერები ვიყავით, ენით არ გამოითქმის. მალე გიორგიც გაჩნდა, ნანატრი შვილი. ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, კარგად სწავლობდა. მეათე კლასში ყველაფერზე გული აიცრუა — თავისი პარალელურკლასელი გოგონა (მის სახელს შევცვლი — ის ახლა ქმარშვილიანია) შეუყვარდა. ლიანამ შვილს შეატყო ცვლილება, მასწავლებლებმაც უთხრეს, გვენანება, წიგნს ხელს აღარ ჰკიდებსო. დედამ შვილს ტაქტიანად უსაყვედურა: სხვებისგან რატომ უნდა გამეგო შენი სიყვარულის ამბავი, თანაც იმ გოგოსი არ გრცხვენია, ოროსანი რომ გამხდარხარო? ამ სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა გიოზე. ცოტა ხანში თეა გაგვაცნო, სკოლაც კარგად დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში, გეოლოგიურზე.

ერთხელ, გიოს ბავშვობის მეგობარმა, მამუკამ, გიოსგან ფარულად მითხრა: ძია ოთარ, თეა ერთ ბიჭსაც უყვარს, საქმის გასარჩევად თავის საძმოსთან ერთად დახვედრას აპირებენ უნივერსიტეტთან. ჩვენ კი მის გვერდით ვართ, მაგრამ ისეთები არიან, ყველაფერზე წავლენო. მამუკას კარგად ვიცნობდი, არაფრით გაამხელდა გიორგის „საიდუმლოს“, მაგრამ ეტყობა, მართლა დაიძაბა ურთიერთობა. საქმეში ჩემი მეგობარი ჩავრიე. მანაც გაიკითხ-გამოიკითხა და ილოს (ჩემი შვილის მეტოქის) მამასთან საერთო ნაცნობი გამონახა. მერე კი დამამშვიდა, ნუ ნერვიულობ, ანი გიოს აღარ შეაწუხებენო. მე და ლიანამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. თეა ძალიან მოსიყვარულე, თბილი და კარგი აღზრდილი იყო. გიოს ვუთხარი კიდეც, უნივერსიტეტის დამთავრებას ნუღარ დაუცდი, თუ გინდა, მოიყვანე ცოლად-მეთქი. არაო, — მიპასუხა, — რაღა დარჩა დამთავრებამდე, ბარემ სამსახურს დავიწყებ და მერე შევირთავო.

გიორგი იმ წელს სახელმწიფო გამოცდებისთვის ემზადებოდა. 7 ივნისს დაბადების დღე ჰქონდა. მისი მეგობრები მოვიდნენ. რაღა თქმა უნდა, თეაც იყო. 11 საათი ხდებოდა, გოგონას შინიდან დაურეკეს — ძალიან ნუ დაიგვიანებო. გიორგიმ მისი გაცილება გადაწყვიტა. მართალი გითხრათ, რაღაც ცუდს მეუბნებოდა გული, მაგრამ შვილს ხომ არ ვეტყოდი, საცოლე ტაქსით გაუშვი-მეთქი. გიომ, თითქოს ჩემი ფიქრები გამოიცნოო, თქვა: თეას ტაქსით მივიყვან შინ და დავბრუნდებიო. უკან მობრუნებულს სადარბაზოსთან ილო და მისი ოთხი ძმაკაცი დახვდა...

მეზობელმა ამოგვაკითხა — გიო გდია დაბლა გასისხლიანებულიო. ჩემი შვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

— *მკვლელი არ დააპატიმრეს?*

— იმ ჯგუფიდან მხოლოდ ორი დააკავეს. ილო და დანარჩენები ორწელიწად-ნახევარი იმალებოდნენ. ზღაპარია იმის მტკიცება, რომ ვერ პოულობდნენ. ფულიანი მამების შვილები იყვნენ და საკმაოდ ბევრი დახარჯეს იმისათვის, რომ მხოლოდ იმ ორს აეღო თავზე დანაშაული. არადა მეზობლებმა დაინახეს, რომ თავდამსხმელები ხუთნი იყვნენ.

...სასამართლო პროცესზე ერთ-ერთის ადვოკატმა ისეთი უაზრობა მკითხა, კინაღამ ვცემე — ტყუილუბრალოდ რატომ ითხოვთ იმ სამის დაპატიმრებას, ყველა ხომ მკვლელი არ იქნებოდაო. გამაგებინეთ, რა მნიშვნელობა აქვს, დანა ვის ეჭირა ხელში ან ვინ იყო წამქეზებელი, ან თუნდაც მაყურებელი. ჩემთვის, შვილმკვდარი მამისთვის, ყველა ერთნაირად დამნაშავეა. ლიანა შვილის დარდს გადაჰყვა — ორი წლის მერე გარდაიცვალა. მე მაინც არ ვჩერდებოდი. იმდენად გაიწყვიტეს შუბლზე ძარღვი, რომ გაჩუმების სანაცვლოდ ფული შემომთავაზეს. „მოლაპარაკებას“ (შინ მომადგნენ) ჩემი მეგობარი და ძმა დავასწარი. მოწმეებისაც არ მოერიდათ, იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერაფერს დავაკლებდი...

ის სამი გაქცეული როსტოვში აიყვანეს. თუმცა სამ წელიწადში გაათავისუფლეს. მე მაინც ვერ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ მკვლელები უდარდელად აგრძელებდნენ ცხოვრებას. შენ რა შეგემატება, ისინი რომ ციხეში ამოლპნენო, — მკითხა ვიღაცამ ტელეფონში. ნუთუ ძნელი მისახვედრია, კონფლიქტი, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა და დასრულდა მკვლელობით, დაუსჯელი რომ არ უნდა დარჩეს?

— *მერე რა მოხდა, როცა ისინი გათავისუფლდნენ?*

— ილო და მისი ერთ-ერთი მეგობარი „საძმოთა“ გარჩევების დროს დაცხრილეს 1994 წელს, მესამე ავტოავარიაში მოყვა, მართალია, გადარჩა, მაგრამ დაინვალიდდა.

— *ის ორი, თავიდანვე რომ დააპატიმრეს?*

— ოთხი წლის მერე გაათავისუფლეს. მათი ბედით აღარ დავინტერესებულვარ.

— *თეა?*

— თეა ხშირად დადიოდა ჩვენთან. ლიანა რომ გარდაიცვალა, მერეც მსტუმრობდა. როცა ძალიან მიჭირდა, გვერდიდან არ მომცილებია. გული გამინათდებოდა, მას რომ დავინახავდი. ერთხელ, თეას დედამ დამირეკა და მთხოვა: თქვენი დიდი ხათრი აქვს და უარს არ გეტყვით. ძალიან კარგი საქმრო გამოუჩნდა, თეას კი არაფრის გაგონება არ უნდა. კარგი იყო, გიო გამხდარიყო ჩემი სიძე, მაგრამ რადგან განგებამ სხვანაირად ინდომა, იქნებ, ურჩიოთ, ხელი არ ჰკრას იმ კაცსო. ჩემთან მოსულ თეას შევაპარე კითხვა, რამე მნიშვნელოვანი ხომ არ ხდება შენს ცხოვრებაში-მეთქი. შეკრთა, მერე აღარ დამიმალა. ვურჩიე: გიოს ისე უყვარდი, შენი ბედნიერებით იმ ქვეყნად გაიხარებს-მეთქი. ერთი სიტყვით, თეამ დამიჯერა. გიოს სიკვდილიდან 8 წლის მერე გათხოვდა. ახლა შვილები ჰყავს, ქმარიც კარგი ვაჟკაცია და მე ეს გულით მიხარია, თუმცა დასანანია, რომ ველარ ვნახულობ. მე ის ყოველთვის შვილივით მიყვარდა. ახლა ჩემს დისშვილთან ვცხოვრობ. მარტო აღარ დამტოვეს, ორჯერ გადავიტანე ინფარქტი...

ეს ამბავი კი იმიტომ გიამბეთ, რომ ბოლო დროს გახშირდა მცირეწლოვანთა და ახალგაზრდების მკვლელობა, რაც ძალიან მაშფოთებს. არანაირი დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, თორემ ერთ უბედურებას მეორე მოჰყვება...

ჩვენ გვწერენ

ასე არასოდეს გამჭირვებია

როგორც იქნა, მოვუყარე სათქმელს თავი და ჩემს გულისტკივილს გიზიარებთ.

მამაჩემმა სამხედრო სამსახური ქალაქ გლაზოვში გაიარა. იქ გაიცნო ეროვნებით უდმურტი ქალი, შეუყვარდა და დაქორწინდა კიდეც. იქ ვართ ორივე ძმა (მე უმცროსი ვარ) დაბადებული. შემდეგ მამა ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდა მშობლიურ სოფელში, ვარხანში (ადიგენის რაიონი). მაშინ სხვა ეროვნების ადამიანზე დაქორწინებას მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებდნენ. ასე მოხდა ჩვენთანაც. ბებია-ბაბუას უცხო ტომის რძალთან ხშირად ჰქონდა უსიამოვნება. ერთი წლის შემდეგ მამა ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ოჯახში კიდევ უფრო გამწვავდა ვითარება. დედაჩემი იძულებული გახდა, ოჯახიდან წასულიყო. თან უფროსი შვილი წაიყვანა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ იგი მალევე გათხოვილა. მე მამის მშობლები მზრდიდნენ. მათგან ვიცოდი, რომ დედა მამასთან ერთად დაიღუპა. ძალიან გვიან, სამხედრო სამსახურში წასვლის წინ შევიტყვე დედაჩემის და ძმის არსებობის შესახებ. მათი ასავალ-დასავალი გამოვიკვლიე და ვინახულე კიდეც, ორი ნახევარძმაც გავიცანი. მათგან ისეთი სითბო ვერ ვიგრძენი, როგორსაც ველოდი და შინ გულდაწყვეტილი დავბრუნდი. ახლა მეც მყავს შვილები და შვილიშვილები. მართალია, უზრუნველად ვერ ვაცხოვრე ცოლშვილი, მაგრამ მათთვის სითბო და სიყვარული არ დამიკლია.

ჩემს წარსულზე იმიტომ გიამბეთ, რომ მინდა ახლანდელი სატკივარი შემოგჩივლოთ. ხომ ამდენი სიმწარე გამოვიარე, ახლა რომ მიჭირს, ასე არასოდეს გამჭირვებია. საქმეს ვერაფრით ვშველი და დარდი მახრჩობს.

მაქვს ხის სახლი, სადაც გავიზარდე და გავზარდე 5 შვილი, 4 გოგონა და 1 ბიჭი. ჩემი უფროსი ქალიშვილი სოფელ უწნაში გათხოვდა. დღიდან გათხოვებისა, უმძიმეს პირობებში იყო. 4 წლის განმავლობაში ხან წამოვიდოდა ქმრის ოჯახიდან, ხან შეურიგდებოდა. ბოლოს კი გაშორდა. ჰყავს 3 წლის გოგონა და წლინახევრის ბიჭი. ქმარმა შვილები არ გამოატანა, ასე უთხრა, სადაც გინდა წადი და მიჩივლეო. სამი თვეა ჯოჯოხეთური ცხოვრება გვაქვს. ნერვები აღარ გვივარგა. ვთხოვეთ ადგილობრივ პოლიციას, დაგვხმარებოდა. გვიპასუხეს, — ოჯახური კონფლიქტი ჩვენ არ გვეხებაო. მაინცდამაინც მკვლელობა უნდა მოხდეს, რომ ყურადღება მოგვაქციონ? ჩემი სიძე, ვანო ჭ. და მისი მოხუცებული მამა უფრო მიხედავენ მცირეწლოვან ბავშვებს, თუ დედა, რომელსაც ოჯახში ამდენი დამხმარე ჰყავს? ჩემს სიძეს რომ აუჩემებია, — ბავშვების გასაზრდელი პირობები არა აქვთო, ხუთი საღ-სალამათი შვილი გავზარდე და შვილიშვილებს რაღა დაემართებათ?

სასამართლომ ბავშვები დედას მიაკუთვნა. მამა გააფთრებული „იცავს“ შვილებს ღვიძლი დედისგან. იქნებ, გვირჩიოთ რამე, ვის მივმართოთ, სად მოვძებნოთ სამართალი? სასამართლოში გვითხრეს, რომ მამაშვილს (ე.ი. სიძეს და მის მამას) განაჩენი გაუსაჩივრებიათ... არ ვიცი, როდემდე გაუძლებს ჩემი შვილი ამ ამბავს. ისიც არ ვიცი, როდემდე გაგვიძლებს ნერვები. ჩვენთვის არც ძილია და არც მოსვენება, გვიშველეთ რამე!

პატივისცემით — მიშა გორგოძე

რედაქციისგან: დედის გარეშე ყოფნა და კონფლიქტური, დაძაბული ურთიერთობა ბავშვების ფსიქიკას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, ამიტომ თქვენს ოჯახში შექმნილი ვითარება უნდა შეიცვალოს. თუკი სასამართლომ დედას მიაკუთვნა შვილები და მამა მაინც უარზეა ცოლს დაუბრუნოს ისინი, ერთადერთი გამოსავალი გრჩებათ — მიაკითხეთ სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვეთ განჩინების სისრულეში მოყვანა.

„ღორის ბიზნესი“ — თელასის სასარგებლოდ

ეს ამბავი მე გადამხდა და, მიუხედავად დანაკარგისა, მაინც სასაცილოდ მეჩვენება.

უმუშევარი რომ დავრჩი, დღედაღამ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მეშოვა ლუკმაპურის ფული. იმ ხანებში ჩემმა მეზობელმა 50 ლარად დენის მოსაპარი მოწყობილობა დაამონტაჟა სახლში. ცოლი შემომიჩნდა, — ეს მაინც გააკეთე, თორემ ზამთარი მოდის და დავიყინებითო. არ მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და გავრისკე...

ამასობაში, უმუშევარმა მეგობარმა შემომთავაზა: — მოდი, „ღორის ბიზნესი“ წამოვიწყოთ. ვიყიდოთ გოჭები, გავზარდოთ, დავკლათ, გავყიდოთ და კარგი ფული დაგვრჩებაო. სიხარულით დავთანხმდი. მეგობარს ეზოიანი სახლი აქვს. სახელდახელოდ გავაკეთეთ სალორე, ვიყიდეთ კარგი ჯიშის ორი გოჭი და შევუდექით საქმეს. გოჭებისთვის სასადილოებიდან მოგვქონდა ნარჩენები, ქატოსაც ვურევდით და ასე ვკვებავდით გაჭირვებისგან თავდასაღწევ ჩვენს „ხილულ იმედს“. წელიწად-ნახევარი თავს არ ვზოგავდით. ჩვენი ღორები უზომოდ გასუქდნენ, თითო 150 კგ-ზე მეტს იწონიდა. ცოცხალს უფრო ნაკლებად ჩაიბარებდნენ, ამიტომ დავკალით და ყასბებს ჩავაბარეთ. თავ-ფეხი, ჯიგარი და მუცლის ქონი — ჩვენთვის დავიტოვეთ. ყასბებმა 225-225 ლარი ჩაგვითვალეს და გახარებული შინ წამოვედით. კარში ფეხი არ მქონდა შედგმული, რომ ოჯახობამ სიტყვა შემაგება: თელასში სასწრაფოდ გიბარებენო. გულს შემომეყარა, გამახსენდა, დენს რომ ვიპარავდი — აკი ისე დავაყენებ, რომ ეშმაკიც ვერ მიხვდებაო, მაგრამ რაღას ვიზამდი? წავედი. თელასის ინსპექტორმა მისვლის უმალ პირში მომახალა: თურმე დენს იპარავდი, ამიტომაც ჯარიმა უნდა გადაიხადო, თუ არადა, არ გეღირსებათ შუქიო. ხმაგაბზარულმა ვკითხე, — მაინც რამდენია-მეთქი. 200 ლარიო. ისეთი სიცილი ამივარდა, ლამის ჩავბჟირდი. ყველამ საქმეს თავი მიანება და მომაჩერდა — ხომ არ გაგიჟდაო. ბოლოს, სული რომ მოვითქვი, ამოვღერღე: — გამოდის, რომ წელიწად-ნახევარი თქვენთვის მიშრომია-მეთქი. როგორო, — გაუკვირდათ. როგორ და, სიქა გაგვძვრა მე და ჩემს მეგობარს ორი ღორის მოვლით. 225 ლარი ავიღეთ თითოომ. ახლა თქვენთან გადავიხდი ამ ჯარიმას და „ღორის ბიზნესიც“ დასრულებული იქნება-მეთქი.



ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩავუთვალე 200 ლარი და წამოვედი ყურებჩამოყრილი შინ. „ღორის ბიზნესიდან“ ღორის თავ-ფეხი და 25 ლარიღა დამრჩა.

მას შემდეგ ხელი არ მომიკიდია არანაირი ბიზნესისთვის... აღარც დენისთვის.

ჯონი, თქვენი ერთგული მკითხველი

ფერდაშლა
ნებისმიერი კომპიუტერული და პოლიგრაფიული მომსახურება
გამომცემლობა „კოლორი“
გალაკტიონ ტაბიძის № 12 (მერიის უკან)
ტელ: 98 22 78; (893) 61 72 23

რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61

ორშაბათი 1 მაისი

7.55 „ალე“ 10.00 ლ/ფ „მეგობრული“ (BBC) 11.00 „რეკეტი“ 12.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 12.20 მულტსერიალი „სპირიტ“ 12.45 მულტსერიალი „რაინდები“ 13.00 „ჯარშოუ“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 15.20 [illegible]

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.25 „ქრონიკა“ 07.15 [illegible]

[illegible]

11.00 [illegible] 12.45 [illegible] 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „საუნდი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 21.00 გადაცემა „პრესრინგი“ 23.00 [illegible] 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 მ/ფ [illegible] (U).

06.00, 10.00, 12.00 Новости 06.10 Нарисованное кино. “Король и птица” 07.30 Х/ф “Стежки-дорожки” 08.50 “Играй, гармонь любимая!” 10.10 Х/ф “Лесная царевна” 12.10 Х/ф “Калина красная” 14.20 “Фестиваль юмора” 16.20 Х/ф “Джордж из джунглей” 18.00 Вечерние Новости 18.10 “Золотой граммофон” (S) 21.00 “Время” 21.20 Х/ф “Убойная парочка: Старски и Хатч” 23.10 Х/ф “Команданте” 01.00 Бокс. Шейн Мосли - Фернандо Варгас 02.00 Х/ф “Большие маневры” 03.40 Т/с “Битва за галактику”.

სამშაბათი 2 მაისი

7.55 „ალე“ 10.00 სერიალი [illegible] 11.00 [illegible] 12.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 12.20 მულტსერიალი „სპირიტ“ 12.45 მულტსერიალი [illegible] 13.00 „ჯარშოუ“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 15.20 [illegible]

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.55 „ქრონიკა“ 07.15 [illegible]

[illegible]

[illegible] 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „საუნდი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 21.00 გადაცემა „პრესრინგი“ 22.00 მ/ფ [illegible] (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 Style Tv.

05.00, 09.00, 12.00, 15.00, 03.00 Новости 05.05 “Первая программа” 06.00 “Доброе утро” 09.10 Т/с “Убойная сила” 10.20 “Детективы” 10.50 “Малахов + Малахов” 12.20 Т/с “Веревка из песка” 13.30 Х/ф “Охота на Единорога” 15.10 “Лолита. Без комплексов” 16.00 Т/с “Талисман” 17.00 “Федеральный судья” 18.00 Вечерние Новости 18.10 “Личная жизнь Мэри Поппинс” 18.40 Т/с “Любовь как любовь” 19.50 Жди меня 21.00 “Время” 21.30 Т/с “Под ливнем пуль” 22.30 “Продавцы чудес” 23.40 Ночные новости 00.00 “Дети на заказ” 00.50 “Гении и злодеи”. “Марк Твен. Атакующий ангел” 01.20 Х/ф “Сновидения” 02.50 Х/ф “11:14” 03.05 Х/ф “11:14” 04.10 “Нейпир - город потерянного времени”.

ოთხშაბათი 3 მაისი

7.55 „ალე“ 10.00 სერიალი [illegible] 11.00 [illegible] 12.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 12.20 მულტსერიალი „სპირიტ“ 12.45 მულტსერიალი [illegible] 13.00 „ჯარშოუ“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 15.20 [illegible]

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.55 „ქრონიკა“ 07.15 [illegible]

[illegible]

11.00 სტუდია „საუნდი“ 12.45 მ/ფ [illegible] 15.00 [illegible] 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „საუნდი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.00 [illegible] 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 მ/ფ [illegible] (12).

05.00, 09.00, 12.00, 15.00, 03.00 Новости 05.05 “Первая программа” 06.00 “Доброе утро” 09.10 Т/с “Убойная сила” 10.20 “Детективы” 10.50 “Малахов + Малахов” 12.20 Т/с “Веревка из песка” 13.30 “По следам Микки Мауса” 13.50 Т/с “Под ливнем пуль” 15.10 “Лолита. Без комплексов” 16.00 Т/с “Талисман” 17.00 “Федеральный судья” 18.00 Вечерние Новости 18.10 Криминальная Россия. “Весенний марафон”. 1 с. 18.50 Т/с “Любовь как любовь” 20.00 “Пусть говорят” 21.00 “Время” 21.30 Т/с “Под ливнем пуль” 22.30 Д/ф “Живые игрушки для взрослых” 23.40 Ночные новости 00.00 “2030”. Программа Александра Гордона 01.10 Х/ф “Мертвые пледов не носят” 02.50 Х/ф “Бродяга” 03.05 Х/ф “Бродяга”.

ხუთშაბათი 4 მაისი

7.55 „ალე“ 10.00 სერიალი [illegible] 11.00 [illegible] 12.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 12.20 მულტსერიალი „სპირიტ“ 12.45 მულტსერიალი [illegible] 13.00 „ჯარშოუ“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 15.20 [illegible]

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.30 „ქრონიკა“ 07.15 [illegible]

[illegible]

[illegible] 19.20 სტუდია „საუნდი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 21.00 გადაცემა „პრესრინგი“ 22.00 მ/ფ [illegible] (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 Style Tv.

05.00, 09.00, 12.00, 15.00, 03.00 Новости 05.05 “Первая программа” 06.00 “Доброе утро” 09.10 Т/с “Убойная сила” 10.20 “Детективы” 10.50 “Малахов + Малахов” 12.20 Т/с “Веревка из песка” 13.30 “По следам Микки Мауса” 13.50 Т/с “Под ливнем пуль” 15.10 “Лолита. Без комплексов” 16.00 Т/с “Талисман” 17.00 “Федеральный судья” 18.00 Вечерние Новости 18.10 Криминальная Россия. “Весенний марафон”. 2 с. 18.50 Т/с “Любовь как любовь” 20.00 “Пусть говорят” 21.00 “Время” 21.30 Т/с “Под ливнем пуль” 22.30 Спецрасследование. “Уличные мошенники” 23.40 Ночные новости 00.00 Искатели. “Страх и трепет Золотой Орды” 00.50 Ударная сила. “Великолепная семерка” 01.40 “24 часа” 02.40 Х/ф “Шантаж” 03.05 Х/ф “Шантаж”.

პარასკევი 5 მაისი

7.55 „ალე“ 10.00 სერიალი [illegible] 11.00 [illegible] 12.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 12.20 მულტსერიალი „სპირიტ“ 12.45 მულტსერიალი [illegible] 13.00 „ჯარშოუ“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 15.20 [illegible]

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.35 „ქრონიკა“ 07.15 [illegible]

[illegible]

[illegible] 14.00 Style Tv 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „საუნდი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.00 მ/ფ [illegible] (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 Style Tv.

05.00, 09.00, 12.00, 15.00, 03.00 Новости 05.05 “Первая программа” 06.00 “Доброе утро” 09.10 Т/с “Убойная сила” 10.20 “Детективы” 10.50 “Малахов + Малахов” 12.20 Т/с “Веревка из песка” 13.30 “По следам Микки Мауса” 13.50 Т/с “Под ливнем пуль” 15.10 “Лолита. Без комплексов” 16.00 Т/с “Талисман” 17.00 “Федеральный судья” 18.00 Вечерние Новости 18.10 Криминальная Россия. “Погружение в ад”. 1 с. 18.50 Т/с “Любовь как любовь” 20.00 “Человек и закон” 21.00 “Время” 21.30 Т/с “Под ливнем пуль” 22.30 “Маршал Жуков. Последние 24 часа” 23.40 Ночные новости 00.00 “Судите сами” 01.00 Х/ф “Приговор” 03.05 Х/ф “Приговор” 03.20 Х/ф “Брачные игры землян”.

შაბათი 6 მაისი

8.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 8.15 ლ/ფ [illegible] 8.45 [illegible] 9.25 [illegible] 9.40 [illegible] 10.05 [illegible] 10.30 [illegible] 11.30 [illegible] 12.00 „მოამბე“ [illegible]

[illegible] 16.30 მ/ფ [illegible] 17.00 სერიალი [illegible] 18.30 [illegible] (U) 22.00 [illegible] 23.00 [illegible] 00.30 მ/ფ [illegible] (U) 04.00

[illegible] (18).

08.40; 13.00; 17.00; 19.00; 20.00; 23.00; 05.20 „ქრონიკა“ 08.50 [illegible]

[illegible]

11.00 სტუდია „საუნდი“ 12.45 მ/ფ [illegible] 14.00 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 [illegible] 20.00 Style Tv 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 21.00 გადაცემა „პრესრინგი“ 22.00 მ/ფ [illegible] (U).

05.00, 09.00, 12.00, 15.00 Новости 05.05 “Первая программа” 06.00 “Доброе утро” 09.10 Т/с “Убойная сила” 10.20 “Детективы” 10.50 “Малахов + Малахов” 12.20 Т/с “Веревка из песка” 13.30 “По следам Микки Мауса” 13.50 Т/с “Под ливнем пуль” 15.10 “Лолита. Без комплексов” 16.00 Т/с “Талисман” 17.00 “Федеральный судья” 18.00 Вечерние Новости 18.10 Криминальная Россия. “Погружение в ад”. 2 с. 18.40 Т/с “Любовь как любовь” 19.50 Поле чудес 21.00 “Время” 21.25 Х/ф “Эрин Брокович” 23.50 “Кинонаграды MTV-2006” 01.50 Х/ф “Эд из телевизора” 04.00 Х/ф “Спасательная шлюпка”.

კვირა 7 მაისი

8.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება 8.15 ლ/ფ [illegible] 8.45 [illegible] 9.25 [illegible] 9.40 [illegible] 10.05 [illegible] 10.30 [illegible] 11.30 [illegible] 12.00 „მოამბე“ საინფორმაციო გამოშვება [illegible]

[illegible] (18) 02.40 [illegible] 03.00 [illegible] (18).

09.00; 13.00; 17.00; 19.00; 20.00; 23.00; 04.05 „ქრონიკა“ 09.10 [illegible]

[illegible]

11.00 Style Tv 12.45 მ/ფ [illegible] 17.00 [illegible] 18.00 [illegible] 19.00 გადაცემა „პრესრინგი“ 20.00 [illegible] 23.00 გადაცემა [illegible] 00.45 მ/ფ [illegible] (18).

06.00, 10.00, 12.00 Новости 06.10 “Шутка за шуткой” 06.30 Х/ф “Сильные духом” 1 с. 08.00 Играй, гармонь любимая! 08.40 Слово пастыря 09.00 “Кряк-бригада”. “С добрым утром, Микки!” 10.10 “Смак” 10.30 “Три жены маршала Буденного” 11.20 “Неделя на “Фабрике” 12.10 Здоровье 13.00 “Предсказатели. Власть над властью” 14.00 Футбол. VIII тур. “Рубин” - “Москва”. Прямой эфир из Казани 16.00 Праздничный концерт к Дню радио 18.00 Вечерние Новости 18.10 “Поймать вора” 18.50 “Формула красоты” (S) 19.40 “Большие гонки” (S) 21.00 “Время” 21.20 “Фабрика звезд” 22.40 “Весна” с Иваном Ургантом (S) 00.00 Х/ф “Ловкие руки” 01.50 Х/ф “Я мечтала об Африке”.

განახლებული „TV კარუსელი“ ახლა უფრო მეტი გასართობით!
გამოდის პარასკეობით

ჩავესი ნავთობსაბადოების აფეთქებით იმუქრება

LENTA·RU

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე ვენესუელის პრეზიდენტმა განაცხადა, — თუ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენც ისევე დაგვესხმება თავს, როგორც ერაყს, ნავთობსადენებს ავაფეთქებთ. ამერიკას ტყუილად ჰგონია, რომ ჩვენი სიმდიდრე მას დარჩება. ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ძებნის საბაბით შეიჭრნენ, სინამდვილეში ნავთობმოპოვებაზე კონტროლის დაწესება უნდოდათო.

ვაშინგტონსა და კარაკასს შორის ურთიერთობა 7 წლის წინ, ვენესუელის პრეზიდენტად უგო ჩავესის არჩევის შემდეგ გამწვავდა. ამ ხნის განმავლობაში ჩავესმა არაერთხელ დაადანაშაულა ვაშინგტონი ვენესუელაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავს, რომ აშშ ამას პოლიტიკური უთანხმოების გამო კი არ აკეთებდა, არამედ იმიტომ, რომ ჩავესი ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე მას კონტროლის საშუალებას არ აძლევდა.

ჩვენ მშვიდობიან მოლაპარაკებებს „ჰამასის" გარეშეც დავიწყებთ

LA STAMPA

პალესტინის პოლიციას ისრაელის მიერ გახსნილ კარნის სასაზღვრო პუნქტში, საიდანაც ღაზის სექტორში შედის ჰუმანიტარული ტვირთი, რომ არ გაეჩერებინა ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე მანქანა, დიდი აფეთქება მოხდებოდა — ასობით ისრაელელთან ერთად პალესტინელებიც დაიღუპებოდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ტერაქტის ორგანიზატორი იყო ჯაბელ აბუ სამაჰადანი — „წინააღმდეგობის სახალხო კომიტეტების" თავმჯდომარე. მას ბევრ ტერაქტზე აქვს ნაკისრი პასუხისმგებლობა. „ჰამასმა" სწორედ მას დაავალა პოლიციის სპეციალური სტრუქტურის მეთაურობა, რომელმაც პალესტინის უშიშროების ყველა ძალას უნდა გაუწიოს კურირება.

მაჰმუდ აბასი „ჰამასის" გამო პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. გარდა ამისა, მან, ჩანს, გადაწყვიტა, „პირი მოსწმინდოს" პალესტინის ახალ ადმინისტრაციას უცხო ქვეყნების თვალში, დაიმსახუროს მათი ნდობა და ინვესტიციები.

„ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა, პალესტინის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, — უცხოეთიდან შემოსული თანხების კონტროლს მაჰმუდ აბასს ვანდობთო. მსოფლიოში „ჰამასის" მიმართ უნდობლობას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს, თავად „ჰამასელებსაც" ეშინიათ შესაძლო ჰუმანიტარული კრიზისისა.

ოსლოში ვიზიტისას პალესტინის ავტონომიის მეთაურმა ხმამაღლა განაცხადა, — ვისურვებდი, რომ ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში „ჰამასელებსაც" მიეღოთ მონაწილეობა, თუმცა მათ გარეშეც შეგვიძლია მოლაპარაკების გამართვა — „ჰამასი" წინააღმდეგი არ იქნებაო. მეთაურის ნათქვამში თვითრეკლამაც იგრძნობა — ის საერთაშორისო შუაკაცობას კისრულობს და ამავე დროს მფარველობის კალთას აფარებს „ჰამასს". ნორვეგიაში მაჰმუდ აბასმა ითხოვა, ნუ დაუწესებთ პალესტინის მოსახლეობას ეკონომიკურ სანქციებსო. მას დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ მოითხოვეს, რომ თანხები პირადად ავტონომიის მეთაურმა განკარგოს.

საინტერესოა, რომ მთავრობა არ აპირებს სახელისუფლებო პოზიციების მთლიანად მაჰმუდ აბასისთვის დათმობას. აბასს კი ლიდერობა და „ჰამასის" დამორჩილება სურს. ძნელი სათქმელია, შეძლებს ამას თუ არა.

თეირანმა არ შეასრულა მოთხოვნა

BBC

მსოფლიოს ატომური ენერგიის სააგენტოს დირექტორმა მუჰამედ ალ-ბარადეიმ გაეროს უშიშროების საბჭოს გადასცა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ირანი საერთაშორისო ინსპექტორებს ბირთვული პროგრამის დარგში სრულ თანამშრომლობაზე არ დათანხმდა. ამიტომაც, ძნელი სათქმელია, რამდენად მშვიდობიანი ხასიათისაა ეს პროგრამა. ატომური ენერგიის მსოფლიო სააგენტო არც იმას გამორიცხავს, რომ ირანს პლუტონიუმი საზღვარგარეთიდან შეაქვს.

როგორც დიპლომატიური წყაროებიდან გახდა ცნობილი, მოხსენებაში შესულია იმის მტკიცებულება, რომ თეირანმა მართლაც დაიწყო ურანის გამდიდრების სამუშაოები 164 ცენტრიფუგისგან შემდგარ კასკადზე და კიდევ ორ ასეთ კასკადს აგებს მიწისქვეშა ობიექტებზე. ატომური სააგენტოს ინსპექტორებს მათი გაკონტროლების საშუალება მიეცემათ.

გაეროს უშიშროების საბჭოში ატომური ენერგიის სააგენტოს მოხსენების გადაცემამდე რამდენიმე საათით ადრე, ზანჯანის პროვინციაში, მიტინგზე, ირანის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა — ჩვენ უფლება გვაქვს, ვფლობდეთ ატომურ ტექნოლოგიებს და არც ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხევთ. ირანელ ხალხს სურს მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენოს ბირთვული ენერგიაო.

აჰმადი ნეჯადიმ ზოგიერთი ზესახელმწიფო დაადანაშაულა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევასა და მსოფლიოში დესტაბილიზაციის მცდელობაში.

გაზეთ „მონდის" ცნობით, ევროკავშირის დიპლომატები, ახლა გაეროს უშიშროების საბჭოს კულისებს მიღმა ყველა ღონეს ხმარობენ, აიძულონ აშშ, შეცვალოს დამოკიდებულება ირანის მიმართ ახალი გეოპოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. ევროპელთა აზრით, ახალი მიდგომის გარეშე, რომელშიც აღიარებული იქნება ირანის წამყვანი როლი რეგიონში, დასავლეთის პოლიტიკა ირანის მიმართ „ჩიხში" შევა.



ჟურნალისტების მიერ დიპლომატიური წრეებიდან მიღებული ინფორმაციით, საფრანგეთმა და ევროკავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიანთი პოზიცია აცნობეს.

ბელგრადი არჩევანის წინაშე დგას

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

აშშ-ის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელმა ბალკანეთში, ფრენკ ვაიზერმა, სერბეთის მთავრობას გარკვეული დათმობები მოსთხოვა კოსოვოს სასარგებლოდ. მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ყოფნისას ადგილობრივ ჟურნალისტებს აცნობა, კოსოვო 2006 წლის დამლევამდე მიიღებს დამოუკიდებლობასო.

სერბეთის პრეზიდენტ ბორის ტადიჩსა და პრემიერ ვოისლავ კოშტუნიცასთან საუბარში ამერიკელმა დიპლომატმა უფრო მკვეთრი განცხადება გააკეთა: — ნატოსა და ევროკავშირის სტრუქტურებში სერბეთის სწრაფი ინტეგრაცია, აგრეთვე აშშ-თან მისი ურთიერთობა დამოკიდებელია იმაზე, თუ რამდენად იაქტიურებს ბელგრადი პრიშტინასთან მოლაპარაკებაშიო.

ბატონი ვაიზერის თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჰააგის ტრიბუნალს რაც შეიძლება მალე გადაეცეს სამხედრო დანაშაულში ბრალდებული გენერალი რატკო მლადიჩი. თუ ეს მოხდა, მაშინ სერბეთი უკვე 2009 წელს გახდება ევროკავშირის წევრი.

ადგილობრივი ანალიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ კოსოვოს სტატუსის საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია, თუმცა არა ბელგრადის სასარგებლოდ. ბელგრადელი სამხედრო ექსპერტის გოსტიმირ პოპოვიჩის აზრით, სამწუხაროდ, კოსოვოს სტატუსზე ლაპარაკისას არავის ახსენდება სერბეთის სამხრეთში ალბანელთა შეიარაღებული ჯგუფების თარეში. კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭება მათაც და სხვებსაც თვალნათლივ დაანახვებს, რომ ყველა პრეტენზიის მოგვარება შეიძლება ძალისმიერი გზით, ეს კი ბალკანეთს ახალი ომის საფრთხეს შეუქმნის.

„ალ-ქაიდამ" „ჰამასი" უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო

LE FIGARO

ეგვიპტის ტურისტული ინდუსტრია ტერორისტთა საყვარელი სამიზნეა, რადგან მასზე გაცილებით ადვილია თავდასხმა, ვიდრე დედაქალაქის უკეთ დაცულ ადმინისტრაციულ შენობებზე.

ტერაქტები ეგვიპტის საკურორტო ქალაქ სინაში კარგად იყო დაგეგმილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ უკან დგას „ალ-ქაიდა" ან მისი ადგილობრივი ფილიალი.

ტერორისტული თავდასხმები ერთმანეთს ჰგავს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სამი აფეთქება ხდება. ტერაქტები 9-თვიანი ინტერვალით ხორციელდება. ქალაქ ტაბეში 2004 წლის ოქტომბერში მოხდა, შარმ-ეშ-შეიხში — 2005 წლის ივლისში, ხოლო დაჰაბეში 2006 წლის აპრილში, ალ-ჯაზირას სატელევიზიო არხით ბინ ლადენის გამოსვლის მეორე დღეს.

ამას წინათ ალექსანდრიაში მომხდარმა ეთნიკურმა შეტაკებებმა ცხადი გახადა, რომ ეგვიპტეში რელიგიათაშორისო შეტაკებებისათვის ნოყიერი ნიადაგი არსებობს, რასაც ჯიჰადის მომხრეები თავიანთი საქმიანობის გასაფართოებლად იყენებენ.

უსამა ბინ ლადენის სატელევიზიო გამოსვლაში მან გაკვრით ახსენა ავღანეთი და ერაყი, გაცილებით მეტი ილაპარაკა მუჰამედის კარიკატურების გამო ატეხილ სკანდალზე, პალესტინის ავტონომიაში შექმნილ ვითარებაზე. ამით თითქოს სურდა, მაქსიმალურად გაეფართოებინა დასავლეთის წინააღმდეგ თავისი ბრძოლის ასპარეზი.

„ჰამასის" გამარჯვების შემდეგ პალესტინის წინააღმდეგ მიღებულმა საერთაშორისო სანქციებმა ბინ ლადენის წისქვილზე დაასხა წყალი — ხომ ხედავთ, დასავლეთი საზოგადოდ ისლამს ებრძვისო!

„ჰამასი" უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ბინ ლადენის მხარდაჭერამ კიდევ უფრო შეულახა საერთაშორისო ავტორიტეტი. პალესტინელ ისლამისტებს არ სურთ, რომ „ალქაიდელებმა" ისარგებლონ ღაზაში შექმნილი ქაოსით და ისრაელთან ომის გმირები გახდნენ.

მოკლედ

ერაყში მოკლეს ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტ თარიქ ჰაშიმის და — მეისუნ აჰმედ ბაქირ ჰაშიმი და მისი მცველი. მეისუნ ჰაშიმი თავისი

ძმის ერაყის სუნიტთა პარტიის ქალთა საქმეების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დილით სამსახურში მიმავალს შეიარაღებულმა პირებმა მანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს. ორი კვირის წინ თარიქ ჰაშიმის ძმა ჩაცხრილეს... ერაყელ ამბოხებულთა ლიდერმა აბუ მესაბი ზარქავიმ არაერთხელ გააფრთხილა სუნიტები — ნუ ითანამშრომლებთ „ამერიკელთა მარიონეტულ მთავრობასთანო".

მინსკში დააპატიმრეს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ალექსანდრ მილინკევიჩი. წინა დღით ოპოზიციამ ჩერნობილში მომხდარი ავარიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი არასანქცირებული მიტინგი გამართა, რომელშიც 7 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

ჩეხეთის რესპუბლიკისთვის წყალდიდობით მიყენებულმა ზარალმა დაახლოებით 250 მლნ დოლარი შეადგინა. ეს ციფრი შესაძლოა გაიზარ-

დოს, რადგან ქვეყნის სამხრეთის დიდი ტერიტორია დღემდე დატბორილი.

FREEDOM OF THE SEAS-ი — ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერი, ჰამბურგში ბოლო შემოწმების შემდეგ, მაიამის გზას დაადგება. ადრე უდიდეს ლაინერად აღიარებული იყო QUEEN MARY II, რომელიც 2800 დამსვენებელს იტევს, ახალი კი 4375 მგზავრისთვის არის განკუთვნილი.

თუმცა მას ყველაზე დიდი გემის სახელი 2009 წლამდე დარჩება, ვიდრე ამერიკული კომპანია აგებდეს უფრო ტევად ხომალდს, რომელსაც Genesis-ი დაერქმევა.

სამხრეთ კორეის საავტომობილო გიგანტის HYUNDAI-ს შტაბბინაში დააკავეს ორი ლობისტი, რომლებიც, სავარაუდოდ, კორპორაციის თავმჯდომარისგან დიდ ფულს იღებდნენ სახელმწიფო მოხელეების მოსასყიდად. პროკურატურა კომპანიის თავმჯდომარის ჩონ მინ ჰუს დაპატიმრებასაც აპირებს. მას ბრალად ედება უკანონო ფონდებში 100 მლნ დოლარის დაგროვება და მითვისება. ამ ინფორმაციამ ფირმის ხელმძღვანელობა შეაშფოთა. HYUNDAI-ს მეთაურმა ბოდიში მოიხადა და საქველმოქმედოდ დიდი თანხა გაიღო.

პაკისტანელმა თალიბებმა ავღანეთში მყოფი ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცების წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადეს. ადგილობრივი „თალიბანის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჰაჯი ომარმა განაცხადა, — ვაგრძელებთ წმინდა ომს, ეს ჩვენი რელიგიური ვალიაო.

ავღანეთში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა ტომ კენგისმა ისლამაბადს მოუწოდა, არ დაუშვას ქვეყნის „თალიბანიზაცია".

პრინცმა ჰარიმ დედის, პრინცესა დაიანას, ხსოვნის პატივსაცემად დააარსა საქველმოქმედო ფონდი SENTEBALE, რაც ნიშნავს „არ დამივიწყო". ფონდი დაეხმარება სამხრეთ აფრიკაში, ლესოტოს სამეფოში, მოხალის ჰუკის ბავშვთა თავშესაფარს. ფონდს, სხვა სახსრებთან ერთად, გადაეცა პრინც ჰარის მიერ ლესოტოზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებით შეგროვილი თანხა, დაახლოებით 1 მლნ გირვანქა სტერლინგი.

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის" გერმანულ დანადგარებზე
შპს „გოდოლი"
ხარისხი ოპერატიულობა ფასი
ტელ: 56-40-56 877-43-04-57

„ტრანსკონტინენტ" ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაჰაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 გ. „დიდუბის" გვერდით
☎34-49-40; 35-47-47; 26-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

საწვავთან ერთად ელექტროენერგია და გაზიც ძვირდება



ფასები თითქმის ყველა პროდუქციაზე მოიმატებს

სულ მალე გაირკვევა, რომ ენერგოკომპანიებს რუსები იყიდიან, რომლებიც ნებისმიერ ტარიფზე თანახმა არიან, ოღონდ საქართველოს ენერგოსექტორს დაეპატრონონ და გაზრდილი ტარიფი მთელი სიმძიმით მოსახლეობას დააწვება კისერზე. ინვესტორი ტარიფს პირველი ინვესტიციის ჩადებისთანავე კიდევ გაზრდის. ამას ისიც დაემატება, რომ შემოდგომაზე რუსეთი „გაზის ომს" განაახლებს და იმპორტის ფასს კიდევ გაზრდის.

საქართველოს მოსახლეობა 1-ელი ივნისიდან მოხმარებული გაზისა და დენის საფასურს გაზრდილი ტარიფით გადაიხდის. მართალია, ბუნებრივი აირი უკვე ოთხი თვეა გაძვირდა, მაგრამ ტარიფის მატება მომხმარებლებს ჯერ არ უგრძნიათ, რადგან განსხვავება ახლაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით იფარება. ამისათვის სახელმწიფომ ბიუჯეტიდან უკვე 30 მილიონი ლარი დახარჯა. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის დადგენილებით, 2006 წლიდან ერთი კუბური მეტრი აირი თბილისში 34,2 თეთრი გახდა, რეგიონებში კი 37-დან 41 თეთრამდე გაიზარდა. ამ ტარიფით ანგარიშსწორება ერთი თვის შემდეგ დაიწყება. რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფს, უკვე ცნობილია, რომ ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ფასი თბილისში 12-დან 15 თეთრამდე მოიმატებს, რეგიონებში კი ზრდა გაცილებით მეტი იქნება — 8,1-დან 14 თეთრამდე. ისიც გადაწყვეტილია, რომ ელექტროენერგიის საფასური დიფერენცირებული გახდება, ვინც 100 კილოვატზე მეტს არ მოიხმარს, მისთვის ტარიფი ცოტათი გაიზრდება, შედარებით მაღალი განაკვეთით გადაიხდიან ისინი, ვინც 100-დან 300 კილოვატამდე ხარჯავს, ყველაზე ძვირად ელექტროენერგიას ისინი იყიდიან, ვინც ერთი თვის განმავლობაში 300 კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ტარიფი უცვლელი მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ფენისთვის დარჩება. ძველი ტარიფით გაზისა და დენის საფასურს მხოლოდ ის ადამიანები გადაიხდიან, რომლებიც სახელმწიფომ ღატაკთა კატეგორიას მიაკუთვნა. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დენისა და გაზის ტარიფის ზრდა სოციალურად დაუცველ ფენას არ შეეხება, ძველ და ახალ ტარიფებს შორის განსხვავებას მათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია დაუფარავს. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ეს თანხა 150 მილიონი ლარი იქნება. ანუ თბილისში ელექტროენერგიის ტარიფი 12-დან 15 თეთრამდე თუ გაიზრდება, 3-თეთრიან მატებას მათ ბიუჯეტი დაუფარავს. ე. ი. იმ ხელმოკლე ოჯახისთვის, ვინც 100 კილოვატ ელექტროენერგიას დახარჯავს, სუბსიდია თვეში მაქსიმუმ 3 ლარი იქნება.

როგორ დაითვლის მთავრობა, რამდენი მოიხმარეს სოციალური დაცვის სააგენტოს სიაში ღატაკთა კატეგორიაში მოხვედრილმა ადამიანებმა? როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს რთული პროცედურაა და გაანგარიშება გაჭირდება. მოხმარებული ელექტროენერგიის დაანგარიშება შეუძლებელი იქნება რეგიონებში, სადაც აბონენტებს ინდივიდუალური მრიცხველები არ აქვთ და რამდენიმე ათეული ოჯახი ელექტროენერგიის დანახარჯს საერთო, ე. წ. კომუნალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით იხდის.

დავით მიქაუტაძე (ელექტროენერგიის მომხმარებელთა უფლებების დამცველი): „ღარიბი მოსახლეობის სუბსიდირება ხელისუფლების მხრიდან გამართლებული გადაწყვეტილებაა. ენერგომატარებლების ობიექტური გაძვირების შემთხვევაში ასეთ ჰუმანურ ნაბიჯს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მთავრობებიც მიმართავენ. საფრანგეთის მთავრობამ შარშან, როცა საწვავი გაძვირდა, სოციალურად შედარებით დაუცველი მოქალაქეები თავად დააფინანსა. ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილება, მილიონობით ლარი გამოყოს მათთვის, ვისაც საფასურის გადახდა უჭირს, კეთილი ნაბიჯია. თუმცა, სადაც კომუნალური მრიცხველებია დამონტაჟებული, დიფერენცირებული ტარიფი, ჩემი აზრით, ვერ ამოქმედდება. სადისტრიბუციო კომპანია სოფლებში დენის საფასურს ისედაც არასწორად ახდევინებს მოსახლეობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ საერთო მრიცხველის ჩვენებას ყველა აბონენტზე თანაბრად ანაწილებს. დიფერენცირებული ტარიფის დროს კი თითოეული ოჯახის დანახარჯის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება. სემეკ-ის სხდომაზე დიფერენცირებული ტარიფის ამოქმედებას აუცილებლად შევეწინააღმდეგები".

ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ფასი თბილისში 12-დან 15 თეთრამდე მოიმატებს, რეგიონებში კი ზრდა გაცილებით მეტი იქნება – 8,1-დან 14 თეთრამდე.

ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფის ზრდის ძირითად მიზეზად ხელისუფლების მხრიდან რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის გაძვირება სახელდება. მხოლოდ რუსული გაზის სიძვირე რომ იყოს მიზეზი, ელექტროენერგიის საფასური 1,5 თეთრით უნდა გაიზარდოს, მაგრამ ტარიფში საკუთარი წილის გაზრდას ყველა გამანაწილებელი კომპანია („თელასი", „აჭარა" და „კახეთი") ითხოვს.

დავით ეგრალიძე (ექსპერტი ენერგეტიკულ საკითხებში): „განცხადება, რომ ელექტროენერგიის გაძვირება გაზის ტარიფის ზრდას მოჰყვა, არასწორია. ბუნებრივი აირის ფასის მომატებით ხარჯი მხოლოდ თბოელექტროსადგურებს ეზრდებათ და ამის გამო დენის ტარიფი დედაქალაქში 1,5 თეთრით, მაქსიმუმ 13,5 თეთრამდე უნდა გაიზარდოს. ასე რომ, ტარიფის 15 თეთრამდე გაზრდის საფუძველი გაზის გაძვირება არ არის. ტარიფის ზრდის მეორე მიზეზი 24-საათიანი ელექტრომომარაგება გახდა, ქვეყანა დღე-ღამის განმავლობაში ძვირ, იმპორტირებულ ელექტროენერგიას მოიხმარდა, რამაც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს ხარჯი გაუზარდა და [illegible] ტარიფის გაზრდა მოეთხოვათ. დენის საფასურის ზრდის მეორე მიზეზი ის არის, რომ მთავრობას სურს ინვესტორები მაღალი ტარიფებით დააინტერესოს და სადისტრიბუციო კომპანიები გაყიდოს. მაგრამ მთავრობის გათვლები არასწორია. ინვესტორს მაღალ ტარიფზე მეტად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია აინტერესებს, რაც მიმზიდველი ნამდვილად არ არის. სულ მალე გაირკვევა, რომ ენერგოკომპანიებს რუსები იყიდიან, რომლებიც ნებისმიერ ტარიფზე თანახმა არიან, ოღონდ საქართველოს ენერგოსექტორს დაეპატრონონ და გაზრდილი ტარიფი მთელი სიმძიმით მოსახლეობას დააწვება კისერზე. ინვესტორი ტარიფს პირველი ინვესტიციის ჩადებისთანავე კიდევ გაზრდის. ამას ისიც დაემატება, რომ შემოდგომაზე რუსეთი „გაზის ომს" განაახლებს და იმპორტის ფასს კიდევ გაზრდის.

ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფის ზრდას აუცილებლად მოჰყვება სამომხმარებლო ფასების მატება. ფასები აიწევს ყველა იმ პროდუქტზე, რომელთა საწარმოებლად ენერგომატარებლები გამოიყენება. სახელმწიფო ტარიფის მატებას, ბუნებრივია, მხოლოდ გაჭირვებულ მოსახლეობას უფარავს, კომერციულ სტრუქტურებზე კი შეღავათები არ ვრცელდება. საწარმოები და დაწესებულებები მოხმარებული გაზისა და ელექტროენერგიის საფასურს დღესაც მომატებული ტარიფით იხდიან, ერთ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 34,2 თეთრს (რეგიონებში მეტს), ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაში — 13,7 თეთრს, რომელიც 1-ელი ივნისიდან დაახლოებით 2 თეთრით კიდევ მოიმატებს. ამას ემატება ფასების ზრდა ნავთობპროდუქტებზე და ქართული ღვინისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის რუსეთის ბაზრის ჩაკეტვაც, რაც ქვეყანაში ინფლაციური პროცესების წინაპირობას ქმნის. საწარმოთა მფლობელები მათი პროდუქციის გარდაუვალ გაძვირებაზე საუბრობენ. საწარმოო დანახარჯების გაზრდაზე ჩივიან პურის ქარხნების მფლობელები, რომლებიც ამბობენ, რომ ენერგომატარებლების გაძვირებით ზარალზე მოუწევთ მუშაობა და პურზე ფასების მატების გარეშე მათ საცხობებს დახურვა ემუქრება.

დავით ნარმანია (ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრი): „ენერგორესურსებზე ფასის მატება, ბუნებრივია, სამომხმარებლო ფასების ზრდას იწვევს. ამას საწვავის გაძვირებაც ემატება, ეს კი პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის, მწარმოებელი და რეალიზატორი იძულებული არიან, მომატებულ ფასად გაყიდონ საქონელი, რომ არ იზარალონ. ხელისუფლება ეცდება ინფლაციური პროცესები ქვეყანაში ხელოვნურად შეაჩეროს, ნაკლებად თვალში საცემი რომ იყოს, მაგრამ სამომხმარებლო ფასების ზრდა მაინც იქნება და ეს, პირველ რიგში, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას შეამცირებს".

ბიზნესმენებისგან და ექსპერტებისგან განსხვავებით, სამომხმარებლო ფასების ზრდას გამორიცხავს პრემიერ-მინისტრი. ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ტარიფების მატებისა და რუსეთის ბლოკადის გავლენა ინფლაციაზე ნულოვანი იქნება(?!).

ნონა ქელიძე

რამდენით გაიაფდება სიგარეტი?

მთავარი კონტრაბანდის შემცირებაა

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით იმპორტირებულ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი 90 თეთრიდან 60 თეთრამდე შემცირდა. ადგილობრივი ნარმოების სიგარეტის აქციზმა კი 70-დან 40 თეთრამდე დაიკლო. ფასის დაწევა აქციზურ მარკაზე (რომელიც კოლოფზე მაგრდება) პირდაპირ უნდა აისახოს სიგარეტის სარეალიზაციო ფასზე, ანუ მაისიდან ერთი კოლოფი სიგარეტიც ასევე 30 თეთრით უნდა გაიაფდეს. მაგრამ დაექვემდებარება თუ არა ეს პროცესი კანონზომიერებას? ამის თქმა ამ სფეროს სპეციალისტებსაც უჭირთ. სიგარეტის ფასი რომ დაიკლებს, ამას ექსპერტებთან ერთად თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორებიც ადასტურებენ, მაგრამ კლება 30 თეთრი იქნება თუ არა, ამას დაბეჯითებით ვერ ამბობენ.

ზურაბ ბუცხრიკიძე (პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე): „აქციზის განაკვეთის დაწევამ, ცხადია, სიგარეტის გაიაფება უნდა გამოიწვიოს. სიგარეტის საცალო ფასი აქციზის განაკვეთის პირდაპირპროპორციულად უნდა შემცირდეს. თუმცა, წინასწარვე შემიძლია ვთქვა, რომ კლება იმდენივე არ იქნება. მთავარია, ამ გზით კონტრაბანდის შემცირებას მივაღწიოთ. აქციზის განაკვეთი, რომელიც აქამდე არსებობდა, სიგარეტის კონტრაბანდული გზით შემოტანას უწყობდა ხელს. კონტრაბანდისტების ჯიბეში ათეულობით მილიონი დოლარი წავიდა. წელიწადში 700 მილიონ ღერს ეწევიან საქართველოში და აქედან მინიმუმ 60 პროცენტი კონტრაბანდული სიგარეტია".

ვიდრე აქციზის ახალი განაკვეთი შევიდოდა ძალაში, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორებმა სიგარეტზე ფასები აწიეს. სარეალიზაციო ქსელში ერთი კოლოფი სიგარეტი ბოლო ათი დღეა 30-50 თეთრითაა გაძვირებული. იმპორტიორებმა ფასი ძირითადად ძვირად ღირებულ სიგარეტზე გაზარდეს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სიგარეტის დეფიციტი სწორედ გაიაფებული აქციზის მოლოდინმა შექმნა. იმპორტიორები საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ელოდებოდნენ და ძვირიანი აქციზის შეძენისგან თავს ამიტომ იკავებდნენ. საკანონმდებლო ორგანოში მიაჩნიათ, რომ სიგარეტის გაძვირება დროებითი პროცესია და ბაზარზე ხელოვნური დეფიციტი ახალი კანონის ძალაში შესვლისთანავე დარეგულირდება.

ზურაბ ტყემალაძე (პარლამენტის წევრი): „სიგარეტის იმპორტიორებმა ძვირიანი აქციზის შეძენისგან თავი შეიკავეს და აბსოლუტურად სწორად მოიქცნენ. როცა ამდენი ხანი მიმდინარეობს საუბარი აქციზის დაწევაზე, ბუნებრივიც იყო, მის გაიაფებას დაელოდებოდნენ. ამის გამო თამბაქოს რესურსი შემცირდა, ნაშთებმა იკლო და შემცირებული რესურსის რეალიზაცია აწეული ფასებით ხდება. ერთი ვერსია ასეთია. სიგარეტის გაძვირების მეორე მიზეზი ის არის, რომ შესაძლოა იმპორტიორებმა ფასი ხელოვნურად გაზარდეს, — აქციზის დაწევის შემდეგ სიგარეტის მოსალოდნელი გაიაფებისას მისი ფასი ძველ ნიშნულზე რომ დააბრუნონ და ამით მოიგონ."

გიორგი ცაგარეიშვილი (ფრაქცია „მრეწველები"): „ჩვენი მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, დაახლოებით ერთი წლის წინ მთავრობამ დააწესა, რომ ადგილობრივ თამბაქოს ნაწარმზე აქციზი 70 თეთრი უნდა ყოფილიყო, იმპორტირებულზე — 90, რამაც აბსოლუტურად გაანადგურა საქართველოში თამბაქოს წარმოება. რამდენიმე ქარხანა გაჩერდა, უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩა, სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონობით ლარის პირდაპირი და არაპირდაპირი ზარალი მიადგა. კონტრაბანდამ 80%-იან ზღვარს მიაღწია, რაც კატასტროფული მაჩვენებელია. ამაზე პასუხი უნდა აგონ ფინანსთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრმა და იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც ეს დანაშაულებრივი კანონი გაიტანეს პარლამენტში ერთი წლის წინათ. ახალ ცვლილებებში აქციზის განაკვეთები შეამცირეს: იმპორტირებულზე 60 თეთრი დააწესეს, ადგილობრივზე — 40. ჩვენ ვითხოვდით, რომ ეს ნიშნული ერთი წლის წინანდელ ზღვარს დაბრუნებოდა, ანუ 40 თეთრი ყოფილიყო იმპორტირებულზე, ხოლო 25 თეთრი — ადგილობრივ ნაწარმზე. ამ განაკვეთების დროს ბიუჯეტში 4-5-ჯერ მეტი შემოსავალი შედიოდა, ხოლო კონტრაბანდის ხვედრითი წილი 20-25% იყო. ჩვენ ვცდილობდით მთავრობის დარწმუნებას, რომ ამჟამინდელი ცვლილება (60-40) აბსოლუტურად შეუსაბამოა და ამით არსებული სურათი მკვეთრად არ შეიცვლება, რაშიც 3-4 თვეში თავადაც დარწმუნდებიან".

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე ამბობს, აქციზის დაწევის შემდეგ სიგარეტის 90 პროცენტი ლეგალიზებული იქნება და თვის ბოლოს ამ სფეროდან ბიუჯეტში 120 მილიონი ლარის მობილიზება მოხდება.

აქციზის განაკვეთი, შემცირების მიუხედავად, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით მაინც მაღალი რჩება, რაც კონტრაბანდის ხელშეწყობის ერთ-ერთი ფაქტორია. თუმცა, მთავრობის წევრები იმედს რუსეთის ხელისუფლებაზე ამყარებენ, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს უახლოეს მომავალში თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გაზრდა. ეს კი განაკვეთებს შორის განსხვავებას შეამცირებს.

ნონა ქელიძე
თამარ სუჯაშვილი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 29 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,8169
ევრო	2,2815
გირვანქა სტერლინგი	3,2808
რუსული რუბლი	0,0666
თურქული ლირა (1*)	1,3764

* 2005 წლის 1-ელი იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

მთელი დღის განმავლობაში მიწევს კომპიუტერთან მუშაობა. როგორ შეიძლება მოვიხსნათ თვალის დაძაბულობა სამუშაო დღის შემდეგ?

ნინო ლ.

ვარჯიში თვალებსაც სჭირდება. ეს ვარჯიშები საკმაოდ მარტივია: ნებისმიერი საქმიანობის დროს მიაჩვიეთ თვალი დახამხამებას 10 წმ-ში ერთხელ (ძალდატანების გარეშე). ასეთი ვარჯიშის შემდეგ თვალს დაძაბულობა ეხსნება.

კიდევ ერთი სასარგებლო და მარტივი ვარჯიში, რომელიც ამაგრებს თვალის კუნთებს: მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი გააჩერეთ თვალებიდან 20 სმ-ის დაშორებით და რამდენიმე წამი უყურეთ მას, შემდეგ მზერა გადაიტანეთ რაიმე სხვა საგანზე, რომელიც თქვენგან სამი მეტრით ან უფრო მეტადაა დაშორებული. გაიმეორეთ ეს ვარჯიში 10-ჯერ მაინც სწრაფად, შემდეგ შეისვენეთ და კიდევ 2-3-ჯერ შეასრულეთ. ეს ვარჯიში ერთნაირად კარგად მოქმედებს როგორც ახლო, ისე შორს ხედვის უნარზე.

სამუშაოზე ყოფნისას შეგიძლიათ კიდევ ერთი მარტივი ვარჯიში შეასრულოთ: დაჯექით სკამზე, დახუჭეთ თვალები, დაიფარეთ ხელისგულები ისე, რომ არ აწვებოდეს თვალებს. მოდუნდით და წარმოიდგინეთ ის ადგილი ან გარემო, სადაც თავს კარგად გრძნობთ. ასეთ მდგომარეობაში უნდა იყოთ 10 წუთი. დღის განმავლობაში კი ეს ვარჯიში 2-3-ჯერ გაიმეორეთ. სულ მალე მხედველობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

მხედველობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მთავარი პირობა მისი დაძაბულობის მოხსნის ცოდნაა. ყოველდღიურად თვალებს ესაჭიროება არანაკლებ 30-60-წუთიანი დასვენება.

მაწუხებს ძლიერი სისუსტე, დაბალი წნევა, სულ მეძინება. ფერმკრთალი ვარ. აღმომაჩნდა დაბალი ჰემოგლობინი. მითხრეს, ანემია გაქვსო. ექიმმა დამინიშნა რკინის შემცველი აბები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამასთან ერთად თავი იჩინა სხვა პრობლემამაც — მაწუხებს კუჭის ტკივილი, რომელიც განსაკუთრებით მიმწვავდება რკინის შემცველი აბების მიღების შემდეგ, თანაც კუჭიც მეშლება. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ მირჩიოთ რამე...

მკითხველი

სისხლში რკინის დეფიციტის შევსება მხოლოდ რკინის პრეპარატებით შეიძლება. თქვენ არ აკონკრეტებთ, კერძოდ, რომელ პრეპარატს სვამთ. თანამედროვე რკინის პრეპარატებს (მაგალითად, აქსიფერინს) კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მინიმალური გვერდითი ეფექტი ახასიათებს. გარდა ამისა, არსებობს საინიექციო პრეპარატებიც, რომლებიც კუნთოვანი ან ინტრავენური ინიექციებისთვის არის განკუთვნილი. შეგიძლიათ, ექიმთან შეთანხმებით შეცვალოთ თქვენთვის დანიშნული პრეპარატი სხვა ალტერნატიული საშუალებით.

საკმაოდ ხშირად ორგანიზმში რკინის დეფიციტი კუჭის ლორწოვანის პათოლოგიებს უკავშირდება, ვინაიდან რკინის შეწოვა მის ნორმალურ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, აუცილებლად გესაჭიროებათ გასტროენტეროლოგის კონსულტაციაც.

შეიძლება თუ არა რამდენიმე თვის წინ გაკეთებული საკეისრო ოპერაცია იყოს გაზების დაგროვების მიზეზი?

თქვენი ერთგული მკითხველი, ი. კამკამიძე

ორსულობა რთული პერიოდია ქალის ორგანიზმისთვის და მშობიარობის შემდეგ ხშირად აღინიშნება მონელების ფუნქციური დარღვევები — ყაბზობა, მეტეორიზმი, მით უმეტეს, თუ მშობიარობა საკეისრო კვეთით მოხდა. ზოგჯერ მდგომარეობას ართულებს ოპერაციის შემდგომ განვითარებული შეხორცებები. ორგანიზმს რამდენიმე თვე სჭირდება ახალი მდგომარეობის შესაგუებლად. ამ პერიოდში კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მოსაწესრიგებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ფერმენტული პრეპარატები (მეზიმ-ფორტე), ნახშირი. კვების რაციონში უნდა შეზღუდოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც გაზების ჭარბად წარმოქმნას იწვევს.

რამდენიმე კვირაა, პირში მაქვს მწარე გემო. ყველა საჭმელი მწარე მეჩვენება. რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული და რომელ სპეციალისტს უნდა მივმართო?

ნადია ჯანიკაშვილი

პირში მწარე გემოს ხშირად იწვევს თორმეტგოჯა ნაწლავის შიგთავსის უკუგადასროლა (რეფლექსი) კუჭსა და შემდგომ საყლაპავში. ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი მოშლილობა ან ნაღვლის ბუშტის რომელიმე დაავადების გამოვლინება. თქვენ გესაჭიროებათ თერაპევტისა და გასტროენტეროლოგის (კუჭ-ნაწლავის ექიმის) კონსულტაცია. ასეთ შემთხვევებში ინიშნება მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა (ექოსკოპია).

კარაბადინი

გაზაფხულობით ხშირად ვილლებოდი, ვუჩიოდი მოთენთილობას, სისუსტეს, უხალისობას, თავის ტკივილს. ვიტამინებსაც ვსვამდი და სხვა საშუალებებსაც ვიღებდი, მაგრამ არაფერი მშველოდა. დღეში 6-8 ფინჯანი ყავა გაყოჩაღების მაგიერ უარესად მხდიდა. ერთ-ერთ ფიტოთერაპიულ წიგნში წავიკითხე, რომ ასეთ დროს ძალიან კარგი ყოფილა ქერი და მოცემული რეცეპტის მიხედვით მოვამზადე ნაყენი:

0,5 ჩ/ჭ ქერის ფქვილს დაასხით 2 ლ წყალი და 2,5 სთ-ის განმავლობაში ნელ ცეცხლზე ადუღეთ. შემდეგ გაფილტრეთ, წამოადუღეთ, დაამატეთ 2ს/კ პიტნის, ჟოლოსა და მარწყვის ფოთლების ნარევი. შეფუთეთ და ნახევარი საათი გააჩერეთ. შემდეგ გაფილტრეთ კიდევ ერთხელ. მიიღეთ ყოველდღე 3 ჭიქა.

პატივისცემით, ნორა ჩაჩუა

ექიმის კომენტარი: ქერი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. სამკურნალოდ გამოიყენება მისი თესლი, რომელიც მდიდარია ცილებით, ნახშირწყლებით, ცხიმებით, უჯრედისით, ფერმენტებით, მინერალური მარილებით, A, D, E, B_1, B_2, PP, E ვიტამინებით, ფოლიუმის მჟავით. აქვს ანთების საწინააღმდეგო, შემომგარსავი, იმუნიტეტის მომამაგრებელი, შარდმდენი, ამოსახველებელი და ლაქტაციის გამაძლიერებელი მოქმედება. გამოიყენება კუჭის, ნაწლავების, შარდის ბუშტისა და კანის ანთებითი პროცესების, ხველის, პიელონეფრიტის დროს.

ასეთი მრავალმხრივი ეფექტიანობისა და უამრავი ვიტამინის შემცველობის გამო ქერი უდავოდ არგებს ორგანიზმს გაზაფხულის პერიოდში, როცა იგი ვიტამინებისა და სხვა სასიცოცხლო ნივთიერებების დეფიციტს განიცდის.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

ჯარაექიმის რჩევები

ჰაიმორიტის დროს: ა) 1ს/კ სუფრის ან ზღვის მარილი გახსენით 1 ჩ/ჭ გვირილის ნაყენში, შეათბეთ და გამოირეცხეთ ცხვირი. მარილის დახმარებით ცხვირის ლორწოვანი სწრაფად სუფთავდება, გვირილის ნაყენი, რომელიც მდიდარია სამკურნალო ნივთიერებებით, სპობს მიკრობებს.

ცხვირის გამორეცხვის შემდეგ გაათბეთ 60 გრადუსამდე მსხვილად დაფქული მარილი, ჩაყარეთ პარკებში და დაიდეთ ცხვირის ორივე მხარეს. ეს პროცედურა ჩაიტარეთ დღეში ერთხელ, ძილის წინ.

ბ) პენიცილინის ფლაკონებში შუამდე ჩაასხით თაფლი (სასურველია მაისის), დაამატეთ აფთიაქში ნაყიდი რამდენიმე წვეთი ევკალიპტის ნაყენი და პირამდე შეავსეთ ახალდაყენებული ჩაით. შეანჯღრიეთ და ჩაიწვეთეთ ცხვირში 1-2 წვეთი 3-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში. საჭიროებისას პროცედურა გაიმეორეთ 2 კვირის შემდეგ.

ბრონქიტის დროს: თითო ჩ/კ მატიტელას, ვირისტერფას ფოთლებს და დიდგულას ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და მიიღეთ 1/4 ჭიქა 4-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ტაქიკარდიის დროს: შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის ანისულისა და ქინძის თესლი და ყავისფერი შაქარი, დაფქვით, ჩაყარეთ მინის ქილაში, თავი მჭიდროდ მოუკარით და შეინახეთ ბნელ ადგილას. ყოველდღე მიიღეთ 1 ს/კ დღეში 1-2-ჯერ, ჭამის შემდეგ.

ღრძილებიდან სისხლის დენის დროს: 1 წილ ცაცხვის ყვავილსა და 2 წილ მუხის ქერქს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 10 წუთი და გამოივლეთ პირში 2-3-ჯერ დღეში.

ნიკრისის ქარისა და ორგანიზმში დაგროვილი მარილების სამკურნალოდ: 25 გ კოწახურის ქერქს დაასხით 10მლ 75%-იანი სპირტი, ჭურჭელს თავი მჭიდროდ დაახურეთ და შეინახეთ ერთი კვირა ბნელ ადგილას. მიიღეთ 30 წვეთი ნაყენი 3-ჯერ დღეში.

ფრჩხილების მტვრევისა და დაყოფის დროს: 1 ს/კ სუფთა ზღვის მარილი გახსენით 3 ჩ/ჭ თბილ წყალში და 10-15 წუთით ჩააწყვეთ შიგ თითის წვერები. პროცედურა გაიმეორეთ 10 დღის განმავლობაში.

თვალები თუ დაგიწითლდათ და ქუთუთოები შეგიშუპდათ: წვრილად დაჭრილი ოხრახუში ჩაყარეთ მარლის ტომსიკებში, 15-20 წუთით მოათავსეთ მდუღარე წყალში, გააგრილეთ და 10 წუთით დაიდეთ თვალებზე.

თურმე ბადრიჯანი...



ექიმმა-დიეტოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ბადრიჯნის რბილობი დიდ როლს ასრულებს კუჭ-ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორის შენარჩუნებაში. ამიტომაც ის ძალიან სასარგებლოა მათთვის, ვისაც აწუხებს დისბაქტერიოზი. ბადრიჯანი შეიცავს კალიუმს, რომელიც საჭიროა გულის ნორმალური მუშაობისთვის, ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხის გამოდევნის პროცესს. დაბალკალორიულია და სასარგებლო მათთვის, ვისაც წონაში მომატებისა ეშინია. ხანგრძლივად ბადრიჯნის მიღება დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ამიტომაც ათეროსკლეროზით დაავადებულებმა ყოველდღიურად უნდა მიირთვან ბადრიჯნის კერძები.

ლეჩებნიკი

დიაბეტური პრობლემები
✔ როდის ინიშნება ინსულინი?
✔ აქვს თუ არა უკუჩვენებები ინსულინით მკურნალობას?
✔ რომელი მცენარეული პრეპარატები გამოიყენება დიაბეტის სამკურნალოდ?

არტერიული ჰიპერტენზია
✔ რატომ არის აუცილებელი სუფრის მარილის შეზღუდვა?
✔ შეიძლება თუ არა წნევიანისთვის ფიზიკური ვარჯიში?

სიელმე
ჩვილ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ სიელმე. რამდენად საშიშია ეს?

საკეისრო კვეთა
პირველი საკეისროს შემდეგ რამდენ ხანში შეიძლება მეორე მშობიარობა?

ჯანდაცვის რეფორმა
✔ რა ბედი ელით ამბულატორიებს?
✔ როგორ მიიღებს მოსახლეობა ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს?

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

თუ კისერი გაგიშეშდათ

თუ კისრის კუნთების ანთება გაქვთ (მიოზიტი), ათქვიფეთ კვერცხის გული და არაყანი, დაუმატეთ 1ჩ/კ სკიპიდარი და 1ს/კ ვაშლის ძმარი. ძილის წინ ამ ფაფით დაიზილეთ მტკივანი ადგილი, შემდეგ თბილად შეიხვიეთ. პროცედურა გაიმეორეთ 2-3 დღე.

ტაიმი

იცით თუ არა, რომ...

წონაში დასაკლებად აუცილებელი არ არის დიეტის დაცვა. საკმარისია ისეთი პროდუქტებით იკვებოთ, რომლებიც აჩქარებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესს და ცხიმის დაშლას. მიეძალეთ გრეიპფრუტს, რომელიც მდიდარია C ვიტამინით და ასტიმულირებს ჰორმონ ნორადრენალინის გამომუშავებას; ეთეროვანი ზეთის შემცველი ოხრახუში გამოდევნის ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს. ოხრახუში დაუმატეთ წვნიანსა და სალათებს. ცხიმის დაშლას ხელს უწყობს ანანასიც, ოღონდ ანანასი უნდა იყოს ახალი. საუცხოოა აგრეთვე შტოშის და სტაფილოს წვენები.

ოჯი

გაზაფხულის ალერგია

ხველება, სურდო, ცრემლდენა, ფხაჭნა ყელში — გაზაფხულის ალერგიის ნაცნობი სიმპტომებია. ისეირნეთ მხოლოდ საღამოს, მზის ჩასვლისას. შინ გამოიყენეთ ჰაერის გამწმენდი და დამატენიანებელი საშუალებები. სასურველია სახლის დალაგება დღეში 1-2-ჯერ, განსაკუთრებით, საძინებლისა. სჯობს წყლისფილტრიანი მტვერსასრუტის ხმარება. შინ დაბრუნებისთანავე მიიღეთ შხაპი. გამოირეცხეთ ცხვირის ნესტოები და თვალები ცივი წყლით, წყალი გამოივლეთ ყელშიც. ალერგიის სიმპტომებისგან დაგიცავთ ანტიჰისტამინური პრეპარატები. კარგია, თუ მცენარეების, ხეხილის ყვავილობის დროს გახვალთ ქალაქიდან. ალერგია გადადის მემკვიდრეობით.

დობრიე სოვეტი

როგორ გავუფრთხილდეთ ნერვებს

ხშირად იმეორეთ გუნებაში: „მე ვარ ძლიერი, ჯანმრთელი და ლამაზი". სარკის წინ ხშირ-ხშირად გაუღიმეთ საკუთარ თავს. თუ არ გსურთ რეცხვა ან დალაგება, დროებით გადადეთ, გააკეთეთ ის, რაც სიამოვნებას მოგანიჭებთ და შემდეგ მიუბრუნდით საოჯახო საქმეს. ასე მალე ისწავლით დამშვიდებას და თავიდან აიცილებთ სტრესს. ეცადეთ მაქსიმალურად მოერიდოთ ნერვიულ და ბრაზიან ადამიანებს. გაურიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. თუ გრძნობთ, რომ ღიზიანდებით, სჯობს ბოდიში მოიხადოთ და წახვიდეთ.

ენერგიის მოსამატებლად მიირთვით რაც შეიძლება მეტი ცოცხალი ნარინჯისფერი და მწვანე ხილ-ბოსტნეული. მწვანე აწონასწორებს ადამიანს, უცხრობს სიბრაზეს, ნარინჯისფერი — აპათიისგან იცავს.

ზდოროვიე

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომოდულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

ჰერპესის მკურნალი...

მსგავს ვირუსულ ინფექციებს ამარცხებს საერთო გასამაგრებელი საშუალებები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ალოეს წვენი — ის ძლიერი ბიოგენური სტიმულატორია. ალოეს ფოთოლი მოათავსეთ მაცივარში 2 საათით, შემდეგ გაწურეთ და დალიეთ თითო ჩ/კ 2-3-ჯერ დღეში, ჭამის წინ. ალოეს წვენითვე დაიზილეთ ჰერპესიანი ადგილები.

მიროვი

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალოთ
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში


საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
სერთიფიცირებულია
ცხელი ხაზი: 39 66 03

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
•ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
•ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
•სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
•სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
•უროლოგიური, გულსისხლძარღვთა, ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა
ფსიქოთერაპია
ვაქცინაცია ლასავლეთის წარმოების ვაქცინებით.
თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24

ელექტრომაგნიტური ტალღები და ჯანმრთელობა



ელექტროტექნიკა, როგორც მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, მაცივარი, ელექტროღუმელი და ა.შ. რომელთა გარეშე უკვე ველარ წარმოგვიდგენია სიცოცხლე, თურმე არც ისე უვნებელი ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობისთვის — მათგან გამოსხივებული დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღები უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე, მუხრუჭდება ნერვული იმპულსების გადაცემა, ადამიანი გრძნობს დაღლას, მოთენთილია, იოლად ღიზიანდება, მაღლა უწევს არტერიული წნევა, ეძინება, უქვეითდება ყურადღება, უუარესდება მეხსიერება, უსუსტდება იმუნიტეტი და ა.შ. საბედნიეროდ, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი უმკლავდება ელექტრომაგნიტური ველის მავნე ზემოქმედებას, თუმცა ისინიც რისკის ქვეშ არიან, ვისაც ხანგრძლივად აქვთ კონტაქტი მობილურ ტელეფონთან, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან.

16 წლამდე ასაკის ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ორგანიზმი ძალზე მგრძნობიარეა ელექტრომაგნიტური ველის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ზიანდება ნერვული სისტემა, ამიტომ ბავშვი უნდა მოვარიდოთ მრავალსაათიან კომპიუტერულ თამაშებსა და ფილმებს.

ასევე მავნებელია ელექტრომაგნიტური ველი ემბრიონისთვის, ამიტომ ფეხმძიმე ქალებმა თავი უნდა შეიკავონ კომპიუტერთან დიდი ხნით კონტაქტისგან.

მიზანშეუწონელია ელექტრომაგნიტური ველის არეში ნერვული სისტემითა და ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციით დაავადებული ადამიანების დიდხანს ყოფნა.

მედიკოსები გვირჩევენ:

• ახალი მობილური ტელეფონის ყიდვისას შეამოწმეთ, სერტიფიცირებულია თუ არა. 4 წუთზე მეტხანს ნუ ილაპარაკებთ, საუბრებს შორის ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ 15 წუთისა.

• სასურველია, ფიჭური ტელეფონი გამოიყენოთ სპეციალური საყურისით, რომელიც ყურთან ყურმილის მიტანის გარეშე იძლევა აბონენტთან ურთიერთობის საშუალებას.

• არ ატაროთ მობილური მკერდზე ან ქამარზე. შეინახეთ ჩანთაში.

• მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ფოტოკამერიანი ფიჭური ტელეფონები უფრო მეტ ელექტრომაგნიტურ ტალღებს ასხივებენ.

დაცვის 5 ხერხი:

1. საღამოს და ღამით დიდხანს ნუ დაჰყოფთ კომპიუტერთან. გარდა ელექტრომაგნიტური ტალღებისა, მონიტორი წარმოადგენს ინტენსიური სინათლის წყაროს, რომელიც ძალიან ვნებს თვალებს.
2. მუშაობის დროს უნდა იჯდეთ დისპლეისგან წინ გაწვდილი ხელების მანძილზე.
3. ეკრანს გაუკეთეთ დამცავი ფილტრები.
4. ელექტრომაგნიტური ტალღები ოთახს ავსებენ ორგანიზმისთვის მავნე იონებით, განსაკუთრებით ეს ეხება ოფისებს, სადაც ბევრი კომპიუტერია. სიტუაციის გამოსასწორებლად, დაგეხმარებათ ოთახის მცენარეები.
5. ელექტროღუმელთან უნდა იდგეთ 30 სმ-ის დაშორებით, ტელევიზორს უნდა უყუროთ 2 მ-ის სიშორიდან.

ლიზა

ყველაზე სასარგებლო ბოსტნეული



არცთუ დიდი ხნის წინ გერმანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბროკოლი შეიცავს ისეთ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას — დიინდოლილმეთანს — რომელიც ხელს უშლის სარძევე ჯირკვლების სიმსივნის ზრდას, მისი უჯრედების დაყოფასა და გამრავლებას. ეს ნივთიერება ამაღლებს სპეციფიკური ცილის დონეს, რომელიც სპობს კიბოს უჯრედებს და ამცირებს ისეთი ცილების დონეს, რომელიც ხელს უწყობს ამ უჯრედების გამრავლებას. ამიტომაც სპეციალისტები გვირჩევენ ხშირად მივიღოთ (განსაკუთრებით ქალებმა) ეს სამკურნალო ბოსტნეული.

ლეჩებნიკი

სამედიცინო ცენტრი "ლაზერი" | ბახტრიონის ქ. №18
უახლესი ტექნოლოგიები. უნიკალური მეთოდები. 5-წლიანი მუშაობის გამოცდილება.
პროქტოლოგია: ბუასილის „ოპერაცია" დანისა და ნარკოზის გარეშე. 15-30 წუთში. ამბულატორიულად. ანალური არხის ნაპრალის, კოლიტის მკურნალობა.
უროლოგია: პროსტატიტის მკურნალობა პროფესორ ს.მოსკვინის 2005წ გამოშვების უნიკალური ლაზერული აპარატით; სექსუალური პრობლემების მოგვარება; პროსტატის ადენომის ადრეული სტადიის მკურნალობა დაბალინტენსიური ლაზერით.
ექიმი ვიტალი ბერიშვილი ტ. 36-14-18; 899.70.00.40; 37-93-41

„დერმასეპტი" — სასწრაფო დახმარება ცხიმიანი კანის ყოველგვარი ანთებისა და ჩირქოვანი გამონაყარის სამკურნალოდ

GEOMED

პრობლემური და ცხიმიანი კანისთვის დამახასიათებელი ჩირქოვანი გამონაყარი მრავალ ადამიანს აწუხებს და თუ ზოგიერთს ეს აბეზარი პრობლემა მხოლოდ დისკომფორტს უქმნის, სხვებისთვის ის დეპრესიის წინა პირობადაც იქცევა ხოლმე, რადგან ყოველი ადამიანი თავდაჯერებულად მაშინ გრძნობს თავს, როდესაც კმაყოფილია თავისი გარეგნობით. კანზე არსებული გამონაყარი კი უსიამოვნო სანახავია და ამის გამო ადამიანებს ხშირად სასურველ პიროვნებასთან შეხვედრის სურვილიც კი უქრებათ. საბედნიეროდ, გამონაყარის, ანუ როგორც მას უწოდებენ, აკნეს პრობლემა, ნაწილობრივ გადაჭრილია. ამ პრობლემისგან თავის დაღწევის უებარი საშუალება ჩვენ უკვე შევთავაზეთ მკითხველს. ეს გახლავთ პრეპარატი „დერმასეპტი". „დერმასეპტზე" კვლავ საუბარი მასზე დიდი მოთხოვნისა და მისი დიდი პოპულარობის გამო გადავწყვიტეთ. „დერმასეპტის" დევიზია — „ადამიანები ჩირქოვანი გამონაყარის გარეშე". აღსანიშნავია, რომ გამოჩნდა მრავალი უცხოური კომპანია, რომლებიც „დერმასეპტის" სხვა ქვეყნებში გატანას გეგმავენ. კერძოდ კი — რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. „დერმასეპტზე" აზრი კვლავაც პროფესიონალებს ვკითხეთ.

ჯენარო ძრისტესაშვილი (ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი): „დერმასეპტი" იმით არის გამორჩეული და საუკეთესო, რომ ის მოქმედებს როგორც ინფექციის საწინააღმდეგოდ, ასევე აქვს ადგილობრივი მგრძნობელობის დამაქვეითებელი უნარი და, რაც მთავარია, ის კანს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე აღადგენს ისე, რომ არანაირი კვალი არ რჩება. „დერმასეპტის" დიდი უპირატესობა კვლავ ის არის, რომ მისი გამოყენება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში, ადგილობრივი მკურნალობით შეიძლება, ისე, რომ არ დავარღვიოთ ჰორმონული ბალანსი. გარდა ამისა, „დერმასეპტის" გამოყენებისას საჭირო არ არის ანტიბიოტიკების დიდი ხნის განმავლობაში მიღება. „დერმასეპტის" ეფექტურობას სწრაფადვე შეიგრძნობთ; მისი გამოყენების შედეგად ქრება ჩირქოვანი გამონაყარი და ამ პრეპარატით ცხიმიანი კანის დამუშავების შემდეგ, მისი ზედაპირი ცხიმისა და ნადები მტვრისგან იწმინდება, კანი გლუვი ხდება, ფორები იხურება და შესახედავადაც სასიამოვნოა. „დერმასეპტის" გამოყენება რეკომენდებულია მექანიკური გაღიზიანების (გაპარსვის) შემდეგაც, ასევე კოსმეტოლოგიაშიც. ასეთი ხარისხის პრეპარატი ამ მიმართულებით მართლაც ერთადერთია, ამიტომ მასზე მოთხოვნილების ასეთი სწრაფი ზრდა გასაკვირი არ არის.

სოსო კოზახიძე (თბილისის დერმატოვენეროლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე): „დერმასეპტს" გავლილი აქვს ყველა ის ეტაპი, რაც, საქართველოს კანონმდებლობით, ყველა პრეპარატმა უნდა გაიაროს. შეგიძლიათ ის, თქვენს საოჯახო აფთიაქში შეინახოთ და ნებისმიერი ჩირქოვანი გამონაყარის დროს მოიხმაროთ. მისი პრივილეგია ისაა, რომ უფერო სითხეა. მოგეხსენებათ, მამაკაცები ხშირად წინააღმდეგი არიან, გამოიყენონ რაიმე მალამო ან კრემი, რადგან სახეზე ჩანს და პრიალებს. ასეთი რამ „დერმასეპტს" არ ახასიათებს.

— პრეპარატ „დერმასეპტის" გამოყენების შემდეგ, რამდენ ხანში მიიღწევა სასურველი შედეგი?

— თუ გამონაყარი მხოლოდ შუბლის მიდამოებშია, შეიძლება, მკვეთრი ცვლილება უკვე ერთ დღეში მივიღოთ, სასურველი შედეგი კი — ერთ-ორ კვირაში. შემდგომში, სახის, მკერდისა და ზურგის კანი პერიოდულად საჭიროებს „დერმასეპტით" დამუშავებას. თუმცა ეს ყოველი ადამიანისთვის ინდივიდუალურია. საერთოდ, ამ პრეპარატის პრივილეგია ის არის, რომ მისი გამოყენების შემდეგ ადამიანი სწრაფად ამჩნევს დიდი ხნის ნანატრ ეფექტს, რასაც სხვა საშუალებები ვერ იძლევა. „დერმასეპტის" შემადგენელი ყველა კომპონენტი ორიგინალურადაა შერჩეული და დოზირებული ამ პრეპარატში. „დერმასეპტის" მთავარ ეფექტად ის ითვლება, რომ ამცირებს ცხიმიანობას, ხელს უწყობს დაგროვილი, დაინფიცირებული ცხიმის იმ რეზერვუარიდან გამოდევნას, რასაც ეს ცხიმოვანი ჯირკვალი წარმოშობს. ამასთან, ეს პრეპარატი ბაქტერიების მტერია; მას აქვს ადგილობრივად დამშრობი, გამხსნელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. ზაფხულში, ტემპერატურის მატებასთან ერთად, პროვოცირდება კანის პათოლოგიები და „დერმასეპტზე" მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება.

R

ცხოვრება ზოგისთვის თავტრფიალმავალი სისწრაფით მიქარის, ზოგისთვის კი ურმივით მიიწელბნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალიანც ხშირად დგება მომენტი როდესაც გვიანდება გოეთეს ფრაზა „შეჩერდი, წამო...“ „გაიყიდნენ“, „გაირიყნენ“ ადამიანის არსებობის ერთი შეიარე მოხეცეული და ისევ თავაწეულები სინანულიანი. გაგარეულები ზეციერებად ... ᲛᲔᲠᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲜᲘ... ᲙᲘᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲚᲘᲐᲕᲐ 1 – 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 2006

„ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲐᲕᲐ“ ᲐᲛ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲠᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲜᲘ... ᲙᲘᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲚᲘᲐᲕᲐ 1 – 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 2006



„რა ყველას უნდა ეფერო, ამის დედა ვატირე...“
(ვ/ფ „მიმინო“)

„Камни буду грызть пока не отомщу!“
(ვ/ფ „არ იდარდო“)

მსოფლიოს ორზას ჩინეთის რეკორდსმენმა ლიუ პატარაკამ ახალი რეკორდი დამყარა. მან ცალი ყურით ადგილიდან დაძრა და 41 ტონნა და 10 სანტიმეტრზე ვიდაადგილი ორი ერთმანეთზე გადამუული მაკროიტტობუსი „ფორდი“, რომელთა საერთო წონა 4,5 ტონის აღემატებოდა.

„— გამოსწორ, ბიჭო, გამოსწორ მაგრადა...
— ყურა, ყურა თქვე ვირებო, თქვენა!“
(ვ/ფ „ქვეყრა“)

„დაჯექი, ქალო, შენ მანდა, ნუ გამოტყვრები ხოლმე სამალე გოჭივითა“.
(ვ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)

რუსული დუმა საქართველოს თავდაცვის მინისტრად განიხილავს შეშლილ ისტერიკოსია. საოთხრის დეპუტატებს ოერეაშეფალ „ოეკალური ამბორტის“ ჩაეალაეი ვიეეეარეი და თავიანთა რანსეი დუმის ათეალეეეზე საქმე-ეეტერეეგეა ჩანეალ ნანი ბეეეკანაკეს დაკეტეეს თავს. ოერეაშეფალ ფრაზეებს ეეეეალეზე ეეფრო ფრინოეეტეკი ჩალეალი და ბატონეფალეი გაგიოეა. ეალეეი, „ეეეი, შენ ვითხარეი“ და საქართველოს თავდაცვის მინისტრად ფსიქიკურად ეეეე

გიორგი შატბერაშვილი

ტივის ხე

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუდგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა...
დროც მიდის, როგორც მდინარე...
თურმე შენ გადამავიწყე,
დაშლილა, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე.
არ ვიცი, ბედი ავბედი
წამიღებს რომელ მხარესა,
მიმატივტივებს მდინარე
გულადმა მწოლიარესა.
ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები...
ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადავივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე...

„ჟამი ესეცა წარვლის..."

იესე ბარათაშვილის ბეჭდის წარწერა

ყველას დრო წასულა,
ჩემი დროც წავა,
ყველას მზე ჩასულა,
ჩემი მზეც ჩავა...
აქეთ ნატბეური,
იქით ნამარნალი,
ხმალი — წართმეული,
იყო... ალარ არი.
მოდი და, ეს იყოს
მაინც საცნაური:
მომავალს ვესიტყვოთ
სიტყვით აზნაურით,
თორემ დრო წასულა,
სიცოცხლეც წავა,
ჩემი მზე ჩასულა,
შენი მზეც ჩავა!

აკაკი ვასაძე

აივანზე

აკაკი (ცაკული) ვასაძის საინტერესო კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები კარგად ახსოვს ლიტერატურულ საზოგადოებას. ამჯერად გთავაზობთ მის ორ ადრინდელ მოთხრობას, რომლებიც კარგად წარმოაჩენს ავტორის სულიერ სამყაროს.

საათობით ზის ხოლმე აივანზე.

სალამო რომ მოაწევს, გამოიტანს თავის სამფეხას, ჩამოჯდება, და იქით იმზირება...

იქით იმერეთის ნაზად აჭრელებული ფერდობებია, მწვანეყვავილას ქათქათა ეკლესია და ტანამომშრალი რიონის ჩქერები.

გვიან ღამემდე ზის, და იქით იმზირება.

— რას უყურებ? — ეტყვის შვილიშვილი და გვერდით მიუჯდება.

— არაფერს... ისე, ვუყურებ.

— ფიქრობ?

— ჰო, რაიმე თუ გამახსენდება, მოვიგონებ. აბა, სხვა რაღაზე უნდა ვიფიქრო, — უპასუხებს ის და სახეზე ღიმილი გადაჰკრავს.

მზე თანდათან ჩადის, დასავლეთისაკენ იხრება და თან მთელ ცას მიათრევს მთების იქით. მისი შუქი ნაზად ილვრება კაბის კალთებში. ის ხედავს ამას და კაბას გადუშლის სხივებს. მერე ზედ ხელს ალერსით გადაუსვამს.

ბინდდება...

მწვანეყვავილადან ნიავი ჩამოუქროლებს. ბურუსში ეხვევა ფერდობები და სახლებში ნათურები ინთება.

ბებია: — იცი ახლა რა გამახსენდა? — იტყვის და ერთხანს დადუმდება. ისევ ათამაშდება ღიმი დამჭკნარ ბაგეებზე, წყლიან გამჭვირვალე თვალებზე ოდნავი ციაგი გადაუვლის. — აი, პირველად რომ პაპაშენმა აქეთ წამომიყვანა, თექვსმეტისა ვიყავი. მანამდე კი ბათუმში ვცხოვრობდი, ზღვის პირას...

ზღვა ძალიან მიყვარდა მაშინ. მთელი დღე შემეძლო მისთვის მეცქირა. რომ მოღამდებოდა, გავიდოდი ხოლმე აივანზე და ვუყურებდი, გემი ნაპირს როგორ შორდება. ის მიყვარდა, გემი ღრმად რომ გავიდოდა და მერე ნათურასავით გამოანათებდა იქიდან. სანამ ჩაქრებოდა, მე სულ აივანზე ვიდექი და ვუყურებდი...

დაბნელდა.

ირგვლივ მიჩუმდა ყველაფერი.

სადღაც, სულ ახლოს, ჭრიჭინამ თავისი გაუთავებელი და ღამესავით მოსაწყენი სიმღერა გააბა.

შვილიშვილი: მერე?

ბებია: მერე?.. მერე, აქეთ მოვყავდი და გულში



მენატრებოდა. ჯერ იმისად, მშობლებს რომ ვშორდებოდი, და მერე ზღვაში მიმავალ გემებს რომ ველარ ვნახავდი. პატარა ვიყავი, შენზე პატარა, თორემ...

დადუმდა და ისევ დაფიქრდა — შემდეგ მომხდარს თუ იგონებდა.

შვილიშვილი: ჩემხელა რომ ყოფილიყავი, არ იდარდებდი, ბები?

ბებია: არ ვიცი, ახლა არ ვიცი... ჰოდა, რომ ჩამომიყვანა, აქ, აივანზე გამოვედი იმ ღამეს. რიონი დიდი იყო მაშინ, — ეს ნაპირები სულ დაფარული ჰქონდა. წინ ფერდობზეც ახლა ბევრი სახლი რომ დგას, მაშინ ერთი იყო მხოლოდ — მეტყევის ქოხი. ვიდექი ასე, მესმოდა წყლის შხუილი და ბნელში კი ვერაფერს ვხედავდი. უცებ შორს მარტო სინათლე აინთო. მე ყველაფერი გადამავიწყდა, ისე მომეჩვენა, თითქოს იმ ბნელში ზღვა იყო გადაშლილი და გემი მიცურავდა, თითქოს ისევ ჩემს სახლში ვიყავი, ბათუმში და ჩემს აივანზე ვიდექი... თითქოს ყველაფერი უწინდებურად დარჩა, და მეც გულში ალარ მეტირებოდა.

გაჩერდა და სიბნელეში უხმოდ ჩაიხედა.

— იმ ღამის მერე ამ სახლში ალარავინ მეუცხოვა, არც არაფერი...

ნიავი ჩადგა.

მხოლოდ ჭრიჭინა აგრძელებს სიმღერას.

სადღაც ძაღლი დაგვიანებულ მგზავრს უყეფს.

შვილიშვილი: — ახლა, ბები? ახლა როგორ არის? კიდევ გახსოვს ზღვა?

ბებია: — ახლა?.. ახლა აღარა... მახსოვს მხოლოდ, რომ კარგი იყო, ძალიან ლურჯი და კარგი. სხვა არაფერი.

შვილიშვილი: — გემი, ბები?

ბებია: — გემი?

კითხვითვე პასუხობს და იღიმება. მერე კრუსუნით იწევა, თან სამფეხას აიილლიავებს და ოთახში გადის დასაძინებლად.

ჭრრ...

ჭრრ...

ჰყვება ჭრიჭინა თავის ამბავს.

მერე ისიც დუმდება.

სიჩუმეა.

უცნაური მეთევზე

გემი იყო იმხელა, რამხელაც უნდა იყოს თევზმჭერი გემი და მასზე იმდენი ხალხი ეტეოდა, რამდენიც უნდა ეტეოდეს თევზსაჭერ გემზე. უმეტესი მათგანი გამოცდილი მეზღვაური იყო და, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი თევზი დაეჭირათ. მებადურობა — ღვთისგან დალოცვილი ხელობაა, თევზის ჭერა — თვით ღმერთმა განუწესა ადამიანებს, რათა თავი გამოეკვებათ. მაგრამ ამ გემზე იმდენ თევზს იჭერდნენ, რომ შეუძლებელი იყო, ღმერთს მოსწონებოდა ეს. თუმცა, მაინც სდუმდა. ამიტომაც, ადამიანები გულდაჯერებულად აგრძელებდნენ უამრავი, სხვადასხვაგვარი თევზის ჭერას.

გემი ჰგავდა ოდესღაც ხმელეთიდან მოწყვეტილ, ან, უკეთ, ხმელეთიდან ამოვარდნილ ქალაქს, რომელიც ახლა შუა ოკეანეში დაძრწოდა თავისი მუცლის ამოსავსებად.

და რა უფრო უსასრულოა — სტომაქი თუ ოკეანე?!

დღე და ღამე მეთევზეები განუწყვეტლივ მუშაობდნენ: აკერებდნენ დახეულ ბადეებს, ამაგრებდნენ, აგდებდნენ წყალში; მერე ელოდნენ, ელოდნენ მოწყურებული თვალებით და ბოლოს, ამოჰქონდათ პირთამდე ავსილი, გატიკნილი ტომარა, რომელშიც თევზები მომწყვდეულიყვნენ და საბრალობლად თრთოდნენ, ცდილობდნენ გამძვრალიყვნენ ვიწრო თვლებიდან.

მაგრამ ამაოდ.

როდესაც ნადავლს გემბანზე დაყრიდნენ, სიხარულის ყივილით შემოეხვეოდნენ გარშემო და იწყებდნენ გაყოფას: გაყოფის დროს კი თვალთმაქცობდნენ, ატყუებდნენ ერთმანეთს, ჩხუბობდნენ, ზოგჯერ გაშმაგებულები დანებსა და ნაჯახებსაც წამოავლებდნენ ხელს...

და იმ ორომტრიალში კი, ვერავინ ამჩნევდა, განზე გამდგარიყო ერთი უცნაური მეთევზე. იგი გაფაციცებით, მალულად კრეფდა განზე გამსხლტარ, ჯერ კიდევ აფართხალებულ თევზებს და ფრთხილად, ფერებ-ფერებით ისევ ზღვას უბრუნებდა.

გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ

160 გვერდი,
რბილი გარეკანი,
ფასი: 3.90 ლ.



ახალი

ბესო ხვედელიძე — „უზარმაზარი ბაზარი" რომანი

გიყვარს, მკითხველო, დეტექტივი, ფანტასტიკა, აბსურდი, მისტიკა, მელოდრამა, თრილერი ან სულაც შავი იუმორი?.. გადაშალე ეს წიგნი და აღმოჩნდები „უზარმაზარ ბაზარში".

ტოტალიზატორი და დიდი ფსონი; მკვლელობა და მისტიკა; და... უზარმაზარი ბაზარი...

288 გვერდი,
რბილი გარეკანი,
ფასი: 4.90 ლ.

მაია ბურჭულაძე დეტექტიური რომანი ციკლიდან „იათამზე მდივანი — თვითმარქვია დეტექტივი" „შეშლილი თაფლობისთვე"

ახალშეუღლებული წყვილი თაფლობის თვის გასატარებლად მეგობრის აგარაკზე გაემგზავრება. მეორე დღეს სარდაფში შემთხვევით ახალშობილის ჩონჩხს აღმოაჩენენ. იბადება უამრავი კითხვა, ჩნდება ეჭვები... კვალი ქალაქში ცნობილ ოჯახთან მიდის... სასიყვარულო ისტორიები, ინტრიგები, მკვლელობები... თუ რა მოხდა წლების წინათ, — ამ საიდუმლოს გახალებს წიგნის წაკითხვისას შეიტყობთ.

ახალი **წიგნები** სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

გამომცემლობა „კვირის პალიტრა"	
ბორის აკუნინი — „თურქული გამბიტი"	5
მაია ბურჭულაძე შეშლილი თაფლობისთვე	4,90
ბესო ხვედელიძე — უზარმაზარი ბაზარი	3,90
ამირან ჭიჭინაძე — „ჭკუა"	5
„რას გვეტყვი, მამაო"	5
თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: „ყველაფერი ყველაფერზე"	12
ოტია იოსელიანი — „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები" (მ.ყდ)	8
ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული)	5
გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი	5

გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია"	
საბავშვო თემატური ენციკლოპედიების „რა არის რა" 50 ტომი	
ინდიელები მე-5 ტომი	16
მსოფლიოს 7 საოცრება 21-ე ტომი	16
ძველი ჩინეთი 42-ე ტომი	16
ვულკანები 50-ე ტომი	16

გამომცემლობა „ლიტერა"	
უილიამ შექსპირი „ჰამლეტი", „მაკბეტი", „ოტელო", „მეფე ლირი"	ხული 1?
„ალექსანდრე მაკედონელი"	7
„გულივერის მოგზაურობა"	7

„ელფის" გამომცემლობა	
„საქართველოს დიდი მეფეები"	16
„კომპიუტერის სახელმძღვანელო"	11
„ინტერნეტის სახელმძღვანელო"	12
„კომპიუტერის ლექსიკონი"	6.50
„ვორდი"	7.50
„ექსელი"	7.50
„მხიარული არითმეტიკა"	8
„მხიარული დედაენა"	7
„ავტომობილის ისტორია"	5.90
„შოკოლადის ისტორია"	5.90
„რაინდების ისტორია"	5.90

გამომცემლობა „არტანუჯი"	
„ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები"	11.20
„შუა საუკუნეების ისტორიის კრებული"	9.80
ტიციან ტაბიძე — 100 ლექსი	6
ლადო ასათიანი — 100 ლექსი	6
ტერენტი გრანელი — 100 ლექსი	6
მირზა გელოვანი — 100 ლექსი	6
გალაკტიონ ტაბიძე — 100 ლექსი	6

ჭაბუა ამირეჯიბი — „დათა თუთაშხია"	16
„გიორგი ბრწყინვალე"	16
„გორამ ბორგალი"	15
„ჭაბუა პაპას ცხრა ზღაპარი"	8

ბესიკ ალადაშვილი — „სპეცსამსახურები და შპიონაჟი"	10

გამომცემლობა „სიესტა"	
გაბრიელ გარსია მარკესი — „მარტოობის ასი წელი"	12
ირაკლი კაკაბაძე — „თანაგრძნობის სიმღერა"	8
ლევან ვასაძე — „დღიური ათონის მოლოცვისა"	12
ზაზა ბურჭულაძე — „წერილი დედას"	10

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	
საბავშვო	
მსოფლიოს ატლასი	20
საბავშვო ენციკლოპედია	16
საბავშვო ლექსები	11
მოსწავლის პირველი ენციკლოპედია, ცხოველები	9
მოსწავლის პირველი ენციკლოპედია, ჩვენი სამყარო	9
პროზა	
აკა მორჩილაძე — „მოგზაურობა ყარაბაღში"	9
„სანტა ესპერანსა"	19
„მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი"	25
პაულო კოელიო — „ალქიმიკოსი"	6

გამომცემლობა „თბილისელები"	
გოჩა მანველიძე — „მგლები I"	7
„მგლები II"	7
„იდუმალი ორდენი"	7
„საკონტროლო გასროლა"	7

გამომცემლობა „არეტე"	
იენ მაკიუენი — „ამსტერდამი"	7
ნიკუშა ანთაძე — „ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები"	6
ლაშა ბუღაძე — „მესამე სართული"	6
„ტომ სოიერის თავგადასავალი"	6

ტელ: 42-43-40 33-26-73

ცხოვრებისეული კურიოზები

1. – აღარა ვარ ჩახავა!..

ამ გამონათქვამის გახსენებაზე ახლაც ხალისიანად ეცინებათ სოხუმელებს აქ, დევნილობაში. დასაბამი კი მაშინ მიეცა, როცა სერგი ჩახავა სოხუმში დასახლდა. ადრე იგი თბილისში ცხოვრობდა, ნაძალადევში. ერთ დროს სუხიშვილების ანსამბლში ცეკვავდა. ანსამბლი ბახუსის უზომო სიყვარულის გამო დაატოვებინეს. ამერიკაში გასტროლების დროსაც წასძლია თურმე სულმა და შექეიფიანებულს „ცეცხლი დაუნთია" სცენაზე...

ბახუსს არც სოხუმში შეეშვა. გამორჩეულად რესტორანი „მერხეული" უყვარდა. ზის ერთხელ „მერხეულში" თანამეინახეებთან ერთად. ვილაცამ იცნო და დაუძახა, — სერგი ჩახავა, როგორ ბრძანდებითო. ჩახავას გაგონებაზე გახარებული გამოსულა მზარეული, მეც ჩახავა ვარო და იმ სუფრის დანახარჯიც გადაუხდია. ერთი კვირის შემდეგ ისევ ეწვია „მერხეულს" ძმაკაცებთან ერთად. ამის შემდეგ კიდევ და კიდევ იქეიფა „მერხეულში"... რა თქმა უნდა, მოგვარე მზარეულის ხარჯზე!

და აი, ერთხელაც სუხიშვილების ანსამბლი ეწვია სოხუმს. კონცერტის შემდეგ სერგიმ მთელი ანსამბლი მიუყვანა „მერხეულს". დაინახა თუ არა ჩახავა-მზარეულმა რესტორნის ეზოში თავშეყრილი მოცეკვავეები და სერგი, სამზარეულოდან ხორცის საკეპი ნაჯახით ხელში გამოვარდა და დაიყვირა: — აღარ ვარ ჩახავა, აღარ ვარ ჩახავა!

მას აქეთ მოარულ სალაღობო ფრაზად იქცა ეს „აღარ ვარ ჩახავა!".

ანზორ გვარამია, სოხუმი-თბილისი

2. კომისიაზე

ჩემი რაჭველი მეზობელი ანზორ გ. ჯარში გასაწვევ სამედიცინო კომისიაზე თვალის ექიმს მიმართავს: — ექიმო, სათვალის გარეშე ვერ ვხედავ, ვერ ვკითხულობ, სათვალიანი ჯარისკაცი კი რად გინდათ?

გამოცდილი ექიმი აწვდის სათვალეს და სთხოვს წაიკითხოს გაზეთი. ისიც კითხულობს გულმოდგინედ და შეუცდომლად „მორგებული" სათვალით, თანაც ექიმს კმაყოფილი ეუბნება:

— ხომ გითხარით, სათვალით კარგად ვხედავ-მეთქი!

— ჰო, მართალი ხარ, ხომ წარმოგიდგენია მაგ სათვალეში მინებიც რომ იყოს, აბა მაშინ წაიკითხავდი, თუ წაიკითხავდიო და... ექიმმა თითები გაუყარა სათვალეს მინების ადგილას, ანზორის უწყებას კი დიდი ასოებით მიაწერა: — ვარგისია ჯარში სამსახურისთვის!

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

3. ძმები

ერთმა ძალიან ახლობელმა ადამიანმა მთელი სერიოზულობით მოულოდნელად მკითხა:

— ვასიკო, სპარტაკი ოტელოა ხომ?

მე არ დავიბენი, სიცილი ძლივს შევიკავე და სერიოზულადვე ვუპასუხე: — არა ბიჭო, რას ამბობ, ძმები არიან-მეთქი.

მასაც დღემდე ძმები ჰგონია ოტელო და სპარტაკი.

ვასილ ჩხაიძე, თბილისი

4. უტვინო მხედარი

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჭიათურაში ყველა იცნობდა გურძიან ბარათაშვილს, ნამდვილ თავადიშვილს და ენამოსწრებულ კაცს. კარგი მხედარიც იყო, მაგრამ ერთხელ, საშევარდნოს მთის ციცაბო კლდეზე რომ მიქროდა თავისი იორღით, ცხენმა ქვას ფეხი წამოჰკრა, ყირაზე გადავიდა და მხედარიც შორს მოისროლა. თავგატეხილი და გონდაკარგული მხედარი საავადმყოფოში გააქანეს. იქ მისი ბიძაშვილი ანოპოდისტე ბარათაშვილი მუშაობდა ექიმად.

ექიმმა გულდასმით გასინჯა, ჭრილობები დაუმუშავა ჯერ ისევ უგონოდ მყოფს, შვებით ამოისუნთქა და ექთანს გადაულაპარაკა, — კიდევ კარგი, ჭრილობა ტვინამდე არ არის დასულიო.

გურძიანმა ბალიშიდან თავი ძლივძლივობით წამოსწია და ექიმს შესძახა, — რომელ ტვინზე ლაპარაკობ, ძამია! ტვინი რომ მქონოდა, იმ ციცაბო კლდეზე ცხენს დავაქანებდიო?.. და ბალიშზე მიესვენა.

ნოდარ ნასარიძე, თეთრიწყარო

5. პასპორტი

კომუნისტების დროს საგარეჯოელი ექიმი შოთა ახალქალაქში მუშაობდა. ერთხელ იქაურმა ქალმა მიუყვანა 3 წლის გიორგი გასასინჯად. შოთა ექიმს ბავშვი ძალიან მოეწონა, რაღაცებზე ელაპარაკა და ისიც უთხრა, რომ შენ გოგო ხარო. პატარა გიორგი უმტკიცებდა, რომ ბიჭი იყო. შოთა ექიმმა კი ბოლოს „მოითხოვა":

— თუ ბიჭი ხარ, მაშინ „პასპორტიც" გექნებაო.

ბავშვმა გაოცებით ახედა ექიმს. ამ დროს საქმეში გიორგის დედა ჩაერია: — პასპორტი გიორგის ჯერ არა აქვს, მამამისს აქვსო!..

ექიმს მეტი ხმა აღარ ამოუღია.

ვაჟა (გოდერძი) ჯავახიშვილი, საგარეჯო

გამოვლინდა კურიოზების კონკურსის აპრილის თვის სამი გამარჯვებული

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი წილად ხვდა ჭიათურელ **ანდრო ჩაჩანიძეს** კურიოზისთვის **„კისა"**.

მეორე ადგილი და პრემია — 30 ლარი დაიმსახურა საგარეჯოელმა **გიორგი ძოძიაურმა** კურიოზით **„განა რა ეწერა"**.

მესამე პრემია — 20 ლარი გადაეცემა თბილისელ **გერონტი მესხს** კურიოზისთვის **„კიდევ საკითხავია?!"**.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 4 მაისს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

წარმატებებს გისურვებთ!



მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

6. თანამედროვე გამოცანა:
კომპიუტერთან თუ ნახოთ „ბოტასები", ეს იმას ნიშნავს, რომ სვანი ინტერნეტშია!..

მამუკა ხ., გურჯაანი

7. ნარკომანი ტყეში მისეირნობს. შემოხვდა ბაყაყი და უთხრა: — მე მოჯადოებული პრინცესა ვარ. მაკოცე და მზეთუნახავად გადავიქცევი.

— რად მინდა ლამაზი ქალი, ტო? აუ, რა მაგრა ასწორებს მოლაპარაკე ბაყაყი!

ემზარ ფრუიძე, წყალტუბო

ყურადღება! კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 3 მაისის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 4 მაისის 13 საათამდე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი

____

____

____

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №18

ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება!

პასიკია ჯაფარიძეს რაჭაში სტუმართმასპინძლობით ჰქონდა სახელი განთქმული. მას ერთადერთი ინდაური ჰყავდა, რომელსაც სტუმრების მოსვლისთანავე სტაცებდა ხელს, დაადებინებდა კუნძზე თავს და ცულს მოუღერებდა. — ქვე შენი ჭირიმე, რა კარგია, რომ მოხვედით, დაგიკლავთ ახლა ამ ინდაურსო. სტუმარი, ცხადია, იუარებდა: — არა, პასიკია, ნაჭამი ვართ, ნუ შეწუხდები. — კარგი, ქვე შენი ჭირიმე, მეორედ რომ მოხვალ, მაშინ დაგიკლავთ, — ცულს დაუშვებდა პასიკია. P.S. ამბობენ დროთა განმავლობაში ინდაურს პირობითი რეფლექსი გამოუმუშავდა — სტუმრებს რომ დაინახავდა, მივარდებოდა და კუნძზე დებდა თავს.

აფხაზეთის ომის დროს ცნობილმა ჯაბა იოსელიანმა რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: „დურაკუ პანიატნო, შტო ნამ სდეს ვ ასნავნომ პრატივასტაიატ რუსკიე, ა ნე აფხაზცი... აფხაზცი ოჩენ მალოჩისლენნი. ვეს ნაროდ პამესტიტსა ნა ტრიბუნახ ადნავო სტადიონა. ტაკ ნეუჟელი ეტოტ „სტადიონ" ვირასტილ სტოლკო ტანკისტოვ, არტილერისტოვ, ლიოტჩიკოვ, შტო ტაკოი ბალშოი ფრონტ დერჟატ? ... ეტაჟ ნადო, ტაკოი ბალშოი ფრონტ დერჟატ?..."

გიორგი ჩართოლანს ერთ-ერთ თავის გადაცემაში მამა-შვილი, გელა და ირაკლი ჩარკვიანები, ჰყავდა მიწვეული. გადაცემის დასასრულს გელა ჩარკვიანმა იხუმრა, ამ გადაცემის შემდეგ თბილისში ანეკდოტი გაჩნდება, „ქაშვეთში" სამი სვანი იდგა და შოპინგზე ლაპარაკობდაო.

ტრაფალგარის ბრძოლაში დაღუპული ადმირალი ნელსონი კონიაკით სავსე კასრში მოათავსეს და ისე გადაასვენეს სამშობლოში.

·ფოტოპალიტრა·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოს. გთხოვთ, გაუკეთოთ შესაფერისი წარწერა და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე წარწერები პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

____

____

____

თქვენი სახელი, გვარი ________

ქალაქი (რაიონი) ________

ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ოქრუაშვილი

მილოცვა

თამუნა მირიანაშვილს დაბადებიდან 15 წლისთავს ვულოცავთ ბებია, პაპა – ყველა მირიანაშვილი და ახლობელი, მამის სანათესაოდან. ბედნიერი იყავი, ჩვენო სანატრელო და საამაყო გოგო. ისეთი სიცოცხლე დაგებედოს, შენი უსაყვარლესი მამიკო რომ ინატრებდა. გკოცნით.

თათა დუნდუას!

ჩვენო დიდო სიხარულო, ჩვენო ლამაზო თათა, 4 მაისს 4 წელი გისრულდება. ოქროს დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო სიყვარულო. გაგვეზარდე სასახელო და ღირსეული ქართველი ქალი.

შენი მამიდა – მაკა დუნდუა

ნიკოლოზ (ნიკა) ცომაიას!

ჩვენო უსაყვარლესო ნიკუშა, გილოცავთ ოქროს დაბადების დღეს. 2 წლის ვაჟკაცო, ღმერთმა გაგზარდოს ჯანმრთელი, ბედნიერი. გისურვებთ ლამაზ ბავშვობას, ულევ სიხარულს და ბედნიერ მომავალს. გაიზარდე სასახელო და ღირსეული მამულიშვილი. გკოცნით, გეფერებით, ჩვენო თვალმერცხალა ბიჭო. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ბიძა კობა, ბებია დონარა, ბაბუა იროდი ცომაიები; დიდი ბებია თინა ჩაჩავა, დიდი ბაბუა ოთარ ცომაია აბაშიდან

მაია მოდრეკელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ფერიავ, იყავი დღეგრძელი და მზეგრძელი, შენს პაწაწუნასთან ერთად. ლამაზი დღეები ღმერთმა არ მოგიშალოს, ჩემო სიხარულო.

ახა გამოცანა... ეს ცხოვრებაც ხომ დიდი გამოცანაა, საყვარელო.

ანი მერლანს!

გილოცავთ ამქვეყნად მოვლინების ბედნიერ დღეს. დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლე. იხარე და იბედნიერე. გფარავდეს მაღალი ღმერთი.

შენი ოჯახი

დათო გიას ძე მარჯანიძეს 2 მაისს უსრულდება 10 წელი. ვულოცავთ დაბადების დღეს. დათო, გაგიმარჯოს, მეზობლობაში, მეგობრობაში, ერთობაში და ჯანმრთელობაში. იცოცხლე და იხარე შენს მშობლებთან და ძმასთან ერთად.

შენი მამიდა ლეილა

ბინები

სასწრაფოდ! იყიდება მარჯანიშვილის ქ-ზე, კარგ ადგილას, ეზოში, მაღალ ბელეტაჟზე 1-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით, ანტრესოლში საძინებლით, სამზარეულო-ტუალეტით, სარდაფით, ყველანაირი ავეჯით, გაზით, მაცივრით, ს.ფ. – 20კვმ. ს/ფასი $33.000. ტელ: 95-12-53

იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიღუბეში, მირცხულავას ქუჩაზე, მე-7 სართულზე, ორი აივნით, ბ/აირით, წყლის გამათბობლით. ფასი $45.000. ტელ: 35-51-10; 899 22-55-70

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის, გარემონტებული ბინა დიღუბეში, პანთეონის პირდაპირ, IX სართულზე. ფასი $85.000. ტელ: 35-18-16

იყიდება სასწრაფოდ! ვაჟა-ფშაველას IVკვ-ში 4-ოთახიანი ბინა (2+1) დიდი სამზარეულოთი, დიდი საბაზანოთი, დიდი ჰოლით, ტელეფონით, მ/დ, ბ/ა, სარდაფით, ძველი რემონტით, კაპ. ა/ფარეხით (2 მანქანაზე). ტელ: 32-31-52; 899 51-54-41; 45-15-24; 893 20-67-35

იყიდება ბათუმში 3-ოთახიანი, უცხოვრებელი ბინა 1(5), მაღალ ბელეტაჟზე, მაღალი ჭერით, კაფელში ჩასმული სარდაფით – 30 კვმ, ჩასასვლელი ბინიდან, ახალი ევრორემონტით. მის: რუსთაველის ქ. ზღვისპირას, 20 მ-ში, ბულვარის წინ. ტ: 893 67-36-83; 877 47-66-12

გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 51 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება გამომუშავებით – 400-600 ლარი ან სტაბილური $200-დან ზევით. ტ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიდუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტ: 34-02-38

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, au-pair პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

უძლიერესი ფირმის ოფისში არის ვაკანსიები, სამუშაო კონტრაქტითაა, ყოველდღიური გამომუშავებით, თვეში 600-800 ლარი ან სტაბილური 200$-დან ზევით. საუკეთესო მუშაკებს ეძლევათ 3 თვეში ერთხელ სტაჟირების შანსი მსოფლიოს 61 ქვეყანაში. ფირმის პროფილით და ხარჯებით მიმდინარეობს შერჩევა. მენეჯერი ლერი. მის: ბელინსკის 2, IV სართ. ოთახი 415. რედაქციის შენობა. ტელ: 93-38-46

ფირმა INTERNATIONAL-ში გვესაჭიროება შემდეგი პირები: 1. ხელმძღვანელ ადგილზე მომუშავე; 2. პედაგოგიური გამოცდილების მქონე. ანაზღაურება – ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე. BAKU-TBILISI-IRAN. ტელ: 893 41-45-02. კადრების უფროსი ან 19 სთ-ის შემდეგ, ოპერატორი: 27-90-89

საერთაშორისო კომპანია იწვევს სათანამშრომლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, პროფესიონალ პედაგოგებს ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილებით, ექიმებს. ასაკი 30-45 წელი. შესაძლოა შეთავსება. ტელ: 7-28-44 (ქუთაისი)

სოლიდურ ფირმას ერევანში ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით ესაჭიროება თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ კავშირები ამ ქალაქში (ნათესაური ან საქმიანი). ასაკი – 30-55 წელი, ადგილზე სწავლებითა და დასაქმებით (თბილისში). სურვილის მიხედვით დასაქმება მოხდება ერევანში, მაღალი ანაზღაურებით. შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 95-33-47; 899 14-64-95

სასწრაფოდ გვესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე პირები, ადმინისტრაციული სამუშაო გამოცდილებით. ვაკანსიები შეზღუდულია. იჩქარეთ! ტელ: 22-72-44; 899 92-76-18

კომპანიაში სამუშაოდ მესაჭიროება თანამშრომელი უმაღლესი განათლებით, მუდმივ სამუშაო ადგილზე, 30-45 წლამდე. შერჩევა გასაუბრებით ტელ: 53-30-68

ექიმების საყურადღებოდ! უცხოური კომპანია იწვევს სათანამშრომლოდ გამოცდილ ექიმებს მედკონსულტანტად. მუშაობა – თავისუფალი გრაფიკით, ანაზღაურება – მაღალი. შესაძლოა შეთავსებაც. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 31-42-53; 898 14-12-72 (15-21 სთ). სარეგისტრაციო განყოფილება „ალფა-4“

ოფისში მესაჭიროება გამოცდილი ოფის-მენეჯერი, ბუღალტერი, კადრების მმართველი, ფსიქოლოგი. ტელ: 893 13-32-86

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი კადრებიდან. ასაკი შეზღუდული არ არის. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. შესაძლოა სხვადასხვა პროფესიის ადამიანის დასაქმება. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ოთახი №17, დ კლუბი. იკითხეთ გოჩა. (13-17 სთ, კვირის გარდა). ტელ: 893 33-18-86; 51-73-08

უცხოურ კომპანიას ესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე ინჟინრები, ეკონომისტები, პედაგოგები. ტელ: 98-39-94; მენეჯერი: 893 40-35-77

მომსახურება

ავიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 70 თ. ტ: 34-32-79; 893 96-00-42

რბილი ავეჯის რესტავრაცია; სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა; სკამების, მატრასების გადაკვრა, გაახლება. ტელ: 95-97-12; 893 69-65-85 (გიზო)

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით. ფასი: 1 სთ – 12 ლარი. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 9. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი, ლაქები, ჭორფლი, ნაოჭების გაწმენდა, ჭარბთმიანობა ეპილაციის გარეშე ტანსა და სახეზე. მობრძანდით, არ ინანებთ. სუპერგარანტია. მის: მ. „რუსთაველი“ (რედაქციის შენობაში), ბელინსკის 2, IV სართ. 415 ოთ. ტელ: 93-38-46. ბ-ნი ლერი

პრობლემა გაქვთ წონასთან დაკავშირებით? უპრობლემოდ, დიეტის და ვარჯიშის გარეშე შეგიძლიათ დაიკლოთ 5-15კგ. მომატება – 6 კგ, სიმაღლეში ზრდა ვიტამინებით, მოიმატებთ 3-4 სმ-ს, 2-25 წლამდე. მობრძანდით, არ ინანებთ, სუპრგარანტიით. მის: მ. „რუსთაველი“ (რედაქციის შენობაში), ბელინსკის 2, IV სართ. 415 ოთ. ტელ: 93-38-46. ბ-ნი ლერი

ყურადღება! სხეულის კორექცია ქართული საგვარეულო რეცეპტით, ქართული ნედლეულით, უსაფრთხოდ, დიეტის გარეშე, გარანტიით, 8-15 კგ-ს დაკლება თვეში, სულ რაღაც 30 ლარად. კომპლექსურად მოგიწესრიგებთ ნერვიულ სისტემას, ნივთიერებათა ცვლას, კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. ნედლეულს ილებენ მეტუტური დედებიც. კონსულტაციას გაგიწევენ ფიტოთერაპევტი, ფსიქოლოგი, მასაჟისტი. ჩაწერა – წინასწარ. ტელ: 76-90-99 (საღამოს); 899 579-079

გამოცდილი კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას უნემსოდ, ფრანგული აპარატურით, უმტკივნეულოდ, უკვალოდ, ყველაზე შედეგიანად. ერთი ამოღებით გათავისუფლდებით ჭარბთმიანობისგან. მოვარჩენ მუწუკიან კანს. კოსმეტიკური საშუალებები დამზადებულია ნატურალურ კომპონენტებზე. კოსმეტოლოგი ნათელა კაპანაძე. ტელ: 33-33-18; 893 57-53-80. კმაყოფილი დარჩებით!

მცენარეული კოქტეილების საშუალებით გთავაზობთ გახდომას თვეში (7-15 კგ), მომატებას (3-6 კგ), დაკლებული და მომატებული წონის შენარჩუნებას. ასევე გთავაზობთ სიმაღლეში ზრდას (2-3 სმ თვეში). კონსულტაცია უფასოა. მის: ბელინსკის ქ. 2. მე-4 სართ. ოთახი 415. ტელ: 93-38-46 ოფისი; 899 27-28-43. კონსულტანტი ქ. ნონა

მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული და ფუნქციური გამოკვლევა – წნევების დარეგულირება, თავის ტკივილები, ნევროზი, კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, ბუასილი (სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი), ფსორიაზი, სოკო, ღრძილებიდან სისხლდენა, უნებლიე შარდვა, პროსტატიტი, ქოლეცისტიტი, ჰაიმორიტი, ღრძილებიდან სისხლდენა. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ტელ: 899 43-97-34 (ნებისმიერ დროს); 32-39-46. ექიმი ნათია. მიღება – ჩაწერით.

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მკურნალობს გარანტიით, ფუტკრის პროდუქტებისგან დამზადებული პრეპარატებით, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს (თუნდაც გახსნილი სისხლმდენი ძლიერი ტკივილებით). მის: ქ. ახმეტა, ყაზბეგის ქ. №72. ტ: 899 48-91-05. მიხეილი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, ასევე „პახმელიის“ მოხსნა. გარდა ამისა ნევროზი, აგრესია, დეპრესია, უძილობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში გაზრდა (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით), სიახლე! – გახდომა დიეტის გარეშე. ტელ: 893-35-45-35 (ნებ. დროს); 93-44-25 (12-16 სთ); 58-04-67 (საღამოს). მაკა ექიმი

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად. დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 45 ლარი). კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის, ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. მის: ხიდის ქ. №2 (მშრალ ხიდთან) ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 92-39-44; 893 16-70-76. ბ-ნი ზვიადი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის“ მოხსნა, აგრესიები, აკვიატება, შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, თამბაქოს გადაგდება, ბუასილი (სისხლმდენი, ქავილი, ნაპრალი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ფსორიაზი, სოკო, კანის დაავადებები, ასთმა, წითელი ქარი, პოდაგრა, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი – ღვიძლის დაავადებები, კლიმაქსი – მცენარეული პრეპარატებით, რომელთაც არ გააჩნია უკუჩვენება. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77. ექიმი ლალი

100%-იანი გარანტიით, ოპერაციის გარეშე ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, კოლიტი, წვა, ქავილი). მწვავე ტკივილი იხსნება 1-2 დღეში, ხდება კვანძების გაწოვა. მის: ც. დადიანის 87. ტელ: 69-91-92 (კაბ); 39-39-97; 899 57-16-99. ექ. ალექსიშვილი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), შაკიკი, ჰაიმორიტი, ნევროზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ც. დადიანის 87). ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 69-91-92; 899 57-16-99

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, მაღალხარისხიანი მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით; ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გარიაჩკა“), „პახმელიის“ სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები; აგრეთვე ჰეპატიტების, ნევროზების, უძილობის და სხვა დაავადებების მკურნალობა. შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ. 899 35-27-13; 53-08-02. თამრიკო ექიმი (ნებისმიერ დროს)

მამაკაცების საყურადღებოდ! გარანტირებული შედეგით: ნატუროპატია, ჰომეოპათია და უძველესი ხალხური მედიცინა, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, გაძლევთ შესაძლებლობას განიკურნოთ შემდეგი დაავადებებისგან: პროსტატიტი, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, პენისის ანთება, ერექციის დაქვეითება, წვა, ხშირი შარდვა, სოკოვანი დაავადება, ქავილი, კონტაქტის შიში, ბუასილი (ნაპრალი, კვანძები, სისხლდენა, გაუსაძლისი ტკივილი, კოლიტი), შარდის შეკავება და შეუკავებლობა. შედეგი ეფექტურია და გარანტირებული. პაციენტს ემსახურება მაღალკვალიფიციური თერაპევტი. ტელ: 899 49-84-23; 34-42-00 (ოფისი)

სხვადასხვა მეთოდით ვმკურნალობ: აგრესიას, უძილობას, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, ფსიქიკის დარღვევას, უიმედობას, კოშმარულ სიზმრებს, შფოთიან ძილს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დაძაბულობას, შინაგან შებოჭილობას, ნებისმიერ შიშს, სუნთქვის გაძნელებას. შედეგი ეფექტურია და გარანტირებული. პაციენტს ემსახურება მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ტელ: 899 49-84-23; 34-42-00 (ოფისი)

გთავაზობთ უახლესი მეთოდით, თანამედროვე აპარატით, შემდეგი დაავადებების მკურნლობას: უნებლიე შარდვა, შარდის შეუკავებლობა, ბავშვებში ღამის ენურეზი, პროსტატიტი, სახსრების დაავადებები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სიმაღლეში ზრდის შეჩერება, წონაში დაკლება, ყურებში ხმაური. მის: ალმაშენებლის 115, პოლიკლინიკის შენობა (ეზოს ბოლოში), კაბ. 5. ლია. ტელ: 95-83-54; 899 19-59-19; 51-77-11; 53-15-51 (ბინა, 20 სთ-ის შემდეგ). ყოველდღე, კვირის გარდა, 10-17 სთ. კონსულტაცია უფასოა

მასტიტების, მასტოპათიის, ონკოგადაგვარების უზუსტესი დიაგნოსტიკა ბიოლოგიური მედიცინის მეთოდებით. პუნქციის აღებისა და აპარატურის გარეშე რამდენიმე წუთში დაგიდგენთ სარძევე ჯირკვლებისა და მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებებს (მათ შორის სიმსივნეს). მკურნალობა – 10-დღიანი კურსით. მის: ალმაშენებლის 115, პოლიკლინიკის შენობა (ეზოს ბოლოში), კაბ. 5. ნინო. ტელ: 95-83-54; 899 78-21-24; 61-61-18 (ბინა)

ალკოჰოლიზმი – სერიოზული ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს „პახმელია“, „ზაპოი“, ჰალუცინაციები („ბელაია გარიაჩკა“), ნევროზები, აგრესიულობა და მიდის ისეთ გართულებამდე, როგორიცაა ალკოჰოლური ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი. ალკოჰოლიზმის ავადობის ტვირთი არის მსოფლიოში 9,0%, რასაც სჭირდება სერიოზული, თერაპიული მკურნალობა. გთავაზობთ თერაპიულ კურსს მცენარეული, უსაფრთხო, ქარხნული პრეპარატებით „გაიტლაინი“. შესაძლებელია პრეპარატების შერევა საკვებში (ანუ პაციენტისგან ფარულადაც). საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯერი-ექიმი ნინო ან ნანა. ტელ: 99-75-90; 899 36-67-46; 899 36-65-34

მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით გთავაზობთ შემდეგი დაავადებების ეფექტურ, უვნებელ და გარანტირებულ მკურნალობას უოპერაციოდ. იკურნება: საკვერცხის კისტა, ფიბრომა, მიომა, მასტოპათია, ბუასილი, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლული! ასევე ვმკურნალობთ მცენარეებით სიმსივნით დაავადებულებს, მეტასტაზების შეჩერების და ორგანიზმის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 70-78-03 (ბინა); 899 74-23-69

მეტყველების დარღვევების მკურნალობა (ენაბლუობა-ლოგონევროზი), ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა უახლესი გერმანული აპარატურით მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას 16 (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა), 10-16 სთ.

ლომთათიძის დიაგნოსტიკურ ცენტრში, საზღვარგარეთ მიღებული მეთოდებით, გარანტიით, აპარატურით მკურნალობენ მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ჭორფლს, ჭარბთმიანობას, ბუასილს, თმის ცვენას, სოკოვან დაავადებებს, ბავშვებში სიმაღლეში ზრდას, ჰაიმორიტს, სტოლიოზს, რადიკულიტს, პროსტატიტს, შარდის შეუკავებლობას. კონსულტაცია უფასოა. მკურნალობის კურსი 5-10-დღიანია. მის: მ. „მარჯანიშვილი“, ალმაშენებლის №93, „ბამბის“ გვერდით. ტელ: 893 39-04-87; 96-38-27. ირინა

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე საზღვარგარეთ მიღებული მეთოდებით (იაპონური აპარატი) კურნავს უნებლიე შარდვას, შარდის შეუკავებლობას, ბავშვებში, დიდებში; პროსტატიტი, სახსრების დაავადებები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სიმაღლეში მომატება, ყურებში ხმაური, თმის ცვენა, ბუდობრივი და ჩვეულებრივი; ფრჩხილის სოკო, კანის დაავადებები, ბუასილი, გ.ი.დ. ჰიპერტონია (წურბლებით მკურნალობა). კომპიუტერული გამოკვლევა – 30 ლარი. კონსულტაცია უფასოა, მკურნალობის კურსი – 5-10-დღიანი. მის: მ. „მარჯანიშვილი“, ალმაშენებლის №93, „ბამბის“ გვერდით. ტელ: 893 39-04-87; 96-38-27. ირინა

მეტყველების დარღვევების მკურნალობა (ენაბლუობა-ლოგონევროზი), ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა უახლესი გერმანული აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას 16 (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტ: 899-97-58-77; 39-58-77 (ბინა) 10-16 სთ

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება: ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლოესი CO_2 ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 877 41-50-30; 36-14-18

მასტიტების, მასტოპათიის, ონკოგადაგვარების უზუსტესი დიაგნოსტიკა. პუნქციის ალებისა და აპარატურის გარეშე, რამდენიმე წუთში დაგიდგენთ სარძევე ჯირკვლების, საშვილოსნოსა და საკვერცხეების დაავადებებს. მკურნალობა 10-დღიანი კურსით, დაავადების შესაბამისად, ბიოლოგიური მედიცინის მეთოდებით. აქვე წარმოებს მკურნალობა კლიმაქსურ მოვლენებთან დაკავშირებით. მის: ალმაშენებლის 115, კაბ. 5. ნინო სისაური. ტელ: 95-83-54; 899-78-21-24

პარკინსონი; ქრონიკული თავის ტკივილები; ნევროზი; უძილობა; წნევის რეგულირება; ვენების ვარიკოზული გაგანიერება; უნებლიე შარდვა (ენურეზი) ბავშვებში. მკურნალობა – მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 67-37-31; 93-44-25; 899 48-93-98. ნათია

ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დავი-კომპიუტერი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სპეციალიზირებული სკოლა Paradox-ის ლიცენზირებული სპეციალისტები პროფესიულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას და ინგლისურს. გაიცემა შესაბამისი ლიცენზირებული სერტიფიკატი: საოფისე: windovs-xp, msofiice-xp. გრაფიკა: coreldraw, photosop, autocad, archicad, 3-dmax. მის: გამაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან“, კინოსახლ „ოსკარის“ უკან). ტელ: 98-80-23; 899 77-49-40. url: www.paradox.ge

იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-13 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

სხვადასხვა

2006 წლის 27 მაისს დღის 15 საათზე მოწვეულია სს „სპეცჰიდრომშენის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. სს „სპეცჰიდრომშენის 2005 წლის შედეგების განხილვა; 2. 2005 წლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შედეგების განხილვა და აუდიტის არჩევა. 3. სს „სპეცჰიდრომშენის“ 2005 წლის მოგების განაწილების შესახებ. 4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

სს „სპეცჰიდრომშენის“ სამეთვალყურეო საბჭო

გაორმაგებული ძალით!
„სიტყვა და საქმე“
ერთი გაზეთი —
ორ რვეულად!
64
გვერდი

ორჯერ უფრო ეფექტური და
ორჯერ უფრო მოსახერხებელი!

მერაბ სანიკიძის გახსენება

კიდევ ერთი დაბადების დღე გავიდა უშენოდ, მერაბ, ჩემო კარგო, კეთილო ძმიკო. ძალიან დაგვაკლდი. როგორ მიჭირს ღედაჩვენის ნუგეშისცემა. ვლოცულობთ შენი სულისთვის. ღმერთმა გაცხონოს.

შენი და ციური

ავთანდილ (ჯონი) არველაძის მონატრება

„კარით ქრის ქრის, შენს საფლავზე ცვივა და ცვივა
ვერცხლის წვეთები ფიფქებით ცვივა და ცვივა
და მონატრებულს შენს საფლავსაც, ჩემო მამიკო
ვიცი, რომ ახლა ჩემ მაგივრად დასტირის წვიმა“.

6 მაისი – გიორგობა, ობლობის უსაზღვრო ტკივილი. უეცრად გამოცალე ხელიდან, სიკვდილმა დაგამარცხა, მამიკო და უკვე ათი წელია, ტკივილით და შენი დიდი მონატრებით დავდივარ ქვეყნად. 49 წლის კაცმა ულევი ცრემლი გაიყოლე და დიდი მონატრება დაუტოვე დედას, მეუღლეს, შვილებს და ახლობლებს. ღირსეულად იცხოვრე თბილისშიც და მშობლიურ აბაშაშიც. გჯეროდეს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. მიყვარხარ, მენატრები ძალიან.

შენი ქეთო

გრიშა აგახანოვის გახსენება

5 მაისს 40 დღე ხდება, რაც უშენოდ ვცხოვრობთ. 27 მარტის ცივი და წვიმიანი დღე შენი სიცოცხლის დასასრული ყოფილა. 4 აპრილს 59 წლის უნდა გამხდარიყავი, თუმცა ამ დაბადების დღეს, 21 წლის წინათ იმ ქვეყნად წასულ შენს საყვარელ შვილთან – ჟოლისთან შეხვდი.

მუხთალმა წუთისოფელმა უდროოდ წაგართვა სიცოცხლე, რომელიც ასე ძალიან გწყუროდა. მზრუნველო და მოსიყვარულე მამავ, დაგვტოვე მოულოდნელად, გამწარებულები და დაობლებულები. შენი ოჯახისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი ხარ, უშენოდ დაცარიელდა სახლი. ძნელია უშენობა, მამა, გვენატრები, გვიჭირს იმაზე ფიქრი, რომ აღარ გვყავხარ. იძინე მშვიდად. სიკვდილი შენს ხსოვნას ვერაფერს დააკლებს; ჩვენს გულებში ხარ და დარჩები ყოველთვის. ვილოცებთ შენთვის.

შენი ოჯახი

ციური ნუცუბიძის ხსოვნას!

„ბუნებას ცვალებადია, თუმც მოწყენილი ჰგავს,
მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავის“.

რეალურ ჭეშმარიტებად გასდევს მგოსნის ეს სიტყვები თითოეული მოკვდავის ცხოვრებას.

27 მარტს სოფელი ფარცხანაყანევი, უახლოესი ადამიანები, გამოემშვიდობნენ თავისი კუთხის უმშვენიერეს ასულს, ქართული მანდილის ღირსეულ მფლობელს, ციური ნუცუბიძეს.

ციური ყველა ჩვენგანს დაგვამახსოვრდება, როგორც უსათნოესი, თავმდაბალი, სამაგალითო თვისებების მქონე ქალბატონი. ასევე ახსოვს ის საქართველოს ძირძველ, უდიდესი ტრადიციების მქონე თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს. მას, როგორც ნიჭიერ, თავაზიან წარჩინებულ სტუდენტს, არაერთი მიწვევა ჰქონდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობისგან პედაგოგიურ სამეცნიერო ასპარეზზე სამოღვაწეოდ. არაჩვეულებრივად სამაგალითო იყო ქნი ციურის სამეგობრო წრე, მაგრამ ხშირად ავბედითია რჩეულთა ხვედრი.

როგორც უზადოდ მშვენიერი ბუნებისა და ულამაზესი გარეგნობის მქონე ასულმა არაერთ რაინდს დასწყვიტა გული. მან ხომ სანიმუშოდ ურთგულა გრძნობას – გრძნობას, რომელიც სამარის კარამდე სათუთად ატარა.

უსაზღვროდ მძიმე უკვე ასაკოვანი, ცხოვრებისეულ, უამრავ ქარტეხილში გამოვლილი დედის ხვედრი. ციური მის ხელში გამოეთხოვა წუთისოფელს. სათუთად უვლიან დედის საფლავს ავთანდილი და ფრიდონი.

დამსახურებული პატივი მიაგეს ქნ ციურის ხსოვნას ძმისშვილებმა. ზურიკომ უმალ დატოვა სამსახური ქ. ლუგანში, ჩამოვიდა, ყველა ქრისტიანული რიტუალის დაცვით გააცილა საყვარელი მამიდა უკანასკნელ გზაზე. გულა კი აღდგომის დღესასწაულზე ინახულებს მამიდის საფლავს.

ციური, გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში. მწვანედ იმოსება ბუნება, ყვავიან ყვავილები, შენც ხომ გაზაფხულივით ლამაზი იყავი.

25 აპრილს 40 დღე გისრულდება, რაც საიქიო სამყოფელს განერიდე შენ – როგორც სამყო ქალბატონის შთამომავლობა, თავაწეული ილის საუკუნების მანძილზე.

„არ ვიცი, სიყვარული რა ქალია, გიყვარდეს, კაცისთვის მიუჭარია.
თორემ წუთი არის ეს ცხოვრება, მოხვლავ, იყვნენ და არ არიან“– უთქვამს ერთ-ერთ გამორჩენილ ადამიანს.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ფარცხანაყანევის მიწა. უფალმა დაგიმკვიდროს ზეციური მარადიული სასუფეველი.

ბადრი ნუცუბიძე

კაკო ბუჯიაშვილის ხსოვნას!

გავიდა ტკივილიანი 40 დღე. მოუშუშებელი მწუხარება დაგვიტოვე შენი გარდაცვალებით. მარადიულმა სასუფეველმა „მიწისქვეშა ყვარელში“ მიიბარა შენი კეთილი სული. ღღითი დღე მძაფრდება შენი არყოფნით გამოწვეული სევდა. რა იქნებოდა, ცოტა ხანს მაინც გვეხარა ერთად. შენ ხომ ამაზე ოცნებობდი. მშვიდად იძინე, ჩვენო კაკო. ნათელი მოგფინოს ღმერთმა.

ცოლ-შვილი, დები, ოჯახებით

რომან ქურდაძის გახსენება

შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა, სიკვდილი – მეხის გავარდნას. გასული წლის 2 მაისს, ხსოვნის დღეს შენმა ლამაზმა სულმა საუკუნო სამყოფელში დაივანა. უშენოდ მოვიდა გაზაფხული და შენი საყვარელი აღდგომის დღესასწაული, თუმცა უშენოდ ერთი წამიც არ ყოფილა, ჩვენო ლამაზო და ვაჟკაცო შვილო, მამავ, მეუღლევ და დედმამიშვილო... გწამდეს, შენს სახელს დიდება არ მოაკლდება, სულს – სანთელი, საფლავს კი – ყვავილები.

შენი ოჯახი

ეკუნა ჯავახიშვილის მონატრება

ჩემო ერთადერთო და პირველო სიყვარულო, ჩემო ეკუნა, უზომო ტკივილსა და მონატრებას განვიცდი, ბებო. ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან. 29 აპრილს შენი დაბადების დღეა. ამ დღეს ხომ პირველად ვეზიარეთ ჩვენი ოჯახი შვილიშვილის სიყვარულს. შენ მოიტანე დიდი სიხარული და ბედნიერება, რომელიც მხოლოდ 5 წელი გაგრძელდა. ეს დიდი სიხარული შეიცვალა მოუშუშებელი და განუკურნებელი ტკივილით. გაუსაძლისია ჩემი ყოფა უშენოდ. შენ ხომ უკვე 12 წლის უნდა გამხდარიყავი, ბებო. ჩვენო სევდავ და დიდო ტკივილო, ჩემო ანგელოზო, გილოცავ დაბადების დღეს, ბებო. შევიკრიბებით შენი ახლობლები, შენი თანატოლები 6 სექტემბერს, 2 აპრილს და 29 აპრილს თქვენს საფლავთან, დავღვრით უამრავ მონატრების ცრემლს, მოვიოხებთ გულს. დაველოდები იმ ბედნიერ დღეს, როცა თქვენთან მოვალ, გულში ჩაგიკრავთ და სამუდამოდ ერთად ვიქნებით, ჩემო საყვარელო შვილებო.

იძინე მშვიდად, ჩემო შავტუხა გოგო, შენს მშობლებთან ერთად. დაგვიტოვე მხოლოდ სურათები, ტკბილი მოგონებები და დიდი მწუხარება. მუდამ ვილოცებ შენი ლამაზი სულისთვის და აგინთებ წმინდა სანთლებს. ეკუნა, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან და ვილოცოთ შენი უკვდავებისთვის.

სიცოცხლეგამწარებული შენი ბებია ნათელა, პაპა ნოდარი

გიორგი ქანტურიას!

ცხოვრებაში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ნგრევა და ტკივილი მოაქვთ გარშემომყოფთათვის, ამის საპირისპიროდ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც სხვათათვის სანთელივით იწვიან, სხვისი ჭირი სწყინთ და სხვისი სიხარული უხარიათ. ერთ-ერთი მათგანი, ასეთ იშვიათი ადამიანებს შორის, შენ იყავი, გიორგი. ასეთი ადამიანების და მით უფრო ასეთი მეგობრის ყოლა ნამდვილად დიდი სიხარული და იმედია და მადლობა ღმერთს, ყოველივესთვის, მაგრამ შენი წასვლა განუზომელ ტკივილად იქცა, სიხარული მწუხარებად გადაიქცა.

როცა რაღაცას ძვირფასს კარგავ, მაშინ აფასებ უფრო მეტად, ხოლო შენი ფასი შენს გარდაცვალებამდეც ვიცოდი. ჯერ კიდევ შენს სიცოცხლეში ჩემთვის ადამიანურობის ეტალონად იყავი ქცეული. თუმცა პატარისაგან, მაგრამ მაინც ბევრი რამ შენგან ვისწავლე... კეთილშობილებით და სათნოებით ისე იყო შენი გული გაჟღენთილი, რომ მგონია, ველარ იტევდი და უხვად გასცემდი ამიტომაც...

უფალს მხოლოდ სიყვარულის გამო მიჰყავს ზეცად თავისი შვილები, – ერთნი, რომელთაც უკვე მიაღწიეს მიწაზე პიროვნულ სრულყოფას და მეორენი – რომელნიც უფრო დიდი განსაცდელისგან უნდა იხსნას. მე კი მგონია, რომ შენ პირველი მიზეზის გამო წახვედი აქედან.

წელს პირველი გაზაფხული მოვიდა უშენოდ, 28 წელი მარადისობაში დამკვიდრებულს შეგისრულდა, ამის მერე ჩემს მეგობრობას გიორგი დაერქვა სახელად...

ქართველი პოეტი მტრებს ლოცავდა იმისთვის, რომ გარდაცვალების შემდეგ მტრები ყოველთვის მომიგონებენო, მაგრამ სულიერი ხორციელზე ათასჯერ მტკივნეულია, ჩემს საუკეთესო მეგობარს, ჩემი სულიერ ძმას როგორ დავივიწყებ?! მეგობარი გზად და ხიდადო, გიორგი, ნათქვამია და მეც მინდა, ის გზა და ხიდი ვიყო, რომელიც უფალთან კიდევ უფრო მიგაახლოებს, შენს სულს ნეტარების საშუალებას მისცემს. ლოცვა ხომ ცისა და მიწის დამაკავშირებელია. ასევე აკავშირებს ერთმანეთთან აქ მყოფთ იქით მყოფებთან...

მიწიერი საქართველოდან მოგილოცავ ზეციურ საქართველოში აღდგომის უბრწყინვალეს დღესასწაულს. მე ვერ გხედავ, მაგრამ ვიცი, მოლოცვას მაინც შენ დამასწრებდი.

გიორგი, რასაც ჩემთვის შეეთხოვდი უფალს, შენთვისაც იმავეს ვთხოვ. ღმერთმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ადგილსა განსასვენებელსა მარად ყვავილოვანსა და მწვანესა. როგორც მოსიყვარულე შვილმა, ღვთის ნებით, ჰქმენ ისე, რომ შენი ჯერით, შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტანჯვის საიდუმლოთი, შენი ოჯახი დაადგეს უფლისკენ და შენკენ მომავალ გზას, რადგან გზა ერთია.

შენი მეგობარი

კუკური სიმონიას გახსენება



სიცოცხლის 52-ე წლისთავზე შემოგალამდა. 4 მაისს 70 წლის გახდებოდი. 18 წელია, რაც ამქვეყნად არა ხარ. შენი ოჯახისთვის კი თითქოს გუშინ იყო.

მეგობართა და მოკეთეთა თავმოყრის მოთავე და მომლხენო ვაჟკაცო, საფლავისთვის კი არა, ჭაღარისთვისაც ენანებოდით. დაუსწრებლად სამი შვილიშვილის ბაბუა ხარ.

ვევედრებით უფალს, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

მეუღლე ლიანა, შვილები: ალექსანდრე და ირაკლი სიმონიები

მამუკა მოდრეკელიძეს!

გილოცავთ შენთვის ძვირფასი დედა და ახლობლები დაბადების დღეს – 2 მაისს, როცა შენ მოევლინე ქვეყანას.

ოცი წელი შენთან ერთად... უდიდესი სიხარულით აღვნიშნავდით ამ დღეს, რომელმაც დიდი სიხარული მოგვიტანა. შვიდი წელია, ეს დიდი სიხარული უდიდესმა ტკივილმა და მწუხარებამ მოიცვა. დატოვე წუთისოფელი და ზეციურ სამყოფელში დაივანე, ჩემო სიამაყევ და ჩემო ნუგეშო.

გვიყვარხარ და გვენატრები, ჩემო სახენათელო, ჩემო უფლის რჩეულო რაინდო.

უნუგეშოდ დარჩენილი დედა

ლევან წივილაშვილის მონატრება!

ლევან, დედი, 2 მაისს 30 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავთ დაბადების დღეს.

როგორი სიხარულით ვხვდებოდით ამ დღეს 17 წლის წინ, ახლა კი 2 მაისი ჩვენთვის ცრემლითა და ტკივილით არის სავსე. ადრეულ ასაკში წაგვართვა სიკვდილმა შენი თავი. ამდენი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, მაგრამ დრომ ვერ გაგვინელა ის ტკივილი, რომელიც გულში დაგვიტოვა შენმა უდროოდ დაკარგვამ. ყველას ძალიან ვენატრები და გვაკლიხარ, ჩემო ლამაზო შვილო. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია არც ერთი შენიანის გულში.

მონატრებით – შენი ოჯახი

ტატიანა ზუხბაია-ცქვიტარიას!

ჩვენო საყვარელო ტატი, რა ტკივილიანი და ცრემლიანი აღდგომა გაუთენე შენს შვილებს, ახლობლებს. განუკურნებელი სენით შეპყრობილი, არც ისე ასაკოვანი წახვედი ამ ქვეყნიდან. დაგრჩა ბევრი განუხორციელებელი ოცნება: აფხაზეთში დაბრუნება, შენი ნალოლიავები ქალიშვილების – ნანულისა და მანანას გაბედნიერება, ომარისა და ციცოს პატარა ლუკას დავაჟკაცება, მაგრამ გჯეროდეს, რომ გაივლის დრო და ეს ოცნებები ასრულდება.

იყავი სანიმუშო მეუღლე, მზრუნველი დედა, ბრწყინვალე მეოჯახე, მოსიყვარულე, სტუმართმოყვარე, უკანასკნელ ლუკმასაც სხვისთვის რომ გაიმეტებდი.

ჩვენო ტატუტა (ასე გეძახდა დათო), რამდენი წვლილი მიგიძღვის ჩვენი დათოს აღზრდაში, ეს ხომ დაუფასებელი და დაუვიწყარია. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე მწარე მოგონებები. მოგვენატრები, გვემახსოვრები მუდამჟამს.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

უახლოესი მეზობლები: ძამული, ბაბუცა, ლიანა, დათო კვარაცხელიები

ალმასი მიქაიას მონატრება

ცრემლით და მწუხარებით გავიდა 9 წელი, რიცხვი 3 მაისი, ჩემო ტკბილო და კეთილო ძმაო. გულსევდიანები შევყურებთ შენს სურათებს, საიდანაც შენი მოღიმარი სახე გვიყურებს.

ენით აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა სიკვდილმა მოგვაყენა. მთელი შენი სიცოცხლე კარგი კაცობით და ადამიანობით იყავი დაფასებული მეგობრებში, ნათესავებში, მეზობლებში. დღე და ღამე შენი საფიქრალი, შენი შვილები და მათი წარმატება იყო.

აღდგომას გილოცავ, ჩემო ძმაო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული

შენი და ლარა

კობა ბალაშვილის მონატრება

შავად გაგვითენდა 2006 წლის 15 იანვარი. იმ საბედისწერო დღეს შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ადრე მიილია განგების მიერ შენთვის ნაბოძები წუთისოფელი, რომელმაც მხოლოდ 32 წლის სიცოცხლე გაქმარა. დაიმსხვრა შენი ლამაზი ოცნებები. შვილო კობა, დედის გულის მომკვლელო, ენატრები შენს დედ-მამას, მეუღლეს, შენს ქეთევანსა და ჯარჯის. შენი და-ძმის მოურჩენელი ტკივილი ხარ, ჩემო სიყრმის სიხარულო. შვილო, სიცოცხლე სასჯელად მექცა, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია შვილმკვდარი დედისთვის. 2 მაისს 33 წლის გახდებოდი. შენს საფლავთან მოგილოცავთ დაბადების დღეს, მწარე ცრემლებით დაგინამავთ შენს ლამაზ გულზე დაყრილ მიწას. იძინე მშვიდად, ჩემო სიცოცხლით გაუხარელო შვილო. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, შვილო კობა.

უბედური დედ-მამა, და-ძმა და შენი ლამაზი ცოლ-შვილი

მალხაზ ქანტურიას გახსენება

მეხუთედ მოვიდა უშენოდ გაზაფხული, მაისის 5 – შენი დაბადების დღე. მალხაზ, შენ ხომ სიცოცხლე გიყვარდა, მაგრამ უკეთურმა ადამიანმა დაგისრულა ლამაზი, ჯან-ღონით სავსე სიცოცხლე. 30 წლის ასაკში ჩაგიტეხეს სიცოცხლით გაუმაძღარი ცხოვრება.

ძნელია გამოხატო ის ტკივილი, რასაც შენი სახელი ჰქვია. წახვედი და თან გაიყოლე შენი ახალგაზრდა ფიქრები. შენ ხომ ყველაფერს უდროოდ ჩამოგაცილეს და ვინ იცის, რამდენი მიზანი თან წაიღე?

მუდამ მშვიდი, წყნარი ხასიათის, ხალასი იუმორით სავსე, ყოველთვის სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ერთგული და უღალატო კაცური კაცის სახელით დაუხასიათებენ შენს გოგონას შენს თავს, რომელსაც მამა მუდამ სურათზე გამოსახული ახალგაზრდის სახით ემახსოვრება.

მალხაზ, არა მარტო ოჯახს, არამედ მთელ ნათესაობას, სამეგობროს, სახლობლის დააკლდი. დიდი ტკივილი, იარა და მონატრება დაგვიტოვე. უნდა შევეგუოთ იმას, რომ ყოველ 5 მაისს, შენს დაბადების დღეს, მარმარილოს შავ ქვაზე ნაწერილ სურათს მივულოცავთ.

მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ შენთან დაკავშირებული ყოველი ლამაზი წუთი, მივიდეთ საფლავზე, აგინთოთ სანთლები და ვიდრე ცოცხლები ვიქნებით, ვილოცოთ შენი სპეტაკი სულისათვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მალხაზ!

უსაზღვრო მონატრებით: მორენა ლომაია, ჯამუკა და ირაკლი გაბედავები

ეთერ მირესაშვილის მწარე მონატრება

დღეს შენი დღეობაა, შენი დაბადების დღეა – 3 მაისი. გაიხაროს შენმა სულმა და ლაღად იფრინოს სამოთხის ედემში. მზემ გაათბო დედამიწის გაყინული გული, ოღონდ შენი გაყინული გულის გათბობა ვერ მოახერხა – გულის, რომელიც 19 წლის მანძილზე ყველას სიყვარულს და სიხარულს სთავაზობდა. რა ვუყოთ სიცარიელეს, შენი მონატრება რომ ჰქვია?! მხოლოდ ცრემლები ეწვეთება შენს ცივ სამარეს. დარჩა ლამაზი ხსოვნა და მარმარილოს შავი ქვა წარწერით – ეთერ მირესაშვილი.

შენი გამწარებული მშობლები, ძმა ლადუნი, ნათელა მამიდა და მისი მეუღლე ანზორი

რობერტ აბრამიას!

დღეს აბაშის რაიონის სოფელი ქოლობანი, სრულიად აბაშა გლოვობს თავისი ღირსეული შვილის, დიდი მამულიშვილის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, რობერტ აბრამიას გარდაცვალების გამო.

რობერტ აბრამიას სიცოცხლე ერთი დიდი, გრძელი გზა გახლდათ კაცურკაცობის ყველა ღირსებით შემკული, ზნეკეთილობით გამორჩეული პიროვნებისა, რომელსაც სოფელმა სიცოცხლეშივე აუგო ძეგლი სიყვარულისა და სოფლის იმედად შერაცხა.

ბატონო გუგული, თქვენ ჩვენი სოფლის ყველა ოჯახის ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი, სოფლის საიმედო დასაყრდენი და იმედი იყავით. თქვენ ერთნაირად უყვარდით ყველას, დიდს თუ პატარას. თქვენი გარდაცვალებით ტკივილი მიიღო მთელმა სოფელმა და დარჩა იმედად თქვენი დიდი ოჯახი, თქვენი ღირსეული შთამომავლობა, რომელიც თქვენს ნაკვალევს გაჰყვება. მიიღეთ ყველა ჩვენგანის ალალად ნათქვამი სიტყვები.

ქოლობნელები

გია (გიუთა) კაპანაძის მონატრება

ჩემო შვილო გია, 5 მაისს 32 წელი შეგისრულდებოდა. რა მხიარული იყო ყოველი 5 მაისი ჩვენს ოჯახში, ახლა კი პირველი დაბადების დღის აღნიშვნა ტკივილიანი და სევდით მოსილი იქნება. შენ ხომ ყველას გვერდს გვიმშვენებდი და გვახალისებდი გიტარაზე შესრულებული სიმღერებით. 27 მაისს, როცა ავარიაში მოყევი, შენთან ერთად შენი გიტარაც დაზიანდა და გამოვიდა მწყობრიდან. შენი შვილი გიორგი შენს სიმღერებს ხშირად ვიდეოზე უყურებს, ისმენს, თვითონაც ღიღინებს, ცდილობს ყველა სიმღერაში შენ მოგბაძოს. პატარა ანიმ კი შენს საფლავზე აიდგა ფეხი. ჩვენ ხომ ყოველდღე შენთან ვართ, ვანთებთ წმინდა სანთელს და ბევრს ვლოცულობთ შენი სულის მშვიდობისთვის. გია, ისეთი კარგი მეუღლე დატოვე, რომ გჯეროდეს, ეკა მამით ორ ობოლს არაფერს გაუჭირვებს. შენი დაიკო ხომ თავს ევლება შენს შვილებს. ჩემო საოცრად თბილო და კაცთმოყვარე ბიჭო, განა სასწაული არაა, ყოველ კვირას და უფრო ადრეც რომ ეცხადები და ელაპარაკები ოჯახის წევრებს? როგორ გენატრებოდი, ანი მამას როდის დამიძახებსო, რომელიც 2 თვე-ნახევრის დატოვე. ახლა კი ეს პატარა ანგელოზი შენს სურათს კედელზე, ყოველ დილით, შეხვედრის გარეშე კოცნის. არ გვჯერა, დრო ყველაფრის მკურნალიაო, ჩვენ უფრო მეტად და მეტად გვენატრები. შენი ოჯახი ყოველთვის იმაყებს შენი პატიოსანი სახელით. 2 ივნისს წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიიდან გამოგაცილა მგალობლების წრიალა ხმებმა. ამ დღიდან ჩვენ ყველა, შენზე ვლოცულობთ, რათა უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი ოჯახი

რაულ!

ორმოცი დღეა, რაც სასუფევლისკენ მიმავალი გზა გაიკვლიე. დამრჩა მხოლოდ ლამაზი მოგონებები... დაგ. შენთვის ღანთებული სანთლები, შენი დატოვებული სიკეთე და სიყვარული გინათებდეს მარადიული სასუფევლის გზას.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

ჯემალ კუჭუხიძე

იურა ჩერქეზიას მოგონება

5 მაისი შენი დაბადების დღეა, რომელსაც შენს მარადიულ სასუფეველთან, წმინდა სანთლებითა და ცრემლით მოგილოცავთ შენი შვილები. როგორ გვიყვარდი და გვემაყებოდი, გვეგონა სულ ჩვენთან იქნებოდი და უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმოგვედგინა, ჩვენ ხომ ერთ დღეს არ გვიცხოვრია უშენოდ. დაუსრულებლად გელით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული, ჩვენო დაუვიწყარო ჩია!

შენი შვილები

ეთერ მირესაშვილის და ნინიკო სოლოღაშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო ეთო, 20 დეკემბერს ელვის სისწრაფით მოედო სოფელს შენი უეცარი გარდაცვალების ამბავი. მთელი სოფელი გაოგნებული იყო, – როდის იყო, თვალის ოპერაციით ვინმე კვდებოდაო! ალბათ შენი ბედისწერა ეს იყო, ჩვენო ლამაზო და მხიარულო გოგო. ეთო, დადგა გაზაფხულის ყველაზე ლამაზი თვე. 3 მაისს ხომ შენი დაბადების დღეა, 20 წელი გისრულდება. შენი დამწუხრებული მშობლები და ძმა საფლავზე აგიღნიშნავენ დაბადების დღეს, პირველად უშენოდ.

ეთო, ცრემლიანი თვალებით, ყვავილებით გილოცავთ დაბადების დღეს მეგობრები, ახლობლები, მეზობლები.

ეთო, 20 მარტს 8 წლის, ცისფერთვალება, კულულებიანი ნინიკოც მოულოდნელად გამოგვაკლდა. ერთს გეხვეწებით მეზობლები, ნინიკოს მიაქციე ყურადღება, არსად გაგეპაროს, თოკი არ იპოვოს სათამაშოდ. პატარა ნინი, ძალიან გვეცოდები. შენ ხომ სულ ხტუნვა-ხტუნვით და ღიღინით დახტოდი.

ეთო და ნინიკო, ყოველთვის აგინთებთ სანთელს, არასოდეს დაგვავიწყდებით.

მეზობლები

ზვიად ლეჟავას ხსოვნას!

ჩემო საყვარელო ზვიად, დღეს, პირველ მაისს ხომ 33 წელი შეგისრულდა, რომელსაც უშენოდ პირველად ვხვდები. მე კი მწარე გულისტკივილით და უსაზღვრო მონატრებით გილოცავ დაბადების დღეს. უშენოდ ამ დღეს თუ შევხვდებოდი, ვერ წარმოვიდგენდი.

თურმე რა დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი. ყოველდღე, ყოველ წუთს გელოდები, მაგრამ ამაოდ. უშენოდ არსებობა დღითი დღე აუტანელი ხდება. ძალიან, ძალიან მენატრები, ჩემო სიცოცხლევ. იმედად ისღა დამრჩენია, რომ მეც მოვალ შენთან და მანდ მაინც ვიქნებით ერთად. ერთადერთი, რაც მაცოცხლებს, ჩვენი შვილი ლიზია, რომელიც უზომოდ გიყვარდა და გპირდები, ისეთ გოგოს გავზრდი, როგორიც შენ გინდოდა. მე კი რაღა დამრჩენია, ვილოცებ შენთვის და ღმერთს ვთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი საყვარელი მეუღლე სოფო

ზურა ივანიძის გახსენება

მოგვენატრები... მონატრება ძალზე ტკბილია. ჩვენ ახლა მხოლოდ გნატრობთ, ბედნიერებაა მონატრება საყვარელი ადამიანისა... შენი მონატრება ბედნიერებას ვერ გვანიჭებს, რადგან სურვილი შენი ნახვისა, მხოლოდ ოცნებაა.

შენთვის ცხოვრება მხოლოდ ერთი ლამაზი წამი აღმოჩნდა... წამი, რომელმაც დაგვაშორა. შენმა განშორებამ კი სამუდამო სევდა დაგვიტოვა გულში... შენ წახვედი, გაიხურე კარი, უსიტყვოდ დანებდი ცივი სიკვდილის ბასრ კლანჭებს, გალაკტიონის მიერ ვარდისფრად დასახული სიკვდილის გზას ვაჟკაცურად გაუდექი. წახვედი ჩვენგან და თან წაიღე ამქვეყნიური დაუსრულებელი ოცნებები, იმედად კი, პატარა ანანო დაგვიტოვე. მას მამის სანაცვლოდ შერჩა შენი სურათები, რომლებსაც დიდი სიყვარულით ელაპარაკება, საჩუქრებით განებივრებული ელის შენგან მოტანილ ლამაზ ქაღალდებში დამალულ სიურპრიზებს. შენი ლამაზი სული კი ძილში ეთამაშება თავის პატარას და სიზმრებშიც კი ანებივრებს.

მისაბაძია ანანოს საქციელი, ჩვენც მასავით ვეფერებით შენი უსულო სხეულის მსგავს ცივ სურათებს. არაფრის მთქმელ სურათებში ვეძებთ სითბოს პატარა ნაპერწკალს, რომელიც გაგვათბობს... მაგრამ ამაოდ. ვიხსენებთ შენთან გატარებულ ყოველ წამს და ვგრძნობთ, ასეთი ახლობლები როგორ დაგვაშორა ცივმა სიკვდილმა.

ჯერ ორმოციც არ გასულა და უკვე უსაშველოდ მოგვენატრე. შენი ლამაზი სული კი ნუგეშს ვერ გვაძლევს. ნუგეშად დაგვიტოვე ლოცვა შენი სულისთვის, რათა უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. მეორმოცე დღეს კი უამრავ სანთელს ავანთებთ, რათა გზა გავუნათოთ უფლისკენ მიმავალ შენს ლამაზ სულს. ნუგეშად დატოვებულ პატარა ანანოს მოფერებისას ხშირად გავუმეორებთ, რომ იგი ზუსტი ასლია მისი მამისა.

ჩვენ კი გეკითხებით, რა ვქნათ, როდესაც მოგვენატრე?.. მონატრება ხომ ძალზე ტკბილია... მონატრების სიტკბოს კი გულში დარჩენილი ჭრილობის მწარე ტკივილი დაამარცხებს და ხმამაღლა დაგიძახებთ: „ზურა, ჩვენო ტკივილო და ჩვენო მონატრებავ!..“

გულისტკივილით – ემზარ ივანიძის ოჯახი



დედა ნელი; მეუღლე ციცო ქირია; შვილი სოფიკო; და ნაზი; ძმა მურთაზი; ძმისშვილები: გიორგი, მაია, მედეა სიჭინავები მწუხარებით იუწყებიან

თამაზ (ბორის) სიჭინავას

მოულოდნელად გარდაცვალებას და იხსენებენ ტრაგიკულად დაღუპულ შვილს.

სამოთხეში განისვენოს თქვენმა უკვდავმა სულმა.

ხოსო (იოსებ) სიჭინავას მონატრების ტკივილით აღსავსე ოჯახი

მეუღლე მუნვერი; შვილები: ირმა, ბესიკი; შვილიშვილები: თამუნა, ქეთინო, ანი, მაიკო, ლადო; დისშვილები: მაია, თენგიზი; რძლები: ლელა, რუსიკო; მამიდაშვილები: ტასო, ვანო; ცოლისდები: ბელა, თამილა; მძახლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ ვასილის ძე მაისურაძე.

პანაშვიდი: ორშაბათს, 1-ელ მაისს;
დაკრძალვა: სამშაბათს, 2 მაისს, 14 საათზე.
მისამართი: გვაზაურის ქ. №11, I სადარბაზო, ბინა №10

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური მთავარი სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროების ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსეული ექსპერტი

ომარ ამბროსის ძე ჯაოშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის მომაკვდინებელი სიმღერა



უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც დედამიწის ზურგზე ყველაზე იდუმალ ადგილადაა მიჩნეული ბერმუდის სამკუთხედი — ერთი ციდა ადგილი ატლანტის ოკეანის დასავლეთით. მასში, როგორც გაუმაძღარ ხაროში, ინთქმებოდა ათასობით გემი. ყველაზე მეტად მეზღვაურებს აშინებდათ ბერმუდის სამკუთხედში მომხდარი მოულოდნელი კატასტროფები, დაუზიანებელი უეკიპაჟო ხომალდები. ამგვარი შემთხვევები ცნობილია XIX ს-ის შუა წლებიდან.

1840 წლის აგვისტოში, ბაჰამის კუნძულების ახლოს იპოვეს ფრანგული გემი „როზალი“, რომელიც თავის ეკიპაჟს მიეტოვებინა. გემზე არავითარი დაზიანება არ აღმოუჩენიათ.

1902 წლის 20 ოქტომბერს ბერმუდის სამკუთხედში კვლავ წააწყდნენ ეკიპაჟის გარეშე დარჩენილ გერმანულ გემს. კაპიტნის კაიუტაში აღმოჩენილ კალენდარზე აღნიშნული იყო 4 ოქტომბერი.

1969 წლის ივლისში ეკიპაჟის მიერ მიტოვებული 5 იახტა აღმოაჩინეს!

ეკიპაჟის გაქრობას ვერაფრით ხსნიან. სწორედ მაშინ გაჩნდა ჰიპოთეზა, რომ ხალხი დაიღუპა „ზღვის სიმღერით“ — ინფრაბგერებით, რომელსაც წარმოშობს დიდი შტორმის წინ აღელვებულ ზღვაზე მოთარეშე ქარი. ეს არის უდაბლესი სიხშირის, 15 ჰერცის ქვემო დიაპაზონის რხევები, რომელსაც ადამიანის სმენა ვერ აღიქვამს. მაგრამ ეს რხევები ზემოქმედებს ფიზიოლოგიურ პროცესებზე, მათ შორის ადამიანის ტვინის ბიორიტმებზე. შვედი ბიოლოგები ირწმუნებიან, რომ ქარით და ზღვით წარმოქმნილი ინფრაბგერები ისე ძალუმად მოქმედებს ზღვისპირა რაიონების მცხოვრებლებზე, რომ აქ გახშირებულია თვითმკვლელობები. სწორედ ინფრაბგერული გამოსხივება მიაჩნიათ მეცნიერებს ბერმუდის სამკუთხედში მომხდარი იდუმალი კატასტროფების მიზეზად.

მომაკვდინებელი „ზღვის სიმღერა“ გემებს და თვითმფრინავებს არა მხოლოდ ბერმუდის სამკუთხედში ღუპავს, არამედ დედამიწის მეორე ნახევარსფეროშიც, შავ ზღვაში, სადაც იგი ასევე ჟღერს.

1909 წლის მაისში სევასტოპოლის მისადგომებთან დაიღუპა წყალქვეშა ნავი „კამბალა“. ამ ტრაგედიაში დამნაშავე ლეიტენანტმა აკვილონოვმა, რომელიც იმ დღეს სუბმარინის საჭესთან იდგა, სასამართლოს ვერ აუხსნა, როგორ დაეჯახა „კამბალა“ ჯავშნოსან „როსტისლავს“. გამოცდილი საზღვაო ოფიცერი შესანიშნავად ხედავდა მოახლოებული ჯავშნოსნის სინათლეს, მაგრამ კურსის შეცვლის ბრძანება არ გაუცია. ლეიტენანტი მოულოდნელად ეიფორიულ მდგომარეობაში ჩავარდა. ხედავდა, როგორ მოიწევდა მათკენ „როსტისლავი“, მაგრამ ამ დროს ოფიცერი მღეროდა და ლექსებს ამბობდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ აკვილონოვი კატასტროფის მომენტში ფხიზელი იყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს კიდევ ერთმა ოფიცერმა, გერმანელმა მფრინავმა იორგენ ზიბერტმა იმავე ადგილას განიცადა ეიფორია. ამის მიზეზის გამოსაკვლევად ზიბერტი მოგვიანებით ყირიმში ჩავიდა და თან ჩაიტანა მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს ზედაბალი სიხშირის რხევებს.

აი, რას ჰყვება გერმანელი მფრინავი იმის შესახებ, რაც 1944 წლის მაისში განიცადა: „ჩემს ქვემოთ ტყიანი მთები იშლებოდა. მოულოდნელად თვითმფრინავით ტაფობის მსგავსი მთის თავზე აღმოვჩნდი და დავიწყე ლივლივი, მერე ქვემოთ დავეშვი. მალე დავინახე ბრტყელი, თითქოს გიგანტური ჭიების მიერ დახრული კლდე. შემდეგ მივხვდი, რომ ვეშვებოდი შუასაუკუნოვან მკვდარ ქალაქ ესკიკერმენში. მოჩანდა კოშკების ნანგრევები და ქვაში ნაკვეთი საფეხურები, ვიწრო ქუჩები, ბრტყელი და სფეროსებური სახურავები... გამაოცა იმანაც, რომ ქალაქის გარემომცველ კლდეებში მოჩანდა ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული მრავალი მრგვალი ხვრელი... დაუბერა გაზაფხულის ქარმა და ქვის ყველა ხვრელმა დაიზუზუნა, ამოიკვნესა, დაიგუგუნა, თითქოს უეცრად აჟღერდა უზარმაზარი საყვირი. ერთობ უცნაური გრძნობა დამეუფლა: სული მიმღეროდა, სიცოცხლის სიხარულით მავსებდა“.

ომის შემდეგ ზიბერტი დაინტერესდა ანომალიური მოვლენებით და გერმანიაში ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტად იქცა. სხვადასხვა ქვეყანაში ამ მოვლენათა შესწავლისას მიღებულმა გამოცდილებამ მას შესაძლებლობა მისცა, ამოეხსნა როგორც თავისი შეგრძნებები მეორე მსოფლიო ომის დროს, ისე წყალქვეშა ნავის, „კამბალას“, დაღუპვის მიზეზებიც.

ზიბერტმა დაათვალიერა ის ადგილები, რომლის თავზეც ოდესღაც მოუხდა ფრენა და მიხვდა, რომ ეიფორიის მიზეზი ზღვისკენ მიმართული ხვრელები იყო. კერმენის მრავალიარუსიანი გამოქვაბულები ძლიერ ქარში გიგანტური ორგანივით იწყებენ ჟღერას და ინფრაბგერებს გამოყოფენ. ამ „მეგაფონის“ ინფრაბგერითი ტალღები ზღვისკენაა მიმართული. „კამბალას“ ოფიცერი ამ ინფრაბგერების ზოლში აღმოჩნდა. სწორედ ამან გამოიწვია აკვილონოვის მოულოდნელად მხიარული და ბედნიერი სულიერი განწყობილება. აკვილონოვი არ იყო დამნაშავე „კამბალას“ დაღუპვაში. გემი დაღუპა მომაკვდინებელმა „ზღვის სიმღერამ“.

ნლო №10

ქუდბედიანი

36 წლის ანა თავის სამი წლის ბიჭუნასთან ერთად გვეწვია.

— არასოდეს დავეჭვებულვარ იმ ამბების რეალობაში, რომელიც იბეჭდება რუბრიკით „წისქვილმა კი ფქვასო“, რადგან თავადაც განვიცადე უხილავი ძალის ზემოქმედება. ამ ჩემს შვილსაც უფლის საჩუქრად მივიჩნევ, რადგან სანდრო ქუდბედიანი დაიბადა. ეს რომ ასე იქნებოდა, წინასწარ მეუწყა ხილვაში — ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაახურეს მფარველმა ანგელოზებმა მას ბედის ქუდი. მანამდე ხუთი ბავშვი დამეღუპა, ხუთივე საღ-სალამათი იყო, მაგრამ მესამე ან მეხუთე დღეს იღუპებოდნენ. მეც და ჩემი მეუღლეც ბოროტებას გულშიც კი არ გავივლებთ და არ გვესმოდა, რისთვის გვსჯიდა განგება. ამიტომ ბავშვის აყვანა და გაზრდა გადავწყვიტეთ, დავიწყეთ კიდევაც ძებნა. ამ დროს დავფეხმძიმდი... წინა ღამით სიზმარი ვნახე: მოხუც ქალს ხელში სისხლიანი დანა ეჭირა, ჩვილებს ჩეხდა და თან ტიროდა. დამინახა და შემეხვეწა: — უთხარი სოსოს (ჩემს ქმარს!) გამათავისუფლოს სატანჯველისგან. მე ბებიამისი ვარ — დარო, უშველოს ჩემს სულს, თავად მიხვდება, როგორო...

აკანკალებულს გამომეღვიძა. სოსოს მაშინვე ვკითხე, — ვინ იყო ბებიაშენი-მეთქი და სიზმარი ვუამბე.

თურმე დარო ბებია ცნობილი აბორტმახერი იყო. სიკვდილის წინ იტანჯებოდა და იხვეწებოდა: — ჩემი სული უფალს შეავედრეთ, ჯოჯოხეთში მარტო ნუ დამტოვებთო. მაგრამ დარო ბებია იმ დროს გარდაცვლილა, როცა ეკლესიას თითქმის არავინ აღიარებდა და ლოცვითაც არავის შეუწუხებია თავი...

ეს ამბავი რომ გავიგე, მივხვდი, მისი ცოდვის გამო ვისჯებოდით. მეორე დღესვე მივედით მოძღვართან, აღსარება ვთქვით და გარდაცვლილის სახელზე პანაშვიდი გადავიხადეთ, საფლავი ვაკურთხეთ, მოწყალება გავეცით და ისე მოვიქეცით, როგორც მოძღვარმა გვირჩია. სწორედ იმ ღამეს ვნახე, როგორ მომიყვანეს ანგელოზებმა ჩვილი და სანამ კალთაში ჩამიწვენდნენ, თავზე ქუდი გადააფარეს...

ამ ხილვის შემდეგ დავრწმუნდი, ჩემს შვილს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ინგა ჯაყელი

თევზის წვიმა

ზუსტად მახსოვს, 1995 წელი იყო. ოჯახში გაგვიჭირდა, გადავწყვიტე, მამაპაპისეულ სოფელში დავბრუნებულიყავი, ქათმები მაინც მომეშენებინა და თბილისში დარჩენილი შვილიშვილები შიმშილისგან მეხსნა.

სახლი ნახევრად ჩამოქცეული დამხვდა, მინები — ჩალეწილი, ხის კიბე — დამპალი. რა უნდა მექნა, უკან დასახევი გზა არ მქონდა. ხელი უნდა გამომეღო.

ზაფხულის ერთ დღეს ეზოში ვფუსფუსებდი. უცებ თავს ჩრდილი წამომადგა. უკან მივიხედე, არავინ იყო. ცას ავხედე. არც ისე დიდი შავი ღრუბელი ჩემი ეზოს თავზე ტორტმანობდა. მეუცხოვა. ავდარი ვის არ უნახავს, მაგრამ ეს სხვა იყო... უცნაური ფერის ღრუბელს მორუხო-მოვერცხლისფრო მძიმე ჩრდილიც ახლდა. თავი ცუდად ვიგრძენი და სახლისაკენ გავიქეცი. ოთახში ფეხი შევდგი და იქუხა კიდეც. ზაფხულის შხაპუნა სასიამოვნოც კი არის, მაგრამ ეს ძალიან უსიამოვნო, ცივი წვიმა იყო. ჩატეხილი ფანჯრიდან ცივი ქარი უბერავდა. ასე ზამთრის დღეებშიც არ შემცივებია. დროდადრო ისმოდა დახშული გრუხუნი. ისე ჩამოიბინდა, რომ მეზობლის სახლიც კი აღარ ჩანდა. კიდევ კარგი, ეს ჯოჯოხეთური წვიმა ოციოდე წუთი გაგრძელდა. მოულოდნელად გადაიღო და ყველაფერი განათდა. გავიხედე — ჩახჩახა მზე ანათებდა.

გარეთ გამოვედი. ჰაერი თბილი, უფრო სწორად, ცხელი იყო. უცებ დავინახე, ბოსტნის კვლებში თევზები ეყარა და მზეზე ბრწყინავდნენ. თვალებს არ დავუჯერე. ერთი, სალათის ფოთლებში გაჩხერილი თევზი ლაყუჩებს ბერავდა, ცოცხალი იყო! მეორეც, მესამეც... აკანკალებულმა მეზობელს გავძახე. გულგახეთქილი მოვარდა: რაო, რას ამბობო?! თევზებიო?! საიდან, კაცო, ჩვენგან მდინარე 2-3 კილომეტრშია, აქ თევზს რა უნდაო. მის ეზოში კი ეწვიმა, მაგრამ მეტი არაფერი... საოცარი იყო ისიც, რომ მეზობლის კატა, რომელიც ლამის ქვაბიდან მპარავდა საჭმელს, ამ თევზებს არ გაეკარა...

ლამარა გაბაძე

„საზალოო-სალაოო“ გვერდის პასუხები

I. სამშობლო;
II. აბა, გამოიცანი
1. — გ); 2. — ბ); 3. — დ); 4. — ა); 5. — ა);
III. მე-6 დეტალი ზედმეტია;
IV. ქუდი არ გამოუყენებია.

იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ, არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა კროსვორდის პასუხები

1	2	9	4	6	8	3	7	5
3	5	8	2	9	7	4	6	1
7	6	4	1	5	3	9	8	2
4	7	2	3	8	9	1	5	6
9	3	6	7	1	5	2	4	8
5	8	1	6	2	4	7	3	9
8	4	5	9	7	1	6	2	3
6	1	7	8	3	2	5	9	4
2	9	3	5	4	6	8	1	7

8	9	1	6	7	3	4	2	5
3	4	7	1	5	2	9	6	8
5	2	6	9	4	8	1	7	3
7	5	2	8	1	6	3	9	4
6	8	4	3	9	7	5	1	2
9	1	3	4	2	5	7	8	6
1	3	8	7	6	4	2	5	9
4	7	5	2	8	9	6	3	1
2	6	9	5	3	1	8	4	7

8	5	1	4	7	6	2	3	9
9	7	2	8	1	3	5	4	6
3	6	4	2	9	5	7	1	8
5	2	3	9	6	1	4	8	7
1	8	6	7	4	2	3	9	5
7	4	9	5	3	8	1	6	2
4	9	5	1	8	7	6	2	3
6	1	7	3	2	9	8	5	4
2	3	8	6	5	4	9	7	1

* მარტივი

	7				2	4	9	3
	3			7	6	8		5
2	4	8		5	3	1		
3			2	9	8			4
8	9	6				7	1	2
4			6	1	7			9
		4	5	3		2	6	1
9		1	7	2			3	
5	2	3	8				4	

** საშუალო

		4	3	9	5			
		7				5	9	2
9	5	8			1			
			6	4	9		1	3
4	6						5	7
8	3		2	5	7			
			9			7	8	1
1	9	2				6		
			4	1	6	9		

*** რთული

7	6	8	2					5
	4				1			6
3		9					2	
4			7	1				
	2						6	
				9	8			7
	7					3		8
9			3				7	
2					6	4	5	9

№18 (500) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №18(500) — გასართობი ტელეგადაცემა

რომელი გასართობი ტელეგადაცემა/შოუ მოგწონთ ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№	თემა №18(500)	ქულა
1	სერიალი „საპონი" („იმედი")	
2	„გაიღიმეთ, ფარული კამერაა" („რუსთავი 2")	
3	„ღამის შოუ" („რუსთავი 2")	
4	„შმაგრული" („202")	
5	„ცოცხალი შოუ" („რუსთავი 2")	
6	სერიალი „ასა" („მზე")	
7	„ლიმონი" („იმედი")	
8	„შაბათის შოუ" („რუსთავი 2")	

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

მკითხველის რეიტინგი

დაასახელეთ აპრილის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ____________

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

დაასახელეთ შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

~~100~~ 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

№18(500) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 3 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 მაისის 13 საათამდე.**

©თბილისი

ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში".
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

№17 (499) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 654 რესპონდენტი გამოეხმაურა. 17 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 276-მა ქალმა და 361-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქალბატონის საქმიანობაა საზოგადოებისთვის სასარგებლო ყველაზე მეტად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა 35% მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ყველაზე მეტი სიკეთე მოაქვს ქართველი საზოგადოებისთვის. **6.70** საშუალო ქულით ნინო ბურჯანაძე პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე პირველი ლედია, საშუალო ქულაა 6.24. რესპონდენტთა 21%-ის აზრით, ყველაზე მეტად ჰოლანდიელი ქალბატონის საქმიანობაა საზოგადოებისთვის სასარგებლო.

მესამე ადგილის მფლობელი კი ტელეჟურნალისტი ინგა გრიგოლიაა. უნდა აღინიშნოს, რომ მან დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური შეფასება — მხოლოდ 0.6%-მა (ოთხი რესპონდენტი) მიაკუთვნა მას 1 ქულა.

მკითხველთა აზრით, აქ ჩამოთვლილ საქმიან მანდილოსანთა შორის საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად სასარგებლოა ფიქრია ჩიხრაძის, ეკა ხოფერიასა და მაია ნადირაძის საქმიანობა.

ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა მაია ნადირაძემ დაიმსახურა — რესპონდენტთა 35%-მა მისი საზოგადოებრივი საქმიანობა ყველაზე ნაკლებსასარგებლოდ შეაფასა.

საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტი დაფიქსირებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი 200 ლარს შეადგენს.

წარმატებებს გისურვებთ!

P.S. ზოგისთვის ეს შეიძლება უბრალო სტატისტიკაა, მაგრამ ჩვენთვის ასე ნამდვილად არ არის — რეიტინგის ეს ნომერი საიუბილეოა — რიგით მე-500!



გამოავლინეთ ნომრის საუკეთესო სტატია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 30 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 25 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 20 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „გატაცება ვნების კვირაში" — 69 ხმა
2. **ეთერ ერაძე** — „გურჯი მოდის" — 44
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 22
4. მანანა ტუაევა — „ყოველთვის იცოდა, რომ 33 წლისა გავიდოდა ამ ქვეყნიდან" — 20
5. ინგა ჯაყელი — „ნამდვილი ამბები" — 16

მკითხველის პრემიის მფლობელები 322-მა რესპონდენტმა გამოავლინა

მკითხველის რეიტინგის შედეგები

რომელი პიროვნების მიმართაა დღეს ხელისუფლება ყველაზე უსამართლო?

1.	ვალერი გელაშვილი	22.5%
2.	სალომე ზურაბიშვილი	9.6%
3.	შალვა რამიშვილი	8.9%
4.	სანდრო გირგვლიანის ოჯახი	8.7%
5-6.	სულხან მოლაშვილი	7.4%
5-6.	ბადრი პატარკაციშვილი	7.4%
7.	მთლიანად საზოგადოება	3.6%
8-10.	გურამ შარაძე	2.7%
8-10.	კობა დავითაშვილი	2.7%
8-10.	შალვა ნათელაშვილი	2.7%
	სხვა	20.5%
	მიჭირს პასუხის გაცემა	2.9%
	არავინ	0.4%

მკითხველის რეიტინგში 448 რესპონდენტი მონაწილეობდა

ცნობილთა აზრით:

რატი ამაღლობელი: — პრობლემა, ვფიქრობ, გაცილებით გლობალურია. ვინმეს კონკრეტიზაციისგან შეგნებულად თავს შევიკავებ, რადგანაც შესაძლოა უამრავი ადამიანი გამომრჩეს. ქვეყანაში, სადაც უდიდესი პრობლემა არსებობს ადამიანების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ასეთთა რიცხვი უამრავია. ამ მხრივ სამწუხაროდ ძალზე ალმაშფოთებული ტენდენციაა. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლოს ინსტიტუტი, მთელი საზოგადოება უსამართლობის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს.

გურამ სალარაძე: — გირგვლიანის ოჯახის. ხელისუფლება ვალდებულია უპასუხოს ყველა იმ დასმულ კითხვას, რომელიც მგლოვიარე დედას და მის ოჯახს აქვს. ასევე ვალდებულია ნათელი მოჰფინოს ამ საქმეს და სამართლიანი გამოძიება ჩაატაროს. ეს ხელისუფლების მოვალეობაა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე და სამწუხაროა, რომ ამის შეხსენება სჭირდება ხოლმე.

ოთია იოსელიანი: — წესიერად რომ არავის ექცევიან, ეს ხომ ცხადზე ცხადია. ახლა კი ბადრი პატარკაციშვილს მიადგნენ, თითქოს ცოტა აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის და უბრალო ხალხისთვის ან ზურგზე მოიკიდებს, რაც გააკეთა იმას. ჩემი აზრით, ძალიან უსამართლოა, ადამიანს ისე მოექცე, როგორც ბიზნესმენებს ექცევიან და უკვე პრაქტიკად დაიმკვიდრეს კიდეც ბრძოლის ამგვარი ხერხები.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, ყვრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

(18) უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ____________

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№18 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 4 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

13-დან 19-მდე

კაბუ, ანუ ცხოვრება რეპერის გაგებით

უყვარს თავისი საქმე, ერთობა ცეკვით, მოსწონს ლამაზ გოგონებთან ურთიერთობა... ოღონდ გოგონებთან „ზღვარი არსებობს“ (ცოლშვილიანი კაცია!). სვამს ყველანაირ სასმელს (როგორც თვითონ ამბობს, მთავარია არ მოიწამლოს!). ლაპარაკობს, ფიქრობს კაცურ ღირსებებზე, ცხოვრების ავ-კარგზე. მისი თაყვანისმცემელი თინეიჯერები ამბობენ, მაგარი რეპერიაო. მაშ ასე, ჩვენი სტუმარია ***კახა აბუაშვილი****, იგივე კაბუ.*

— კაბუ, შენი აზრით, რატომ არის თინეიჯერებისთვის რეპი ასე პოპულარული?

— რეპი პოპულარული იმის ხარჯზე გახდა, რომ რიტმულია, დინამიკური... და ალბათ იმიტომაც, რომ თავისუფალ ცხოვრებას გამოხატავს.

— რას ნიშნავს „თავისუფალი ცხოვრება“ რეპის ენაზე?

— თავისუფლებაში არ იგულისხმება უზრდელობა, თავხედობა, თუკი არ ჩავთვლით იმას, რომ რეპერები ხანდახან ბილწსიტყვაობენ და იგინებიან კიდეც, თუმცა რაღაც ზღვარს აუცილებლად იცავენ.

— ვისი მისამართით იგინება რეპერი კაბუ?

— აი, მაგალითად, ახლახან ვიღაც ახალბედა რეპერმა ჩემზე ერთ-ერთ ჟურნალში ცუდად ილაპარაკა. პირისპირ ვთხოვე შეხვედრა, მაგრამ მემალება, ამიტომაც პასუხად სიმღერა დავუწერე... რა თქმა უნდა, ბილწსიტყვაობით. ერთი შეხედვით, სასაცილოა ისეთებს სდიო, ვინც ჭორაობს და მერე იმალება. ჭორაობა კაცებში არ მოდის, ჩვენ თუ სათქმელი გვაქვს, პირში ვეუბნებით ერთმანეთს. ის კაცი არა ვარ, ვინმეს იარაღით დავემუქრო, მაგრამ როცა ჩემს ღირსებას ეხებიან ან სრულიად უცნობები ჩემზე ჭორაობენ, არ უნდა ვუპასუხო?!

— რას ნიშნავს შენთვის ღირსეული კაცობა?

— ღირსეული კაცობა? — ერთგულება, ულალატობა, სიკეთე, ღიმილი, ქალის პატივისცემა, უფროს-უმცროსობის გაგება, ქუჩის, ოჯახის, სიტყვის პატივისცემა. ვაღიარებ, ძნელია დღეს ასეთი იყო, მაგრამ ვინც ვართ, იმათ „შტანგებს“ ნუ გვიწევენ, თავი დაგვანებონ. ერთ-ერთ ლექსში მაქვს ფრაზა, „ჩემი ლექსი არის ჩემი იარაღი შენთვის“, — და ამ ფრაზას არ გადავუხვევ...

— ხომ არ გეწყინება თუ გეტყვი, რეპერები სცენიდან და საერთოდაც, ცოტა უხეში ტიპები ჩანან-მეთქი?

— როცა კაცი ხარ, უხეშიც უნდა ჩანდე. არ გვინდა, ძალიან გავინაზოთ და ხელებით ვიმღეროთ. თუ წარბი გვაქვს შეკრული, ეგ რა უხეშობაა. საქართველოს მამაკაცების 90 პროცენტს წარბი აქვს შეკრული... ჩვენი სიუხეშით არავის ვაყენებთ ზიანს, პირიქით, ადამიანებს სიამოვნებას ვგვრით.

— თინეიჯერები რას სწავლობენ კაბუსგან, როგორც პიროვნებისგან?

— ჩემს ალბომში არის სიმღერები, რომელთა მოსმენის შემდეგ რაღაცას ისწავლიან, რაღაცას გააკეთებენ, ან პირიქით. მაგალითად, „SOS! ჰეროინი თოვს; / გთხოვთ დახმარებას, იქნებ ვინმემ გვიშველოს; / SOS! ჰეროინი თოვს, ჰეროინი თოვს...“ — ჩემს მაგალითზე არ არის დაწერილი, მაგრამ მერწმუნეთ, ბევრი დამიჯერებს... როცა ხელოვანი ეუბნება მოზარდს, რა არის ცუდი და რა არის კარგი, იმას სხვა ძალა აქვს. დუტა სხირტლაძემ რომ მოუწოდოს ბავშვებს, ხვალ თავისუფლების მოედანზე შევიკრიბოთო, რას იზამენ? ძალიან ბევრი მივა. დუტა არის ის, ვინც არის. კახელი ვარო, რომ გაიძახის, ეგ მოსწონთ...

— ჩამოსულებზე კაბუს „რეპრეაქცია“ როგორია?

— განსაკუთრებული არაფერი. რეგიონიდან ჩამოსულთაგან ბევრი თავისი სიკეთით, ადამიანობით, განათლებითაც ალემატება კიდეც ბევრ ქალაქელს. „რეპრეაქცია“? — მოეშვან, მოდუნდნენ, რა... თუ დაუძახებენ — სოფლელო! უპასუხონ — დიახ, მე სოფლელი გახლავარ!..

— კახა აბუაშვილი რომელი სოფლიდან არის?

— ჩემი წინაპრები კასპის რაიონიდან, სოფელ მეტეხიდან არიან. ყველა იქ მყავს, პაპები, ბებია, ბიძები... არც მე ვარ „კარენოი“ თბილისელი, მიუხედავად იმისა, რომ აქ დავიბადე და გავიზარდე. თუკი ადამიანი ღირებულებათა მატარებელია, მერე ქალაქელისა და სოფლელის ცნება წაშლილია. ჩემთვის ასეთი დაყოფა მიუღებელია.

— „ჩემი ლექსი არის ჩემი იარაღი შენთვის“ — როგორი ახსნა აქვს კაბუს ამ ფრაზას?

— ამ ფრაზით „მოვუწოდებ“ ადამიანებს, ერთმანეთს დაელაპარაკონ. დღეს, რატომღაც საუბარი არც ერთ უბანში აღარ ჭრის, ეგრევე „ისროლინებიან“... დააცადე, ათქმევინე, იქნებ ადამიანი რას გიხსნის, ტო!.. კი ბატონო, განგსტერული ცხოვრება გასაგებია, მაგრამ იმათაც ხომ უნდა ჰქონდეთ შეგნება და გაგება... განგსტერული კი არა, მშიშრების ცხოვრებაა თავში სროლა... ყველაზე არ ვლაპარაკობ, ზოგი „სპრავედლივად“ ისვრის; ზოგიც საერთოდ არ ისვრის და იძახის, ვისვრიო!..

— „სპრავედლივი“ სროლა რას გულისხმობს?

— ადამიანი შეიძლება მართალი იყო, მაგრამ ვიღაცას ეგ ვერ შეაგნებინო... იმდენად გამოგიწვიოს, ისე დაგემუქროს, მხოლოდ ეგ გზა დაგიტოვოს.

— თემა შევცვალოთ, თინეიჯერი კახას ამბები გაიხსენე.

— სიმართლე გითხრა, ახლაც თინეიჯერი ვარ, „По большому счету“... მე და ჩემი მეგობრები პირველები ვიყავით, ვინც შოუ გააკეთა. პოდიუმზე გამოვიყვანეთ ბიჭები კაბებით, ტო... პაროდიებს ვაკეთებდით. ჩვენი ფული გვქონდა... კიდევ რას ვაკეთებდით? — შეგვეძლო სამი ღამე გვეცეკვა დისკოთეკებზე. მაშინ კლუბები და „ქლაბები“ სად იყო. ნახე, რა ბებერი ვარ (31 წლის არის!).

— რითი „ბლატაობდი“?

— ბევრი გოგონა „მომიხსნია“ ჩემი ცეკვით... მაშინ სიმპათიური ვიყავი და გოგონებსაც „ვახვევდი“, ახლა მოვიკოჭლებ, წონაში მოვიმატე (იცინის)...

— მაშინაც აქტიურობდნენ გოგონები?

— აქტიურები და პასიურები ყოველთვის იყვნენ. მთლიანობაში არაფერი იცვლება, უბრალოდ, სხვადასხვა ეტაპზე თავისუფლებისა და შებოჭვის გადანაწილება სხვადასხვანაირად ხდება... ერთი მხრივ, შიგნიდან ჩოხა მაცვია და რაღაცეებზე ვბრაზდები, მაგრამ მეორე მხრივ, რომ ვუფიქრდები, ჩვენი ბავშვები საგინებელს არაფერს აკეთებენ. უყვართ ერთმანეთი და არ ჯობია, უყვარდეთ, ვიდრე წამალი გაიკეთონ?..

— მომავალ რეპერს „კაიბიჭობა“ რაზე შეგეტყო?

— მხოლოდ ვსვამდი... ანაშას არ ვეწეოდი. არ ვჩხუბობდი?! აბა, რას ვაკეთებდი? ერთხელ უფროსმა კაი ბიჭმა დამიცვა: — ბიჭო, უკან დაიხიეთ, ამბრაზურასავით თუ არ გადავეფარო ამ ბავშვს, ჩემი დედაო... იქ უნდა გენახათ, რა „ვიბლატავე“.

— კაბუ, შენ თუ გადაეფარებოდი ვინმეს ამბრაზურასავით?

— ჩემს ძმაკაცებს: თემოს, სოსოს, რამაზას, ძვალის, გერცის... ყველას, ვისზეც შემიძლია ვუპასუხო კითხვას — იცი, ბიჭო, ვინ არის?

— კაბუ, ოჯახის შექმნა საფრთხილოა?

— პირველ რიგში, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ოჯახი გჭირდება. მეორე, თუ ოჯახი გინდა, ხელფასიც უნდა გქონდეს!... ძალიან რომანტიკოსი წყვილი თუ გაუძლებს უფულობას. თუ არ შეგიძლია ოჯახის რჩენა, მაშინ ჯობია მთელი ცხოვრება შეყვარებული იყო. და კიდევ: არეული ტვინით ცოლის მოყვანა არ უნდა გადაწყვიტო...

— შენ როგორ დაქორწინდი?

— ანუკას არ უშვებდნენ ჩემთან შესახვედრად... სასიძოდ მიწუნებდნენ? — რას ამბობ, ანუკას ოჯახში ძმაკაცებთან ერთად დავდიოდი. კარგად მიცნობდნენ, უბრალოდ, ანუკა ძალიან პატარა იყო იმისთვის, რომ შეყვარებული ყოფილიყო... მაგრამ გაგვიმართლა...

— ეი. შენ ამბობ, რომ ფული ბევრ რამეს წყვეტს?

— ფული აუცილებელია, მაგრამ ცუდი გზით ნაშოვნს, მთელი ცხოვრება უფულოდ ყოფნა მირჩევნია. პატიოსანი ადამიანისთვის ფულის წართმევას თოხით ხელში სიკვდილი მირჩევნია.

— თოხით?! რაღაც ყურში მომხვდა. შეძლებ კი?

— თოხნა არ ვიცი, აზრზე არა ვარ, მაგრამ თუ საჭირო იქნება, ვისწავლი. თოხნა რა, სირცხვილია?..

— ჰოდა, წადი და თავად მოთოხნე, რომ გითხრან?

— ვინ მეტყვის?! თუ მეტყვის, პასუხიც მაქვს — წადი და სცენაზე ითამაშე, ჩემნაირი ლექსი დაწერე-თქო. ეგრევე აიღებს თოხს და წავა!.. ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც იცის.

გამოხმაურება

„გულახდილთა კლუბმა“ 15 წლის ნინოს წერილს უპასუხა, სადაც ის ითხოვდა გარკვევას — რაში დასჭირდა მეგობარ გიოს მისი მოტყუება. მოკლედ, გიომ ნინოს უთხრა, რომ მის ძმაკაცს, დათოს სიგიჟემდე უყვარდა, მანაც ამ ნათქვამის გამო დათო შეიყვარა. აღმოჩნდა, რომ დათოს ნინო არ ჰყვარებია. თინეიჯერებმა ნინოს მეგობრის საქციელი სხვადასხვაგვარად შეაფასეს, თუმცა წერილებისა და ეს-ემ-ესების უმეტესობაში გამოთქმული იყო აზრი, რომ გიოს თავად უყვარდა ნინო, მაგრამ ვერ გაბედა მისთვის სიყვარულის ახსნა... გაეცანით განსხვავებულ მოსაზრებებს:

ნინოს მინდა ვურჩიო: დათოსთან მიდი და უთხარი, გიომ რაც „გაგიჩალიჩა“, ისიც უთხარი, რომ ამის გამო შეგიყვარდა. სულაც არ „ტეხავს“, სიყვარულისთვის რომ იბრძოდი.

მ.ს., 17 წლის, „მილანი“

ნინო, ან გიო არ არის შენი ძმაკაცი, ან დათო იფასებს ზედმეტად თავს. ბიჭებსაც ახასიათებთ მსგავსი რამეები.

მარი, 14 წლის

გიო საშინლად მოგექცა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სიყვარულის დავიწყება ძნელია, შეეცადე დათოც დაივიწყო და გიოსთანაც არ იმეგობრო. ადამიანი, რომელიც სხვის გრძნობებზე თამაშობს, სანდო არ არის.

ლიკა, 16 წლის

არ გეწყინოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალზე რომანტიკული ადამიანი ხარ... ძალიან გინდა შეყვარებული იყო, ამიტომაც დაუჯერე გიოს... აბა, შეიძლება, თუნდაც ძმაკაცის ნათქვამის გამო, ყურებამდე შეყვარება? ლექსების წერა კარგია, თუმცა შეეცადე, ოცნება და რეალობა ერთმანეთში არ აგერიოს. სხვას ნუ დაადანაშაულებ, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე.

იკა, 17 წლის

ნინო, დათოსაც გაუგე. იგი ცდილობს შენს გრძნობას უპასუხოს, ამას კი დრო დასჭირდება. რატომ გინდა გულიდან „სიყვარული ამოიგლიჯო“, ხომ არ შეგეშინდა დათოსთან დაახლოების?! სიყვარულის შორიდან, ლექსებით ახსნის ეტაპი დამთავრდა, ახლა მეტი აქტიურობა გმართებს — საკუთარ თავს ნუ გაურბიხარ.

გიო, 18 წლის

საინტერესო კითხვა

წინა ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ ირაკლი ბერძენიშვილთან. მისი აზრით, თინეიჯერისთვის საუკეთესო ფსიქოლოგი დედა შეიძლება იყოს.

გთხოვდით ამ საკითხზე თქვენც გამოგეთქვათ მოსაზრება, გეპასუხათ კითხვაზე — ვინ გიწევთ საუკეთესო ფსიქოლოგობას, როცა პრობლემები გაქვთ. გთავაზობთ რამდენიმე ეს-ემ-ესს.

არავის ვეკითხები რჩევას, რადგან რამდენჯერაც სხვას მოვუსმინე, ყოველთვის წავაგე. თინეიჯერი თუ ხარ, ყველა ფიქრობს, რომ შენზე მეტი იცის და ჭკუას გასწავლის. ჩემი აზრით, ჯობია საკუთარ თავს თავად გაუწიო ფსიქოლოგობა. ამისათვის საჭიროა, ენდო ინტუიციას და შენივე გულისთქმის საწინააღმდეგოდ არ იმოქმედო.

ზურიკო, 18 წლის.

პრობლემა თუ გაქვს, ძმაკაცს უნდა გაენდო. ძმაკაცი ხომ დაუყვედრებლად ამოგიდგება მხარში. ძმაკაცზე კარგი ფსიქოლოგი არავინ მეგულება.

ნიკო, 16 წლის

ბერძენა, კარგი ბიჭი ხარ, დედასთან რომ მეგობრობ, ზოგს ჰგონია, რომ ქუჩაში ძმაკაცებთან ისწავლის ცხოვრებას, არადა მერე მხოლოდ საკუთარ დედაზე გინებაღა შეუძლიათ. ბიჭი თუ დედას არ აფასებს, ვერც სხვა ქალს დააფასებს და შეიყვარებს. მიბაძეთ ირაკლი ბერძენიშვილს — ნუ გაურბიხართ დედებს, მოუსმინეთ მათ რჩევებს!

თამუნა, 19 წლის

გულახდილთა კლუბი

მიყვარს თუ მომწონს?!

სულ მგონია, რომ შეყვარებული ვარ, მაგრამ გადის დრო და ჩემს გრძნობაში ეჭვი მეპარება... ორი თვის წინ ლუკას დანახვაზე სუნთქვა მიჩერდებოდა. დაქალები მთხოვდნენ, იქნებ სხვა რამეზეც იფიქროო — დღედაღამ ლუკა მეკერა პირზე... მაგრამ გავიცანი თუ არა ზუკა, მივხვდი, რომ ყველაფერი შეიცვალა, უფრო სწორად, თავდაყირა დატრიალდა. ახლა ლუკა მგონი აღარც მახსოვს. თუმცა კი, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ზუკაზეც არ ამიცრუვდება გული.

„გულახდილთა კლუბს“ იმ იმედით მინდა დახმარება ვთხოვო, რომ მარტო მე არ ვიქნები ამ მდგომარეობაში. იქნებ მიპასუხოთ, რაც მე გიამბეთ, ჩვეულებრივი ამბავია თუ რაღაც „გადახრა“ მჭირს... მაინტერესებს, როდის არის ადამიანი შეყვარებული და როდის, უბრალოდ, გატაცებული. როგორ გავერკვე — მიყვარს, თუ მომწონს?

ანი, 17 წლის

რედაქციისაგან: *თინეიჯერებო, მიიღეთ აქტიური მონაწილეობა რუბრიკის მომზადებაში. მოგვწერეთ, ვისთან ისურვებდით შეხვედრას ჩვენს რუბრიკაში, რა თემები გაინტერესებთ. გვიამბეთ თქვენი თავგადასავლები, თუ ფიქრობთ, რომ სხვებსაც დააინტერესებთ. აგრეთვე მოგვაწოდეთ ინფორმაცია გამორჩეული ნიჭის მქონე თქვენი თანატოლების შესახებ.*

თინეიჯერთა ეს-ემ-ესებისა და წერილების სტილი მაქსიმალურად დაცულია.

რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ
ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-15

ავტოსალონი

ომგამოვლილი „ვილისის“ თბილისური ისტორია

...მის სახლში მეორე მსოფლიო ომგამოვლილი გერმანული ჩაფხუტი ინახება, ავტოფარეხში კი „მთავარი სიამაყე“ — 1942 წლის მოდელის „ვილისი“ დგას.

არქიტექტორმა **მერაბ გუჯაბიძემ** ამერიკული ჯიპის ნაწილების მოგროვებას 22 წელი მოანდომა, ახლა კი, თავის შეკოწიწებულ „ვილისთან“ ერთად ფალიაშვილის ქუჩაზე — „ჯიპების ეზოში“ ცხოვრობს და „ჰარლი დევიდსონის“ ასაწყობად ემზადება.

— მეხუთეკლასელი ვიყავი, ჯიპი პირველად რომ ვნახე. წყნეთში ვისვენებდით და ჩვენს მეზობელს ჰქონდა, ბავშვები რომ ჩაგვისვა, მაშინ ბიჭებს ვუთხარი, ასეთს მეც ვიყიდი-მეთქი და გაიცინეს... მოგვიანებით, სტუდენტობისას ჯიპის რესტავრირებული მოდელი ვნახე და მოსვენება დავკარგე. კითხვა-კითხვით მივაკვლიე პატრონს — ექიმ ნიკა ჩიგოგიძეს (ახლა ჩემი საუკეთესო მეგობარია)... ისე, ჯიპი ჩემისთანა ადამიანისთვისაა ზედგამოჭრილი. მისთვის, ვისაც მოგზაურობა, სანადიროდ და სათევზაოდ ხეტიალი უყვარს...

სანამ ავტომანქანის შეძენას მოვახერხებდი, ნაწილების მოგროვება დავიწყე, საკმაო ინფორმაციაც დამიგროვდა — დავადგინე, რომ ნამდვილი „ვილისი“ ცოტა უფრო სხვაგვარი ყოფილა და ახლა ისეთს დავუწყე ძებნა. ჩემდა გასაკვირად, ამერიკული ნაწილების ყიდვას უფრო ადვილად ვახერხებდი, რადგან თითქმის ყველას, ვისაც ჯიპი ჰყავდა, ავტომობილი საბჭოთა ნაწილებზე ჰქონდა გადაწყობილი და ძველ ნაწილებთან განშორება არ უჭირდა.

საქმე იქამდე მივიდა, გამარჯობის შემდეგ, ყველა შემხვედრს ჯიპის სურათს ვაჩვენებდი, მსგავსი ხომ არსად გეგულებათ-მეთქი... უკრაინაში, პოლონეთის საზღვართანაც კი ჩავედი მის ძებნაში...

— თუმცა, საბოლოოდ მაინც საქართველოში შეიძინეთ...

— ჩემი მეგობრისაგან ვიყიდე. ძლივს შეელია, თუმცა იცოდა, საიმედო ხელს რომ ჩააბარა და ბევრი აღარც უნერვიულია. ასე რომ, 20-წლიანი ძიების შემდეგ, როგორც იქნა შევიძინე სასურველი ავტომანქანა, ლამის სამი წელი რესტავრირებას მოვუნდი და... როცა ჩემი ასეთი დაინტერესების შესახებ შეიტყვეს, ამერიკულ კლუბებში მიმიღეს წევრად, „ვილისის“ მოყვარულთა კლუბის საპატიო რაინდადაც ამირჩიეს. ერთმა ამერიკელმა ინტერნეტში ნახა ჩემი ჯიპის ფოტო და გაოცებულმა მომწერა, ასეთი მეც მყავს, მაგრამ ჩემსას ის ძველი „სტუპიცა“ არა აქვს და შენ სად იშოვეო. ვუპასუხე — გერმანელებთან ომის შემდეგ დარჩა და რესტავრაცია გავუკეთე-მეთქი. ცოტა უცნაური წერილი გამომიგზავნა — გერმანიაში ვიყავი, მშვენიერი ქვეყანაა და რატომ ეომებითო(?!). ინგლისურ ენაზე გამოცემული „მეორე მსოფლიო ომის ისტორია“ მქონდა, გავუგზავნე... ცოტა ხანში სამი საუკეთესო წიგნი და სამადლობელი წერილი მივიღე ჯიპების შესახებ — ეს რამდენი რამ გავიგეო(?!)...



— როგორც ვიცი, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ მოდელებს ჩინებულად იცნობთ...

— იარაღი და სამხედრო ტექნიკა ძალიან მიყვარს. მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მოდელებიც მაქვს, ოფიციალურად რეგისტრირებული მაშინდელი იარაღიც, უნიფორმები, აქსესუარები. საერთოდ, ის წლები ძალიან მაინტერესებს... „ჩემივე ჭკუის“ ბევრი მეგობარი მყავს, მათ შორის — იაპონელი მორეშიჰა ოში. ჯიპი ორივეს ერთნაირად გვიყვარს. ცოტა ხნის წინ დამირეკა — ახალ ზელანდიაში, შენი ჯიპისთვის გადაცემათა კოლოფი გიყიდე და გამოგიგზავნეო. შეძლებული იაპონელი რითი უნდა გავაკვირვო და ნაბადი და ფაფახი გავუგზავნე. უნდა გენახათ, როგორი ბედნიერი სახით იჯდა ჯიპში ნაბდითა და ფაფახით...

ამერიკული ჯიპების სიყვარულმა უამრავ შესანიშნავ ადამიანთან დამამეგობრა. კლუბიც შევქმენით და ხშირად ვიკრიბებით კიდეც. „ვილისების“ გარდა ორიგინალური „მშობლიური“ ნაწილებისგან რუსული წარმოების „Газ 67“-იც ავაწყვეთ — კინოფილმ „მოიტაცეს თამარ ქალში“ რომ არის გამოყენებული, ომის დროს რუსები ХБВ-ს (Хочу быть виписом) ეძახდნენ. 9 მაისს გვინდა ვაკის პარკში ალლუმი მოვაწყოთ — უნიფორმებში, იარაღით, ჩვენი „ვილისებით“ გამოვალთ, მე თავად ამერიკელი ოფიცრის სრული აღჭურვილობა მაქვს, თავისი იარაღითა და ჩინ-მედლებით; სხვებს — ინგლისელის, გერმანელის, რუსის და ა.შ. ზაფხულში გერგეტის სამების ტაძარს გვინდა ვესტუმროთ ჯიპების ქარავნით.

— „ვილისით“ ქალაქში ხშირად დადიხართ?

— საკმაოდ იშვიათად. ჯერ ერთი, ძვირად ღირებული, იშვიათი მოდელია. მერე, ჩვენი ამბავი ხომ იცით — რაღაცას მოტეხენ, ფეხებით შედგებიან და სხვა რომ არაფერი, აკუმულატორს მოიპარავენ... ავტოინსპექციასთანაც მქონდა პრობლემები — ვერაფრით გავაგებინე, რომ მსგავსი ავტომანქანები ტექდათვალიერებისგან მთელ მსოფლიოში გათავისუფლებულია. სამწუხაროდ, ჩემმა სტუდენტებმა — 19-20 წლის ბიჭებმა არც კი იციან, რასთან აქვთ საქმე და მეკითხებიან, რა მანქანააო... როგორც კოვბოია წარმოუდგენელი „კოლტის“ გარეშე, ისე მეორე მსოფლიო ომი — „უვილისოდ“... ძარა რომ გავფხიკე, ზედ დაკრული საჭდე და მასზე ამოტვიფრული ნომერიც ვნახე. სპეციალური კატალოგები მაქვს და ამ ნომრის მეშვეობით დავადგინე, რომ ჩემი ავტომობილი 1942 წლის 10-დან 17 დეკემბრამდეა გამოშვებული.

— ჯიპზე „ამხედრებული“ ალბათ ყურადღების ცენტრშიც ხშირად ექცევით...

— ორი წელი მოსვენება არ მქონდა, ყველა იმას მეკითხებოდა — ხომ არ ყიდიო. როგორც იქნა, გაიგეს, რომ არ იყიდება და ამოვისუნთქე (იცინის). ორიოდე წლის წინ, საფრანგეთის საელჩოში მუშაობდა ვინმე ალან მაიო — ქართული რაგბის დამფასებელი და საფრანგეთის სამხედრო ავტომობილების ფედერაციის პრეზიდენტი. დავმეგობრდით და 6 ივნისს ნორმანდიაში მიმიწვია, სადაც ყოველწლიურად იმართება საზეიმო სამხედრო ცერემონიები. გული მწყდება, რომ ჩემი ავტომობილითა და აღჭურვილობით ვერ მივდივარ.

ალან მაიო ახლა პოლონეთშია. ვარშავის ხელშეკრულების შემდეგ პოლონეთიდან ჯარები რომ გამოვიდნენ, იქ უამრავი ამერიკული ავტომანქანა დარჩა და მაიო ხშირად მიგზავნის ხოლმე საჭირო ნაწილებს. აქედანაც ვეხმარებით — თავისი კოლექციისთვის საქართველოში ხუთი „Газ-67“ ვაშოვნინეთ. საქართველო ძალიან უყვარს და რამდენჯერმე ისიც მითხრა — პენსიაზე რომ გავალ, თბილისში ბინა უნდა ვიყიდო და მანდ დავსახლდეო... ფოტოს გადასაღებად თბილისის ცირკის კიბეებზე გვინდოდა კლუბის წევრებს ჩვენი ჯიპებით ასვლა. ნება არ დაგვრთეს — საფეხურებს გააფუჭებთო. გარანტიას ვიძლეოდით, კიბეებს არაფერი მოუვიდოდა, მაგრამ — არაო... მერე ვაკის პარკის კიბეებზე ასვლას დავჯერდით. „ვილისისთვის“ მსგავსი რამ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

— თქვენს „ვილისს“ თითქმის დასრულებული სახე აქვს... სამომავლოდ რას აპირებთ?

— თითქმის დასრულებულია. პარპრიზზე სპეციალური ლითონის ბუდე აქვს. ისღა დამრჩენია, მასში „ტომპსონის“ ავტომატი მოვათავსო (ალბათ მალე შევიძენ) და „ვილისიც“ ბოლომდე აღიჭურვება... მერე რას ვაპირებ? უკვე დავიწყე სამხედრო „დოჯის“ აწყობაზე ფიქრი, რომელიც სატვირთო ავტომობილზე ოდნავ პატარა იყო და ქვემეხების გადასატანად იყენებდნენ. ამ მოდელის საჭე, ხელსაწყოთა დაფა და რაღაც ნაწილები უკვე მაქვს. მიმასწავლეს, რომ საბერძნეთში შეიძლება თავად ავტომანქანის შეძენა... ვიწყებ ძველი „ჰარლი დევიდსონის“ აწყობასაც. მოკლედ, უამრავი გეგმა მაქვს...

„ზვიგენი“ ბრუნდება

BMW-ს არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი და მძლავრი კუპე — M6 გასაყიდად ერთი წლის წინ გამოიტანეს. აღნიშნული მოდელი დინგოლფინგის ქარხანაში — BMW-ს იმპერიის „გულში“ იწყობა და არც ერთ სხვა ქარხანას (დინგოლფინგის გარდა, BMW-ს კიდევ 22 ქარხანა აქვს) არა აქვს „რაკეტა-ზვიგენის“ აწყობის უფლება.

M6-ის ძარა ფოლადის „კაფსულას“ წარმოადგენს, რომელთანაც ალუმინ-კომპოზიტების სექციებია მიმაგრებული. „ექვსიანის“ მთავარი „იარაღი“ კი რა თქმა უნდა, — ძრავაა. M6-ის „გულზე“ დიდხანს და დაჟინებით მუშაობდნენ და შედეგიც ფანტასტიკური მიიღეს: 10-ცილინდრიანი მოტორი წუთში 8250 ბრუნს აკეთებს! 8000-იან ნიშნულამდე აქამდე მხოლოდ „ჰონდა“ და სპორტული ბოლიდები ადიოდნენ. შედეგად, ავტომობილის 5 ლიტრი მოცულობის ძრავას 507 ცხ. ძალის განვითარება შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი მოძრაობისათვის მხოლოდ 400 ცხ. ძალა გამოიყენება — დანარჩენი საჭირო არ არის. მაგრამ თუ მძლოლი „გაფრენისთვის“ შესაფერის ადგილს იპოვის, შეუძლია დააჭიროს ღილაკს „POWER“ და დამატებითი 100 ცხ. ძალა მიიღოს. ამხელა სიმძლავრის ჩასახშობად M6-ს ოთხი ფოლადის მილი სჭირდება. „ჭკვიანი“ გადაცემათა კოლოფი კი შვიდსაფეხურიანი გახდა. როგორც ჩანს, „ექვსიანის“ ინჟინრებმა „ფორმულა-1“-ის მიბაძვა გადაწყვიტეს და M6-ის გადაცემების მართვა საჭეზე დამაგრებული „ფურცლებით“ სცადეს, სიჩქარეთა გადართვა კი 20%-ით უფრო ჩქარა ხდება. ფუნქცია Drive Rogic საშუალებას აძლევს მძღოლს, აირჩიოს სიჩქარეთა გადართვის 11-დან ერთ-ერთი ვარიანტი, იმის მიხედვით, როგორ გზაზე მოძრაობს. 100 კმ/სთ-მდე აჩქარება M6-ს 4,6 წამში, 200 კმ/სთ-მდე 14 წამში შეუძლია, მაქსიმალური სიჩქარე კი 300 კმ/სთ-ია.

პროექტირება
დიზაინი
მშენებლობა
რემონტი
შეკიდული ჭერი
ცხოვრების ახალი სტილი
ნიუ მოდუს ვივენდი

ვაჟა-ფშაველას გამზ. 45
ტელ: 899 23 13 28
899 25 63 14

თმის გადანერგვის კლინიკა
„ჰეალაინ ინტერნეიშნლ“
ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამვისა და დამწვრობის შემდეგ
- თმა ბუნებრივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62
www.hairline.ge

„ფეხბურთელობა თუ გინდა, საქართველოდან უნდა წახვიდე"


სილვინიო და ლევან ყენია

ქართული ფეხბურთიდან ყველანი რომ გარბიან, ვისაც ამის მცირედი შანსი მაინც მიეცემა, ახალი არავისთვისაა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ უცხოეთისკენ თვალი უკვე 15 წლის ფეხბურთელებსაც უჭირავთ. მეტიც, მიაჩნიათ, წასვლა დაგვიგვიანდა კიდეცო... თბილისის „ლოკომოტივსა" და „ბარსელონას" შორის დაწყებულ თანამშრომლობაზე კარგა ხნის წინ ვწერდით. პროექტი ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენას ისახავს მიზნად და პირველი „პროდუქტიც" სახეზეა — 15 წლის **ლევან ყენიამ** ლეგენდარულ „ნოუ კამპზე" რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა და დიდი შანსია, მაისის ბოლოდან „ბარსელონას" თუ არა, რომელიმე ესპანური კლუბის ღირსება მაინც დაიცვას. კატალონიური გრანდი რასაც წარმოადგენს, ყველას კარგად მოეხსენება და სანამ მის რიგებში რომელიმე ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს, კარგა ხნის ლოდინი მოგვიწევს. დასაწყისისთვის კი არც „ბარსელონას" ბავშვთა აკადემია უნდა იყოს ცუდი და იმედი დავიტოვოთ, ესპანეთში მოთამაშე ქართველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ლევანს ბარსელონადან ჩამოსვლის შემდეგ შევხვდით.

— ვარჯიში „ნორჩ დინამოელში" დავიწყე მალხაზ რაზმაძესთან. საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავდა, თუმცა მალე დაიშალა. და ჯერ რეზო ბარამიძესთან, მერე კი „დინამოს" აკადემიაში — გია ჭიაბრიშვილთან გავაგრძელე თამაში. წელიწადზე მეტია, თბილისის „ლოკომოტივში" გამოვდივარ, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე — გამთამაშებელი ვარ...

— „ბარსელონაში" როგორ მოხვდი?

— როგორც იცით, კატალონიური კლუბი „ლოკომოტივთან" ერთად ნიჭიერი ბავშვების ასარჩევად ტესტირებას აწყობდა. „ბარსელონას" წარმომადგენელი — იაგო აგილარი თავად ესწრებოდა ვარჯიშებს და სწორედ მან ამირჩია ესპანეთში წასაყვანად. ბარსელონაში რვა დღე გავატარე, სამი კვირის შემდეგ კი კატალონიას მეორედაც ვეწვიე, ამჯერად, „ლოკომოტივთან" ერთად. ჩვენმა გუნდმა საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, სადაც უამრავი ცნობილი კლუბის ბავშვთა გუნდი გამოდიოდა (მათ შორის, ბრაზილიის, მექსიკის). სამწუხაროდ, კარგ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ გამოცდილება კი მივიღეთ...

— მანამდე კი ბარსელონაში მარტო რომ ახვედი, შთაბეჭდილება ბევრად უფრო მძაფრი იქნებოდა...

— პირველი სასიამოვნო „შოკი" ქალაქის დათვალიერებისას მივიღე, მერე კლუბის ბაზას ვეწვიე და... „ნოუ კამპი" მართლაც განუმეორებელია. ფანტასტიკური, ნამდვილი საფეხბურთო ატმოსფეროა — იდეალური მინდვრები, უამრავი ცნობილი სახე, განსხვავებული, გაცილებით დისციპლინარული ვარჯიშები..

ბარსელონელ თანატოლებთან ერთად სამი ვარჯიში ჩავატარე და ბევრი ახალი რამეც ვისწავლე. კარგი გუნდია. სხვათა შორის, წელს ესპანეთის ჩემპიონი სწორედ ის შემადგენლობა გახდა, ვისთან ერთადაც მე მომიწია მცირე ხნით ვარჯიშმა.

— „ქართულ" და „ესპანურ" ვარჯიშებს შორის რა ძირითადი განსხვავებაა?

— ძირითადი სხვაობა ტემპშია. იქ თამაშებიც და ვარჯიშებიც ძალზე მაღალ ტემპში მიმდინარეობს, რასაც ძლიერი ფიზიკური მომზადება სჭირდება. იმიტომაც იყო, რომ ვარჯიშების შემდეგ ისე ვიყავი დაქანცული, მხოლოდ ძილზე ვფიქრობდი. მართალია, ესპანური არ ვიცი, მაგრამ მწვრთნელი „ხელ-ფეხის" საშუალებით მაგებინებდა ძირითად სათქმელს, დანარჩენი კი საფეხბურთო ენაა, რომლისაც ყველას ესმის, ვისაც ოდესმე ბურთი უგორებია. სიმართლე გითხრათ, „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში ისეთი არაფერი მინახავს, ჩემი ქართველი თანატოლები რომ ვერ აკეთებდნენ. შესაძლოა, ჩვენ უფრო ნიჭიერი ბავშვებიც გვყავს, ოღონდ, ესპანელებს პირობებიც უკეთესი აქვთ, დისციპლინაც და საქმისადმი მიდგომაც.

— შენი თამაშით კმაყოფილი დარჩნენ?

— რაღაც-რაღაცები მოეწონათ, თუმცა, ყურადღება უფრო იმაზე გაამახვილეს, რითიც უკმაყოფილო დარჩნენ. მითხრეს — ქუსლებზე დარბიხარო. გამოგიტყდებით, ნორმალურად ვერც კი გავიგე, ამაში რა იგულისხმეს, თუმცა, ერთი სპეციალური ვარჯიში მიუძღვნეს ამ „ნაკლზე" მუშაობას.

— „ბარსელონას" ყველა ასაკის ფეხბურთელები ერთ ბაზაზე ვარჯიშობენ?

— დიახ, ბაზა „ნოუ კამპის" გვერდით არის და ყველა იქ ვარჯიშობს. ამიტომაც მომეცა „ბარსელონას" ვარსკვლავების „ცოცხლად" ნახვის შესაძლებლობა. რონალდინიოს ჩათვლით ყველა მათგანი ვნახე, თუმცა, ფოტოსურათის გადაღება მხოლოდ სილვინიოსთან ერთად მოვახერხე. რონალდინიოს კი იმდენი ქომაგი ეხვეოდა გარს, მიახლოებას ვერაფრით შევძლებდი. კატალონიური გრანდის ვარჯიშსაც დავესწარი და მინდა დაგარწმუნოთ, მისი ნახვა ერთი სიამოვნებაა — ბევრ თამაშზე უკეთესი საყურებელია.

— როგორც ვიცი, თვის ბოლოს ესპანეთში ისევ მიდიხარ...

— რამდენიმე გუნდმა გამოთქვა სურვილი, ჩემი შესაძლებლობები უფრო კარგად ენახა. ლაპარაკია „ესპანიოლსა" და „ვალენსიაზე" და მგონი, „ბარსელონაც" უნდა იყოს დაინტერესებული. იმ ტურნირს, რომელშიც „ლოკომოტივთან" ერთად მივიღე მონაწილეობა, უამრავი კლუბის სკაუტი ესწრებოდა და ჩემ გარდა, კიდევ რამდენიმე ქართველი ბავშვი მოეწონათ. მაისის ბოლოს ესპანეთში გავემგზავრები და იმედია, რომელიმე გუნდს მოვაწონებ თავს. მე „ბარსელონა" მირჩევნია, თუმცა დანარჩენი ორიც უმაღლესი დონის გუნდია და უდიდესი სიამოვნებით ვითამაშებდი იქ...

— როგორ ფიქრობ, 15 წლის ბიჭისთვის ნაადრევი ხომ არ არის საზღვარგარეთულ კლუბში წასვლა?

— ნაადრევი კი არა, მგონი — დაგვიანებულიც არის. ვფიქრობ, თუ ნორმალურ ფეხბურთელად გსურს ჩამოყალიბება, საქართველოდან აუცილებლად უნდა წახვიდე — 15 წლის ასაკში იქნება ეს თუ უფრო ადრე. მგონია, რომ ამით ფეხბურთელების კლასიც აიწევს და ეროვნული ნაკრებიც მოგებული დარჩება.

— მას მერე, რაც „დიდი კაცი გახდი" და „ნოუ კამპზე" ვარჯიშის ბედნიერება გხვდა წილად, ალბათ თანაგუნდელებისგან ყურადღებაც მეტი იგრძენი...

— შესაძლოა, კეთილი შურით შურთ კიდეც, თუმცა, მე ძველებურად ვაგრძელებ ვარჯიშს. კარგად ვიცი, რომ წარმატებები მხოლოდ უდიდესი შრომის შედეგად მოდის და თავს არ დავზოგავ, სამომავლოდ ეროვნული ნაკრების მაისური რომ მოვირგო.

— ალბათ, შენი საყვარელი კლუბად „ბარსელონა" იქცა...

— „ბარსა" უდიდესი გუნდია, თუმცა მე ისევ მიუნხენის „ბაიერნის" ფანად ვრჩები. საყვარელი მოთამაშე კი მიხაელ ბალაკია. თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, შესაძლოა, მალე „ჩელსიში" აღმოჩნდეს, თუმცა, მე ისევ „ბაიერნის" ერთგულ გულშემატკივრად დავრჩები.

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

სპორტული კალეიდოსკოპი

მეორეზე დავრჩით

შაბათს, ერთა თასზე მორიგი მატჩი გამართა საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა. „ბორჯღალოსნები" უკრაინას ესტუმრნენ და ოდესის სტადიონზე მასპინძლები 32:12-ით დაამარცხეს. უკრაინა ამ გათამაშების დებიუტანტია და საერთოდაც ტურნირზე ჩატარებული ყველა მატჩი დათმო. შესაბამისად, ქართველები ფავორიტები იყვნენ და მოიგეს კიდეც, მეორე საკითხია, რომ ამ მატჩში და ბოლო შეხვედრაში (ჩეხეთის წინააღმდეგ, რომელსაც იმედია, ასევე ქართველები მოიგებენ) გამარჯვების მიუხედავად, „ბორჯღალოსნები" მაინც მეორე პოზიციაზე დარჩებიან ჯგუფში. ამდენად, ჩვენი მორაგბეები დარჩენილ ოფიციალურ და ამხანაგურ შეხვედრებს შემოდგომაზე გასამართი მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებლად თუ გამოიყენებენ.

სტუ 16-გზის ჩემპიონია!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა გუნდი „შევარდენი" ზედიზედ მეთექვსმეტედ(!) გახდა ქვეყნის ჩემპიონი. „შევარდენმა" ოქროსთვის გამართული სერიის პირველი მატჩი 25:22 მოუგო ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „ქარიშხალას", განმეორებით შეხვედრაში კი ერთით მეტი ბურთი გაიტანეს (26:22) და მორიგი, უკვე ტრადიციად ქცეული ტიტული მოიპოვეს. „ქარიშხალას" ვერც რატი მსხვილიძის (იგი სპორტის სასახლეში ცოტა ხნის წინ გამართული შესარჩევი მატჩებიდანაც გემახსოვრებათ) შედეგიანმა თამაშმა უშველა და გუნდი მხოლოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

ჩოგბურთელებმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს

ანტალიაში, „ფედერაციის თასის" წლევანდელ გათამაშებაზე ქართველ ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. პირველ შეხვედრაში ჩვენი გოგონები საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდნენ ლიტვის გუნდთან — 1:2. საბედნიეროდ, მომდევნო მეტოქის, ირლანდიის ნაკრების დამარცხება ჩვენებურებმა იოლად შეძლეს და ევრო-აფრიკის მეორე ზონაში ადგილი შეინარჩუნეს. ქართველ ჩოგბურთელებს პირველ ზონაში გადასვლაც შეეძლოთ, თუმცა შთამბეჭდავად მოთამაშე პოლონელთა ნაკრებს ვერაფერი მოუხერხეს და პირწმინდად — 0:3 წააგეს. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ გათამაშებაში პოლონელებს ერთი მატჩიც არ წაუგიათ და სამივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 მოიგეს...

ანრი რეკორდსმენია

ლონდონის „არსენალის" კაპიტანი ტიერი ანრი ოთხი სეზონის მანძილზე მესამედ დაასახელეს პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად. როგორც იცით, ინგლისში საუკეთესოებს უამრავი ორგანიზაცია ასახელებს. ამჯერად, ფრანგი ფორვარდი ფეხბურთის მიმომხილველ ჟურნალისტთა ასოციაციამ გამოარჩია. 28 წლის ანრი, რომელიც „არსენალში" 1999 წელს გადავიდა, უკვე იქცა კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირად. მან მიმდინარე სეზონში 23 ბურთის გატანაც მოასწრო პრემიერლიგაში და კლუბს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაშიც დაეხმარა. წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის ბრძოლაში ტიერიმ „ჩელსის" მცველ ჯონ ტერის და „მანჩესტერელ" უეინ რუნის აჯობა. როგორც აღვნიშნეთ, ფრანგი თავდამსხმელი მესამედ დაეუფლა აღნიშნულ პრიზს, რაც აბსოლუტური რეკორდია — აქამდე, ანრის მსგავსად, პრიზის ორგზის მფლობელები სტენლი მეტიუზი, ჯონ ბარნსი, კენი დალგლიში და გარი ლინეკერი იყვნენ. შეგახსენებთ, რომ ანრის კონტრაქტი „არსენალთან" სეზონის ბოლოს იწურება, მისით კი ესპანური ფეხბურთის ორი გრანდი — „რეალი" და „ბარსელონა" არიან დაინტერესებულნი. და თუ ლონდონურმა კლუბმა ჩემპიონთა თასის მოგებაც შეძლო, ფრანგის ხელში ჩასაგდებად ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება.



გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ

შპს „ვერონა"
მის: წერეთლის გამზ. 142 (საქნავთოგაროდუქტის შენობა, სანაპიროს მხრიდან).
II სართ. ოფ. 55 ტელ/ფაქსი: 34-17-58; 34-22-64 E-mail: veronaltd@yahoo.com
შევისყიდით შემდეგი სახის საქონელს

გარე სანათი РКУ-250	55ც.	სახარატო ჩარხი ДИП300	1ც.
პროჟექტორი ПКН-1000; 1500 ПГП-М3500	50ც.	სამსხვრეველა	2ც.
სინდიყიანი ნათურა ДРЛ-250; 400; 700; 1000	1100ც.	თბომავალი 6 ღერძიანი	1ც.
ჰალოგენური ნათურა КГ-1000; 1500; 5000	430ც.	ავტომანქანა ბელაზი 40ტ.	5ც.
ვარვარების ნათურა Г-220/1000; 220/500; 220/300	1200ც.	ექსკავატორი □O3322; 4121; 5121; 5124	4ც.
ვარვარების ნათურა БК-220/150; 220/100	2200	ჰიდრომბიძგავი ТГ30; 50; 80	30ც.
სასიგნალო ნათურა СЦ-21-110в-8вт.РНЦ-220в-10вт.	1500	სტარტერი თბომავლის ТГМ4	1ც.
		კაბელი სპპ2	2კმ.
მეშახტის ფანარი ФОС-2	50	ემალირებული სადენი Ф1,4;1,35;1,18;1,12;1,06;1,0мм	600კგ.
სამფაზა ძალ. ტრანსფორმატორი ТМ-1600/10/6	1ც.	ელ. ძრავი სინქრონული ДСП-118/44 1250квт 1450об/мин 6000в 4УХЛ-4	1ც.
ეკლიანი მავთული	5ტ.		
მრგვალი რკინა Ф20-100 ст20:ст45	20ტ.	ელ. ძრავი АВ112/4М. 250квт 1480об/мин 380в	1ც.
ორტესებრი კოჭი №20;36;40	50ტ.		
შველერი №20;24	10ტ.	ელ. ძრავი БАОУ630. OS4У5 1250квт 1480об/мин 6000в139,2а	1ც.
ფურცლოვანი ფოლადი 20; 30; 40мм	15ტ.		
უჟანგავი ფოლადის ფურცელი 12X18H 3-5мм.	5ტ.	ტუმბო □ЦВ-10 120/60	5ც.
		აზბესტის ფურცელი 5*1800*800მმ	1000კგ.
ფოლადის მილი Ф114; 159; 219мм.	50ტ.	ზეთი ტრანსფორმატორის ТМ 1500 ВГ	45ტ.
ბაბიტი B83	500კგ.	კალციუმის ქლორიდი	20ტ.
აზბოცემენტის მილი Ф100-400мм	3კმ.	სტალინიტ მ.	5ტ.
რკინაბეტონის აეროპორტის ფილა	100ც.	ეომოგენიზატორი	1ც.
ელექტროდი სპილენძის 5мм	100კგ.	საკისარი 309;416;405;6902;416;3618;7614; 2007928;16010	300ც.
ელექტროდი ЦМИИ 4мм	200კგ.		
ფიცარი 4მმ.	30მ³		

ფოტო განწყობისთვის



— ღვინო ჯერ არ ვიცი და მე ძალიან მომეწონა ქართული ღვინო!..



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ბასეტი. 5. მანტია. 9. ბორდო. 11. დიათეზი. 12. ლოტბარი. 13. ამოკი. 14. ალაბამა. 17. პლატინა. 18. გარდი. 20. იმაგო. 21. გოლგოთა. 24. ანექსია. 28. ბონზა. 31. გარსონი. 32. ნაირობი. 33. იორლა. 34. აფონია. 35. დილემა.

შვეულად: 1. ბანდურა. 2. სუმატრა. 3. ტავერნა. 4. პრადო. 6. ავსტრია. 7. ტალანტი. 8. აბზინდა. 9. ბაია. 10. ორლი. 15. არგენტინა. 16. სარი. 17. პრიმადონა. 19. ზაქი. 21. განგება. 22. ლიბრეტო. 23. ოზბორნი. 25. ეგოიზმი. 26. სოფოკლე. 27. აქსიომა. 28. ბილი. 29. ნიორი. 30. ანძა.

5/V
პირველი მეოთხედი

ედი მერფი თავისუფალია

როგორც იქნა, დასრულდა მსახიობ ედი მერფისა და მოდელ ნიკოლ მიტჩელის განქორწინების პროცესი. 5 შვილის დედამ, ნიკოლმა, ქმართან გაყრაზე შარშან, აგვისტოში შეიტანა სარჩელი სასამართლოში. ამბობენ, იმიტომ, რომ გულმა სხვა კაცისკენ გაუწიაო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი არავინ იცის. ჟურნალისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — ვერც სასამართლო პროცესზე შეიტყვეს სიმართლე. ედიმ და ნიკოლმა ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყვიტეს — შვილებზე ორივე იზრუნებს და საერთო ქონებაც უდავიდარაბოდ გაიყვეს.

ბანდერასის სიურპრიზი

რამდენიმე დღის წინ ანტონიო ბანდერასმა საზოგადოება გააოცა — პოპულარულ სატელევიზო შოუში ქალის სამოსით გამოცხადდა. თურმე თაყვანისმცემლის წერილი მიიღო, რომელიც თავის კერპს არწმუნებდა, ქალად რომ დაბადებულიყავით, გაცილებით უკეთესი იქნებოდითო. მსახიობმა გადაწყვიტა, საქვეყნოდ დაემტკიცებინა წერილის ავტორისთვის, რომ მწარედ ცდებოდა. „მომბეზრდა, „მაჩოს“ რომ მეძახიან, მაგრამ თქვენი თვალით ხომ ნახეთ, არც ქალად ვივარგებდიო“, — ეკრანიდან სიცილით მიმართა ბანდერასმა თაყვანისმცემელს.

ვარსკვლავებს გოგონები შეეძინათ...

რამდენიმე დღის წინ ტომ კრუზის საცოლეს, კეტი ჰოლმსს, გოგონა შეეძინა. ტომისათვის ის მესამე შვილია (მას ყოფილ ცოლთან ორი აყვანილი ბავშვი ჰყავს), კეტი პირველად გახდა დედა. გოგონას სური (ებრაულად — პრინცესა) დაარქვეს. კრუზის პრესმდივნის თქმით, კეტი და ახალშობილი თავს შესანიშნავად გრძნობენ. მშობიარობამ იმდენად კარგად ჩაიარა, რომ მეორე დღეს დედა-შვილი შინ გაწერეს.

იმავე დღეს, ლოს-ანჯელესის იმავე კლინიკაში, მსახიობ ბრუკ შილდსს მეორე გოგონა გაუჩნდა. პაწიას გრიგ ჰემონდი დაარქვეს. ბრუკის უფროსი ქალიშვილი როანი მაისში 3 წლის გახდება.

ცვილის ჰარი და უილიამი

მადამ ტიუსოს ლონდონის მუზეუმში ახალი ექსპონატი გამოჩნდა — ინგლისის პრინცის, ჰარის ცვილის ფიგურა. მუზეუმის თანამშრომლების თქმით, მას შემდეგ, რაც შარშან, აგვისტოში, მუზეუმში ცვილის უილიამი დაბინავდა, ისინი თხოვნით აიკლეს, პრინცის უმცროსი ძმის ფიგურაც გააკეთეთო.

თურმე მუზეუმის საბჭოს წევრები დიდხანს ყოყმანობდნენ, რადგან უინძორების ოჯახის უმცროს ვაჟს საკმაოდ სკანდალური რეპუტაცია აქვს. ჰარი არაერთხელ უნახავთ ლონდონის ღამის კლუბებში მთვრალი, მას ნარკოტიკების სიყვარულსაც მიაწერენ...

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჰარის ფიგურა მუზეუმში მაინც გამოჩნდა. ბუნებრივია, ის ძმის გვერდით დგას.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.